


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

16 თებერვალი 2007

№4 (30)



მაჭფუზის სიტყვა ნობელის პრემიის მიღებისას


აკოლონ სილაგაძის მასტერკლასი

არაბეთის უგვირგვინო მეფე

სად არის ჩემი სამშობლო

ვინ ვარ მე ამერიკაში

აღმოსავლელი ქალი



## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	<b>2</b>	<b>მიმართვა მკითხველს</b>
<b>ერი და გეოგრაფია</b>	<b>3</b>	<b>მეი ზიადა სად არის ჩემი სამშობლო?!</b>
<b>ენისტიკა</b>	<b>5</b>	<b>მაკა ჯოხაძე სამშობლოდ ქცეული გავპოვობა</b>
<b>ქვეყანა-ნიტარქი</b>	<b>8</b>	<b>ერთმანეთისკენ სავალი გზებით</b> (საუბარი დარეჯან გარდავაძესთან)
<b>პროზა</b>	<b>11</b>	<b>ნაჯიბ მაჭფუზი ყისმათი და ნასიბი</b>
<b>პოეზია</b>	<b>17</b>	<b>ნიზარ კახანი ვინ ვარ მე ამერიკაში?</b>
<b>მსტარკლასი</b>	<b>20</b>	<b>აპოლონ სილაგაძე ყურანი და ეფესელ ყრმათა ამბავი</b>
<b>დრამატურგია</b>	<b>22</b>	<b>გამალ აბუ რაია სულიმანი და ფუტკარი</b>
<b>აღმოსავლეთი და დასავლეთი</b>	<b>26</b>	<b>ნაჯიბ მაჭფუზი ნოზალის პრემიის გადაცემის ზეიმზე</b> <b>ნარმოთქმული სიტყვა</b>
<b>ფილმების გვირგვინი</b>	<b>28</b>	<b>აბდო ვაზინი გვექნება თუ არა არაბული დეიტაქტივი</b>
<b>აღმოსავლელი ქალი</b>	<b>31</b>	<b>ჰანან ად-დარკავი აივანი... კატა... ჩვილი</b>
	<b>32</b>	<b>ბუსაინა ხადარ მაქი წეს-ჩვეულებები</b>
	<b>34</b>	<b>სულაფ ჰილალი ღიმილი წყლის გაგება</b>
<b>წუთები და წლები</b>	<b>35</b>	<b>როსტომ ჩხეიძე უხმოვნო დაქარაბმება</b> (რამდენიმე გაელვებითა და უეპილოგოდ)
<b>ქინო</b>	<b>38</b>	<b>ნინო დოლიძე სამოთხე ახლა</b>
<b>დაუნიწარი სხეულები</b>	<b>39</b>	<b>გიორგი ლობჯანიძე რჩეული წვეულთა შორის</b> (თინა მარგველაშვილი)
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	<b>43</b>	<b>შუა საუკუნეთა არაბული პოეზია</b>
	<b>44</b>	<b>ამინ არ-რეიჰანი განმკურნა მე, ხევის ქალღმერთო</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>46</b>	<b>მუსლიმთა გზა უფლისაკენ</b>
<b>პროზა</b>	<b>51</b>	<b>იბრაჰიმ ალ-ყაბსი ფერფლისფარი წვიმა</b>
<b>ქრიტიკა</b>	<b>54</b>	<b>ლუკა ავალიშვილი ქალი ისლამში ქრისტიანი ქალის თვალთახედვით</b>
<b>რეზენსია</b>	<b>56</b>	<b>ნინო დოლიძე ეხნატონიდან დიპლომატიამდე</b>
<b>ისტორია ღიმილი</b>	<b>58</b>	<b>უსამა იბნ მუნკიზი შავონებათა წიგნი</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>62</b>	<b>უგვირგვინო მეფე არაბეთისა</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62  
რეკლამა – (995 77) 48-12-24  
გაერცელება – (995 99) 93-18-52  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ტელეფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გაერცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ბედუინები პირამიდების ჩრდილქვეშ  
გიორგი წერეთელი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2 მარტს

## მიმართვა მკითხველს



ეს პირველი შემთხვევა არ არის ჩვენი გამოცემის ისტორიაში, როდესაც მთელი ნომერი შეიძლება დაეთმოს ერთი ენობრივ-კულტურული სივრცის ლიტერატურას – მის კლასიკურ ხანასა თუ თანამედროვე მხატვრულ ძიებებს.

ასე გამოჩნდა გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ის „სპარსული“ ნომერი, რომელმაც – სწორედ ამ საგანგებო იერით – საკმაო მოწონება ჰპოვა მკითხველში და ამ განწყობილებამ დაგვარწმუნა ჩანაფიქრის სიღრმესა და პერსპექტივაში.

მთავარი ის იყო, რომ ნომრის მრავალფეროვნება შენარჩუნებულიყო და ყოველკვირეული გამოცემა არ დამგვანებოდა კრებულს, რისი საშიშროებაც ყოველთვისაა მოსალოდნელი ამგვარი შემთხვევებისას.

და, საბედნიეროდ, კიდევ შენარჩუნდა.

მკითხველის მოწონებაც ამან გამოიწვია და წარმოსახვითი თამასაც ისე მაღლა აღიმართა, ამის შემდეგ აღარც გვაქვს უფლება ოდნავადაც კი დაბლა დავწიოთ.

გაზეთია თუ ჟურნალი, კრებულს არაფრისდიდებით არ უნდა დაემგვანოს და სიცოცხლის ძარღვი მძლავრად უნდა ფეთქავდეს მასში.

ამ მიზნით გრძელდება ის ნამოწყება და რიგში უკვე „არაბული“ ნომერი ჩადგა.

ამ ნომერს ისეთი თავისებურება აქვს, რაც აღარ განმეორდება.

არაბული ენობრივ-კულტურული სივრცე მოიცავს არა ერთ ქვეყანას, არამედ უვრცეს არეალს, ქვეყნების წყებას, და „ჩვენი მწერლობის“ ეს ნომერი სწორედ ამ მრავალქვეყნიანობას აირეკლავს, ამ უვრცესი არეალის უძველეს ჟამს, შუასაუკუნეებსა და თანამედროვეობას, მის დრამატიზმსა და კომიზმს, მის აღმაფრენასა და სულიერ შეჭირვებას, ისტორიული ფესვების მოვლასა და დაკარგული სამშობლოს ძიებას... მის პოეტურ სუნთქვას, მის ბელეტრისტულ სწრაფვასა და სულიერების იმ საუნჯეს, რაც არაბებს თავიანთ წმინდა ნივში – ყურანში – მოუქცევიათ.

ქართულ სამყაროში მათ მეგზურთა შორის არიან აღიარებული სახელებიც და ის ლიტერატორები და მთარგმნელებიც, რომელნიც ახლა იმკვიდრებენ თავს ჩვენს სამწერლო ასპარეზზე და წარმატებით ცდილობენ განაგრძონ როგორც ქართული ლიტერატურული ტრადიციები, ისე აღმოსავლეთ-მცოდნეობის სკოლის არაბისტიკის შტოს მიღწევები.

უკვე მზადდება „ამერიკული“ ნომერიც.

ისე აქამდეც არაერთხელ მოგვისმენია ის გაკვირვება, „სპარსული“ ნომერი რომ გამოვეციოთ, და, მოველით, ამჯერადაც იმავეს გავგვაგონებენ: რატომ წამოიწყეთ ეს ჩანაფიქრი აღმოსავლური ქვეყნებით, განა არა სჯობდა ევროპიდან დაგენყოთ, მისი ყველაზე დიდი სახელმწიფოები გამხდარიყო ამ განზრახვის საძირკველი და, ამერიკაში იქიდან რომ გადაინაცვლებდით, თუ მაინცდამაინც, მერე მიგეხედათ აღმოსავლური ქვეყნებისთვის.

ამგვარი რჩევის გაზიარებას ცოტა პოლიტიკური ელფერიც გადაკრავს და ხელშესახები ამიტომაცაა მისი ქვეტექსტი – თუ საერთო-ევროპულ ოჯახში ვაპირებთ დამკვიდრებას – და კიდევ ვაპირებთ – ეს განზრახვა ყოველ წუთს და ყოველწიანად უნდა გამოვხატოთო.

ეს კი ასეა, მაგრამ ევროპისაკენ სწრაფვის, ქართული კულტურისა ზოგადად და კერძოდ ლიტერატურის ევროპეიზაციის წადილი არაერთხელ და დაბეჯითებით გაცხადებულა ჩვენი გამოცემების ფურცლებზე, ასე რომ, ჩვენი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ორიენტირი მკაფიოდაა გამოკვეთილი და ოდნავადაც არავინ უნდა დაეჭვდეს, თუ საითაა მიპყრობილი ჩვენი იმედიანი მზერა.

უბრალოდ ისე მოხდა ჩვენს სინამდვილეში, რომ აღმოსავლური მწერლობა ძალიან „ჩაიყლავა“ ევროპული ლიტერატურის ფონზე, აღმოსავლეთს თანამედროვე ქართული ჟურნალ-გაზეთები ან სრულიად ტოვებდნენ ყურადღების მიღმა, ანდა ხილად გამოურევდნენ და შეფარდება აშკარად იყო დარღვეული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასავლეთის სრული უპირატესობითა და ჰეგემონიით.

ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება თანდათან ისე გადაენყო, რომ მკითხველს აღარც ეგონა, თანამედროვე აღმოსავლეთში რაიმე ღირებული თუ იქმნებოდა მწერლობასა და კულტურაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს ქვეყნები და ერები კლასიკურ ეპოქაში სრულიად ამოიწურნენ და დღესდღეობით იმ ნარჩენებითა იკვებებოდნენ. ნარჩენები კი შესაძლოა მათთვის ყოფილიყო რაღაც, თორემ ჩვენთვის რა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა?!

საზოგადოებრივ წარმოდგენებში ფეხმოკიდებულ ამ კლიშე-ფორმულასაც დაუპირისპირდა ჩვენი გამოცემები და თანმიმდევრულად გადაშალა მკითხველის თვალწინ თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურის ის თვალსაჩინო მიღწევანი პოეზიაშიც და ბელეტრისტიკაშიც, ევროპულს რომ აღარც ჩამოუვარდებიან და მათთან ერთად ქმნიან მსოფლიო მწერლობის ცოცხალ, დინამიურ პროცესს.

ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად აღდგა წონასწორობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და ასეც გაგრძელდება.

საგანგებო ნომრების გამოცემის განზრახვა – გაბატონებული შეხედულებით – ნიშნავს უპირველესად „ფრანგული“ ნომრის გამოქვეყნებას, რათა მან განსაზღვროს გამოცემათა ზოგადი სტილისტიკა და გემოვნება.

დაე დარღვეულიყო ეს შეხედულება, როგორც ყოველივე ტრაფარეტული.

დაე დაენყო ირანულ ლიტერატურას და თავისთავად გამოჩნდებოდა, დაშავდებოდა ამით რაიმე თუ არა.

და რაკილა გაამართლა, განეგრძო არაბული სამყაროს მწერლობას.

ფრანგული ლიტერატურის დროც მოვა და თავის ბრწყინვალეობასაც მაშინ წარმოგვიჩინეს, რამდენიმე წამცეცით დიდ სულიერებასა და მხატვრული აზროვნების უზომო გაქანებას რომ აირეკლავს.

მანამდე კი მკითხველი საზოგადოება თვალნათლივ დარწმუნდეს, რაოდენ აუცილებელი ყოფილა ამ ყაიდის წამოწყებანიც.

და კიდევ: წონასწორობის შენარჩუნება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

მეი (მარიამ) ზიდა (1886-1941) არაბი მწერალი ქალი და საზოგადო მოღვაწე, საგანმანათლებლო და არაბ ქალთა მოძრაობის წევრი, ლიბანელი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ეგვიპტეში გაატარა. არაბულის გარდა ჩინებულად იცოდა ფრანგული, ინგლისური, იტალიური და გერმანული. გამოცემული აქვს რამდენიმე კრებული.

ამას წინათ ლიბანში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეს პრობლემა – ეგზომ მტკივნეული და მწვავე მთელი არა-ბოზისთვის – კვლავ გადაუჭრელი და მოუგვარებელია.

ამ გადასახედიდან რა აქტუალურია მწერალი ქალის ესეი, თითქოს სწორედ ახლა დაინერა და მიმდინარე მოვლენები უდევს საფუძვლად.

ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჭეშმარიტ ლიტერატურაზე დრო არ მოქმედებს. ის არა ძველდება.

მეი ზიდა

# სად არის ჩემი სამუბლო?!

როცა პატრიოტიზმის, ნაციონალიზმისა და ეროვნული თვითშეგნების სიტყვები გაიხშიანებს, მე ვწერ ჩემი სამუბლოს სახელს ფურცელზე, ტუჩებთან მიმაქვს და ვკოცნი. გადავითვლი მის ტკივილებს და ვამაყობ, რომ როგორც სხვებს, სამუბლო მეც მაქვს. შემდეგ ახსნა-განმარტებისა და დეტალიზების ჯერი დგება. მე გავისიგრძე-განებ გადაუჭრელ პრობლემებს, თავს ჩავქინდრავ და ვინც ფიქრს. ფიქრი შეგრძნებებში ძლივს ასწრებს გადასვლას, რომ ვგრძნობ, ღრმა დათრგუნულობა მიპყრობს, რადგან ჩემს გარდა სხვა არავინ მეგულება, ვისაც სამუბლო არ გააჩნია.

დილით მაფხიზლებს მიმავალი ჯარების ნალარა. სპილენძის საყვირთა ხმას განშორების ცრემლებით დამძიმებული მელოდები ახლავს, ვაჟკაცობისა თავგანწირვის მონოდებით ფრთაშესხმული სიმღერები. ვერ ვიტან გამარჯვებულს, თუმცა ვნატრობ ნამს, როცა შევერთვი მათ რიგებს, რათა მათ სიმდიდრეში დავივიწყო ჩემი სილატაკე და მათ ძალაში ჩემი უსუსურობა.

როდესაც ჩამივლიან დაჩაგრული ხალხის პროცესიები ბრძოლაში დაცემულ გმირთა კუბოებზე დაშვებული აღმებით და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეძახილები ქვრივთა და შვილმკვდარ დედათა, მათ ჭირისუფალთა მოთქმა-გოდებას ფარავს, თავს ვიმხნევებ და ვინუგეშებ – მე ხომ იმ ხალხის შვილი ვარ, რომელიც ჩამოყალიბებისა და აღმასვლის გზაზეა და არა იმ ხალხისა, რომელიც კიდევ ჩამოყალიბდა, აღმასვლაც ნახა და აწ წინ აღარა დარჩენია რა, დაცემის გარდა.

მაგრამ ჩემს ყურთასმენას სწვდება ხალხის ჩურჩულით ნაუბარი. ერთნი ამბობენ: „შენ ჩვენიანი არა ხარ, რადგან სხვა რჯულისა და რწმენის ხარ!“ მეორენი კი – „სხვა მოდგმისა ხარო“ – მეუბნებიან.

რატომ ვარ მხოლოდ მე ის, ვისაც სამუბლო არ გააჩნია?

\*\*\*

მე ერთ ქვეყანაში დავიბადე, მამაჩემი მეორეში, დედაჩემი მესამეში. ვცხოვრობ სხვა ქვეყანაში და ჩემი სულის აჩრდილები ერთი ქვეყნიდან მეორეში დაბორილობენ. ამ ქვეყნებიდან რომელს ვეკუთვნი, რომელს ვიცავ?

გარდაცვლილი მიდიან და შთამომავლობას მატერიალურ და სულიერ მემკვიდრეობას უტოვებენ, ისინი კი ამ მემკვიდრეობის სიკეთით სარგებლობენ; ეროვნულ ღირსებასა და პატივს უტოვებენ, რომლითაც შთამომავლები ამაყობენ; წეს-ჩვეულებებს, რომლებსაც შთამომავლები უფრთხილდებიან და ერთგულებენ. მე კი ჩემი გარდაცვლილი წინაპრებისაგან არაფერი დამრჩენია მკლავებსა და კისერზე ჩამოკიდებული მძიმე ტვირთის გარდა. ტვირთისა, რომლის თავიდან მოშორებას და რომლისგან გაქცევასაც თუ დავაპირებ, ფეხებს ვერ მივათრევ, ამ ტვირთზე უფრო მეტად მიმძიმდება. ჩემი გოლგოთის გზას ვარ შემდგარი. ცინიკოსები გესლიანი ანგარიშსწორებით იშვერენ ჩემკენ თითებს და არა ჩანს წყალობის ხელი, ჩემს შემწედ და ნუგეშად გამონვდილი.



ჩემი ნასული წინაპრების დანატოვარს ის უცხონი დაეპატრონენ, რომლებსაც უარი რომც ეთქვათ ამ მემკვიდრეობაზე, თავზე მომასხდებოდნენ ეს ნათესავ-ახლობელნი, რომელთა თავხედობა და უსირცხვობა იქამდე მიდის, რომ მლანძღვენ სათნოებისა და ზნეობისთვის, მათ თვალში ნაკლად რომ ქცეულა. მათი შური და მცონარა განურჩევლობა არა სცნობს ჩემს უფლებას, ვისარგებლო იმით, რაც შრომა-გარჯისა და ცრემლის ფასად მერგო.

რა ენაზე გავაგებინო, როგორ დაეუკავშირდე?! ვესაუბრო ჩემს თანატომელთა ენაზე, რომელიც, მათი მტკიცებით, არც ჩემი ენაა და არც ჩემნაირთა?! თუ უცხოთა ენა ვიკმარო, რომელთა თვალშიც მე დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ?! მივდიო ძველ ტრადიციებს, რომლებსაც დღეს აღორძინების მოძრაობის რეფორმატორები გააფთრებით ებრძვიან, თუ თანამედროვე მეთოდები მივილო და კონსერვატორთა სამიზნე გავხდე?!

თუ საიამაყეს ხარკს მოვუხდინო რაიმე აუცილებლის მისაღწევად, ამბობდნენ, მონააო, შუბლს რომ მიწაზე სცემს და მლიქვნელობს, ხოლო თუ გულწრფელობას ავირჩევდი იარაღად და საკუთარი ღირსების გრძნობას ციხე-სიმაგრედ გავიხდიდი, რკინის ხელი დამატყდებოდა თავს, „მოდმეთა“ ენები გამწენდნენ, „ერთგულნი“ გარშემო შემომეცლებოდნენ, ისინი ხომ მხოლოდ საკუთარი თავის დასახმარებლად ვარგიან.

რად მერგო მე წილად ისეთი სამუბლოს შვილობა, რომელსაც პატრიოტიზმის ნიშან-წყალი არ გააჩნია! რად ვიქეც იმად, ვისაც არ გააჩნია სამუბლო?!

\*\*\*

ყოველი ერი საკუთარ ძლევამოსილებაზე, კაცობრიობის წინაშე დამსახურებაზე, სუსტთა უფლებების დაცვაში თავის გამორჩეულობაზე საუბრობს. მე კი რომელი ერთ ვიამაყო?!

ყოველი ერი (და არავინ სხვა, მის გარდა!) იცავს და უფროსილდება თავისუფლებას, სამართლიანობის, თანასწორობისა და ძმობის სადარაჯოზე დგას. მე რომელს ვერწმუნო?

ყოველ აღმსარებლობას (და არც ერთ სხვას, მის გარდა!) ექსკლუზიური მონოპოლია აქვს საკუთარ მრევლამდე ჭეშმარიტებისა და ზნეობრიობის მიტანისა ამქვეყნად და ზეციური სამოთხისა და ღვთაებრივი ნეტარებისა იმქვეყნად. მე რომელს მივდიო?!

ყოველი პარტია თავის სინრფელესა და შეუმცდარობას გვიკვირებს და ყოველი მისი წევრი შეგნებულად სწირავს პირად კეთილდღეობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამსხვერპლოზე. მე რომელი პარტიისა დავიჯერო და მის რომელ წევრს გავყვე?!

როგორც კი ქვეყანათა აღწერას მოვისმენდი, მაშინვე დაუოკებელი ინტერესი მიჩნდებოდა მათ მიმართ.

როგორც კი ერის გმირობისა და ძლევამოსილების ამბავს გავიგებდი, მაშინვე ვინატრებდი, ჩემი ერი ყოფილიყო.

რომელიმე ხალხის ხმას მივუგდებდი თუ არა ყურს, მაშინვე წარმოვიდგენდი, რომ ეს ჩემი სასონარკვეთისა და იმედის ხმა იყო.

რომელიმე ხალხის ღირსება-ნაკლოვანებას ვაგაცნობიერებდი თუ არა, მას მაშინვე საკუთარ ღირსება-ნაკლოვანებად ვასურათხატებდი.

ერთი სექტა მეორეს ფანატიზმსა და ექსტრემიზმში დასდებდა თუ არა ბრალს, ამ ფანატიზმსა და ექსტრემიზმს მაშინვე ჩემში ვნახულობდი.

წარმომიდგებოდა თუ არა თვალწინ დედამიწის სივრცეები, ცის კამარის სიმორეები, უდაბნოები, ზღვები და ვარსკვლავების სამყაროები, მაშინვე გული მიმინებდა მათკენ, თითქოს ისინი სამშობლონი ყოფილიყვნენ, რომელთა ჰაერშიც ჩემი ბავშვობის მელოდია ხმინებს და სადაც მოსიყვარულე გულები მელოდებიან.

და თუ ჩემი სიყვარულის ძალები ასე განუსჯელად და უგუნურად იხარჯებიან, მაშ რატომ იკრიბებიან ჩემი ნაღველის ძალები ასე ღრმად და მძაფრად?! იმიტომ ხომ არა, რომ მე ერთადერთი ვარ ამქვეყნად – ის, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია.

\*\*\*

ჩემი სამშობლოს ნიავს შთაგონება და წინასწარმეტყველური სული შეერთვის. მზის სხივებთან ერთად მასში სილამაზის სურათები იმლება.

გარეგნული უძრაობისა და მიგდებულობის იერს მიღმა აქ მგ ზნეზარე, დაუცხრომელი სიცოცხლე ჩქეფდა და ღმერთების აზრდილები უსასრულოდ დადიან დინჯად ჩაფიქრებულნი.

დილაობით მწვერვალებიდან და ხეობებიდან, კლდეებიდან და წყაროებიდან, ჭალებიდან და ველებიდან აღმა მისწრაფიან ჩემი ქვეყნის გულისწადილნი. მზის ჩასვლის ჟამს, ნელ-ნელა შეიკრიბებიან საგანთა სულები, ისე შექუჩდებიან, თითქოს ახალ სამყაროთა შექმნაზე მსჯელობენო.

მიყვარს ჩემი მამა-პაპის მტვრის სურნელი და ცოტა ხნის წინათ გუთნით გაკვალული მიწის მათრობელა არომატი. მიყვარს კენჭები, ბალახი და სიპ ქვათა ნაპრალებში შემალული წყლის წვეთები.

მიყვარს გაბარჯულ ჩრდილიანი ხეები, ხეობას შეფარებულნი ან მომიშვლებულ ადგილას მდგარნი, შორეულ ზღვას გადაწყურალნი.

მიყვარს ოღრო-ჩოღრო გზები, ტყეთა სიღრმეში რომ იკარგებიან. ის ბილიკები, მათათა ფერდობებზე თეთრი გველებით მარყუჟად რომ იკლანებიან, ის გრძელი გზები, განელილი, უსაზღვროდ გაჭიმული, მათგან ავარდნილი ოქროსფერი მტვრის ბული მზის დისკოს რომ აღწევს თითქოს.

მაგრამ განა კმარა, გვიყვარდეს რამე, რათა ის ჩვენი გახედეს?! ამრიგად, მიუხედავად ჩემი უსაზღვროდ დიდი სიყვარულისა, საკუთარ თავს იმ დევნილად და მიუსაფრად ვხედავ ჩემს სამშობლოში, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია.

გამოცდილი მაქვს სხვადასხვაგვარი პატრიოტიზმი – იდეათა, გემოვნებათა, მისწრაფებათა პატრიოტიზმი. ის იდეალური, წმიდათანმიდა პატრიოტიზმი გულთა პატრიოტიზმია.

იდეათა სამყაროში ვპოვე ის, რასაც უკვე ვიცნობდი გრძნობათა სამყაროში, გარდა იმ შორეული ადგილისა, სადაც განთითოვდებიან გამოსახულებანი და ამაღლდებიან იდეები.

კულტურას მაზიარეს ჩემი სამშობლოს შვილებმა. აღზრდა-განათლება მომცეს სხვათა სამშობლოს შვილებმა. ბედნიერებას მაზიარეს ჩემი სამშობლოს შვილებმა და ბედნიერება მიწილადეს ასევე სხვათა სამშობლოს შვილებმაც.

ჩემი სამშობლოს შვილი არ გამოირჩევიან იმით, რომ განუზომლად დიდი ტკივილი მომაყენეს. უცხოთაგანაც ბევრი წყენა მხვდა ნილად.

მაშ რა საზომით ავწონ-გავზომო ჩემი სამშობლოს შვილი და რატომ უნდა ვიყო ის ერთადერთი, ვინც არ იცის, მისი სამშობლო სად არის?!

\*\*\*

ო, ბედნიერნო! ვისაც სამშობლო გაქვთ და თანამემამულენი გყავთ! მაზიარეთ თქვენს ბედნიერებას და მიწილადეთ!

ოდესლაც იმითაც ვიყავი კმაყოფილი, რომ მეცნიერებას, ფილოსოფიას, პოეზიასა და ხელოვნებას სამშობლო არ გააჩნია, ხოლო დღეს უკვე ვიცი, რომ მეცნიერს, ფილოსოფოსს, პოეტს და ხელოვანს აქვთ სამშობლო! ჩავწვდი იმ ადამიანის სისუსტეს, რომელსაც თუკი ძილისა და მოსვენებისაკენ გაუნია გულმა, თავისი მოქანცული სხეულისთვის რბილ საწოლს ეძიებს და არა თავკარა ან გაყინულ უკიდევანო ტრამალს ანდა თვალუნვდენელ ზღვას, რომლის მორევნიც ჩაითრევენ და შთანთქავენ.

მუხლს ვიყრი შენს წინაშე, ძველო ფილოსოფოსო! შენ, რომელმაც დუმილი დაარღვიე და მას შემდეგ, რაც აზროვნების სასწაულები და საოცრებები შეიცან, შენი ოხვრა საუკუნეებს გამოწვევად გამოუგზავნე და თქვი: „მინდა მყავდეს მეგობარი, რომლისთვისაც ღირს სიკვდილი!“

ახლა მე მუხლს ვიდრეკ შენი ხსოვნის წინაშე და ვიმეორებ შენი ნათქვამის მსგავსად: „მინდა მქონდეს სამშობლო, რომლისთვისაც ღირს სიკვდილი, ან სიცოცხლე!“

მაკა ჯოხაძე

# სამეოხლოდ ქცეული გავგვობა

\*

## მეი ზიადას ოაზისი

ნეტავ, რა უფრო მეტი იყიდება დღევანდელ საქართველოში – პური თუ ნამალი?

„რა ოპოზიციური დანყვილებაა“, – ცხვირს აიბზუებენ „ამა ქვეყნის ძლიერნი“.

ოპოზიციური არა, სამკვდრო-სასიცოცხლო დანყვილებაა, ბატონებო! ჩვენ ესლა დაგვიტოვეთ. თქვენი არჩევანი კარგა ხანია გააკეთეთ, ამიტომ ამ წყვილს – პურსა და ნამალს – ველარაფერს გაუგებთ. დიდი-დიდი პრაგმატულმა სიხარბემ მარტივად ბუნებრივი თუ ბუნებრივად მარტივი გულუხვობა გამოიჩინოს და გაიკვირვოს:

„პური თუ ნამალი?!..“

ერთიც და მეორეც, ჩემო ხალხო, ერთიც და მეორეც, ორივე საჭიროა“...

ვერაფერს იზამ... ცინიზმი სშირად გულუბრყვილობას თამაშობს;

მხოლოდ მორწმუნეები ხედავენ თვალ-ცრემლიანი ხატებიდან მირონდენას;

მხოლოდ ბავშვები ირწმუნებიან, – შადრევნები ასლოკინებენ და ტირიანო (ეს რა ჭკვიანი პანიები წამოვიდნენ)...

ყველა უბანს თავისი სევდის ბალი უდგას წყლის გულამოსკენილი ნაკადებით, ოლონდ ბესიკები აღარ ჩანან აღარსად.

ჩვენმა „ელიტურმა“ ქალებმა თითქოს აფხაზეთი კი არა, მხოლოდ „ზაგარი“ დაკარგეს ნატურალური. ამიტომ მზის მაგიერ ისტერიულად იღებენ ლაზერულ აბაზანებს, ათნუთიან სამოთხეებს ეფიციენციან იისფერი სპექტრით შესუდრულ სარკოფაგებში.

რა ქნან, ფარაონთა ცოლობანას თამაშობენ შავტუხა ნეფერტიტიები.

შოუბიზნესის პოდიუმზე აქსელირებული თაობის „მზიურობა“ ისეთივე მირაჟია, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთ სამყაროს გზაჯვარედინზე ჩარგული ქვეყნის თავისუფლება.

ლიბანელ მეი ზიადას დილით მიმავალი ჯარების ნალარა აფხიზლებს, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის მონოდებით ფრთაშესხმული სიმღერები...

მე კი ეზოებში ახლახან ჩამორიგებულ ნავის ვერცხლისფერ ურნებში სისხამ დილით მოფხაკუნე მოხუცები მიფრთხოვენ ძილს... მათ შემხედვარეს თბილი ლოგინის გრცხვენია.

ცოტათი ადრე გაიღვიძეთ „შოუმენებო“, ავანგარდისკენ მიდრეკილო რეჟისორებო, – აბსურდის მზამზარეული სცენებია ირგვლივ.

ვაქცინირებული ქალაქის სურათხატი:

სატვირთო მანქანის გისოსებიდან, ცოფიან ძაღლებთან ერთად, გაძვალტყავებული, უკბილო ბებრები შეშლილი მზერით იცქირებიან.

მაშველი არ ჩანს, ვინ დაინახავთ ამ დროს...

ქვეყნად ყველაფერს, მათ შორის, დროსა და სივრცესაც, თავისი პატარ-პატარა, საცდელი ბილიკები აქვს სარბენად.

ამიტომ ამათი შეყრა სატვირთოებში სწორედ დროის ამ მონაკვეთში, დღისა და ღამის გასაყართან ხდება, როცა სუპერმარკეტების, სასტუმროების ნათურათა არშიები ქუჩის ლამპიონებთან ერთად, რიჟრაჟში ქრება და ჯერ ისევ ძილბურანშია სოციალური სიუპრიზებით დასეტყვილი ქალაქი...

ესეც შენი მწუხარე ალიონები და შებინდების სუსხები გაჩახჩახებულ ქალაქში.

ესეც შენი პოეტური ხილვები – სისხლიანი მეტაფორები...

მადლობის მაგიერია, წყვილიადმი ჩაძირული ქალაქი რომ განათდა???

კარგი ცხოვრების ილუზიას ფელინის ხომალდით მოარწმუნევენ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი რევოლუციური ტალღები.

„ყველა პოეტი უმადურია, სულერთია სიბნელეში ჩაახრჩობ თუ სინათლეში გაგუდავ“ (ხელისუფალთა გამოცდილებიდან).

ნეტავ, რატომ გავასესხე ეს ფორმულა და ციტატურად ბრჭყალებშიც ჩავსვი. არსად ამომიკითხავს, ჩემია, ჩემი თანაგრძნობის ნაყოფი. ხანდახან მეც ვცდილობ შევძვრე მათ ტყავში და იქიდან გადმოვხედო ქვეყანას.

რა ქნან, ჩქარობენ რეფორმატორები.

სოკრატესავით ხომ არ დაიწყებენ ფილოსოფოსობას ჭეშმარიტების დასადგენად.

ამიტომ პოეტებს (საზოგადოდ, მოაზროვნეებს), შელი რომ სამყაროს „აულიარებელ კანონმდებლებს“ ეძახდა, ისე ქანცავენ ყოფიერების ამოა ფუსფუსით, რომ წუნუნის სამყოფ ენერგიასაც უკანასკნელ გროშებთან ერთად აცლიან... ამიტომ კარგად მესმის ლიბანელი მეის წუხილი უნდობლობაზე:

„ვერ ვიტან გამარჯვებულებს, თუმცა ვნატრობ წამს, როცა შევერთვი მათ რიგებს, რათა მათ სიმდიდრეში დავივინყო ჩემი სილატაკე და მათ ძალაში ჩემი უძლურება“... ისინი კი: „შენ ჩემიანი არა ხარ, რადგან სხვა რჯულისა და რწმენისა ხარ! მეორენი კი – სხვა მოდგმისა ხარო“ – მეუბნებიან“.

რა თქმა უნდა, არ გენდობიან, ჩემო მეგობარო, რადგან პავლე მოციქულის გენიალური „პარადოქსისა“ არ იყოს, შენც ზუსტად მაშინ ხარ ძლიერი, როცა ბოლომდე დაუძლურდები. რადგან შენი ყური გახსნილია სმენად, შვილმკვდარ დედათა გოდება რომ გაიგონოს, შენი თვალი – რათა დაჩაგრული ხალხის პროცესიებში ბრძოლაში დაცემულ გამირთა კუბობებზე დაშვებული აღმები დაინახოს...

თანაგრძნობის ცრემლით შესიებული ქუთუთოები თითქოს გულს ზოგავენო, ხანდახან მაგრად იხუჭებიან და გახელას აგვიანებენ.



უსამართლობის შემყურე გული კიდევ ხმაურობს და მძვინვარებს: „რატომ ვარ მე ის, ვისაც სამშობლო არ გააჩნია!“

სამშობლოში სამშობლო რომ მენატრებოდა, ოთხმოციანი წლების დასაწყისში გაუუმხილე ჩვენს „უფროს ძმებს“, მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ რომ მიგვიწვიეს სხვადასხვა რესპუბლიკებიდან შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რაც შეიძლება მარტივად, უბრალოდ ავხსენი ამ საკითხისადმი ჩემი დამოკიდებულება:

ის, რომ ემიგრაციაში მყოფ ახმატოვას, ნაბოკოვს, ცვეტაევას, რობაქიძეს სამშობლო ენატრებოდათ, ბუნებრივი, ჯანსაღი განცდა იყო და ამდენად – კეთილშობილი ნოსტალგია.

არაბუნებრივია, როცა სამშობლოში დარჩენილს სამშობლო გენატრება და ამ ავადმყოფობას ნოსტალგიის სახით მთელი ჩვენი თაობა დაატარებს-მეთქი...

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს მოსაზრება ყოველგვარი ცენზურისა და შესწორებების გარეშე სიტყვა-სიტყვით დაბეჭდა თავის დროზე ისეთმა კონსერვატულმა გაზეთმა, როგორც „ლიტერატურნაია გაზეთა“ იყო, ოღონდ ესაა სათაური მისცა საგანგებოდ გაკვირვებულნი: „ჩტო ზა სტრანნაია ნოსტალგია!“

დღეს აღარავის აღარაფერი უკვირს დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოში.

აღარც გულუბრყვილოდ და აღარც მზაკვრულად. მით უფრო, ის, რომ ასე უცნაურად ემთხვევა ერთმანეთს ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინათ გარდაცვლილი არაბი მწერლისა და თანამედროვე ქართველის ერთი შეგონება:

თითქოს არის და თითქოს არც არის, თითქოს გაგვანია და თითქოს არცა გვაქვს ეს დალოცვილი სამშობლო. ზღაპარს ჰგავს, უფრო ზუსტად ქართული ზღაპრის დასაწყისს „იყო და არა იყო რას“, მის მოუხელთებელ, ეფემერულ დრეკადობას, თითქოს სამყაროს წყვილიადმი მოციმციმე ციციანათელების ქარავანს ჩამოეველოს: ინთებთან, ქრებთან, ინთებთან, ქრებთან...

ამ ჩაქრობისა ემინია ყველაზე მეტად, სრული გაქრობის და მისი ხალხისაგან კონკრეტულ ქმედებებს მოითხოვს მწერალი ქალი:

„რად მერგო მე წილად ისეთი სამშობლოს შვილობა, რომელსაც პატრიოტიზმის ნიშანწყალი არ გააჩნია. რად ვიქვც მე იმად, ვისაც არ გააჩნია სამშობლო“.

მეი ზიადას ეროვნული წილიდან გამოღწეული ეს მტკივნეული რეფრენი, ფრთამოტეხილი ქედანივით რომ უვლის გარშემო ლიბანის მთებს, მაინც ამაყია და ქედუხრელი. მერე რა, რომ არ წამიკითხავს მისი არცერთი ლექსი.

ეს დარდი ჩემთვის ნამდვილი პოეზიაა, მეი ზიადა კი ნამდვილი პოეტი...

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღვთისსადარი სამშობლო...

თითქოს შემოქმედმა ძვირფასი ზარდახმა გადახსნა, ისე გამობრწყინდა ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურნუხტის პატიოსანი თვლები...

როცა ილია და აკაკი გყავს, დაცული ხარ, შენი ხალხის ერად ყოფნას თითქოს არაფერი ეშუქრება. ეს იმას ჰგავს, სიბერისა რომ არ გეშინია, სანამ დედა გყავს ცოცხალი. ამ

დაცულობის ხარისხს თითქოს წონა ემატება, როცა სხვა ქვეყნის ერისკაცი შენსავით ფიქრობს.

სახელგანთქმულ პორტუგალიელ პოეტს, გერა ჟუნკეირუს ერთხელ მიგელ დე უნამუნოსათვის უთქვამს:

– ესპანეთს როგორც ჩანს, პოეტები არა ჰყავს. თქვენმა ქვეყანამ მძიმე დარტყმები განიცადა, რა თქმა უნდა ბოლოს წელშიც გაიმართებით და მოყენებულ ჭრილობებსაც მოიშუშებთ. დრო, მართვის სწორი ფორმა, შრომის-მოყვარეობა და მოთმინება თავისას იზამს, მაგრამ ამ განსაცდელის ფაზი თქვენგან მაინც მოითხოვდა ჩივილსა და სიმწრის კივილსაც კი. და რამდენადაც არცერთ თქვენთან განს განსაკუთრებით არ უნუნუნია – ყოველ შემთხვევაში, მე არცერთი არ მახსენდება – მაშასადამე, არც პოეტი უნდა გყავდეთო.

უნამუნოს თავისმართლება უცდია:

– იქნებ იმას გულისხმობთ, უვარგისი პატრიოტები არიან და იმიტომო...

„არა, შეუძლებელია! – წამოუძახია ჟუნკეირუს, – მოაზროვნე კაცი, ფილოსოფოსი, ანდა თუ გნებავთ, სოციალოგი, შეიძლება არც იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი?!“

თუ პოეტი შორეულსა და აბსტრაქტულზე უფრო ღრმად არ განიცდის იმას, რაც მის თავს, ან მის ირგვლივ ხდება, ის პოეტის გარდა ყველაფერია...

მეი ზიადა ერთ ქვეყანაში დაიბადა, მამამისი – მეორეში, დედამისი კიდევ – მესამეში. ამ ესეის რომ წერდა, სულ სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა და მისი სულის აჩრდილები ერთი ქვეყნიდან მეორეში დაბორილობდნენ.

ამ ქვეყნებიდან რომელს ვეკუთვნი, რომელს ვიცავო, – ამაზე ფიქრით იტანჯებოდა.

ყველა ხალხის ღირსება და ნაკლი საკუთარივით მიჰქონდა გულთან.

ყველა ერის გმირობასა და ძლევამოსილებას შენატროდა და ნეტა ჩემი ერი ყოფილიყო ასეთიო...

მხოლოდ მაშინ გრძნობდა შვებას, როცა თვალწინ გადაეშლებოდა: „სივრცეები, ცის კამარის სიმორეები, უდაბნოები, ზღვები და ვარსკვლავების სამყაროები“ და უკვირდა, მაშინვე გული მიმინევდა მათკენ, თითქოს ისინი სამშობლონი ყოფილიყვნენო...

რა თქმა უნდა, მეი ზიადა, ეს ხომ სამშობლოდქცეული ბავშვობაა. უდაბური სამყაროს ყველაზე ხასხასა, ყველაზე უანგარო ნაკრძალი. რა თქმა უნდა, ამ სამშობლოში კარგადა ხარ, კარგად კი არა, ტკბილად, ლბილად... თითქოს დედის თბილი ხელი გეთათუნება თავზე, მოცოცავს, ყიფლიბანდს გისინჯავს ფრთხილად.

ბავშვობაში ხომ ცა არის ცისფერი, მზე არის მზისფერი და ადამიანსაც ადამიანის ფერი ადევს.

ეს მერე იწყება გაფერადება, როცა შუადღის გვიმრებს ცეცხლი აღარ უკიდია, როცა ფულუროში აღარ იფხორება ბუქნაჭოტი, როცა ღამეულ მდუმარებაში ჭუნობაშუპარული სული ქვიშის ყვავილივით ჩამოიშლება...

იქნებ მიგელ დე უნამუნოც იმიტომ მისტიროდა სამშობლოდქცეულ ბავშვობას, რომ ესპანეთის ტკივილებს ველარ უძლებდა...

„არაადამიანს არ ღირსებია ორჯერ, ორ სხვადასხვა ქვეყანაში განიცადოს ბავშვობა.“

ბავშვობა მხოლოდ ერთხელ და ერთ ქვეყანაში შეიძლება განიცადო, მერე კი ყოველწარად უნდა ეცადო, როგორმე შეინარჩუნო იმ ქვეყანაში შენი ბავშვად ყოფნის დრო,

რათა გახდეს პოეტი, რადგან პოეტია სწორედ ის, ვის სულსაც ყველაზე მეტად მსჭვალავს ბავშვობის მოგონებები“.

მოგონებები კი, როგორც ჩველი დედის წიაღს ჭიპლარით, ისეა გამოძებული კონკრეტულ ადგილს (ადგილის დედას), კონკრეტულ სივრცეს, პეიზაჟებს, ამინდს, კონკრეტულ ადამიანებს, მათ ხმებს, უღერადობას, ფერადოვნებას, და სხეულთა სითბოს, მათ ენერგეტიკას და გამოსხივებას... ამას გარდა – სულიერ და უსულო საგნებს, ქვებს, ლოდებს, საყდრებს, სასახლეებს, ძველ ხელნაწერებს, სურათებს, წიგნებს...

ყველაფერი ეს კი, ერთად აღებული, იდუმალ, მისტიურ კავშირშია როგორც ერთმანეთთან, ისე ჩვენს ხსოვნასთან და ბერდიაევის თქმით „ერის ნებაში მონაწილეობს“. ამიტომაცაა, რომ დიდი რუსი ფილოსოფოსისათვის კოსმოპოლიტიზმი უნადაგოა, როგორც ფილოსოფიურად, ისე ცხოვრებისეულად. სიღრმის გარდა, რა ზედმინევეთი ერთგვარი გრაფიკული სიმკვეთრითა და სიზუსტით გამოირჩევა მისი ეს დაკვირვება:

„კოსმოპოლიტიზმი არ ამართლებს თავის სახელწოდებას, მასში არაფერია კოსმიური, რადგან კოსმოსი, სამყარო, კონკრეტული ინდივიდუალობაა, ერთ-ერთი იერარქიული საფეხური.“

კოსმოსის სახე ისევე აკლია კოსმოპოლიტურ ცნობიერებას, როგორც სახე ეროვნებისა;

სამყაროს მოქალაქეობა სულაც არ ნიშნავს ეროვნული გრძნობების ან ეროვნული მოქალაქეობის დაკარგვას“.

ნიკოლაი ბერდიაევის თხზულება „ერი და კაცობრიობა“ ჩემს სამაგიდო წიგნებშირისაა და ცუდადყოფნის უამს მამხნევეს. ამიტომ სამშობლოსადმი, ეროვნულობისადმი, მსოფლიო მოქალაქეობისადმი ჩემს ახალგაზრდულ შეგრძნებებსა და დაკვირვებებს დღეს კიდევ უფრო მეტად ვენდობი და ეჭვიც არ მეპარება, რომ კოსმოპოლიტიზმს, როგორც პრიორიტეტს, ისე აღიქვამენ ინტელექტუალები, ანუ ძველი სახელი რომ გამოვიყენოთ მათი მისამართით – ნიგინიერი ფარისევლები. ამ თვალსაზრისით, მე უნუგემო პროვინციულად ვრჩები, რადგან ფუტკარსაც კი ეროვნულობის ჭრილიდან ვუყურებ და ასე მგონია, სანთლის საუფლოში გამოკვეთილი მათი ვარძია, პანია თაღები – სიმეტრიული სარკმლები, ერთი სიტყვით ფიჭის უჯრედული წყობაც კი საერთაშორისო სტანდარტებს არ ემორჩილება, არქიტექტონიკის თვალსაზრისით ეროვნულია.

ამიტომაცაა, რომ მე ვერ ვიღებ, ვერც ვიღებ კოსმიურ თეორიას დროსა და სივრცეზე. მათი ზოგადობა იმდენად მტკენს გულს, რომ გონებას მიჩლუნგებს.

ჩემთვის სივრცეც ეროვნულია, აღარას ვამბობ – დროზე.

დრო და სივრცე იმდენადაა ჩემთვის ღირებული, რამდენადაც თავიანთ თავში ლანდშაფტს, პეიზაჟს, ხასიათს, მოვლენებს აირეკლავენ. მოვლენები კი, ერთი შეხედვით, რაგინდ ზოგადსაკაცობრიო იერსაც უნდა ატარებდნენ, ყოველთვის დალდასმულია ნაცის ნიშნით... უფრო მეტიც – ჩემთვის თვით მეგობრობა, ანდა სიყვარულიც ამ ნიშნის ქვეშ მიედინება და ღრმად ვარ დარწმუნებული – ქართველ კაცს, ანდა ქალს იმ სიღრმითა და სერიოზულობით უყვარს, რა სიღრმითა და სერიოზულობითაც აღიქვამს დროსა და სივრცეს, პროცესებსა და მოვლენებს საკუთარ სამშობლოში – და მხოლოდ ამის შემდეგ – მსოფლიოში.

მსოფლიო კი თითქოს ისე დაპატარავდა, ხელისგულზე გვიდევს და ვათვალისწინებთ. ლიბანი, ისე როგორც მეი ზი-

ადას დროს, ისევე შფოთავს და ცეცხლშია გახვეული. ახლო აღმოსავლეთის, ახალი არაბული მოძრაობა ჰიზბულას პარტიის (ალაჰის პარტიის) სახით გააქტიურდა და გამოდის დევიზით – არ გვინდა უცხო ხალხი ჩვენს მიწაზე! მხოლოდ ჩვენ ვმართავთ ჩვენს ქვეყანას!.. არადა, ლიბანი ყოველთვის სავსე იყო ბერძნებით, არაბებით, სირიელებით, სპარსელებით, თურქებით, ჩერქეზებით, ებრაელებით, ევროპელებით...

თავის დროზე რელიგიური განხეთქილებებითა და სექტებით დაბნეული თომას მანისა არ იყოს, დაბრკოლებული არაბი მწერალი ქალი მეი ზიადაც აქეთ-იქით აწყდება და სასონარკვეთილი კითხულობს, – რომელ ერს ენდოს, რომლით იამაყოს, რომელ აღმსარებლობას ერწმუნოს და მისდიოს...

სასონარკვეთა ცეცხლში გახვეული ბეირუთის ხატებას აღმურის ტალღებზე მოატივტივებს, მახსენდება, რომ წმინდა გიორგის მიერ აღსრულებულ სასწაულთაგან ყველაზე ცნობილი იკონოგრაფიაშია აღბეჭდილი:

ქალაქ ბეირუთში მრავალი კერპთაყვანისმცემელი ცხოვრობდა. ქალაქის შორიახლოს, ლიბანის მთათა მახლობლად მდებარე დიდ ტბაში ვეება ურჩხული დაბუდებულიყო და დროდადრო თავისი სამყოფელიდან გადმოსული უამრავ სიცოცხლეს ანადგურებდა. მაშინ კერპებში დაბუდებული ეშმაკთა შთაგონებით მეფემ გადაწყვიტა – ყოველდღიურად ხალხს წილისყრით ურჩხულისათვის საზრდოდ თავიანთი შვილები მიეცათ. მეფემ ისიც აღუთქვა მათ, ჯერი რომ მოაწევს, ჩემს ერთადერთ ქალიშვილსაც თქვენსავით გავიმეტებო.

ასეც მოხდა.

ულამაზესი ასული მეფემ ტბასთან მიიყვანა, რომელიც მწარედ ტიროდა საშინელი აღსასრულის მოლოდინში.

ანაზადად თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი გამოჩნდა შუბით ხელში.

ქალწული შეევედრა, ნუ მიუახლოვდები ტბას, არ დაილუპოო, მაგრამ როცა წმინდანმა ის საშინელი ურჩხული დაინახა, პირჯვარი გადაისახა და სიტყვებით – „სახელითა მამისა და ძისა და სულიწმინდისათა“ – მისკენ გაექანა. წმინდა გიორგიმ ხახაში განგმირა ურჩხული და თავისი ცხენით გათელა იგი...

იმ დღეებში, როგორც გადმოგვცემენ, ყრმათა და დედათა ჩაუთვლელად, ოცდახუთათასი კაცი მოინათლა.

ამ მოვლენის გამო ქალაქში ტაძრებიც აღადგინეს ყოველადწმიდა ღვთისმშობლისა და დიდმოწამე გიორგის პატივსაცემად.

ისე როგორც მეი ზიადას დროინდელი, დღევანდელი ბეირუთიც ცეცხლშია გახვეული.

ნეტა თუ გაეგონა წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის განგმირვაზე მეი ზიადას? ნეტა თუ ოდესმე გაუვლია ღვთისმშობლისა და დიდმოწამე გიორგის ნატაძრალზე ლიბანულ ქალბატონს?

ვინ იცის, იქნებ გაუვლია კიდევ, იქნებ არც გაუვლია და არც არაფერი სმენია ყოველივე ამის შესახებ.

ვინ იცის, იქნებ რომ გაეგლო და რომ ერწმუნა ეს სასწაული, უფრო იოლადაც მიეგნო თავისი სამშობლოსათვის. ვინ იცის...

ბეირუთი ისევე ცეცხლშია გახვეული.

არაბი მწერალი ქალის მეი (მარიამ) ზიადას სული თითქოს ამ ცეცხლის ჩაქრობას ლამობს დღესაც...



# ერთმანეთისკენ საველი გზებით

\*

საუბარი  
დარეჯან ბარდავაძესთან



– ქალბატონო დარეჯან, როგორც არაბული ლიტერატურის მკვლევარსა და მის პოპულარიზატორს ჩვენს სინამდვილეში, გკითხავთ: რა ფენომენია აღმოსავლეთი, ზოგადად აღმოსავლური კულტურა? ნლების განმავლობაში რატომ არ ცვდება ამ ცივილიზაციისადმი მორგებული განსაზღვრება – ეგზოტიკური – და ნუთუ მართლა არსებობს „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის პრობლემა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შორის? (აქ კარგი იქნებოდა, ამ კულტურის რელიგიურობაზეც გეთქვათ).

– აღმოსავლეთის ფენომენზე, აღმოსავლურ კულტურაზე მსჯელობისას ობიექტურ მსაჯულად ვერ გამოვადგებით, რადგან ამ კულტურით ვარ გაჯერებული. როდესაც იკვლევ და კარგად იცნობ რამეს, ბუნებრივია, გიყვარს და პოპულარიზაციასაც უწევს მას. ისე, ჩვენ კი თავს ვიკლავთ, ევროპელები ვართო და აზიას ცხვირს ვუბზუებთ, მაგრამ ისეთი საოცარი სინთეზია ჩვენში აღმოსავლურ-დასავლურის, რომ მე თუ მკითხავთ, სწორედ ჩვენი ფენომენია საკვლევი. ვის, ვის და ჩვენ კი არ გვეთქმის აღმოსავლურ კულტურაზე ეგზოტიკური, რადგან ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენთვის ის უცხო და შორი არასოდეს ყოფილა. პირიქით, ზედმეტად დიდი დოზითაც კი გვექონდა. მე მგონია ჩვენი კულტურის დიდი ღირსება სწორედ ამ დოზით მიღებული უცხო კულტურათა ელემენტების ფონზე საკუთარი კულტურული იდენტურობის შენარჩუნებაა და არა აღმოსავლური კულტურისგან თავის დაცვა.

დღეს გლობალიზაციის ირგვლივ დებატების კონტექსტში ბევრს წერენ და საუბრობენ კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის აუცილებლობის შესახებ. ამავე კონტექსტში სულ უფრო აქტუალური ხდება კულტურათა ურთიერთზიარებისა და კულტურათა სინთეზის თემა. მაგრამ მოდით, ვიკითხოთ: ახსოვს კი ისტორიას კარჩაკეტილი, იზოლირებული კულტურები (აქ მხოლოდ ლიაოხის ხარისხზე შეიძლება შემოგვედავოს ვინმე)?!

დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის თემა, მათი ურთიერთაღქმა მხატვრული ლიტერატურისთვის ახალი არ არის, თუმცა უკანასკნელ წლებში, ჩანს, ჩვენი ეპოქის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სულ უფრო საინტერესო ხდება იმ მახასიათებლების გამოკვეთა, რომლებიც აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურულ და ცივილიზაციურ იდენტურობას განსაზღვრავს.

დასავლეთი და აღმოსავლეთი ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან – სამყაროს ხედვითა და მასში ადამიანის როლისა და ადგილის განსაზღვრით, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ურთიერთმიმართებით, რელიგიურობის ფორმებით, ინდივიდისა და კოლექტივის ურთი-

ერთდამოკიდებულებით, დროისა და სივრცის აღქმით და სხვა, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ დღეს ისინი, ავად თუ კარგად, თანაცხოვრობენ. მსოფლიო ისტორიულ პროცესებში წარმმართველი დღეს დასავლეთია, მაგრამ არავინ იცის, ხვალ როგორ დალაგდება ყველაფერი.

დღევანდელ მსოფლიოში დღითიდღე იზრდება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რასაც განაპირობებს ამ ქვეყნების მზარდი პოტენციალი და როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. მსოფლიო პოლიტიკაში უკვე გამოიკვეთა დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერთო და განსხვავებული ინტერესები.

ისე, მინდა გითხრათ, კიბლინგისეული ხაზი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის შეუძლებლობის შესახებ კვლავ რელევანტურია.

ამ ბოლო ხანებში აღმოსავლეთში ძალიან პოპულარულია XX ს-ის 80-იან წლებში შექმნილი პალესტინელი ედვარდ საყიდის თეორია, რომლის მიხედვითაც ევროპული ორიენტალისტიკა სწორედ იმიტომ ჩამოყალიბდა და სერიოზულ მეცნიერებად იქცა, რომ ევროპამ, ზოგადად დასავლურმა კულტურამ უკვე იარაღით კი არა, აღმოსავლეთის ზედმინვენით, მეცნიერულად შესწავლით დაიპყროს და საბოლოოდ დაიმონოს იგი. ეს განწყობა არა მხოლოდ უბრალო ხალხში და მასმედიაში, აკადემიურ წრეებშიც იგრძნობა (შარშან, ამ დროს, კაიროს უნივერსიტეტის არაბულ-ისლამური კულტურის ცენტრში ვიყავით მივლინებული არაბული ენის ქართველ პედაგოგთა ჯგუფი და იქ ძალიან ღია ტექსტით მოვისმინე ეს აზრი, თანაც პირად საუბრებში კი არა, ლექციაზე).

ერთი შეხედვით, უცნაურია, არა?! მე თუ შენს კულტურას (ენას, ლიტერატურას, რელიგიას, ისტორიას, ეთნოგრაფიას) ვსწავლობ, პატივს ვცემ და ვუფრთხილდები, გაიხლოვდები, რომ უკეთ გაგიგო, იარაღს რატომღა ავიღებ, რომ გესროლო? სიახლოვეს ხომ სიყვარული მოსდევს. თუმცა მათ შიშსა და უნდობლობასაც ვერ განსჯი, რადგან მას, სამწუხაროდ, ისტორიული საფუძველი აქვს და ეს ისტორიული წანამძღვრები დღევანდლობასაც თავის დაღს ასვამს. ღმერთმა ქნას, ერთმანეთისკენ სავალი გზები არ დაგვეხლართოს.

– თქვენი სადისერტაციო ნაშრომი „უზრიული პოეზია“ სპეციალისტთა აზრით წარმატებულ გამოკვლევებაა მიჩნეული. რას ეტყობით მკითხველს ამ პოეზიის შესახებ და რატომ გახდა იგი თქვენთვის საინტერესო?

– უზრიული ლაზალი არაბულ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფენომენია (სიყვარული, რომელიც კლავს). ის თითქმის თანამედროვე ეპოქამდე ინარჩუნებს მომხიბლობას არაბულ ცნობიერებაში. მან ზეგავლენა იქონია სხვა აღმოსავლურ (განსაკუთრებით კი სპარსულ) და დასავლურ ლიტერატურებზე.

ჩემი დისერტაცია იხილავს უზრიული ლაზალის პრობლემატიკას და აშუქებს სხვადასხვა რაკურსით; შეისწავ-

ლის მის ისტორიულ (სოციალ-პოლიტიკურ) და რაც უფრო მნიშვნელოვანი გვგონია, კულტურულ ფონს, იძლევა უზრიული პოეზიის ფენომენის ახსნას, როგორც რელიგიური ასპექტით, ისე ლიტერატურული გარემოებებით. ამ საკითხების შესწავლა, ფიქრობთ, შუასაუკუნეების კლასიკური არაბული (და შესაძლოა სხვა აღმოსავლური, განსაკუთრებით კი სპარსული) ლიტერატურის ზოგიერთი პრობლემის გასაშუქებლად საინტერესო უნდა იყოს. თუნდაც ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო ლიტერატურული მოვლენის – სუფიური პოეზიის პოეტური ენის ასახსნელად. ინტერესი უზრიული ლაზალის მიმართ გამიჩნდა აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანის „სიმღერათა ნიგმი“ ამ პოეტთა შესახებ გადმოცემების გაცნობის შემდეგ. ეს სატროფიალო-სათავგადასავლო ისტორიები მედიევალური კულტურის ესთეტიკური და სულიერი მოთხოვნილებების შედეგია, საზოგადოებრივი შეკვეთით და მისი გემოვნების შესაბამისად დაწერილი. უზრიულ სასიყვარულო ისტორიებზე კი რომ მართლაც დიდი მოთხოვნა იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ VIII ს-დან მოყოლებული მათ ლამის ყველა ცნობილ ფილოლოგიურ კრებულში და ანთოლოგიაში ვხვდებით. ეს არაბული გადმოცემები უზრიულ პოეტ-მიჯნურებზე და მათი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეთა აღმოსავლეთში და ბევრი მოგვიანო ლიტერატურული ნაწარმოების თავწყაროდ გახდა. ამ გადმოცემათა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვარიანტი, მაჯნუნისა და ლეილას ისტორია დაედო საფუძვლად ნიზამი განჯელის (XII ს.) პოემას „ლეილამაჯნუნთან“. ნიზამი განჯელთან და აბდ არ-რაჰმან ჯამისთან (XV ს.) ის უკვე ეპიკური ელფერითა და სიმბოლური ორანზროვნებით შეიმოსა.

სპარსულ ლიტერატურასთან მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობების მქონე ქართული ლიტერატურის მკვლევართ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას, რასაკვირველია, ნიზამის ეს პოემა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ. აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თემატური სიახლოვე „ლეილამაჯნუნთან“ შესავალთან (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე), თავად პოემათა შინაარსობლივი მსგავსებანი (კ. კეკელიძე); „ვეფხისტყაოსანში“ ყაისის მოხსენიება იმის საბუთად იქნა მიჩნეული, რომ რუსთაველი იცნობს თავისი უფროსი თანამედროვის, ნიზამის ამ პოემას და განიცდის მის გავლენას (კ. კეკელიძე). გამოითქვა ასევე ვარაუდი, რომ ეს ლიტერატურული გავლენები, შესაძლოა, მომდინარეობდეს უშუალოდ მაჯნუნისა და ლეილას ისტორიის არაბული თავწყაროდანაც კი და ამის საბუთად თავად ტერმინ „მიჯნურის“ რუსთველის ხანაში უკვე გავრცელება და დამკვიდრებაც არის დამოწმებული – „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“...; თუმცა არც არსებითი განსხვავება დავინწყებული რუსთველისა და ნიზამის გმირებს შორის – ნიზამის მაჯნუნის მისტიკური სიყვარულითაა შეპყრობილი, მისი ველად გაჭრაცა და განმარტობაც მისტიკურია, ტარიელი კი დაკარგულ სატროფოს დაეძებს მასთან შესაყრელად, მისი სიყვარული ამქვეყნიურია (ალ. ბარამიძე, ვ. ნიზამიძე).

ჩვენი მხრივ იმას დავსძენდით, რომ გარკვეულ დონეზე მსგავსება რუსთველური მიჯნურობისა უზრიულ სიყვარულთან მართლაც გვაქვს და ამის აღიარებას ვერსად ნაუვალთ, მაგრამ მსგავსება ცალკეულ კომპონენტთა დო-

ნეზე, გარკვეული სიუჟეტური ხაზების თანხვედრა, რაგინდ ხელშესახები და კონკრეტულიც არ უნდა იყოს, მაინც გარეგნულია; ის ატრიბუტიკაც, რომელიც ამ გმირებს აახლოვებს და ის ფერებიც, რომლებიც ამ ორ გრძნობას ხატავს, როგორც ჩანს, ანარეკლი უნდა იყოს მხატვრულ ღირებულებათა რაღაც საერთო ფონდისა, რომელიც შუასაუკუნეებში არსებობდა და კვებავდა ყველა მეტ-ნაკლებად ფასეულ მხატვრულ ქმნილებას. რომ აღარაფერი ვთქვათ შუასაუკუნეთა „იგივეობის ესთეტიკაზე“, რომლის ღერძიც იყო „ჩვეული“, „ნაცნობი“ და არა „უცნობი“ და „უცნაური“. აღარც იმაზე გავაგრძელებთ სიტყვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფასეულობათა სისტემა და მხატვრული ფენომენი სხვაა და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მართლაც ფაბულა, რომელსაც ამ ფასეულობათა სისტემაში მაინც შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს.

ამრიგად, როგორც ხედავთ, უზრიულ პოეზიას პირდაპირი თუ ირიბი კვებით ქართული კულტურის საზღვრებიც გადმოულახავს. გიორგი წერეთლის ნათქვამისა არ იყოს, რომელსაც ხშირად გვიმეორებდა ანგარდაცვლილი ჩვენი მასწავლებელი ქ-ნი თინა მარგველაშვილი: არაბული საკუთრივ არაბულის ცოდნისთვის თავად არაბებმა ისწავლონ, ქართველებისთვის კი არაბულის შესწავლას სხვა ინტერესები ახლავსო. ჩემი უზრიული პოეზიით დაინტერესებასაც საბოლოოდ ქართული ნიადაგი მოეძებნება.

**– ქალბატონო დარეჯან, რეფორმის შემდგომ უნივერსიტეტში ჰუმანიტარული ფაკულტეტის ადმინისტრაციაში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების კურატორობა დაგეგმისრა. თქვენ და თქვენი მსგავსნი უმაღლეს სასწავლებლებში ნიშნავს, რომ კარგად იქნება ყველაფერი. თუმცა რეფორმამ ცხადყო, რომ სტუდენტებს გაბედული არჩევანისათვის მეტი თავისუფლება მიენიჭათ. როგორ შეენევა ეს მონაპოვარი მათ პროფესიულ დაოსტატებას?**

– გულწრფელად რომ გითხრათ, არცთუ ძალიან სასიამოვნო კითხვა დამისვით. რეფორმას უნივერსიტეტში ისეთი ვნებათაღელვა მოჰყვა და ადამიანთა ისეთი მძაფრი ემოციები, რომ ამ გრძნობათა და ემოციათა ძალა მთებს დაძრავდა.

ქართველებს ყველაფერში ზღვარს გადასულობა გვჩვევია – კარგშიც და ცუდშიც. რეალობისთვის თვალის არიდება და ზღაპარში ცხოვრების დაუოკებელი სურვილიც გვჩვევია. ერთნი რომ უნივერსიტეტის უზადობას და უმნიშვნელობას ამტკიცებდნენ და ნებისმიერი მინიმალური ცვლილების საჭიროებას სასტიკად გამორიცხავდნენ, მეორენი უბინძურეს ნუმპეში ავლებდნენ ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც კი უნივერსიტეტის სახელი უკავშირდებოდა.

ჩემი ადრეული სტუდენტობა მახსენდება, როცა მშობლების მიერ ჩემს ცნობიერებაში მყარად ჩაბეჭდილი „ცოდნის თეთრი ტაძრის“ ამოცნობას დაჟინებით ვცდილობდი ხოლმე ჩვენს უნივერსიტეტში. ხან გამომდიოდა, ხან არა. წლების მერე მივხვდი, რაოდენ პათეტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს – ეს ტაძარი ხილული ვერ იქნება, ის სულში უნდა ააგო და ღმერთმა ნუ ქნას, ის სული ჩაკვდეს უნივერსიტეტში, ამ უხილავი ტაძრის კედლებში რომ ტრიპლებს, თორემ ახლა უკვე ყბადაღებული გამოთქმისა არ

იყოს, ივანე ჯავახიშვილი მოკვდა და უნივერსიტეტი დარჩა და აბა, მე და ჩემისთანები რა სათვალავში ჩასაადებნი ვართ!

სტუდენტების გაბედულ არჩევანსა და მეტ თავისუფლებას რაც შეეხება, ბენვის ხიდზე გავლა მოგვიწევს, რომ აქაც არ გადავაჭარბოთ. არჩევნის თავისუფლებას რა სჯობს, მაგრამ რამდენად არის ჩვენი 16-17 წლის პირველკურსელი ისეთი სრული თავისუფლებისათვის მზად, რომ ჩვენ მხოლოდ მიერ წაკითხული თუ წასაკითხი სასწავლო დისციპლინების ანოტაციები და სილაბუსები მივანოდოთ (თუნდაც ამომწურავი რჩევა-დარიგებებითურთ) და საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენა მას მივანდოთ?! ამ ეჭვს ის გარემოება მიჩვენს, რომ დღევანდელი სტუდენტობა ის თაობაა, უმძიმეს პირობებში რომ გაიზარდა – ნაომარ, გაპარტახებულ, სულით და ხორციტ გატეხილ ქვეყანაში. იკითხოს ვინმემ, რამდენი მათგანი მხოლოდ უმამოდ კი არა, უდედოდაც იზრდება – ეს სულ ახალი ფენომენია ჩვენში – და ეს იმიტომ, რომ მათი დედები საბერძნეთსა და თურქეთში, ამერიკასა და გერმანიაში, რუსეთში ლამის შავ მონებად მუშაობენ და იქიდან გამოგზავნილი კაპიკებით შვილების ფიზიკურად გადარჩენას ცდილობენ. ამ ბავშვების ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაზე არავის უფიქრია.

განათლებაში დედის როლი შეუცვლელია, ისევე როგორც სკოლის. ამ ყმანვილებს ერთი აკლიათ და მეორეც. სკოლების მდგომარეობაზე უკანასკნელ ათწლეულში, სჯობს, ხმა არ ამოვიღო. იმდენად შემზარავია, რომ ამ ყველაფრის შედეგს ახლა ვიმკით და ბუმერანგით გვიბრუნდება. კიდევ კარგი, ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს. «ყველაფერგამოვლილები» ისეთები არიან, როგორცაც ვხედავ უნივერსიტეტში. ჩემთვის სწორედ მათ თვალეში დაჭერილი ინტერესისა და ცნობისწადილის სხივია იმედი იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**– სასიამოვნოდ აღსანიშნავი შემოვიტოვე ბოლოსთვის. შარშან ხუთ რჩეულ ავტორთა შორის აღმოჩნდით და „ჩვენი მწერლობის“ პრემია თარგმანისათვის მოგენიჭათ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვის ეს მოულოდნელი იყო.**

**ზოგადად, რას ნიშნავს მოულოდნელი სიხარული შემოქმედებაში?**

– ზოგადად, ცხოვრებას მოულოდნელობები შეადგენს. მოულოდნელი სიხარული, ზეცად რომ აგაფრენს, მოულოდნელი და თავზარდამცემი ტკივილი, ძირს რომ დაგცემს (თუმცა ტკივილის ესთეტიკაც სწორედ ისაა, რომ მას კათარზისული ფუნქცია აქვს. ოღონდ კათარზისამდე ჯერ ტკივილმა უნდა დაგანახოს რამე, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ღმერთს ბევრისათვის არ მიუცია ამგვარი ხედვის უნარი) ...

ადამიანი მოულოდნელობებით ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია! რა იქნებოდა ლექციების ცხრილივით აწყობილი და დაგეგმილი ცხოვრებისეული მოვლენები (თუმცა ბევრი ჩემს გარშემო ასეც ცდილობს ცხოვრების მონყობას, მაგრამ ღმერთი რისი ღმერთია, თუ კაცთა ბჭობისას არ გაიცინა)!

თქვენ რომელ მოულოდნელობაზეც მეკითხებით, ის უდავოდ სასიხარულო იყო ჩემთვის, თუმცა ავანსად უფრო აღვიქვი. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, სა-

კუთარ თავს მთარგმნელს არ ვუნოდებდი ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. მე ლიტერატურის მოყვარული და კარგი მკითხველი უფრო ვარ, რომელსაც კარგად წაკითხული ხანდახან სათარგმნად კალამსაც ააღებინებს ხოლმე ხელში. ისე, ადობ ისპაკის ესე – რა არის აღმოსავლეთი, რომლის გამოც, როგორც ვხვდები, ეს პრემია მერგო, მართლა გამორჩევით მიყვარს. მისი პათოსი ჩვენი 60-იანელების პათოსს მაგონებს (მეგონა, ეს მე მეჩვენებოდა, მაგრამ თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ჩემგან დამოუკიდებლად გაუჩნდათ სხვებსაც ასეთი პარალელის გავლების სურვილი). ჩანს, როცა ერთი კულტურა (ძველი და დიდი) მეორის (ვერ ვიტყვოდი, უფრო დიდის, მაგრამ უფრო აგრესიულის და შემტევის) პირისპირ დგება, თვითგადარჩენის, საკუთარი აუთენტურობის, საკუთარი კულტურული ფასეულობების დაცვის ინსტინქტი ავტომატურად ჩაირთვება და ამ ღირებულებათა დაცვის გზები ძალიან ჰგავს ხოლმე ერთმანეთს. ამ ნიშნით ადობ ისპაკის და ილია ჭავჭავაძის პათოსი მართლაც ენათესავება ერთმანეთს.

ისევ მოულოდნელ სიხარულს თუ დავუბრუნდებით და თანაც შემოქმედებაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – თარგმანში, ვიტყვოდი, რომ ისიც მოულოდნელი სიხარულია, სათარგმნად ისეთი შედეგრი რომ ჩაგვივარდება ხელთ, როგორცაა იუსუფ იდრისის „ეგვიპტელი ჯოკონდა“. მე ის ჩემი თარგმანიდან გამორჩევით მიყვარს. ისე, სათარგმნად წინასწარ არასოდეს არაფერი შემირჩევია, ეს არჩევანი მხოლოდ მას მერე კეთდება, როცა ძალიან მოვიხიბლები ხოლმე რამით და მისი მეორე-მესამედ წაკითხვის სურვილი გამიჩნდება. თარგმნაც ამ ნაწარმოებთან დიდხანს ყოფნის, ხელახლა არაერთგზის მიბრუნების გზაა ხოლმე.

აქ ხუმრობით დავამატებდი, რომ ჩემი სათარგმნად დაჯდომის მეორე გზაც არსებობს – ეს ჩემი მეგობრისა და კოლეგის გიორგი ლობჯანიძის შემოჩენაა, როცა ხან სხვა გამოცემის და ხან „ჩვენი მწერლობის“ არაბული ნომრისა ან არაბული ჩანართის გაკეთების იდეით ატაცებული ითხოვს კი არა, ცეცხლითა და მახვილით გამოითხოვს ახალ თარგმანებს და მეცინება ხოლმე, როგორ მრისხანედ უწესებს „ხარკის“ აკრფის ვადებს საკუთარ პედაგოგებს. ჩვენ ვიცინით, მაგრამ ამ გადასახედიდან ვხედავ, რომ მართლა კარგი საქმე კეთდება და კარგი საქმისთვის „ხარკსაც“ დაიდებ ვალად ადამიანი.

„ჩვენი მწერლობის“ რედაქციის საქებრად კი ვიტყვოდი, რომ მან აღმოსავლურ თარგმანებს ფართოდ გაულო კარი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხშირად სახელები უფრო კარგად „იყიდება“, ვიდრე ის, რაც ამ სახელების მიღმა დგას. თუ დასავლური კულტურის კორიფეთა სახელებზე ქართული მკითხველი კარგად რეაგირებს, იმავე რანგის აღმოსავლეთა სახელები უმრავლესობას არაფერს ეუბნება და რედაქციის გაბედულებათა, როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მკითხველს იმას სთავაზობს, რისი წარმატების წინასწარი ვარაუდი არა აქვს, თუმცა მკითხველის ინტერესი და ცნობისწადილი იმაში ჩანს, ასეთ „ინტრიგაზე“ რომ მოგდევს და ვიმედოვნებ, აღმოსავლური ლიტერატურის მთარგმნელები, ძირითადადში მანაც, ამ ინტერესს არ გავეუცრუებთ.

ესაუბრა  
ნიმო ღვაწლიძე

ნაჯიბ მაჰფუზი

# ყისმათი და ნასიბი

ყამ მუჰსინ ხალილი ნელსაცხებლების ვაჭარი იყო. ღმერთმა უწყალობა, რაც ისურვა და ინატრა, ერთი რამის გარდა – მემკვიდრე არ მისცა. კარგა ხანს არ ჰყავდა შვილი. ცდილობდა, ყაბულს ყოფილიყო, რაც ალაჰმა უბოძა და რაზეც უარი უთხრა. საშუალო ტანისა იყო, იმათ რიცხვს განეკუთვნებოდა, ვისაც სჯერა, რომ ზომიერება ხეირის მომტანია. ჩასკენილი სხეული ჰქონდა; მისი აზრით, ხორცსავსეობა კაცს ისე უხდება, როგორც ქალს სამკაული და ეშხიანობა. თავი მოჰქონდა მსხვილი ცხვირით, ძლიერი ყბებითა და ხალხის კეთილგანწყობით. განგებამ აჩუქა სით ანბაია, მშვენიერი, ფერსავსე ქალი, რომელსაც ნაზი, ვარდისფერი ხორცი ნაკეცებად ჰქონდა ასხმული, თანაც მარჯვე დიასახლისი იყო. მისი ერთსართულიანი სახლის ბანი სავსე იყო ქათმებით, იხვევებითა და კურდღლებით. სით ანბაიას სუფრის ტრფიანლი ვერ ძლებოდნენ ყავლგასულ ტაფებზე მომზადებული კერძებითა და ცხიმში მოტივტივე ღვეზელებით. ბედი ყველაფერში სწყალობდათ, მაგრამ ჯიუტად არ იმეტებდა შვილის დაბადებით მინიჭებულ ბედნიერებას. გამოსავალი არსაიდან ჩანდა. ქალი ახლობლებს რჩევას ეკითხებოდა, ნათელმხილველებს მიაშურა, მოიარა წმინდანთა საფლავები, მკურნალებსაც მიაკითხა. იმათ კი გამოუტანეს ფეთვა,\* რომელიც არაფერს უქადადა სა-ნუგეშოს არც სით ანბაიას და არც ყამ მუჰსინს – იმდენად მცირეა იმედი, ლაპარაკადაც არ ღირსო.

მონმენდილ ცაზე დარდით სავსე მწუხარების ღრუბელი ჩამოწვა, ძვრაც არ ჰქონდა. და, აი, როცა ყამ მუჰსინი ორმოცდახუთს მიუახლოვდა, სით ანბაია კი ორმოცს, ალაჰმა წყალობა გაიღო. საბოლოოდ რომ დარწმუნდა, სით ანბაიამ შეჰყვირა: „ო, ღვთის წყალობავ!.. სეიდი ალ-ქურდის სახელს ვფიცავ, ფეხმძიმედ ვარ!“ ახალი ამბავი უმალ მოედო ალ-აბასიას განაპირას მდებარე ალ-ვაიალიას ქუჩას, სადაც ოჯახი სახლობდა და ნელსაცხებლების მაღაზია ჰქონდა. ბედნიერი წუთის მოლოდინში ცხრა თვე გაილია. დადგა მშობიარობის დრო. გაისმა ქალის ნეტარებანარევი კვნესა, მაგრამ, როცა ბებიაქალმა ბავშვი მიიღო, გოგონისა და დაბნეულობისაგან თვალები კინალამ გადმოსცივიდა. ბასმა-ლას\*\* ჰავკალა\*\*\* მიაყოლა, გაექანა აღმოსავლურ ყაი-

\* დასკვნა ამა თუ იმ საღვთისმეტყველო-სამართლებრივი დებულების გამო  
 \*\* წარმოთქვა სიტყვები: „სახელითა ალაჰისა მოწყალისა, მწყალობელისა“  
 \*\*\* „არა არს ძალი და არცა ღონე, თუ არა ალაჰისა თანა“

დაზე მონყობილი ოთახისაკენ და ყამ მუჰსინთან აღელვებული გაჩერდა. კაცმა გულის ფანცქალით ჩაილულლულა:

– ღმერთო შეგვენიე, რა მოხდა?!

ბებიაქალმა გაუბედავად ჩაიბუტბუტა:

– უცნაური არსებაა, ყამ მუჰსინ...  
 – როგორ?

– ნელქვევით ერთია, ზევით კი ორად იყოფა!

– რას ამბობ?!

– მობრძანდი და თავად ნახე.  
 – ქალბატონი როგორ არის?

– კარგადაა, ჯერ არ იცის, თავს რა დაატყდა.  
 აფორიაქებული და ნირწამხდარი კაცი უკან გაჰყავდა ბებიაქალს. უცნაური არსების დანახვაზე თვალები გაუფართოვდა – სხეულის ქვედა ნაწილი ერთი ჰქონდა, ორი ფეხით და ერთი მუცლით, ნელზევით კი ორად იყოფოდა. თითოეულს თავისი გულმკერდი, კისერი და თავ-პირი ჰქონდა. ერთხმად გაყვიროდნენ, თითქოს აპროტესტებდნენ თავიანთ მდგომარეობას, ანდა, ითხოვდნენ სრულ დამოუკიდებლობასა და კუთვნილ თავისუფლებას. კაცს ერთდროულად უხერხულობის, განცვიფრებისა და სირცხვილის გრძნობა დაეუფლა. თვალწინ დაუდგა სირთულეები, რომლებიც შავი ღრუბლებივით გროვებოდნენ მის გარშემო. გონებაში გარიგების ჩაშლისას ვაჭრებში მოარული ფრაზა უტრიალებდა – ალაჰიმც შეგენევავო. რა ექნა, უნდოდა, როგორმე თავი დაედნია სატიკივარისათვის, რომელიც არ მოასვენებდა. ბებიაქალი გაფაცვიცებით საქმიანობდა და თან ელაპარაკებოდა:

– ისეთი ჯანმრთელები არიან, თითქოს ყველაფერი წესრიგში ჰქონდეთ...  
 – ორივე? – ჰკითხა ყამ მუჰსინმა.

ქალი შეკრთა და წამოიძახა:  
 – ტყუპები ხომ არ არიან... ერთი ბავშვია!

კაცმა გულს მოკიდებული ცეცხლითა და ზაფხულის სიცხით გაოფლილი პირისახე მოინმინდა, მერე ბებიაქალს ჰკითხა:

– განა ორნი არ არიან?  
 – როგორ არიან ორნი, როცა ერთმანეთს ვერ მოაშორებ!

– ნეტავი ეს არ დაგვმართოდა!  
 ბებიაქალმა დამრიგებლური ტონით წარმოთქვა:

– ასეა თუ ისე, ღმერთმა გინყალობა. უზენაესის განჩინებას კი უნდა დავმორჩილდეთ.  
 – ღმერთო შემინდე, – აღმოხდა კაცს.

– დავთარში გავაფორმებ, როგორც ერთ ახალშობილს... – აღარ გაათავა ბებიაქალმა.

ყამ მუჰსინმა ამოიხვნეშა:  
 – ატყდება მითქმა-მოთქმა, ქვეყნის მასხარები გავხდებით!



– ვინც მოითმინა, იმან მოიგო...  
 – იქნებ სჯობდეს ვთქვათ, რომ ორნი არიან საერთო მუცლით?  
 – ცხოვრებას ერთი ადამიანივით უნდა შეუდგნენ! ერთხანს დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს, ბოლოს ბებიაქალმა დაარღვია სიჩუმე.  
 – რა უნდა დაარქვა?  
 რადგანაც კაცი ხმას არ იღებდა, ქალმა უთხრა:  
 – მუჰამადინი!..\* რას იტყვი, ხომ შეეფერებათ ეს სახელი?

კაცმა მორჩილად დაუქნია თავი, სიტყვაც არ დასცდენია.

სით ანბაია, როცა მიხვდა, რაც დაემართა, სახტად დარჩა. იმდენი იქვითინა, ვიდრე ლამაზი თვალები არ დაინთლა, მერე კი ქმრის განცდებს შეუერთდა. ასეთ ყოფაში დიდხანს არ დარჩენილან. სით ანბაია დედობრივ გრძნობას დაჰყვია, ყამ მუჰსინი კი – მამობრივს. დედა ერთს რომ ანოვებდა ძუძუს, მეორე – გაუთავებლად ტიროდა. უნებლიეთ მარჯვენას შეარქვა ყისმათი,\*\* მარცხენას კი – ნასიბი.\*\*\* პირველივე კვირიდან ახალშობილს ორი სახელით იცნობდნენ. თითოეული მათგანი საკუთარ ხასიათს ამჟღავნებდა. როცა ყისმათის ეძინა, მღვიძარე ნასიბი ტიტიუნებდა, ღნაოდა ანარადა, ძუძუს წოვდა. დროთა განმავლობაში ელდა მინელდა, თუმც კი სახლს გარეთ მისი გამოძახილი ისევ გაისმოდა. ოჯახი უცნაურობას შეეგუა, გაქრა გაუცხოება... ყისმათის და ნასიბის არ აკლდათ არც მზრუნველობა და სიყვარული, არც – თანაგრძნობა. სტუმრად მოსულ ნათესავ ქალებს დედა ეუბნებოდა:

– იყოს, როგორც უფალმა ბრძანა, ეს ხომ ჩემი შვილია... ან შვილები...

რა ექნა ჰაჯ\*\*\*\* მუჰსინსაც. გამუდმებით იმეორებდა: „უფალი ბრძენია“. გუმანით გრძნობდა, რომ ბავშვობა ხუმრობა-თამაშში გაივლიდა, მომავალზე ფიქრი კი სულს უხუთავდა და მოსვენებას უკარგავდა. სით ანბაია ორმაგ საზრუნავში ჩაეფლო. ორივესთვის უნდა მიეცა ძუძუ, ორივე დაეებანა, ყურადღება არ მოეკლო, თანაც ნერვები დაეოკებინა, როცა ერთს ეძინა და სიმშვიდე სჭირდებოდა, მეორე – გაყვიროდა, თამაში უნდოდა. გარეგნობითაც განსხვავდებოდნენ. ყისმათი უფრო შავგვრემანი იყო, თხელი ნაკვთებითა და თაფლისფერი თვალებით. ნასიბის კი ხორბლისფერი კანი და შავი თვალები ჰქონდა, ეტყობოდა, დიდცხვირა გაიზრდებოდა. პატარა არსებამ ორი ფეხითა და ოთხი ხელით იწყო ფორთხვა, სიარულს ცდილობდა, თანდათან ენას იდგამდა. ჩანდა, რომ ყისმათი უფრო ადრე ალაპარაკდებოდა. ცოცვა, სიარული, მტვრევა-მსხვრევა კი ნასიბის ნებაზე იყო. პატარები რომ იყვნენ, კარგა ხანს ნასიბი განაგებდა ყველაფერს. სულ ცუღლუტობდა, ქათმებს

ანოვებდა, კატებს აწვალებდა. ყისმათი ემორჩილებოდა ნასიბის და ამით თავს არიდებდა კინკლაობას, გარდა იშვიათი გამონაკლისისა – როცა დასვენების სურვილი მოეძალებოდა. მაშინ კი ნასიბი დაუნდობლად ურტყამდა მუშტებსა და იდაყვს, სანამ ყისმათის ცრემლებს არ წამოაყრევინებდა. ოთხი წლის ასაკს რომ გადააბიჯეს, სამყაროს ფანჯრიდან დაუნყეს ყურება, გზას გასცქეროდნენ და ბავშვებს უთვალთვალდნენ, მერე კი ცას მიაპყრობდნენ თვალებს. დორბლებთან ერთად შეკითხვებიც ნაკადულივით მოედინებოდა:

– ყველა ბავშვს ერთი თავი აქვს, რატომ?

სით ანბაია დაბნეული პასუხობდა:

– უფლის ნებაა, როგორ ადამიანებს მოავლენს ამ ქვეყნად.

– სულ უფალი... უფალი... აბა სად არის?!

– ის გვხედავს, ჩვენ კი – ვერა. ის ყოვლისშემძლეა. ვაი იმას, ვინც ღვთის მორჩილი არ იქნება! – აუხსნა ყამ მუჰსინმა.

ისიც უთხრა, რომ უფლის წყალობა უნდა დაიმსახურონ.

ყისმათი შიშმა შეიპყრო. უცებ ნასიბი მიუბრუნდა მას და შეჰყვირა:

– დამიჯერე, თორემ გცემ...  
 \* \* \*

ზაფხულის ღამე იყო. მთვარეს გასცქეროდნენ და ხელებს იშვერდნენ მისკენ. ბედს შეგუებული ყისმათი ოხრავდა, ნასიბის კი გულ-მუცელი უდუღდა.

ჰაჯმა ცოლს ჰკითხა:

– როდემდე უნდა გვყავდნენ შინ გამოკეტილები?

– მეშინია, ბავშვებმა არ დასცინონ, – უპასუხა სით ანბაიამ.

ჰაჯმა გადაწყვიტა მოესინჯა. სახლის წინ ბამბუკის სკამზე ჩამოჯდა და ისინიც გვერდით მოისვა. მალე ყველა ასაკის ბავშვმა მოიყარა თავი უცნაური არსების სანახავად. სულ ტყუილად უყვიროდა და უწყნარებოდა მათ ჰაჯი. ბოლოს იძულებული გახდა ხელში აეყვანა ისინი და გასცლოდა იქაურობას. გამწარებულმა ჩაიბუტბუტა:

– დაიწყო თავსატეხი...

უფალმა სით ანბაიას ერთი აზრი შთააგონა: სცადა მეზობლის ქალის დაყოლიება, რათა თავისი შვილები ტარიკი და სამიჰა გამოეშვა მუჰამადინთან სათამაშოდ. მეზობელი დათანხმდა. ანბაია მისი მადლიერი დარჩა. ტარიკი მუჰამადინზე ერთი წლით უფროსი იყო, სამიჰა კი თანატოლი.

თავიდან ბავშვები ურთიერთობას უფრთხოდნენ, მაგრამ სით ანბაიამ ისე მოთაფლა საჩუქრებით, რომ გაშინაურდნენ, ცნობისმოყვარეობამ და თავგადასავლის განცდის სურვილმა გადასძალა. ყისმათიმ და ნასიბიმ შეიყვარეს ახალშემქნილი ამხანაგები, უზომოდ უხაროდათ მათი მისვლა. თუმცა სანაცვლო სიყვარული ვერ მიიღეს. ბავშვები მხიარულობდნენ, ზღაპრებს ყვებოდნენ. პატარა ბურთს მოთამაშეები გამოუჩნდნენ. თოკს კი გადამძლე-გადმომძლეველნი. სამიჰა იქცა ვარდისფერ ოცნებად, რომლის დაუფლებასაც ლამობდა ერთიცა და მეო-

\* არაბული საკუთარი სახელის მუჰამადის ორობითი რიცხვის ფორმა

\*\* უცოდველი, გულმართალი; აქ: ბედი, ბედისა

\*\*\* ნიღბდომილი; აქ: იღბალი, იღბლისა

\*\*\*\* მუსლიმთა წმინდა ადგილების (მექასა და მედინას) მომლოცველის საპატიო მეტსახელი

რეც. როცა ტელევიზორი თავს მოუყრიდა პატარებს, ცალკე ერთი სთხოვდა სამიჰას, გვერდით მომიჯეციო, ცალკე – მეორე. სამიჰას გამო მოუვიდათ პირველი სერიოზული ჩხუბი მთელი ოჯახის თვალწინ. ნასიბის ტუჩიდან სისხლი წასკდა, ყისმათის კი თვალი დაუღურჯდა. ამ ჩხუბით ყისმათიმ თავი დააღწია ნასიბის ზეგავლენას. იგრძნო, რომ დამოუკიდებელი პიროვნება გახდა. ამიერიდან ხან რიგდებოდნენ ერთმანეთში, ხან ჩხუბობდნენ.

\*\*\*

ერთ დღეს ჰაჯმა თქვა:

– სკოლაში წასვლის დრო დაუდგათ...

ანბაია მოიღუშა, სახეზე დანაშაულის განცდა აღებეჭდა.

– კარი კი ჩარაზულია... – დასძინა ჰაჯმა. კარგა ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე განაცხადა:

– ორივეს მოუყვან მასწავლებლებს. იმდენი ანგარიში მაინც ისწავლონ, დუქანში ჩემი ადგილის დაკავება რომ შეძლონ.

მოვიდა ორი მასწავლებელი. ასწავლიდნენ სჯულის კანონს, ენასა და ანგარიშს. ყისმათი გულმოდგინედ შეუდგა სწავლას, ნასიბიმ კი შეიძულა, უჭირდა გაკვეთილის გაგება და ათვისება. მთელ ჯავრს ყისმათიზე იყრიდა, მეცადინეობაში გატარებულ საათებს უმწარებდა. ხან თამაში ან კინკლაობა მოუნდებოდა, ხან – სიმღერა. უთანხმოებამ განსაკუთრებით თავი იჩინა რელიგიური აღზრდის გაკვეთილებზე. ყისმათი მთელი გულით მოეკიდა ღვთისმსახურებას, ნასიბი კი აინუნშიაც არ აგდებდა: ასეთი სიკერპისათვის მასწავლებელი განსაკუთრებით უწყებოდა. მამაც ხშირად ტუქსავდა, მაგრამ ცემას ვერ ბედავდა.

რვა წლის ასაკში ყისმათის ლოცვისა და მარხვის სურვილი მოეძალა. ნასიბის კი ეს სულაც არ აღეგებდა, მაგრამ მიხვდა, რომ განბანის, მუხლმოყრისა და პირქვე დამხოვის რიტუალის უნებლიე თანამონაწილე გახდა. გრძნობდა საკუთარ უძღურებას, იძულებული შეიქნა შეგუებოდა რეალობას, თან ბრაზით ივსებოდა და ჯავრობდა. მამა მარხვას აიძულებდა, ის კი მალულად ახერხებდა შიმშილის დაოკებას.

– არ დაგავინყდეს, რომ საერთო მუცელი გვაქვს, – უმტკიცებდა ყისმათი, – ლუკმაც რომ შეჭამო, მამას ვეცყვი...

მთელი დღე თავს იკავებდა, ბოლოს მოთმინება გამოეღია და მორთო ტირილი. დედას გული დაენვა, ჰაჯს უთხრა:

– უფალი ადამიანს ავალებს იმას, რისი ძალაც შესწევს. მოემევი, ერთი-ორი წელი კიდევ აცალე.

– კი, მაგრამ ერთმა თუ დარღვია მარხვა, მეორეც ხომ დაარღვევს! – უპასუხა დაბნეულმა მამამ.


ამ საკითხის მოგვარება მხოლოდ იმამ საიდი ალ-ქურდის ხელთ იყო. მთავარი კეთილი ზრახვააო, – თქვა იმამმა. ყისმათის მარხვა ბათილად არ ეთვლება მაშინაც კი, თუ ნასიბი მას არ დაიცავს. ყისმათიც თავიდან ბოლომდე ერთგულად ინახავდა მარხვას, მთავარი ხომ სურვილი იყო. ამაში მთელი თავისი არსებით იყო დარწმუნებული.

ერთმანეთი სულ უფრო მეტად სძულდათ. ეს უკვე ავისმომასწავლებელი ხდებოდა. იშვიათად თუ დაისადგურებდა მათ შორის სიმშვიდე.

– ვაი ჩემს თავს! – მოთქვამდა თვალცრემლიანი დედა, – ერთმანეთს ვერ იტანენ, ურთიერთის გარეშე კი ვერ იქნებიან. როგორ უნდა გალიონ ეს წუთისოფელი?!

ქალი გამუდმებით ეკლებზე იჯდა. ბევრი რამის გამო მოსდიოდათ უთანხმოება. ყისმათის სისუფთავე უყვარდა, ნასიბის კი დაბანაზე ფიქრიც კი ზარავდა, ბანაობდა, როცა სხვა გზა არა ჰქონდა. მშობლები მათ მორიგებას ცდილობდნენ. ყისმათის ცოტა სისუფ-

თავე მაინც დაეთმო, ნასიბის კი უარი ეთქვა სიბინძურეზე. ნასიბის ჭამა უყვარდა, ძლომა არ იცოდა. ამის გამო, ხშირად, ყისმათი ვერ ინელებდა საჭმელს და წუხდა. ყისმათის ძლიერ უყვარდა მგრძობიარე სიმღერები, ნასიბის კი ხმაურიანი მუსიკა მოსწონდა, მაგრამ კამათი ზღვარს გადადიოდა იმ მიზეზით, რომ ყისმათის სულ უფრო იტაცებდა წიგნი და ცოდნის შეძენის სურვილი; უნდოდა მეტი და მეტი წაეკითხა. მეორე კი ამჯობინებდა სახლის ბანზე გართობას, გამვლელებთან და მეზობ-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ლებთან ლაზღანდარობას. ნასიბის შეიძლება ცოტა ხანს მოეთმინა, როცა მეორე კითხვას ჩაულრმავებოდა, მაგრამ თუ დასჭირდებოდა, იცოდა მზაკვრული ხერხი, როგორ გაეფანტა ყისმათის ყურადღება. საბოლოოდ ყველაფერი ცემა-ტყევაში გადადიოდა, რაც, წესისამებრ, ნასიბის გამარჯვებით მთავრდებოდა. აზრი არ ჰქონდა კამათს. ყისმათიმ სცადა მშვიდად აეხსნა:

– მე, ჩემი გატაცებები მაქვს, შენ კი შენი; ოღონდ ჩემი ინტერესები უფრო შეესაბამება ჩვენს არაბუნებრივ ყოფას.

– ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე მუდმივ საპყრობილედ გადაგვექცევა, – გაცხარებით უპასუხა ნასიბიმ.

– გარეთ ყოფნა ჩვენი ხვედრი არა ყოფილა...

– ბედნიერება კარს მიღმაა, შინ კი – სევდაა!

– შენ ხალხს აბრაზებ, ისინიც დაგვცინიან. – უთხრა ყისმათიმ.

– ასე რომ არ მოვიქცე, მოვკვდები... ეგ კი არა, ქუჩაში გაქცევასაც ვფიქრობ...

– თავს გავიმასხარავეთ, აბუჩად აგვიგდებენ!

– ვერ ვიტან საპყრობილეს, ვარსკვლავებისა მშურს... – შეჰყვირა ნასიბიმ.

– მეტი გონიერება გმართებს, – შეევედრა ყისმათი.

ნასიბიმ არაფრად ჩააგდო ყისმათის ნათქვამი:

– თანხმობას მაინც ვერ მივალწევთ.

– მაგრამ, ერთნი რომ ვართ?!

– ჩვენი უბედურებაც ესაა... მოეშვი აყალ-მაყალს...

– უტეხი ხარ, ახირება გიყვარს!

მშობლებმა მისაღებ ოთახში მოიხმეს. ახლა კი მართლა გამოელიათ მოთმინება, მობეზრდათ ლმობიერება. მიხვდნენ, რომ უბედურება დაიბუდებდა მათ სახლში, თუ სასწრაფოდ არ მოუვლიდნენ ამ სენს. ანბაიამ ორივე დაკოცნა და უთხრა:

– ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ. როგორც კი სიყვარული გაჩნდება, გასაჭირსაც მოვევლება!

– ამას ვძულვარ! – წამოიძახა ნასიბიმ.

– მე კი არა, შენ გძულვარ! – არ ჩამორჩა ყისმათი.

სით ანბაიამ ამოიხვნეშა:

– თქვენ ხომ ერთნი ხართ, არ გაიყოფით. სიყვარულის გარეშე შეუძლებელია!

კამათში ჰაჯ მუჰსინი ჩაერია.

– გონივრული იქნება, თუ თანხმობას მიაღწევთ, – თქვა მან, – არადა სიცოცხლე აუტანელ ჯოჯოხეთად გადაგექცევათ. არ შეიძლება, რომ ერთმა მეორე დაჯაბნოს. ნასიბის მოთმინება მართებს, როცა ყისმათის კითხვა მოუნდება. ყისმათის კი უნდა უხაროდეს ნასიბისთან ერთად წასვლა-წამოსვლა და გართობა. ყველანაირი სიმღერა უნდა აიტანოთ. ერთმაც და მეორემაც თავის საყვარელ მუსიკას მოუსმინოს. რაც შეეხება ღვთისმსახურებას, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია...

ყისმათიმ ცოტა დააყოვნა და თქვა:

– თანახმა ვარ დაზავებაზე, რადაც უნდა დამიჯდეს ეს...

ნასიბი დუმდა. ყისმათი ისევ ალაპარაკდა:

– მაგას დავიდარაბის გარეშე არ შეუძლია. არ სურს მოემზადოს დუქანში სამუშაოდ!

– რაც მოსახდენია, მოხდეს! – გადაჭრით თქვა მამამ.

აღღვებული სით ანბაია ისევ მოჰყვია ხვეწნა-მუდარას:

– შეიყვარეთ ერთმანეთი, მხოლოდ სიყვარული გადაგარჩინო...

მშობლებმა გული ვერ დაიმშვიდეს. შეშოთებულები და შეწუხებულები თვალყურს ადევნებდნენ იმას, რაც ხდებოდა. ნასიბი დაზავებისაკენ ყოყმანით მიდიოდა, უჭირდა სიჯიუტე დაეძლია. ყისმათის უფრო ძლიერი სურვილი ამოდრავებდა, ბოლო მოელო საკუთარი ტანჯვისათვის. ყური მიუგდო ფარულ გრძნობებს, მიენდო ინტუიციას. თუ დასჭირდებოდა, მშობლებსაც სთხოვდა დახმარებას.

\* \* \*

როცა მონიფულობის ასაკში შევიდნენ და სრულწლოვანები გახდნენ, დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. გაღვიძებას იწყებდა ჩაკლული ოცნებები, რაც აფეთქების მაუნყებელი იყო. თითოეულს საკუთარი მე ჩამოუყალიბდა. ეს ცოტა უცნაურად ჩანდა, თანაც უსაფრთხოებას კარგს არაფერს უქადდა, მტერი იყო, რომელიც უნდა დაძლეულიყო. ერთისთვისაც და მეორესთვისაც გაუსაძლისი შეიქნა იძულებითი ერთიანობა, რომელიც ბედმა არგუნა და საიდანაც ხსნა არ იყო. როცა გონება აერეოდათ, გაშმაგებით ურტყამდნენ ერთმანეთს. საიდანაც, გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა უმართავმა ტალღამ ფარდა ჩამოგლიჯა გარე სამყაროს. ერთმანეთს შეეჯახა ვნება და სინანული. გახელებულები ჩხუბობდნენ, უმონყალოდ ურტყამდნენ ერთმანეთს. მერე დავიდარაბა მინელდებოდა და ყველაფერი დუმილსა და ნაღველში იძირებოდა.

\* \* \*

გავიდა ხანი. ყისმათიმ თქვა:

– ასეთი დაწყველილები მშვიდობიანად ვერ გავლევთ ამ წუთისოფელს.

– რაც უნდა იყოს, ცხოვრება მაინც გაივლის თავის სავალს, – ჯიუტი სიმშვიდით უპასუხა ნასიბიმ.

ყისმათის რისხვა ჩაუდგა თავლისფერ თვალეში, გაბრაზებით უთხრა:

– ჩვენ სამყაროში არსებული ჰარმონია წაგვერთვა. ამიტომ ნებისმიერი ცოცხალი არსება ჩვენ გვეჯობა.

– თავადაც ავადმყოფი ხარ და აზრებიც ავადმყოფური გაქვს...

– ჩვენში ერთ-ერთი მართლაც ავადაა! – დაცინვით მიუგო ყისმათიმ.

– ჩემს უფლებებს იოტისოდენადაც არ დავთმობ... დაზავებაზე არც იფიქრო... – გამომწვევად უპასუხა ნასიბიმ.

– მეც მაქვს ჩემი უფლებები!

ერთმანეთს გამომწვევი და გამანადგურებელი მზერა ესროლეს. ცუდად შეწყვიტეს საუბარი. ამ დროს და-

ინახეს სამიჰა, მათი ბავშვობის ამხანაგი. ადრე ფანჯრიდან ადევნებდნენ ხოლმე თვალს, როგორ მიდი-მოდიოდა, ხან მარტო, ხან დედასთან ერთად. იღვიძებდა წუთიერი მოგონება, მერე ქრებოდა. დღეს კი ახალი თვალით შეხედეს სამიჰას. ყმანვილქალობის ცეცხლოვანებას უფრო მეტად დაემშვენებინა და თაფლივით სასურველი გაეხადა. ყისმათი სულში ჩალვრილმა მომაჯადოებელმა ნექტარმა გააბრუა. ნასიბის კი გონება აურია აბეზარმა ფანტაზიებმა. ყისმათის გული ისე შეეგება მშვენიერების ნათებას, როგორც კვირტი ეგებება გასაშლელად მზის სხივებს. ინატრა, ნეტავი უბადრუკი ნასიბის ადგილას სამიჰა იყოსო. ახლა კი შეიგრძნო, რომ ნასიბი არა მარტო ბორკილებად ადევს, არამედ ზღუდეცაა, რომელიც გზას უღობავს ქვეშარიტი ბედნიერებისაკენ. ნასიბი ალტყინებისაგან თავს აქეთ-იქით ატრიალებდა. როცა შენიშნა, რომ გოგონა მათი სახლის კართან ახლოს იდგა და იყურებოდა, გარეთ გაიწია და ყისმათიც თან გაიყოლა. კარში გავიდა. მისი დანახვისთანავე სამიჰამ ღიმილით უკან დაიხია და გზა დაუთმო. ნასიბი წინ მიიწევა და ხელს მის მკერდს უმიზნებდა. გოგონა შეცბა და სახლისკენ გაექანა.

ველურმა გამოხდომამ ალ-ვაიალაიას ქუჩაზე გავლელთა ყურადღება მიიპყრო. ყისმათი ლანძღვითა და წყევლით სწრაფად გაბრუნდა სახლისკენ. ის, მეორე კი, უცებ გონს მოეგო და მორჩილად გაჰყვა. გაცეცხლებულმა ყისმათიმ დაუყვირა:

– ეს ხომ თავის მოჭრაა, არა, ნამდვილად შეშლილი ხარ!..

ნასიბიმ არაფერი უპასუხა, წინააღმდეგობაც არ გაუწევია.

დედამ შეიტყო, რაც მოხდა, შეძრწუნდა. ყისმათისგან რომ მოისმინა ყოველივე, მეორეს მიუბრუნდა:

- ერთხელაც იქნება, თავს დაიღუპავ...
- მე კი, უცოდველი, მასთან ერთად დავიღუპები.

ნასიბიმ კი უტიფრად განაცხადა:

- ცოლი გვჭირდება!
- დედა გაოცდა, არ იცოდა, რა ეპასუხა.
- რახან გაგვჩინე, კიდევ ვალდებულნი ხარ პატიოსანი გოგო შეგვერთო, – არ გაჩერდა ნასიბი.

– რომელი ქალი გამოგვყვება ორს ერთად... – უთხრა ყისმათიმ.

– მაშინ ორი ცოლი მოგვიძებნე, – განაცხადა გამომწვევად ნასიბიმ.

ყისმათის ნაღვლიანად აღმოხდა:

- ჩვენი წერა მარტოობაა...
- ვითომ ერთი ადამიანი ვართ, განა ასე არ ჩაგვწერეს ახალშობილთა დავთარში? – არ გაჩერდა ნასიბი.
- გაჩენისას საშოსთვის ვიყავით ერთი, თორემ ქორწინებისთვის...

დედა იძულებული გახდა ოთახიდან გასულიყო, თან იმეორებდა:

- ეგებ ჰაჯმა მოაგვაროს საქმე...
- გაგულისებულნი ნასიბი მიუბრუნდა ყისმათის:
- ვერაფერი გვეშველება, ჩვენ თუ არ ვიღონეთ რამე. შუალამემდე მოვიცადოთ. ქუჩაში გავვლელები რომ

შეთხედებიან, სიბნელეში გავიდეთ კარში, იქნებ რამეს გამოვკრათ ხელი.

- გიჟური ფანტაზიებია! – შეჰყვირა ყისმათიმ.
- ნუ ხარ მხდალი!
- შენ კი შეშლილი!

\* \* \*

ჰაჯ მუჰსინმა უთხრა ცოლს:

– განა არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ რომელი ოჯახი დათანხმდება ჩვენთან დამოყვრებას...

– აბა როგორ მოვიქცეთ?

კაცმა ხმას დაუნია:

– ვინმე საწყალი ქალი მოუყვანე, ასე, ორმოცდაათი წლის, მაგათ რომ მოემსახუროს.

მოვიდა ერთი უბადრუკი ქალი. დიდი მონდომებით დააპურეს, მოუარეს, გაანკრიალეს, თანხმობა რომ ეთქვა იმაზე, რასაც სთხოვდნენ. მოჩვენებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. თუმც კი ნასიბი დღისით უმონყალოდ ექცეოდა ქალს. ამის სანაცვლოდ კი ღამე ვნებიანი იყო.

ნაღვლიანმა და ზიზღით შეძრწუნებულმა ყისმათიმ ნასიბის ჰკითხა:

- მე რაღა შეგცოდებ?
- განა ცოდვას ჩავდივარ?! – შეუღრინა ნასიბიმ.

პასუხი არ გასცა. გაახსენდა სამიჰა, რომელმაც მონუსხა და გრძნობები აუშალა. ამან დარდი გაუათკეცა. მართალია, ცალ-ცალკე კი გრძნობდნენ საკუთარ უსასობას და დამამცირებელ მდგომარეობას, მაგრამ არც ერთი მათგანის გულს არ ეკარებოდა მეორის უბედურება. პირიქით, საკუთარი ტრაგედიის მიზეზად ერთმანეთს თვლიდნენ. ურთიერთისგან თავის დახსნა სურდათ ნებისმიერ ფასად.

\* \* \*

მამამ დუქანში სამუშაოდ იხმო. მოესინჯათ მაინც. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ყველას თვალწინ დუქანში მოკაზმულები გამოცხადდნენ, ყავისფერ შარვალში და მოკლემკლავებიან თეთრ პერანგებში. თმა საშუალო სიგრძეზე გაეკრიჭათ. აწურულები დახლსიქით დადგნენ. უმაღვე თავი მოიყარეს მუშტრებმა და ცნობისმოყვარეებმა, ისე, რომ ქუჩა გადაიჭედა.

ჰაჯი ვაჟიშვილებს მიუბრუნდა:

– საქმეს შეუდექით, ხალხს ნუ მიაქცევთ ყურადღებას...

ნასიბის ბრაზი მოერია, ყისმათის კი თვალეები აუწყლიანდა. ფოტორეპორტიორიც გამოჩნდა, ცდილობდა, გზა გაეკაფა შეკრებილთა შორის, თან სურათებს უღებდა მუჰამადიანს, ანუ ყისმათის და ნასიბის. ნაშუადღევს მოვიდა ტელეკორესპონდენტი და ინტერვიუ სთხოვა ყმანვილებს. ჰაჯმა გაღიზიანებული ტონით გადაჭრით უთხრა უარი. დილის გაზეთში ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ხალხი ნაკლებად ეტანებოდა მათ საქონელს, ვაჭრობა თითქმის არ ჰქონდათ. ჰაჯ მუჰსინ ხალხი იძულებული შეიქნა აეკრძალა მათთვის დუქანში მოსვლა. დამნუხრებულმა ცოლს შესჩივლა:



– ცოტა ხანში ვაჭრობა საერთოდ გაჩერდება...

მაშინ ნასიბიმ გამწარებით მიაძახა:

– რატომ დაბადებისთანავე არ მოგვიშორეთ თავიდან, რატომ არ შეგვიბრალეთ ჩვენც და თქვენი თავიც?! ჰაჯს გრძნობები მოეძალა:

– აღარასოდეს გატყენთ გულს. ისეთ მემკვიდრეობას დაგიტოვებთ, რომ უზრუნველადაც იყოთ და პატივისცემითაც მოგუპყრან!

– მარტო ქონებას რა ფასი აქვს, – წამოიძახა ნასიბიმ, – ჩვენ ხომ მიცვალებულები ვართ. რამდენჯერ მინატრია ვაჭრობა დამეწყო, მანქანა მეყიდა, ოთხი ცოლი მყოლოდა!

– მე კი მასწავლებლობა მინდოდა... პოლიტიკაც მაინტერესებდა... – ნალვლიანად აღმოხდა ყისმათის.

ნასიბიმ ყისმათის შეხედა და გამწარებულმა უთხრა:

– შენ ხარ დაბრკოლება, გზას რომ მიღობავს!..

– შენ ხარ, შენ, ეს დაბრკოლება! – ჯიუტად უპასუხა ყისმათიმ.

ჰაჯმა ჰკითხა:

– როდესმე შეურიგდებით სინამდვილეს, შვება რომ იგრძნოთ?

– ერთი თავით რომ გავეჩენილიყავით, ნელქვემოთ კი ცალ-ცალკეინი, კიდევ რა უშავს!

– ბედნიერების მოპოვება არაა ძნელი იმისთვის, ვინც მართლა მიისწრაფვის მისკენ, – უთხრა ჰაჯმა.

– სწორედ ეს შენი ბედნიერება იქცა ჩვენი ტანჯვის მიზეზად! – გამწარდა ყისმათი, მერე ნასიბის მიუბრუნდა:

– ყოყორობას მოეშვი, მე მომენდე, ღირსეული ცხოვრებაც გქენება და კეთილდღეობაც. შენ რომ დაგმორჩილდე, საპყრობილეში დავამთავრებთ ცხოვრებას...

– ტყუილად ცდილობ, არაფერი გამოგივა, – დაცინვით უთხრა ნასიბიმ, – ჩვენ სხვადასხვანი ვართ. სწავლა მე არ მაინტერესებს. რაც შეეხება პოლიტიკას, შენ თუ მართვა-გამგებლობა აირჩიე, იმავდროულად ჩემი ოპოზიციონერიც ყოფილხარ. მე ვერ ვიქნები შენი მორჩილი, შენ კი – ჩემი. ბრძოლასაც დასასრული არ ექნება... მამამ მოთმინება დაკარგა:

– მორიგდით ერთმანეთში, – დაუყვირა, – სხვაგვარად შეუძლებელია, ერთად ყოფნა თქვენი ხვედრია.

ძალისძალად ისევ სცადეს. შეძლებისდაგვარად არიდებდნენ თავს უსიამოვნებას. ფეხშეწყობით დადიოდნენ, თუმცა კი ყისმათის ფარულად სძულდა ნასიბი. ეს კი ზურგს უკან აბუჩად იგდებდა ყისმათის. მეგობრებს ნააგავდნენ მეგობრობის გარეშე, მოკავშირეებს – ერთგულების გარეშე. სანახევროდ ცხოვრობდნენ და იმედსაც სანახევროდ ებლაუჭებოდნენ. ნასიბის დროზე ადრე დაეტყო ასაკი. მიხვდა, რომ ნაადრევი სიბერისაკენ მიექანებოდა. ალბათ, ეს იმის შედეგი იყო, რომ ზომა არაფერში იცოდა. ნელ-ნელა გრძნობდა მამაკაცურ უძლურებას და სასმელს მიეძალა. საჭმელს ვეღარ ინელებდა, არავითარმა წამლობამ არ არგო. გულში ჩახვეული ბოლმა თავის თანამგზავრზე გადმოანთხია, ბრალი დასდო – წყეულო, შენი გათვალულები ვარო.

– ალაჰმა გაპატიოს! – დიდსულოვნად ჩაილაპარაკა ყისმათიმ.

– ჩემი უბედურებით ვერ გაიხარებ, – დაუყვირა ნასიბიმ, – თუ მოვკვდი, ცხედარი სიცოცხლის ბოლომდე სათრევი გაგიხდება. ადამიანი სამარედ იქცევი!

უფრო მეტად დაძაბუნდა. სიკვდილის შიშმა შეიპყრო. ყისმათი თანაუგრძნობდა, ცდილობდა მის გამხსნევებას, უკეთესად გახდებო, ეუბნებოდა.

ყისმათის სიტყვებს არც ყურადღებას აქცევდა და არც სჯეროდა მათი. ერთ დილას უთენია გაიღვიძა და წამოიძახა:

– გლოვის სამკვიდრებლისკენ მივემართები!

სით ანბაია მივარდა, მიხვდა, რომ კვდებოდა. გულში ჩაიკრა, თან სამადიას\* ბუტბუტებდა. ნასიბის მკერდი უთრთოდა. ყისმათი აქვითინდა. უცებ შიში დაეუფლა სიკვდილის გამო, რომელიც მის სხეულში იდგამდა ფესვებს. სასონარკვეთილმა მშობლებმა ერთმანეთს გადახედეს. რა უნდა მოეხერხებინათ ცხედრისათვის, რომლის დამარხვა შეუძლებელი იყო?! სასწრაფოდ ექიმს დაუძახეს. ექიმმა ვითარება შეაფასა, მერე თქვა:

– დიდ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ერთმანეთს თუ ვერ დავაშორეთ, ერთადერთი გამოსავალი ბალზამირებაა...

ასე ცხოვრობდა ყისმათი ტვირთად აკიდებული ბალზამირებული სხეულით. პირველივე წუთიდან მიხვდა, რომ ამიერიდან ნახევრად ცოცხალია და ნახევრად მკვდარი. იმასაც მიხვდა, რომ ასე ნანატრი თავისუფლება, რომელსაც ეღირსა და რომელზეც რა ხანია ოცნებობდა, სხვა არაფერია, თუ არა ილუზია. ეს იყო ნაწილობრივი სიკვდილი, ან, ალბათ, სრულიც. გადანყვიცა, მთელი დრო მუშაობისთვის მიეძღვნა. ახლა აღარაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ გააცნობიერა, რომ სხვა ადამიანად იქცა. თანდათან კი არ შეცვლილა, უცებ გადასხვაფერდა. სადღაც გაქრა, წყაროსავით დაიშრიტა მისი შემართება, ჩაუქრა ხალისი. იქცა ადამიანად, რომელიც გაურბოდა ცხოვრებას, ღვთის სამსახურს და ყოველდღიურ უწყინარ სიამოვნებებს; ადამიანად, რომლის დღეები მიედინებოდა მოქუფრული ცის ქვეშ, სადაც არც სილაჟვარდე, არც ვარსკვლავები და არც თვალსაწიერი მოჩანდა.

სასომიხდილმა წარმოთქვა:

– არსებობის აღსასრული დადგა...

მუდამ მდუმარე და ნალვლიანი იყო, თითქოს თვლემდა.

დედამ უთხრა:

– იქნებ რამე გააკეთო და დარდი გაიქარვო...

მან კი უპასუხა:

– იმას ვაკეთებ, რისი ძალაც შემნევს... სიკვდილს ველოდები...

მოეჩვენა, თითქოს წყვდიადი მოიჩქაროდა მისკენ და სიმშვიდეს ჰპირდებოდა.

არაბულიდან თარგმნა  
რუსულად კვიჟინაძემ

\* ყურანის 112-ე სურის სახელწოდება



ნიზარ კაბანი 1923 წლის 21 მარტს დამასკის ერთ ძველ სახლში დაიბადა. თავად ყოველთვის სიყვარულით იხსენებს მშობლიური სახლის ყვავილებით დამშვენებულ ბაღს. ის ერთ დასთან და ოთხ ძმასთან ერთად იზრდებოდა. დედის თვალში ყოველთვის პატარა იყო, ხოლო მკაცრი მამა ხშირად ვერ უგებდა. სკოლაში სწავლისას განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა. მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ორმა ქალმა შეასრულა. ერთი იყო მზრუნველი დედა, ხოლო მეორე – და, რომელსაც სხვა უყვარდა და მამამისის დაჟინებით სულ სხვას გაჰყვა ცოლად, რის გამოც ნიზარს ებრალებოდა იგი. მამის მიმართ კი ყოველთვის პროტესტის გრძნობა ჰქონდა. კაბანის შემოქმედებაშიც ქალის თემამ დიდი ადგილი დაიკავა. თავად იხსენებს: „თავიდან მეგონა, რომ პოეტისთვის არ არის აუცილებელი, ესმოდეს ქალების. შემდეგ ნელ-ნელა მუსლიმი ქალის მდგომარეობამ დამაფიქრა..“ პროფესიით დიპლომატი, სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაური კაბანის ძირითადი საქმიანობა თანდათან პოეზია გახდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაზე შექმნილი ლექსებიც აქვს, ის მაინც „ქალთა პოეტად“ ითვლება. გთავაზობთ ლექსების თარგმანს მისი ორი კრებულიდან „სიყვარული ნითელ შუქზე არა ჩერდება“ (1989) და „ორმოცდაათი წელი ქალთა ქებაში“ (1994).

**ნიზარ კაბანი**

**ფოსტა**

ჩემგან სასიყვარულო წერილი...  
შენგან სასიყვარულო წერილი...  
ქმნის გაზაფხულს...

**ელვა**

გეტყვი:  
„მიყვარხარ“,  
მხოლოდ ერთხელ,  
რადგანაც ელვა არ მეორდება...

**რელიგია**

როცა ეუბნება  
შეყვარებული შეყვარებულს:  
„მე შენ გაღმერთებ!“  
უნებურად ამტკიცებს,  
რომ სიყვარული მეორე რელიგიაა...

**უნერტილოდ**

„მიყვარხარ“  
და არ დავსვამ წერტილს სტრიქონის ბოლოს

**კაფეები**

მთელი მსოფლიოს კაფეები  
აკადემიებია, რომელსაც შეყვარებულები ამთავრებენ;  
ხოლო როცა იხურება აკადემიის კარები,  
მთავრდება სიყვარულის კულტურა...

**კულტურა**

რადგან მიყვარხარ,  
მინდა იყო  
ოცდამეცხრე ასო  
ჩემს ანბანში...

**თეატრი**

ქალს, თავისი ბუნებით,  
უყვარს კაცი, რომელიც შეუჩერებლად ლაპარაკობს...  
შეუჩერებლად იტყუება,  
ამიტომ ზარალდება ყველა კაცი,  
ვინც არ ფლობს დრამატულ ხელოვნებას  
და არც თეატრალურ დეკლამაციას...

**ლაბადა**

როცა გადაწყვეტ  
სხვა კაცთან წასვლას,  
არ დაგავიწყდეს, თან წაიღო  
სანვიმარი ლაბადა.  
რადგან ამინდი ცვალებადია,  
ქარები – ცივი...  
და მეშინია, არ დაავიწყდეს შენს ახალ მეგობარს  
ჩაგისვას ლაბადის ჯიბეში...  
ჩემსავით...

**ჩემი მისაგართი**

არსადა მაქვს  
მუდმივი ბინა.  
ჩემი მუდმივი საცხოვრებელი  
სანერი ფურცელია.

**ღუმილი**

გრძნობ ჩემს ძლიერ სურვილს  
როცა ჩუმად ვარ?  
ღუმილი, ჩემო ქალბატონო,  
ჩემი ყველაზე ძლიერი იარაღია...

**თუ**

თუ თქვა ქალმა,  
რომ ეყვარები სამუდამოდ,  
ხარ მამაკაცთა მოდგმის მშვენიება,  
რომ არც შენამდე ყოფილა ვინმე  
და არც შენს შემდეგ იქნება...  
ნუ ენდობი ბოლომდე,  
რადგან წუთი ქალისთვის  
მარადისობაა...

**ნავიდა... და აღარ დაბრუნებულა...**

ქალებთან ურთიერთობის დროს  
ყოველთვის ვიყავი  
იმპრესიონიზმის მიმდევარი.  
ყველა ქალი  
ვისაც ვესაუბრე სუფიური აზრის მშვენიერებაზე,  
ჯალალ ედ-დინ რუმის ბრწყინვალეობაზე,  
ფარიდ ად-დინ ალ-ათარზე,  
მუჰიდ ად-დინ იბნ ალ-არაბიზე,  
ნავიდა... და უკან აღარ დაბრუნებულა...

**ფოლკლორი**

ვუსმენ განცხრომით  
ბრამსის მუსიკას,  
ბეთჰოვენს,  
შოპენს  
და რახმანინოვს,  
მაგრამ ბედუინს, ჩემში რომ ცოცხლობს,  
სულ ენატრება რაბაბის\* ჰანგი.

**დედაჩემი**

ზაფხულობით  
დავდივარ ჟენევის ბოტანიკურ ბაღში,  
რათა მოვინახულო დედაჩემი...  
მებაღედ რომ მუშაობს შვეიცარიის მთავრობასთან  
და იღებს ათ ფრანკს  
ყოველი სირიული ვარდისთვის,  
რომელსაც მათთვის ახარებს...

**არაბულიდან თარგმნა  
ირმა მახარაძემ**

\* ტრადიციული არაბული მუსიკალური საკრავი

**ვინ ვარ მე ამერიკაში?**

1  
ზღვა გადმოვცურე თქვენი ნაპირისკენ  
ვეძებდი სიყვარულის ბეჭედს, რომელიც  
უკვე ორმოცდაათი წელიწადია, რაც დამეკარგა  
ვეძებდი ბალკისის თმას, რომელიც  
ორმოცდაათი წლის წინათ დავკარგე  
და ერთი კითხვა მაღელვებს მხოლოდ:  
ვინ ვარ მე ამერიკაში?  
ვინ ვარ მე  
კომპიუტერების და რობოტების დროში  
ხელოვნური გულისა და მადონას მუსიკის დროში?  
ვინ ვარ მე დროში?  
ექიმთა კლინიკებში აკეთებენ სიყვარულს... სქესსაც...  
აკეთებენ მიღებით  
ოფიცრებსაც, რევოლუციებსაც  
აკეთებენ მიღებით  
მიღების ღრუებიდან მოდიან და მოდიან  
ქვეყნის სათავეში...  
აქ რა უნდა იმღეროს სიყვარულის პოეტმა  
აქ, ამ სავანეში?!

2  
კარგი დროის მეგობრებო,  
ლიბანელო ჩემო ძმებო,  
მოგიტანეთ ბეირუთის ზღვის ჩიტები,  
ბელურები, ნიჟარები,  
ქონდრის ხშირი ხვეულები..  
არ შუშდება, არ ხორცდება იოლად  
ვნებიანი სიყვარულის ჭრილობები.  
ვის მივმართო ჩემი გრძელი ლექსებით?!  
ნავიკითხავ მე მათ ამერიკაში  
ან ჩინეთში, ინდოეთში  
ჰიმალაის მთების ზემოთ..  
ან პარიზში, სირიაში  
ჰაზლასა თუ ეგვიპტეში..  
უამრავი სახელმწიფოს მკერდებს შორის  
„მაიჯანას“ სიმღერებში.  
ზურგით ვზიდავ მე ჩემს ფურცლებს, კალმებს, დარდებს,  
ასობით ავაშენებ დიდ ქალაქებს  
მე ლექსებით ავიშენებ ჩემს სამშობლოს,  
თუკი იმათ ჩემი ქვეყნის მზე წამართვეს.

3  
ზღვის გადაღმა მცხოვრებო,  
ჩემო ძვირფასო ძმებო,  
ლექსებისთვის გცალიათ?  
და გიყვარვართ ძალიან?  
ისევ გახსოვთ მუთანაბის ქედმაღლობა,  
სიამაყე, მისი ჟინი, მონდომება  
თუ დავინყებას მიეცით იმ მეფის დიდებულება?  
ო, ალაჰმა დაიფაროს არაბული მეტყველება!  
აღარც ის არ გვგავს  
და არც ჩვენ ვგავართ მას.

4  
 ბატონებო, მე ხომ თავისუფალი ვარ  
 სიბრაზისგან, პროტესტისგან,  
 ტკივილისგან, ტირილისგან  
 ჩემი თვალების ფერისგან და პირისგან.  
 მაპატიეთ, მაგრამ უკვე აღარ მჯერა,  
 რომ ლექსები არაბების სიმდიდრეა.  
 მანიფესტი გამოიცა –  
 ხალხის ხსოვნიდან მოხდესო პოეზიის ჩამორეცხვა!  
 მაგრამ არაბს, ნეტავ, რაღა დარჩება?!

5  
 არაბებმა დაკარგეს ხმალი კორდოვაში,  
 ცხენი – გრენადაში,  
 არაბებმა დაკარგეს მშობლიური ენა,  
 მათ სამშობლო დაკარგეს,  
 ჩვენ დაგვკარგეს ყველა!

6  
 დღეს არაბები  
 მშვიდობის ნამცეცხვებს აგროვებენ,  
 ღირსების ნამცეცხვებს აგროვებენ  
 და სახელმწიფოს ნამცეცხვებს კენკავს დღეს არაბობა,  
 მათ სძინავთ შიშით,  
 ფხიზლობენ შიშით,  
 ეს გაგვიკეთა რეპრესიის გაუმადრობამ.

7  
 ვინ ვარ მე ამერიკაში?  
 ჩიტი, რომელიც ცემენტში ბუდეს იკეთებს,  
 ღრუბელი, რომელიც ეძებს ფანჯარას  
 და დედის ძუძუს მაძებარი ჩვილი, პატარა..

8  
 ვინ ვარ მე ამერიკაში?  
 ქვაზე ამოსული ვარდი,  
 საფუძველს მოწყვეტილი ენა,  
 კაცი, ვიღაცა  
 გაუგებარი წარმომავლობის.

9  
 ვინ ვარ მე ამერიკაში?  
 უამრავ ციფრში დაკარგული ერთი ნომერი  
 ცათამბჯენებო, მცნობთ რომელიმე?  
 იცნობს აქ ვინმე დედაჩემს? არა?  
 ან იცის ჩემი მამა ვინ იყო?  
 ხსოვნა პომპარეს,  
 შეყვარებულთა სახელი ყველა,  
 ულამაზესი ჭრელი სიზმრები, ათასი ფერად,  
 წამართვეს ჩემი თავისუფლება,  
 ბავშვობის ლალი თამაშობები  
 და რაღა არის, მითხარით ერთი,  
 ბავშვობანართმეული პოეტი?!

10  
 მე განუწყვეტელი ვიმყოფები  
 ჩემივე ძვლებს და არტერიებს, ტყავს და ტექსტს მიღმა  
 ცვლილებების, ნაქეზების, აფეთქების,  
 უარყოფის ბატონი.  
 გაქცეული ვარ, გადახვენილი უცხო მინაზე  
 მე პოეზიით დავაქციე მონუმენტები,  
 ჰულაგუს კანონები  
 და ჰულაგუს დინასტიები  
 და ამის ფასიც გადავიხადე.

11  
 ვინ ვარ მე ამერიკაში?  
 ან რომელიმე მინაზე, ადგილზე, დროში?  
 მე ვარ ამბოხი  
 და მე ვარ სახე ჩემი ტომის  
 შთამომავალი, მემკვიდრე მისი  
 რატომ გიკითხავთ ამ ჩემს ლექსებს  
 ამ ტრიბუნაზე რატომ ვინვი  
 ამერიკაა თქვენი ყველას თავშესაფარი  
 ხოლო ჩემი კი – აი, ეს ლექსი.

12  
 ლაზათიანი ქვეყნებიდან მოვედი თქვენთან  
 და ერთადერთი კითხვა მდაგავს თქვენკენ მომავალს:  
 რა მოუვიდა ჩვენს ისტორიას? რა მოხდა ნეტავ?  
 თევზი თევზს გუდავს,  
 ხე კი ხეს ჭამს,  
 თაღლიზი მუდარს ლანძღავს ჩემს უკან,  
 ხოლო ხალიდმა ომარი მოკლა.  
 არ დავხოცილვართ უცხოელის ბასრი მახვილით  
 მატყუარებმა მოგვიღეს ბოლო  
 ჩვენს შორის მყოფმა.

არაბულიდან თარგმნა  
 ნინო ღოლიკაძე



აპოლონ სილაგაძე

# ყურანი და ეფესელ ყრმათა ამბავი

მესამე საუკუნიდან მომდინარე ცნობილი ამბავი შვიდი ეფესელი ყრმისა, რომელთაც უარი თქვეს კერპების თაყვანისცემაზე და ქალაქთან ახლომდებარე მთაზე გამოქვაბულს შეაფარეს თავი, სადაც ჩაეძინათ, მერე მათი გამოქვაბული ამოქოლეს, ხოლო 372 წლის შემდეგ ყრმებმა სასწაულებრივად გაიღვიძეს, – ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ქრისტიანული ისტორიაა. ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ამ ამბავს ასახავს, უამრავი ვერსიითაა წარმოდგენილი სირიულ, ბერძნულ, კოპტურ, ლათინურ, ქართულ, სომხურ, არაბულ, ეთიოპურ და სხვა ენებზე. ამათგან ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი ქართული და არაბული ტექსტები, რომელთაც ზოგჯერ არც კი ახსენებენ (ამჟამად მარიამ ნანობაშვილი გამოსცემს ქართულ მეტაფრასულ რედაქციას და უძველეს არაბულ ვერსიას; მასვე აქვს გამზადებული გერმანიაში გამოსაცემად ქართული კრიტიკული ტექსტი); ეს განსაკუთრებით ქართულ ტრადიციაზე ითქმის, რომელსაც, ისევე როგორც ბევრ რამ სხვას ქართულს, გლობალურ ისტორიებში რატომღაც ძნელად ეძებნება ხოლმე ადგილი.

ამავე დროს, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გადმოცემული ეს ამბავი ერთნაირადაა პოპულარული აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, ხოლო მისი გმირები ერთნაირადაა თაყვანისცემის ობიექტი ქრისტიანულ სამყაროშიც და ისლამურშიც. ამ უკანასკნელში, პირველ რიგში არაბულში, იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ლიტერატურული მოტივი გახდა.

ყველაზე უფრო საინტერესო ამ შემთხვევაში ალბათ ისაა, რომ ქრისტიანობისათვის წამებულ გმირთა ამბავმა ასახვა პოვა მუსლიმთა საღვთო წიგნში – ყურანში, რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი (არაშემთხვევითი) ტრანსფორმაციით, როდესაც ყრმების იდეური მრწამსი ზოგადად მონოთეისტურია. ესაა ყურანის მე-18 სურა – სურათუ-ლ-ქაჰფ („გამოქვაბულის სურა“), კერძოდ აიე-ბი 9-26. მომაქვს მათი თარგმანი, რომლის გაცნობა არ იქნება ინტერესმოკლებული მკითხველისათვის (თანდართული მცირე კომენტარები ტექსტის ზოგიერთ ადგილს ხსნის და ეყრდნობა ისლამურ ტრადიციას).

... 9. ან იმას ფიქრობ შენ,<sup>1</sup> რომ გამოქვაბულისა და არ-რაკიმის<sup>2</sup> ხალხი გასაკვირველი რამ იყო ჩვენს სასწაულთა შორის?

10. აჰა, შეეფარნენ გამოქვაბულს ყრმანი და თქვეს: „უფალო ჩვენო, მოგვეც ჩვენ წყალობა შენგან და სწორი გზა ჩვენი საქმისა გაგვიმართე ჩვენ“.

11. და დავახშეთ გამოქვაბულში მათი ყურები რამდენსამე წელს.

12. მერე აღვადგინეთ ისინი, რათა გაგვეგო, ორი ჯგუფიდან რომელი უკეთ ითვლის, რაც დაყვეს, იმის ვადას.

13. მართლად გაიმბობთ ჩვენ მათ ამბავს. ყრმანი არიან, რომელთაც იწამეს თავიანთი უფალი, ხოლო გავუშყარეთ ჩვენ გზა ჭეშმარიტი.

14. და განვუმტკიცეთ ჩვენ გულები, როცა აღიმართნენ და თქვეს: „უფალი ჩვენი ცათა და ქვეყნის უფალია. არ მოვუნოდით სხვა ღვთაებას მის გარდა, – მაშინ უსამართლო რასმე ვიტყოდეთ ჩვენ“.

15. „ესენი<sup>3</sup> ჩვენი ხალხია, მის გარდა სხვა ღვთაებები გაიჩინეს. რატომ არ მოაქვთ ცხადი მტკიცება მათზე? და ვინაა იმაზე უფრო ცოდვილი, ვინცა ტყუილი მოიგონოს ალაჰზე!“

16. „და თუ განშორდით მათ და იმას, რასაც თაყვანსა სცემენ ისინი ალაჰის გარდა, მაშინ შეეფარეთ გამოქვაბულს, – უფალი თქვენი მოგაფენთ თავის წყალობას და მოგიწყობთ, თქვენი საქმისთვის რაცაა საჭირო“.

17. და ხედავ შენ – მზე, როცა ამოდიოდა, მარჯვნივ არიდებდა თავს მათ გამოქვაბულს, ხოლო როცა ჩადიოდა, მარცხნივ სცილდებოდა მათ, და მის შუაში იყვნენ ისინი. ესაა ერთი სასწაულთაგან ალაჰისა. ალაჰი ვისაც წარმართავს, ჭეშმარიტ გზაზე მდგარია ის, და ვისაც დააბნევს, ვერ მოუნახო მფარველი დამრიგებელი იმას!

18. და მღვიძარენი გგონია შენ, ისინი კი მძინარენი არიან! და შევაბრუნებდით ჩვენ მარჯვნივ და მარცხნივ, და ძალდი მათი თათებგაჭიმულია ზღურბლზე, – რომ დაგეხედა მათთვის, უთუოდ გაბრუნდებოდი მათგან სირბილით და უთუოდ შიშით აღვისებოდი მათგან.

19. და ასე აღვადგინეთ ისინი, ერთმანეთი რომ გამოეკითხათ. თქვა ერთმა, რამდენ ხანს დაყავითო? თქვეს: „დაყავით დღე ერთი ან ნაწილი დღისა“. თქვეს: „უფალმა თქვენმა უკეთ უწყის, რაც დაყავით. ან გაგზავნეთ ქალაქში თქვენგან ერთი ამ ვერცხლის ფულით, ნახოს, რომელი საქმელია უფრო სუფთა და ის საზრდო მოგიტანოთ, ოღონდ ფრთხილად იქცეოდეს და არც არავის გაუმხილოს თქვენს შესახებ რამე“.

20. „თუ აღმოგაჩინეს, ჩაგქოლავენ უთუოდ, ან თავიანთ რწმენაში დაგაბრუნებენ ისევ, და მაშინ აღარასოდეს იყვნენ ნეტარნი“.

21. და ასე ვამცნეთ<sup>4</sup> მათ შესახებ, რათა სცოდნოდათ, რომ ალაჰის აღთქმა ჭეშმარიტებაა და რომ ყამი<sup>5</sup> უეჭველია. და აჰა, ცილობდნენ<sup>6</sup> ისინი მათი საქმის გამო და თქვეს: „ააგეთ შენობა რამ მათ ზემოთ, უფალმა მათმა უკეთ უწყის მათ შესახებ“. თქვეს იმათ, ვინც გაიმარჯვა მათ საქმეში:<sup>7</sup> „უთუოდ ტაძარი აღვმართოთ მათ ზემოთ!“

22. მერე იტყვიან: „სამნი არიან, მეოთხე მათგანი – მათი ძალდი“. და იტყვიან: „ხუთნი არიან, მეექვსე


მათგანი – მათი ძალი“, – დაფარულზე ვარაუდით. და იტყვიან: „შვიდნი არიან, მერვე მათგანი – მათი ძალი“. თქვი შენ: „უფალმა ჩემმა უკეთ უწყის მათი რიცხვი, მხოლოდ მცირედთა უწყიან ის“. და თუ არ ცხადი დავით, არ იდავო მათ გამო და არ გამოჰკითხო მათ გამო არავის მათგან.

23. და არასოდეს თქვა რაიმეზე: „მე ამას ხვალ გავაკეთებ“,

24. თუ არ – „ალაჰი თუ ინებებს!“ – და როცა დაგავინყდება, გაიხსენე უფალი შენი და თქვი: „უფალმა ჩემმა ეგების დამაყენოს გზაზე, ამაზე უფრო ახლოზე სწორთან“.

25. ხოლო დაყვეს გამოქვაბულში სამასი წელი და დაამატეს ცხრა.<sup>8</sup>

26. თქვი შენ: „ალაჰმა უკეთ უწყის, რაც დაყვეს. მისია დაფარული ცათა და ქვეყნისა. როგორ ხედავს ის და როგორ ესმის მას! არა ჰყავთ მათ მფარველი მის გარდა, და არავის თანაზიარჰყოფს თავის განსჯაში ის!“



1. მიმართვა მუჰამად წინასწარმეტყველისადმი.
2. დაფა, რომელზეც ყრმათა სახელები და ისტორია იყო.
3. ყრმების თანამოქალაქეები.
4. ყრმების თანამოქალაქეებს.
5. აღდგომისა.
6. ყრმების მეორედ მიძინების შემდეგ.
7. მორწმუნეებმა, რომელთა აზრმაც გაიმარჯვა.
8. ტრადიციული ახსნა: 300 მზის წელი უდრის 309 მთვარის წელს.

მოტანილი ფრაგმენტის არსში გარკვევისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რამ. ყურანი ხაზს უსვამს სამოციქულო მისიას, კერძოდ იმას, რომ ზემთაგონებანი, რომელთაც ყურანში აიების სახით დაიკავეს ადგილი, მოველინებოდა მუჰამადს როგორც ხალხის (resp. არაბების) წინაშე მოციქულს, შუამავალს (ამის შესახებ მე-18 სურაც აღნიშნავს, აია 110: „თქვი შენ: „მე მხოლოდ ადამიანი ვარ, თქვენი მსგავსი. მე მომველინა ზემთაგონება, რომ თქვენი ღმერთი ერთი ღმერთია“), – ისევე როგორც მოველინებოდა მანამდე სხვა მოციქულებს (მათგან მოსეს უფალი უშუალოდ ელაპარაკა: „და მოუუხმეთ მას (სინას) მთის მარჯვენა მხარით და მივიახლოვეთ საიდუმლო საუბრისათვის,“ – სურა 19, აია 52). ღვთიური წყაროდან სასწაულის მიღების ამ მექანიზმის ერთ-ერთ შემთხვევას ის წარმოადგენს, რომ ესა თუ ის სათქმელი მუჰამადს კონკრეტული და პირდაპირი დანიშ-

ნულებით გადმოეცემოდა მაშინ, როდესაც საჭირო იყო რაღაც პასუხი, განმარტება და ა.შ. ოპონენტთა ან საერთოდ ხალხის მიმართ. „გამოქვაბულის სურა“, კერძოდ მოტანილი პასაჟი, ამ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, – ისლამში მიღებული ტოპოსის მიხედვით, ამ აიების ქადაგებამდე მუჰამადი კითხული იყო (არაბულად – სუ’ილა) მექელების მიერ უცნობი ყრმების ძველი ამბის შესახებ.

და ბოლოს: მე-18 სურას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყურანში (ასევე – ისლამის ლიტურგიაში) როგორც ღრმა ესქატოლოგიური შინაარსის მქონეს, და ეს მთლიანად დაკავშირებულია მიძინარე ყრმების შესახებ იმ მონაკვეთთან, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი, – სწორედ ეს მონაკვეთი გამოხატავს აღდგომისა და განკითხვის იდეას („... რათა სცოდნოდათ, რომ ალაჰის აღთქმა ჭეშმარიტებაა და რომ ჟამი უეჭველია“), და სწორედ მას მოსდევს უშუალოდ განკითხვის დღის საშინელებათა სურათი. ამ სურათის

შემდეგ კიდევ ორი თემაა (დაკავშირებული ალექსანდრე მაკედონელთან და მოსე წინასწარმეტყველთან, – ამ შემთხვევაშიც მუჰამადი პასუხს იძლევა წინასწარ დასმულ შეკითხვებზე), შემდეგ – ისევე ქვეყნის აღსასრულის თემა. საბოლოოდ, სურა აპოკალიფსურ სიუჟეტს ხატავს, – ეს არის მისი მთავარი აქცენტი. რამდენიმე მაგალითი:

29. და თქვი: „თქვენი უფლისგანაა ჭეშმარიტება. და ვისაც სურს, ირწმუნოს იმან, და ვისაც სურს, ურჯულობდეს ის. ჭეშმარიტად, ცეცხლი გაგვიმზადებია ცოდვილთათვის, რომლის ჩარდახი გარემოიცავს მათ. ხოლო შველა თუ ითხოვეს, ეშველოთ გამდნარი ლითონის მსგავსი წყლით, რომელიც ალანძავს სახეებს“.

47. იმ დღეს, როცა მთებს დაჰძრავთ და გასწორებული იხილო შენ მიწა, – ერთად შეეყრით მათ და არ დავეტოვოთ არცერთი მათგან.

48. და წარდგენილ იქნან შენი უფლის წინაშე რიგრიგად. მოსულხართ უკვე ჩვენთან როგორადაც შეგქმენით პირველად! ირწმუნებოდით კი, რომ არ დაგინიშნავთ ვადას!

53. და იხილონ ცოდვისმქნელთა ცეცხლი, და მიხვდნენ, რომ ჩაცვივდებიან შიგ. და ვერ პოვონ გამოსავალი იქიდან.

99. და მივუშვებთ იმ დღეს იბობოქრონ ერთმა მეორის წინააღმდეგ, და ჩაბერილ იქნას საყვირში, და შეეკრებთ ერთად მათ,

100. და იმ დღეს ჯოჯოხეთს გადავუშლით ურჯულოებს წინ!

გამალ აბუ რაია (ეგვიპტე)

# სულიმანი და ფუტკარი

\*

საყვანვილო ჰიანსა  
ერთ მოქმედადა და ორ სურათად

მოქმედი პირნი:  
მეფე სულიმან ბრძანი  
ვეზირი  
კარისკაცი მამდი  
კარისკაცი საფვანი  
დედოფალი ბალკისი  
ხუთი მხეველი  
ათი-ოცი ფუტკარი  
პატარა ფუტკარი

## პირველი სურათი

თვალწარმტაცი ბალი. ბალის უკან იშლება დიდებული სასახლის ხედი – ეს სულიმან მეფის სასახლეა. ბაღში ხეები და ყვავილებია. ბალის შუაგულში საქანელას მსგავსი აბრეშუმის საძინებელია. ვხედავთ მეფე სულიმანს, ადამიანთა და ჯინთა მეფეს; იგი საქანელაზე გაშლართულა. შუადღეა და თვლემს. საქანელას ორივე მხარეზე დგანან კარისკაცები. ესენი არიან მამდი და საფვანი. თითოეულ მათგანს სირაქლემას ბუმბულის გრძელი მარაო უჭირავს; ისინი უნიავებენ მეფეს და ნელა არწევენ საქანელას.

ცოტა ხნის შემდეგ მამდი შემობრუნდება საფვანისკენ, დაინახავს, რომ ეს უკანასკნელი რაღაცას ლეჭავს და ჩუმად ეკითხება მას:

**მამდი:** (ჩურჩულით) რა არის... რას ჭამ, საფვან?

**საფვანი:** (ჩურჩულითვე) არაფერსაც არ ვჭამ! ვლექავ.

**მამდი:** (ჩურჩულით) ...და რას ლექავ?

**საფვანი:** სუ! მეფეს სძინავს. ხმას ნუ აუწევ! (აგრძელებს ლეჭვას).

**მამდი:** (უფრო ჩუმად უმეორებს კითხვას) რას ლექავ-მეთქი?

**საფვანი:** (ფრთხილად, თითქოს რაღაც საშინელ საიდუმლოს უმხელს) ეს ძილისმომგვრელი ბალახია.

**მამდი:** რაა?

**საფვანი:** (ამოქნარებს) ჩუმად! ხომ გითხარი, ძილისმომგვრელი ბალახია-მეთქი (ისევ ამოქნარებს).

**მამდი:** ცოტა მომეცი (ხელს გაუწვდის საქანელას უკან).

**საფვანი:** აჰა, აიღე! (ბალახს ცოტას მოაწყვეტს და ანოდებს; მამდი გამოართმევს, ჩაიდებს პირში და იწყებს ლეჭვას).

**მამდი:** ჰოო... მწარეა.

**საფვანი:** ფრთხილად, არ გადაყლაპო! მხოლოდ ლექე!  
**მამდი:** (ლეჭავს) ვლექავ, ვლექავ.

ცოტა ხნის შემდეგ მამდი მიბრუნდება საფვანის მხარეს და ხედავს, რომ საფვანს ჩასძინებია. მამდიმ თვითონაც იგრძნო, თავი რომ უძძიმდებოდა და ძილისაგან თვალეზი ეხუჭებოდა.

**მამდი:** საფვან! საფვან! (ჩუმად ეძახის) აჰ! ფეხებმდგომმა ჩაიძინა... აჰ, ეს ბალახი ძილისმომგვრელია. მე... მე (ამოქნარებს) ვიძინებ...

მამდიც ფეხზე იძინებს ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ საფვანმა ჩაიძინა. ორივენი საქანელას სხვადასხვა მხარეზე დგანან და ხელში უძრავად უჭირავთ გრძელი მარაო. ძილში ხვრინვა ამოუშვეს. გადის დრო... გამოდის პატარა ფუტკარი. იგი ფრთხილად მოძრაობს ყვავილებს შორის (პანანინა ფუტკარის როლის შესრულება შეუძლია პატარა გოგონას, რომელიც ზურგზე მიიმარებს ორ ფრთას, ხოლო თავზე – ორ პანანკინტელა რქას, ფუტკარს რომ დაემსგავსოს). ფუტკარი ბზუის, ფრთხილად დადის და ნახად ეამბორება ყვავილებს ნექტრის ამოსაღებად. ამასობაში საქანელა მთლიანად ჩერდება, ხოლო საფვანსა და მამდის, ორივე მხარეს, ზეზურად სძინავთ. ფუტკარი უახლოვდება მძინარე სულიმან მეფეს და ისე ეამბორება და ეხება ცხვირზე, თითქოს ნექტარს იღებდეს... შემდეგ სასწრაფოდ ეცლება იქაურობას.

როგორც კი პატარა ფუტკარი მეფის ცხვირს შეეხება, სულიმანი შეწუხებული იღვიძებს, რადგან პატარა ფუტკარმა უკბინა და გაუჩინარდა ყვავილებსა და ხეებს შორის.

მიმოიხედა მეფემ გარშემო, დაინახა, რომ საფვანი და მამდი ფეხზემდგომნი თვლემენ და შეჰყვირა.

**სულიმანი:** ო, ღმერთო! დგახართ და გძინავთ?! (მუჯღუგუნს ჰკრავს საფვანს) გაიღვიძე, შე უქნარავ!

**საფვანი:** (შეშინებული და აკანკალებული) მმ!!!... მეუფეო!

**სულიმანი:** უქნარებო! უსაქმურებო! შენ, მამდი! როგორ დაგემართა ასეთი დაუდევრობა – გძინავს და ვეღარ მადევნებ თვალყურს!

**მამდი:** მაპატიე, მეუფეო!

**სულიმანი:** გძინავთ და ვერ შეამჩნიეთ ფუტკარი, რომელმაც ცხვირზე მიკბინა!

**საფვანი:** ოი, საშინელება! ფუტკარმა ჩემს ბატონს ცხვირზე უკბინა!

**მამდი:** ოო, თავხედმა ფუტკარმა უკბინა ჩემს ბატონს ცხვირზე!

**სულიმანი:** მინამ გიყოთ პირი, ზარმაცებო! ყველაზე სასტიკად თქვენ დაგსჯით!

**საფვანი:** შეგკინდე და გვაპატიე, მეუფეო!

**მამდი:** აღარ გავიმეორებთ ასეთ დიდ შეცდომას, ბატონო!

**სულიმანი:** რა აზრი აქვს ახლა ყვირილსა და ჩხავილს?! უკვე მიკბინა ცხვირზე! თქვენი დამსახურებისამებრ მიიღებთ! ვეზირო! (ეძახის) ვეზირო!

(სცენის სიღრმიდან, სასახლის მხრიდან შემოდის ვეზირი. როცა მოაღწევს მეფემდე, ჩერდება საქანელასა და მცველების წინ. მამდი და საფვანი შიშითა და ძრწოლით არიან მოცულნი).

**ვეზირი:** ჩემო მეუფე, სულიმან მეფე!

**სულიმანი:** მოდი აქ, ვეზირო... მოდი და ნახე, რა მოხდა!

(აცხადებს თავის მეფურ ბრძანებას) ვბრძანებ, სულიმანი, ადამიანთა და ჯინთა მეფე, რომ სამეფოს ყველა ფუტკარი ახლავე წარმოდგეს ჩვენ წინაშე!

სცენაზე ყურისწამღები ზუზუნით დაუყოვნებლივ შემოდის ფუტკრის ნაყარი. არეულობაა...

**პეზირი:** (ყვირის) დაიცავით წესრიგი, ფუტკრებო! ჩვენ დიდებული მეფის წინაშე ვართ.

ფუტკრები სწრაფად ამყარებენ წესრიგს. გოგონებს აცვიათ ფუტკრის იგივე ტანსაცმელი. ფუტკრის ნაყარი ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება წარმოადგეს.

**სულეიანი:** ფუტკარნო, რამდენიმე წუთის წინ მეძინა და ძილში...

შეკრებილთა შორის პატარა ფუტკარი აცემინებს.

**ფუტკარი:** აფჩხი! აფჩხი!

უკმაყოფილების ნიშნად ფუტკრები ახმაურდებიან და აზუზუნდებიან. ვეზირი აღშფოთებით ამბობს

**პეზირი:** ეს რომელი თავხედია? რომელმა ფუტკარმა გაბედა და ჩვენი დიდებული ბატონის თანდასწრებით დააცემინა? გამოვიდეს ის თავხედი ფუტკარი!

**სულეიანი:** ჯერ ვთქვათ, რა მოხდა.

**პეზირი:** კარგი, ჩემო ბატონო!

**სულეიანი:** გაუგონარი დაუდევრობა და დიდი ბოროტება...

**პეზირი:** ო, შეგვიწყალებე, უფალო! რა მოხდა?

**სულეიანი:** ცოტა ხნის წინ აქ მეძინა. ცოტა ჩავთვლიმე... ეს ორი ერთგული მცველიც ჩემთან იყვნენ, ფუტკარი რომ მომეპარა და ცხვირზე მიკბინა.

**პეზირი:** ვაი, ვაი! შენს დიდებულ ცხვირზე, ჩემო ბატონო?

**სულეიანი:** მცველებს ეძინათ! წარმოიდგინე, ვეზირო, ცხენებით ფეხზე ეძინათ!

**პეზირი:** ჩერჩეტებო! გეძინათ და არ მიაქციეთ ყურადღება ჩვენს მეფე-ბატონს?!

**მაგდი:** შეგვინდეთ და გვაპატიეთ!

**საფჰანი:** მეტს აღარ ვიზამთ, უკანასკნელად...

**სულეიანი:** თქვენს საქმეს მერე მივხედავ. ახლა კი... მინდა ვნახო ის თავხედი ფუტკარი, რომელმაც გაბედა, შემოსულიყო სასახლეში და ასე მწარედ ეკბინა ჩემთვის ცხვირზე.

სულეიანი დგება და ორჯერ შემოჰკრავს ტაშს. პატარა ფუტკარი შიშითა და მორიდებით ადგამს წინ ორ ნაბიჯს. ფუტკრები ერთხმად აზუზუნდებიან.

**პეზირი:** ჩუმად, ფუტკარნო!

ყველა ჩუმდება. მეფე სულეიანი უახლოვდება პატარა ფუტკარს და ყურადღებით ათვალიერებს, შემდეგ ეუბნება.

**სულეიანი:** რაო, პანანინა ფუტკარო?

**ფუტკარი:** მაპატიე, ჩემო ბატონო, სულეიმან მეფე! დღეს პირველად დავინყე ყვავილების ნექტრის შეგროვება. განთიადისას გამოვედი და გავცივდი... და დავაცემინე ჩემი ბატონის თანდასწრებით. შემინდე, ჩემო ბატონო!

**სულეიანი:** დაბრუნდი შენს ადგილზე და მეტი აღარ გაიმეორო! ჰო, იმას ვამბობდი, აქ რომ მეძინა, შემოფრინდა რომელიღაც თავხედი ფუტკარი და ცხვირზე მიკბინა. ფუტკრები ყურისწამღებად აზუზუნდებიან. ვეზირი ყურადღების მისაპყრობად ხელს მალლა აღმართავს.

**პეზირი:** წყნარად!

მეფე ლაპარაკობს და ცხვირზე ისვამს ხელს.

**სულეიანი:** ის ფუტკარი, რომელმაც ცხვირზე მიკბინა, ორ ნაბიჯზე მომიახლოვდეს!

ფუტკრები სულგანაბულნი იცდიან; სამარისებური სიჩუმე ისადგურებს რამდენიმე წუთს სცენაზე...

**პეზირი:** ბოლოს და ბოლოს, გამოვიდეს ის პატარა ფუტკარი, ახლახან რომ დააცემინა და პატიება ითხოვა. სწორედ ეგ იქნება, ეს თავხედობა რომ ჩაიდინა – მეფეს ცხვირზე უკბინა.

ფუტკრები საშინლად აზუზუნდებიან.

**პეზირი:** (ყვირის) ჩუმად!

ისევ სიჩუმე მეფდება სცენაზე. პატარა ფუტკარი დგას და თავი ჩაუკიდია დარცხვენის. ყველა მას შესცქერის. სულეიმან მეფე ერთ ნაბიჯს ადგამს ფუტკრისკენ... დონჯს შემოიყრის, დგას ფუტკრის დიდი თავხედობით გაოცებული და ათვალიერებს მას.

**სულეიანი:** შენ? ამ სამეფოში ყველაზე პანანკინტელამ?!

**ფუტკარი:** მაპატიე, ბატონო ჩემო!

**სულეიანი:** შენ? შენ გაბედე ცხვირზე კბენა?

**ფუტკარი:** მაპატიე, ბატონო ჩემო, არ მინდოდა.

**სულეიანი:** მაშ, რა გინდოდა? (ეუბნება დაცინვით)

**ფუტკარი:** პირველად – როგორც ახლახან მოგახსენე, დიდებულ მეფე, პირველად გამოვედი ყვავილთა ნექტრის შესაგროვებლად და... ვერ შევძელი, გამერჩია ლამაზი ყვავილები დიდი ბატონის ცხვირისაგან.

**სულეიანი:** კარგია! ძალიან კარგი თავისმართლებაა!

**ფუტკარი:** ბატონო ჩემო, მე პატარა ვარ და არ ვიცოდი, როგორ გამერჩია...

**სულეიანი:** პანანინა ფუტკარო, რაც შენ დღეს ჩაიდინე, მიუტევებელი შეცდომა და დიდი დანაშაულია. ამიტომ სასტიკად უნდა დაგსაჯო.

**ფუტკარი:** ერთხელ მაპატიე, ბატონო ჩემო, მეტს აღარ ვიზამ.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი



**სულიმანი:** როგორ გაპატიო, სულელო, ცხვირი გა-  
მისივდა!

**ფუტკარი:** მაპატიე, ბატონო ჩემო, და თუ მომიტევენ,  
ერთ მშვენიერ დღეს გადაგიხდი პატივისცემას.

**სულიმანი:** ხა! ხა! ხა! გესმის, ვეზირო? მე, ადამიან-  
თა და ჯინთა მეფეს, სულიმანს, პანანინა ფუტკარი – სა-  
მეფოში ყველაზე პანანკინტელა არსება მპირდება დახმა-  
რებას. ხა! ხა! ხა! გესმის, ვეზირო?

**პეზირი:** სულელო ფუტკარო, არ იცი, ვის ელაპარაკე-  
ბი? უტვინო! ჩვენი მეუფე, სულიმანი, ადამიანთა და ჯინ-  
თა მბრძანებელია. მას უპყრობა კვერთხი და შესწევს ძალა,  
ალასრულოს, რაც სურს... გააკეთოს, რასაც მოინადინებს.  
შენ კი, ჩემს ბატონს სთავაზობ დახმარების ხელს?!

**სულიმანი:** ხა! ხა! ხა! გამაცინე, პატარა ფუტკარო...

**ფუტკარი:** დამიჯერე, ბატონო ჩემო, ოდესმე, უთუ-  
ოდ დაგჭირდება.

**სულიმანი:** ისევ მიმეორებს! ხა! ხა! ხა! წადი, ამჯე-  
რად მოგიტევენ. ისევ თავისას იმეორებს, ხა! ხა! ხა!

**ფუტკარი მადლობის ნიშნად თავს უხრის.**

**სულიმანი:** მომისმინე, ფუტკარო, გაპატიე იმიტომ,  
რომ გამაცინე. იცინე ჩემთან ერთად, ვეზირო! სამეფოში ყვე-  
ლაზე პანანინა ფუტკარი დახმარებას მპირდება, ხა! ხა! ხა!

**მეორე სურათი**

სატახტო დარბაზი სულიმან მეფის სასახლეში. ტახტი  
სცენის შუაგულშია. ორივე მხარეს კარია. ორივეგან მცველე-  
ბი დგანან. ესენია მაგდი და საფვანი. აცვიათ წინა ტანსაც-  
მლისაგან განსხვავებული ტანსაცმელი ჯარისკაცისა. დარბა-  
ზის გვერდებზე სავარძლები და ბალიშებია. მეფე სულიმანი  
ტახტზე ზის. უცებ აჩქარებული ნაბიჯით შემოდის ვეზირი.

**პეზირი:** ჩემო მეუფე, სულიმან მეფე, დედოფალი  
ბალკისი მობრძანდა. დედოფალი სატახტო დარბაზისკენ  
მოემართება და თან მხევალნი მოჰყვებიან.

**სულიმანი:** კეთილი იყოს მისი მობრძანება! სთხოვე!

**პეზირი:** (მაგდის) შემობრძანდეს დედოფალი.

**მაგდი:** (აცხადებს დედოფლის მოსვლას) ჩვენი ქალბა-  
ტონი – დედოფალი ბალკისი, საბაელთა დედოფალი!

ნუთიერი სიჩუმე. შემდეგ შემოდის საბაელთა დედოფალი,  
ლამაზი და მომხიბლავი. თავზე აღმასის გვირგვინი ადგას. იგი  
ღირსეული და დიდებულია. მეფე სულიმანი წამოდგება და  
ჩერდება ტახტის საფეხურზე.

შემოდის ხუთი მხევალი. თითოეულ მათგანს უზარმაზარი,  
ველური ყვავილის ფორმის ყვავილი უკავია ხელში.

დედოფალი ბალკისი მისალმების ნიშნად თავს ხრის მეფე  
სულიმანის წინაშე და ამბობს:

**ბალკისი:** დიდი საღამო ამ დროის მეფეს! სულიმან  
მეფეს, ადამიანთა და ჯინთა მეუფეს.

**სულიმანი:** მოყვრულად მოხვედი და მოყვრულად  
დაგხვდებით, საბაელთა დედოფალო! გთხოვთ, ბალკის!

ბალკისი ჯდება; ჯდება სულიმანიც. ბალკის დედოფალი  
ტახტის გვერდით მოოქროვილ სავარძელში ზის, მის უკან ხუ-  
თი მხევალია, რომელთაც ხუთი ყვავილი უპყრობათ ხელთ.

**სულიმანი:** კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დე-  
დოფალო, ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ, ყველანი, ბედნიერად  
ჩავთვლით თავს, შევასრულოთ ყოველივე, რასაც მოით-  
ხოვთ.

**ბალკისი:** მეფე-ბატონო, როცა გავიგე შენი დიდი  
სიბრძნის შესახებ, მოვედი ჩემი შორეული ქვეყნიდან. ვიცი,  
რომ შენ, ადამიანთა და ჯინთა მეფე, გესმის ფრინველთა  
და ცხოველთა ენა, იცი ამა ქვეყნის საიდუმლოებანი...

**სულიმანი:** ცოდნა, ბალკის, უფლისგანაა.

**ბალკისი:** ზოგი რამ რთულია. ვკითხე ჩემი ქვეყნის  
ბრძენთ, ვერცერთმა მიპასუხა. მოვედი შენთან, რათა გა-  
მაგებინო და ამიხსნა საიდუმლოებანი.

**სულიმანი:** შევთხოვთ ღმერთს შენვენას. მკითხე,  
რა გენბავს, ბალკის!

**ბალკისი:** მხოლოდ ორი შეკითხვა მაქვს.

**სულიმანი:** თქვი, პირველი!

**ბალკისი:** ეს მზე, რომელიც ყოველ დილას ამოდის,  
ხოლო ჩასვლისას ქრება... ამიხსენი, სად მიდის ყოველ-  
დღე, როცა ჩვენს თვალს ეფარება და ქვეყანას ბნელით  
მოცულს გვიტოვებს?

**სულიმანი:** რა მოგახსენებს ბრძენთა?

**ბალკისი:** უამრავი აზრია... ერთმანეთის საპირიპი-  
რო... ბოლოს კი იმაზე შეთანხმდნენ, რომ მზე ჩასვლისას  
დასავლეთში, ზღვაში ესვენება.

**სულიმანი:** მზე დასავლეთში, ზღვაში ჩადის?

**ბალკისი:** ასე თქვეს.

**სულიმანი:** თუ ზღვაში ჩადის, მისი ცეცხლი არ ქრე-  
ბა?

**ბალკისი:** მეც გამიკვირდა, მაგრამ ისინი ასე ამბობენ  
და არ იციან მზის ყოველდღიური ჩასვლის საიდუმლოება.

**სულიმანი:** (ერთხელ შემოჰკრავს ტაშს) მომცით ვაშ-  
ლი!

დარბაზში კალათი დევს ხილით და მაგდი მაშინვე მიარ-  
თმევს ვაშლს. სულიმანი მეორედ შემოჰკრავს ხელს და ამ-  
ბობს.

**სულიმანი:** მომართვით ფორთოხალი!

საფვანი უშალ მიართმევს ფორთოხალს. სულიმანი ღიმი-  
ლით შესცქერის ბალკისს. ერთ ხელში ვაშლი უჭირავს, მეორე-  
ში – ფორთოხალი და უხსნის მზის ჩასვლის საიდუმლოებას.

**სულიმანი:** შეხედე, ბალკის! წარმოვიდგინოთ, რომ  
ეს ფორთოხალი დედამინაა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვ-  
რობთ.

**ბალკისი:** მინა, რომელზედაც ვცხოვრობთ? რითი  
ჰგავს ის ფორთოხალს?

**სულიმანი:** დედამინა, ბალკის, მრგვალია, დაახლო-  
ებით, ფორთოხალს ჰგავს. წარმოვიდგინოთ, რომ ეს მზეა.  
ყოველდღე, როცა ამოდის, აქაა. გვიგზავნის თავისი სხი-  
ვებითა და სინათლით სიცოცხლეს.

**ბალკისი:** დედამინა... მზე...

**სულიმანი:** დიახ! მზე თავის ადგილზე უძრავად  
დგას, აი, ასე!

სულიმანს ხელში ვაშლი და ფორთოხალი უჭირავს და უხ-  
სნის.

**ბალკისი:** საოცარია, მეუფეო... დედამინა, რომელზე-  
დაც ჩვენ ვართ? ეს ქვეყანა, ეს სამყარო თავის გარშემო  
ბრუნავს?

**სულიმანი:** დიახ! ერთი სრული ბრუნვა ყოველდღე.  
წარმოვიდგინოთ, რომ შენი სამეფო ფორთოხლის ზედაპი-  
რის ამ წერტილშია, ვგულისხმობ დედამინას, მაშინ მზის  
სხივები ასე აღწევს. როცა დედამინა ბრუნავს, ასე... ნელა,  
ნელა, ვხედავთ, რომ მზის სხივების მოძრაობა თანდათან

ცვლის განთიადის ნათელს, მერე დილას სჯობნის, შემდეგ სამხარს... მერე კი შორს ჩანს მზე და დგება დაისი, რადგანაც მზისთვის უფრო გამოსაჩენი ადგილი სხვაგანაა. რაც შეეხება შენს სამეფოს, ის დაშორდა მზეს და იქ სინათლეც იკლებს. ღამე კი მაშინ დგება, როცა მზის სხივი ქრება.

**ბალკისი:** კარგია! კარგია! მშვენიერია! ე.ი. აქ არაფერია დასავლეთის ზღვის მსგავსი.

**სულეიმანი:** (გადადებს ვაშლსა და ფორთოხალს გვერდზე და ღიმილით ეუბნება) დიდება უფალს! მაღალიმც არს იგი თავისი საიდუმლოებებით! მზე, მთვარე, ვარსკვლავები...

**ბალკისი:** რა ჭკვიანი ხარ, მეფეო! რა დიდია შენი ცოდნა!

**სულეიმანი:** ცოდნა, ბალკის, ღვთისგანაა ნაბოძები.

**ბალკისი:** მართალნი ყოფილან, როცა ამბობდნენ, რომ შენ ბრძენთა ბრძენი ხარ!

**სულეიმანი:** სიბრძნე უფლისგანაა!

**ბალკისი:** დარჩა ბოლო კითხვა, მეფეო. თუ უპასუხებ, მე შენი პირველი მორჩილი მსახური ვიქნები. ვირწმუნებ შენ უსაზღვრო სიბრძნეს.

**სულეიმანი:** ჩანს, დედოფალო, კითხვა ძნელია.

**ბალკისი:** (ღიმილით) უძნელესი ძნელებში და უადვილესი ადვილებში!

**სულეიმანი:** ბრძანე! გისმენ.

**ბალკისი:** შეხედე, მეფეო! (ტაშს შემოჰკრავს ორჯერ. ხუთი მხევალი რამდენიმე ნაბიჯით წინ წამოიწევს და თან თითოეულ მათგანს ყვავილი უჭირავს). ხუთი ერთმანეთის მსგავსი ყვავილია (ბალკისი ყვავილებზე მიუთითებს). ისინი ფორმითაც ერთნაირია და სუნითაც. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ოსტატურმა ხელმა შექმნა.

**სულეიმანი:** ე.ი. ეს ყვავილები ხელოვნურია?

**ბალკისი:** ოთხი ყვავილი ხელოვნურია, ერთი კი – ნამდვილი.

**სულეიმანი:** საოცარია!

**ბალკისი:** ჩემი მეუფისგან მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ გაარჩიოს და იპოვოს ამ ხუთ ყვავილში ნამდვილი ყვავილი.

**სულეიმანი:** შენი კითხვა, ჩანს, ადვილია.

**ბალკისი:** ძნელი იქნება.

**სულეიმანი:** ხო! ხო! ... ე.ი. შენ გინდა, რომ ნამდვილი ყვავილი გაჩვენო?

**ბალკისი:** დიახ!

**სულეიმანი:** აი... (უყურებს ყვავილებს, ხედავს, რომ ყველა ერთნაირია. ყურადღებით აკვირდება, მაგრამ მაინც ყველა ერთნაირია. თავს აქნევს, შემდეგ დგება, ჩამოდის საფეხურზე და მიდის ყვავილებთან. ის ფიქრობს და კარგად ათვალიერებს, მაგრამ... მაგრამ ყვავილები ერთნაირია. უფრო ახლოს მიდის ყვავილებთან და სათითაოდ ყნოსავს, მაგრამ სუნიც ერთნაირია! გასაოცარია! მეფე სულეიმანი გაკვირვებით აქნევს თავს. დედოფალი ბალკისი დაეჭვდა, აღმოაჩინდა თუ არა ბრძენი სულეიმანი ნამდვილ ყვავილს. სადაა მისი სიბრძნე?! დედოფალმა გაიღიმა, შემდეგ თავი მიაბრუნა გვერდზე და სახე მოარიდა მეფეს. არ უყურებს და იღიმება... მეფეს ეჩვენება, რომ მის სიბრძნეს დასცილდა.

როგორც კი ბალკისი მზერას მოარიდებს მეფე სულეიმანს, ქარივით შემოიქროლებს პატარა ფუტკარი. ჩამოუვლის ხუთივე ყვავილს, ელამუნება და გემოს უსინჯავს თითოეულს. ბუნებრივი გემოთი სწრაფად პოულობს ნამდვილ ყვავილს და მეფე სულეიმანს თავით მიანიშნებს ნამდვილ ყვავილზე.

მეფე სულეიმანი აღტაცებული და გაკვირვებულია. საოცარია, როგორ დროულად მოვიდა პატარა ფუტკარი დასახმარებლად, პირობისამებრ, თანაც გამოუვალ მდგომარეობაში. მაგრამ... დაინახა ბალკისმა, რაც მოხდა? არა! მას თავი მიბრუნებული ჰქონდა და ვერაფერი შეამჩნია, ვერ დაინახა ფუტკარი. დიდებულია! პატარა ფუტკარი კი, როგორც კი მეფე სულეიმანს აჩვენა ნამდვილი ყვავილი, გაუჩინარდა.

მეფე სულეიმანი ტრიალდება ბალკისისკენ, რომელიც პასუხის მოლოდინში თავს მისკენ აბრუნებს.

**ბალკისი:** მეუფეო, აღმოაჩინე ნამდვილი ყვავილი?

**სულეიმანი:** დიახ, ბალკის! აი, ეს ყვავილია ნამდვილი!

ბალკისი განცვიფრებულია, როგორ შეძლო სულეიმან მეფემ ამოცნობა მაშინ, როცა ყველაზე ოსტატმა ხელოვანმა ორი წელი შესწირა ყვავილების კეთებას, რათა ვერავის გაერჩია ისინი ბუნებრივი ყვავილებისგან.

**ბალკისი:** რა ბრძენი ხარ, მეუფეო! სწორედ ეგაა ნამდვილი!

**სულეიმანი:** (ღიმილით) სიბრძნე, ბალკის, ღვთისგანაა ნაბოძები.

**ბალკისი:** რა დიდებულია შენი ცოდნა!

**სულეიმანი:** ცოდნა ღმერთის შეწვევითაა.

**ბალკისი:** (წამოდგება წასასვლელად) გმადლობთ, მეფე-ბატონო! მოწმე ვიყავ და ვირწმუნე, რომ სულეიმან მეფე ყველა დროის ბრძენია.

**სულეიმანი:** (იღიმება) მხოლოდ ღმერთმა იცის ყველაზე უკეთ, რა არის და რა იქნება.

**ბალკისი:** მშვიდობით, მეფეო!

**სულეიმანი:** მშვიდობით, საბაელთა დედოფალო!

დედოფალი მეფეს თავს უკრავს და მიდის. უკან მხევალი მისდევს; მას აცილებს ვეზირი. როგორც კი, ადგილზე მხოლოდ მეფე და მისი მცველები დარჩებიან, მეფე სულეიმანი ახარხარდება.

**სულეიმანი:** ხა! ხა! ხა! შესანიშნავია! ახლავე აქ გამოცხადდეს ჩემთან პანანინა ფუტკარი.

პატარა ფუტკარი უმაღლესად მეფის წინაშე.

**სულეიმანი:** პანანკინტელა ფუტკარო, ბრძენო ფუტკარო, რა გითხრა?! რა დიდია შენი სიბრძნე და რა დიდებულია შენი ცოდნა!

**ფუტკარი:** ცოდნა ღვთისგანაა ნაბოძები!

**სულეიმანი:** ხა! ხა! ხა! პატარა ეშმაკო, უეჭველად დაგაჯილდოებ იმისთვის, რაც ახლა გააკეთე.

**ფუტკარი:** ჩემი ჯილდო ჩემი მეუფის კმაყოფილებაა.

**სულეიმანი:** არა და არა! ებრძანებო, ჩვენ, სულეიმანი, მეფე ადამიანთა და ჯინთა, რომ პატარა ფუტკრისათვის აიგოს ოქროსა და მარჯნისაგან სკა!

**ფუტკარი:** ოქრო და მარჯანი?!

**სულეიმანი:** დიახ! დიახ! ჩემთვის ეს გაკვეთილი იქნება, რომელსაც ვერ დავვიწყებ. ყველაზე პატარა ქმნილება ყველაზე დიდებულ მეფეს გამოადგა! შენ არაფრად თვლი და დიდი საქმე გააკეთე. უფალმა ყველანი ერთმანეთისთვის შეგვქმნა. დიახ, პანანინა ფუტკარო, უეჭველად აიგება შენთვის ოქროსაგან და მარჯნისაგან სკა, რომელიც გარშემორტყმული იქნება სურნელოვანი ყვავილებით; ოღონდ... (ცხვირზე ისვამს ხელს და ამბობს) ჩემი სასახლის ბალისგან მოშორებით.

არაბულიდან თარგმნა  
ნუნუ ბაროზაჰვილი

ნაჯიბ მაჰფუზი

# ნობელის პრემიის გადაცემის ზეიშა წარმოთქმული სიტყვა

ბატონებო და ქალბატონებო,

უპირველეს ყოვლისა, შვედეთის აკადემიისა და მისი ნობელის კომიტეტის მადლობელი ვარ, ჩემი გულმოდგინე და მრავალწლიანი ძალისხმევა მისი ყურადღების ღირსი რომ გახდა. ვიმედოვნებ, გულგახსნით მიიღებთ ჩემს ნაუბარს ბევრი თქვენგანისთვის უცნობ ენაზე. არადა, სინამდვილეში სწორედ ამ ენამ დაიმსახურა ნობელის პრემია და საჭიროდ მიმაჩნია, მისმა ჰანგებმა კულტურისა და ცივილიზაციის ამ თქვენს ოაზისში შემოცურონ პირველად და დიდი იმედი მაქვს, არა უკანასკნელად. ვიმედოვნებ ასევე, რომ ჩემი ერის შვილ ლიტერატორებს კვლავ ექნებათ პატივი და ბედნიერება, თქვენს საერთაშორისოდ აღიარებულ მწერალთა შორის დასხდნენ, იმათ შორის, ვინც ჩვენს საწუხრით სავსე ნუთისოფელს სიბრძნისა და სილამაზის კეთილსურნელებას ჰყვენს.

ბატონებო,

ერთ-ერთი უცხოური გაზეთის კორესპონდენტმა კაიროში შემატყობინა, რომ ნობელის პრემიით ჩემი დაჯილდოვების გამოცხადების მომენტში სიჩუმე ჩამოვარდნილა. ბევრი თურმე ერთმანეთს ეკითხებოდა, ვინ ვიყავი. ნება მიბოძეთ, საკუთარი თავი წარმოგიდგინოთ იმდენად ობიექტურად, რამდენადაც ადამიანური ბუნება მომცემს ამის საშუალებას.

მე ერთ დროს წარმატებული ქორწინებით დაწყვილებული ორი ცივილიზაციის შვილი ვარ. პირველი – ფარაონული ცივილიზაცია, 7 ათასი წლისაა, მეორის ასაკი კი 1400 წელია და ისლამური ცივილიზაცია გახლავთ. ალბათ არავითარი საჭიროება არ არსებობს, რომელიმე თქვენგანს რომელიმე ამ ცივილიზაციათაგანი გავაცნო. თქვენ ხომ ნაღები საზოგადოება, სწავლულები ხართ! თუმცა არაფერი დამავდება, თუ შეგახსენებთ რამეს. ჩვენ ხომ ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგანდობის ვითარებაში ვიმყოფებით.

ფარაონულ ცივილიზაციაზე საუბრისას სიტყვას არ გავაგრძელებ მის დაპყრობებსა და სამეფოების მშენებლობაზე. ეს მისი ყავლგასული დიდებაა, რომლის გახსენებაც, მადლობა ღმერთს, თანამედროვეთ დიდ სიამოვნებას არ ანიჭებთ. არც იმაზე ვილაპარაკებ, როგორ შეუდგა ეს ცივილიზაცია პირველად ღვთის გზას, – მაღალიმც არს იგი და დიდებული, – და როგორ აღმოაჩინა მან უფალი ადამიანური ცნობიერების გარიჟრაჟზე. ეს დიდ დროს წაიღებდა, ეგეც არ იყოს, თქვენს შორისაც არავინ მეგულება ისეთი, კარგად რომ არ იცნობდეს ფარაონ-ქურუმის

ენნატონის ისტორიას. მეტიც, არც ხელოვნებასა და ლიტერატურაში ეგვიპტური ცივილიზაციის მიღწევებზე ვისაუბრებ, არც მის ისეთ სახელგანთქმულ საოცრებებზე ვიტყვი რამეს, როგორებიცაა პირამიდები, სფინქსი და კარნაკი. ვისაც მათი ნახვის ბედნიერება არ ხვდომია წილად, წაუკითხავს მაინც მათზე და წარმოსახვით წარმოუდგენია.



ნება მიბოძეთ, ფარაონული ცივილიზაცია ერთი მოთხრობით წარმოგიდგინოთ. მით უფრო, რომ ისე მოხდა, უკვე დიდი ხანია, რაც განსაკუთრებულმა გარემოებებმა მაიძულა, მთხრობელი გავმხდარიყავ. მაშ მოისმინეთ ეს ჩანერილი ისტორიული ამბავი: პაპირუსები მოგვითხრობენ, რომ ერთ ფარაონს ამბავი მიუტანეს, თითქოს მისი ჰარემის ქალებს ცოდვიანი კავშირი გაეხატა სასახლის კარისკაცებთან. მოსალოდნელი იყო, რომ ფარაონს ისინი დაეხოცინებინა და ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა იმ დროის სულის გათვალისწინებით. მაგრამ მან საუკეთესო სამართლისმცოდნენი მოიხმო თავისთან და მოსთხოვა იმ ამბის გამოძიება, რაც აცნობეს. ფარაონმა მათ უთხრა, რომ ჭეშმარიტების შეტყობა სურდა, რათა სამართლიანად განესაჯა. ეს საქციელი, ჩემი აზრით, სამეფოს მშენებლობასა და პირამიდების აგებაზე უფრო დიდებულია! წარმატებული ცივილიზაციის უფრო საგულისხმო მახასიათებელია, ვიდრე ბრწყინვალეობა და ფუფუნება! ეს სამეფო გაქრა, წარსულის კუთვნილებად იქცა. ერთ მშვენიერ დღეს გაქრებთან პირამიდებიც, მაგრამ ჭეშმარიტება და სამართლიანობა დარჩება მანამ, სანამ კაცობრიობაში იარსებებს ცნობისწადილით აღვსილი გონი და მღვიძარი სინდისი.

არც ისლამურ ცივილიზაციაზე ვისაუბრებ ბევრს – უფლის ფრთის ქვეშ კაცობრიობის გაერთიანების მოწოდებაზე თავისუფლების, თანასწორობისა და ტოლერანტობის საფუძველზე! არც მისი მოციქულის ძლევა მოსილებაზე ვიტყვი რამეს. განა თქვენი მოაზროვნენი არ არიან ისინი, ვინც იგი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ ადამიანად აღიარეს?! არც ისლამური ცივილიზაციის დაპყრობით ომებსა და გამარჯვებებზე ვიტყვი რამეს, ათასობით მინარეთი რომ მიმოფინა დედამიწის უზარმაზარ ტერიტორიაზე – ინდოეთის და ჩინეთის მისადგომებიდან საფრანგეთის საზღვრებამდე. ეს მინარეთები ღმერთის თაყვანისცემისკენ, ღვთისმოშიშობისა და კეთილის ქმნისაკენ უხმობდა ყველას. არც რელიგიათა და რასათა იმ ძმობაზე ვიტყვი რამეს, ამ ცივილიზაციის საფარქვეშ რომ განხორციელდა ისეთი ტოლერანტული სულით, კაცობრიობას მსგავსი რომ არ სმენია არც მანამდე და არც შემდგომ. მე მას ერთი გულშიჩამწვდომი, დრამატული სიტუაციით წარმოვადგენ, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს ამ ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიშან-თვისების არსს.

ბიზანტიის იმპერიასთან ერთ-ერთ წარმატებით დაგვირგვინებულ ბრძოლაში ბიზანტიელი ტყვეები ფილოსოფიის, მედიცინისა და მათემატიკის ძველბერძნული მემკვიდრეობის კუთვნილ გარკვეული რაოდენობის წიგნებში გაცვალეს. ეს ფასეული მონაწილეობა მეცნიერებისა და ცოდნისკენ ადამიანის სულის სწრაფვისა, მიუხედავად იმისა, რომ ცოდნის მაძიებელი ზეციური ცხოვრების მაღიარებელი მორწმუნე იყო, საძიებელი კი – წარმართული ცივილიზაციის ნაყოფი.

ბატონებო,

ბედისწერამ ამ ორი ცივილიზაციის კალთაში დაბადება მარგუნა წილად. ორივეს რძე მაქვს ნანოვი და ორივეს ლიტერატურითა და ხელოვნებით ვარ ნაკვები. შემდეგ თქვენი მდიდარი და მომხიბლავი კულტურის ნექტარს დავეწაფე. ამ ყველაფრის შთაგონებით და ზედ ჩემი პირადი განცდების დამატებით იშენე ჩემში სიტყვები. მათ წილად ხვდათ ბედნიერება, თქვენი საპატიო აკადემიის მაღალი შეფასება დაემსახურებინათ. ამ აკადემიამ ჩემს ძალისხმევას გვირგვინად ნობელის უდიდესი პრემია დაადგა. მადლობას მოვახსენებ მას ჩემი სახელით და ამ ორი ცივილიზაციის ანგარდაცვლილი დიდებული აღმაშენებლების სახელითაც.

ბატონებო,

თქვენ ალბათ კითხულობთ: ეს კაცი, „მესამე მსოფლიოდან“ მოსული, როგორ ახერხებს, გონება საზრუნავისგან გამოითავისუფლოს და მოთხრობები წეროსო?! ეს სავესებით მართებული კითხვაა.

მე ვალეების სიმძიმით ნელში მოკაკეული სამყაროდან მოვდივარ. ამ ვალეების დაფარვა მას შიმშილით ან შიმშილის პირას მისვლით ემუქრება. მისი ხალხის ნაწილი აზიაში წყდება წყალდიდობებით, სხვებს კი აფრიკაში შიმშილი უღებს ბოლოს. სამხრეთ აფრიკაში მილიონობით მოქალაქე სრული უუფლებობისათვის არის განწირული ამ ადამიანის უფლებათა ეპოქაში! ისინი თითქოს ადამიანთა შორისაც კი არ ითვლებიან. მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირისა და ლაზას სექტორის მოსახლენი დაკარგულნი და გზა-კვალარეულნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ მიწაზე ცხოვრობენ, მამა-პაპისა და წინაპრების მიწა-წყალზე. ისინი აღსდგნენ იმ უპირველესი უფლებების მოთხოვნით, რომელიც პირველყოფილმა ადამიანმაც კი განახორციელა – საკუთარი საცხოვრისის უფლების მოთხოვნით, რომელსაც მათად სცნობენ და აღიარებენ. და ამ მამაცი, ღირსეული ხალხის – კაცების, ქალების, ახალგაზრდობის, ბავშვების საზღაური ამ ყველაფრისთვის ძვლების მტკრევა და ტყვიებით სიკვდილია, სახლ-კარის მიწასთან გასწორება და ციხეებსა და საპატიმროებში წამება. და ეს მაშინ, როცა მათ ირგვლივ 150 მილიონი არაბი ცხოვრობს და მრისხანებითა და გულისტკივილით ადევნებს თვალს მომხდარს. ეს ყველაფერი კი რეგონს კატასტროფით ემუქრება, თუკი საყოველთაო და სამართლიანი მშვიდობის მსურველთა სიბრძნე არ გაიმარჯვებს.

დიახ, მართალია, როგორ უნდა შეძლოს „მესამე მსოფლიოდან“ გამოსულმა ადამიანმა გონება საზრუნავისგან გამოითავისუფლოს და მოთხრობები წეროს?! საბედნიეროდ, ხელოვნება სულგრძელია და შემწყნარებელი.

ლი. ის თანაცხოვრობს ბედნიერებთან, მაგრამ ამავდროულად არც უბედურთ აქცევს ზურგს. ორივეს თანაბრად აძლევს იმის გამოხატვის შესაფერ საშუალებას, რაც მათ გულელებში ტრიალებს.

ცივილიზაციის ისტორიის ამ გადამწყვეტ წუთს წარმოუდგენელი და დაუშვებელი იქნება, კაცობრიობის კენესა-ობხრა შეუსმენელი დარჩეს! უდავოა, კაცობრიობამ სულ მცირე, სიმწიფის ასაკს მაინც მიაღწია. ჩვენი დრო გიგანტი სახელმწიფოების მორიგებისა და დაზავების იმედს იძლევა და ჭკუა-გონებას უხმობს ნგრევა-განადგურების გამომწვევი ყველა ფაქტორის გადასაჭრელად. და როგორც მეცნიერები ეკოლოგიური გარემოს სამრეწველო დაბინძურებისგან გასანმენდად ძალ-ლონეს არ იმუშრებენ, ინტელექტუალები ასევე დაუღალავად უნდა იღვწოდნენ კაცობრიობის ზნეობრივი დაბინძურებისგან გასანმენდად. ჩვენი უფლება და მოვალეობაა, მოვითხოვოთ ცივილიზებულ სახელმწიფოთა დიდი ლიდერებისა და მათი ეკონომისტებისგან ნამდვილი ნახტომი, ისეთი, რაც მათ ჩვენი ეპოქის ფოკუსში მოაქცევდა და ჩვენი დროის მოთხოვნებისთვის ფეხს აანყობინებდა.

უნინ ყოველი ლიდერი მხოლოდ თავისი ერის კეთილდღეობისათვის ირჯებოდა და სხვა ერებში ან მოქიშპევებს ან ექსპლუატაციის ობიექტებს ხედავდა. საკუთარი უპირატესობისა და პირადი განდიდების გარდა სხვა საზრუნავი და ფასეულობა არ გააჩნდა. იმ წლებში ილახებოდა ზნეობა, პრინციპები, ფასეულობები. გამართლებული იყო მიზნის მისაღწევი უღირსი გზები. ამ ყველაფერს ეწირებოდა უთვალავი სიცოცხლე. სიცრუე, მზაკვრობა, პირისმტეხლობა და სისასტიკე გამჭრიახობის ნიშნად და ძლევა მოსილებსა და დიდებულების საბუთად მიიჩნეოდა.

დღეს ასეთი ხედვა ძირეულად უნდა შეიცვალოს. დღეს ცივილიზებული ლიდერის ძლევა მოსილება მისი თვალსაწიერის სიფართოვითა და მთელი კაცობრიობის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნების გრძნობით უნდა შეფასდეს. განვითარებული მსოფლიო და „მესამე მსოფლიო“ კი სხვა არაფერია, თუ არა ერთი ოჯახი, სადაც თითოეულ ადამიანს ამ ოჯახის მიმართ თავისი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი ცოდნის, სიბრძნისა და ცივილიზებულობის დონის შესაბამისად.

ალბათ ჩემს უფლებამოსილებას არ გადავაჭარბებ, თუ მივმართავ მათ „მესამე მსოფლიოს“ სახელით: ნუ იქნებით ჩვენი ტრაგედიების შორიდან მაყურებლები! თქვენ მასში ღირსეული როლი უნდა შეასრულოთ, თქვენი შესაძლებლობების შესაფერისი. თქვენ თქვენი აღმატებულობის პოზიციიდან პასუხისმგებელნი ხართ მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროს ნებისმიერ არასწორ განვითარებაზე და მით უფრო ადამიანზე, ქვეყნიერების რომელ კუთხე-კუნჭულსა თუ დასალიერშიც უნდა იმყოფებოდეს იგი!

კმარა სიტყვები! ახლა მოქმედების დრო დადგა! მოვიდა დრო, ბოლო მოელოს შარავის ყაჩაღობასა და მევენახეობას! ჩვენ ახლა პლანეტის ბედზე პასუხისმგებელი ლიდერების ეპოქაში ვცხოვრობთ! მამ იხსენით სამხრეთ აფრიკაში დამონებული ხალხი! გადაარჩინეთ აფრიკაში დამმუშულები! იხსენით პალესტინელები ტყვიებისა და ნამებისაგან

და, მეტიც, გადაარჩინეთ ისრაელელი თავიანთი დიდებუ-  
ლი სულიერი მემკვიდრეობის ნაბილწვისა და შერყვნისა-  
გან! იხსენით ვალეებში მყოფნი მოუქნელი ეკონომიკური  
კანონებისგან! დაანახეთ, რომ მათი პასუხისმგებლობა კა-  
ცობრიობის წინაშე უფრო წინ უნდა დააყენონ, ვიდრე ვალ-  
დებულებების შესრულება მეცნიერების იმ კანონებით,  
რომლებიც, შესაძლოა, დრომ უკვე უკან მოიტოვა.

ბატონებო,

მომიტყვეთ, თუ მშვიდი გუნება-განწყობილება გაცი-  
ფუჭეთ, მაგრამ მაშ რას მოელოდით „მესამე მსოფლიოდან“  
მოსული კაცისაგან? კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარ-  
მოსდინდების. განა ასე არაა? ეგეც არ იყოს, საკაცობრიო  
ოხვრა სად ჰპოვებს უკეთეს ექოს, რომ გაიხმინოს, თუ არა  
კულტურისა და ცივილიზაციის ამ თქვენს ოაზისში, რომე-  
ლიც მისმა დიდმა დამაარსებელმა მეცნიერების, ლიტერა-  
ტურისა და უმაღლეს ადამიანურ ფასეულობათა სამსახუ-  
რისთვის დააფუძნა! და როგორც მან უძღვნა ერთ დღეს  
თავისი მატერიალური სიმდიდრე სიკეთისა და მეცნიერე-  
ბის სამსახურს ღვთისგან საკუთარი ცოდვების გამოსყიდ-  
ვის თხოვნითა და იმედით, ჩვენ, „მესამე მსოფლიოს“ შვილ-  
ნი, გთხოვთ თქვენ, ცივილიზაციის ყველა სიკეთით განე-  
ბივრებულებს, ვისაც ამის ძალა შეგწევთ, მიჰბაძოთ მის მა-  
გალითს, გაითავისოთ მისი მორალი და მისი ხედვა!

მიუხედავად ყველაფრისა, რაც ჩვენს თავს ტრია-  
ლებს, ვალდებული ვარ, ბოლომდე ოპტიმისტად დავ-  
რჩე. ვერ დავეთანხმები ფილოსოფოს კანტს, რომ სიკე-

თე იმარჯვებს, ოღონდ საიქიოში – არა! ის გამარჯვებას  
აღწევს ყოველდღე. მეტიც, ბოროტება იმაზე ბევრად  
სუსტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. ამის უტყუარი საბუ-  
თი კი თვალწინ გვაქვს: სიკეთე რომ არ იმარჯვებდეს, ეს  
მოხეტიალე ადამიანთა მოდგმა ჯეროვნად როგორ გა-  
უმკლავდებოდა ველური ბუნების, სტიქიური უბედურე-  
ბების, ეპიდემიების, შიშისა და ეგოიზმის პირისპირ  
დგომას. გეუბნებით, სიკეთე რომ არ იმარჯვებდეს, კა-  
ცობრიობა განვითარებასა და გამრავლებას ვერ შეძ-  
ლებდა, ერებად ვერ ჩამოყალიბდებოდა, აღმოჩენებს,  
შემოქმედებით მიღწევებს, გამოგონებებს ვერ განა-  
ხორციელებდა, კოსმოსს ვერ დაიპყრობდა და ადამიან-  
ის უფლებებს საჯაროდ ვერ გამოაცხადებდა. თუმცა  
ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ბორო-  
ტება შფოთისთავი, ხმაურიანი და მყვირალაა. ადამიანს  
კი, ჭეშმარიტად, სატიკივარი მეტად ახსოვს, ვიდრე სასი-  
ხარულო! მართალი იყო ჩვენი პოეტი აბუ ლ-ალა ალ-მა-  
არი, როცა თქვა:

„მართლაც მწუხარება სიკვდილის ჟამს ბევრად უფრო  
მეტია, ვიდრე სიხარული დაბადებისას“.

ბატონებო,

დასასრულ კიდევ ერთხელ მსურს მაღლობა გადაგი-  
ხადოთ და მომიტყვეთ.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან ბარდავაძე

აბდო ვაზინი

# გვექნება თუ არა არაბული დეტექტივი

არაბული ჟურნალი „ალ-ჰაიათ“  
(„სიცოცხლე“) მოუწოდებს არაბ ლიტე-  
რატორებს შექმნან დეტექტიური ჟან-  
რის ნოველები

რატომ არ იცნობს არაბული ბელეტრისტიკა დეტექ-  
ტივს, როგორც ლიტერატურის დამოუკიდებელ ჟანრს და  
საკმარისია თუ არა ზოგიერთი არაბული რომანის დეტექ-  
ტიური ასპექტები იმისათვის, რათა შეიქმნას არაბული  
დეტექტიური ლიტერატურა?

შეკითხვების დასმა არაბულ მწერლობაში დეტექტი-  
ვის ჟანრის არარსებობის თაობაზე მარტივია, მაგრამ გა-  
ჭირდება ნათელი პასუხის გაცემა ამ დეფიციტზე, რო-  
მელსაც შეიძლება „უმიმქისი“ ვუნდოთ.

მსოფლიო დეტექტიურმა ლიტერატურამ საუკუნენა-  
ხევრის მანძილზე უმდიდრესი მემკვიდრეობის შექმნა მოა-  
ხერხა, რამაც ეს ჟანრი, მიუხედავად რამდენიმე კრიტიკო-  
სის პროტესტისა, ვინც დაჟინებით ამტკიცებდა, დეტექტივი  
სერიოზული მწერლობა არააო, ლიტერატურულ-ბელეტ-  
რისტული პროცესების სრულუფლებიან ნაწილად აქცია.

არაბულ სამყაროს ისეთი მღელვარების ხანა არასო-  
დეს გამოუვლია, რაც დასავლეთმა სამრეწველო რევო-  
ლუციის აბრიალებისა და შემდგომში თანამედროვე კულ-  
ტურაზე ამ რევოლუციის შედეგთა გამო გადაიტანა. არა-  
ბული სამყარო არც ქალაქებში მუშათა კლასის მოზღვა-  
ვებასა და ამის გამო საყოველთაო ძრწოლას მოსწრებია,  
ჩვენში არც ის თანამედროვე ტექნოკრატიული საზოგა-  
დოება გამოკვეთილა, რომელმაც ადამიანი წარსულსა თუ  
ანმყოფი საკუთარ თავს გაუუცხოვა. პირიქით, არაბული  
საზოგადოება თავისი ძირების დამცველად დარჩა და ეს  
ძირები მთლიანად ვერც თანამედროვე ეპოქის ორომ-  
ტრიალმა ამოთხარა. მაგრამ არაბული საზოგადოება მიმ-  
დინარე ყოფის სხვადასხვა ეტაპზე მრავალი ცვლილების  
მომსწრე გახდა და ამან ჩვენში მცირედი გაუცხოება,  
ძრწოლა და შიში მაინც მოიტანა.

თუკი დასავლეთში სწორედ ხსენებულმა ფაქტორებმა  
განაპირობა დეტექტიური ჟანრის დაბადება, იმავე ფაქ-  
ტორებმა არაბულ ლიტერატურაში, ზოგი რომანში გა-  
მომკრთალი დეტექტივის სუსტი ნიშნების მიუხედავად,  
იგივე შედეგი მაინც ვერ გამოიღო.

აქედან გამომდინარე, დეტექტიური ჟანრი მაინც ვერ იქცა მსოფლიო ჟანრად თუნდაც იმ საზომებითა და კრიტიკურობით, რომელთა მეშვეობითაც მის მყარ და საბოლოო განსაზღვრებას შევიძლებდით. პირიქით, დეფინიციის მცდელობათა უმეტესობას სავარაუდებელი წარმატება არ მოუტანია და დღემდე შეიძლება ზოგიერთ ისეთ მოთხრობას ვუნოდოთ დეტექტიური, სადაც გამოძიებისა და დანაშაულებრივი კვალის ხსენებაც კი არაა. ცნობილი ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო (1809-1849) – ამ ჟანრის ერთ-ერთი მამამთავარი – დეტექტივს განსაზღვრავს, როგორც ამოცანას, რომლის ამოხსნაც მკითხველს ევალება დაკვირვებისა და ლოგიკის შემწეობით, ისე, თითქოს მათემატიკურ მაგალითს იყვანდეს.

ამერიკელმა კრიტიკოსმა ვან დეინმა კი 1928 წელს დეტექტივის შექმნის ათი წესის ჩამოყალიბება განიზრახა და ეს საქმიანობა ჭადრაკის თამაშსა და გონებრივ სავარჯიშოს შეადარა. მისი პირველი წესი გვეუბნება: მკითხველსა და გამომძიებელს პრობლემის გადაჭრის თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

დეინის მსგავსად, მეორე კრიტიკოსმა რონალდ კონუეკსმაც 1928 წელს შექმნა „ათი რჩევა“ დეტექტიური ჟანრის თხზულებათა დასაწერად. ორივეზე უნინ კი კრიტიკოსმა ჩესტერტონმა გამოსცა პოპულარული წიგნი ამავე თემაზე, რომელსაც სათაურად ჰქონდა „როგორ იწერება დეტექტივი“ (1925).

დეტექტიურ თხზულებათა ალიარებული ამერიკელი ოსტატი რაიმონდ ჩენდლერი (1888-1959) კი „მარტივ მოვლენასა და ფსიქოლოგიურ სიმართლეს“ ეყდნობოდა და ასე ცდილობდა დამნაშავეთა თუ მკვლელთა შინაგანი სამყარო გაეხსნა.

ზოგი დასავლელი კრიტიკოსი დეტექტივის დაბადებას ბერძენი ტრაგიკოსის სოფოკლეს სახელს უკავშირებს, რომლის პიესაშიც „ოიდიპოს მეფე“, ოიდიპოსის მამამისის მკვლელობის გამომძიებას თვითონვე ეისრულობს, საბოლოოდ კი აღმოაჩენს, რომ მკვლელი თვითონაა.

რამდენიმე ფრანგი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ვოლტერის ცნობილი წიგნი „ზადიგი“ დეტექტიური ჟანრის ერთ-ერთი პირველი თხზულებაა. სხვები კი ფიქრობენ, რომ ამ ჟანრის პირველ ნაწარმოებებად ძველი ჩინური მოთხრობები გვევლინება.

თუმცა დეტექტიურ თხზულებათა ისტორიის ნამდვილი გააზრება გვიჩვენებს, რომ ამ ყაიდის თხზულებანი ევროპის სამრეწველო რევოლუციის კვალად აღმოცენ-

და. ამასთან ლიტერატურის ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ ტერმინი „პოლიციური რომანი“ საფრანგეთში 1890 წელს გაჩნდა, მაშინ, როცა ამ დროისათვის ანგლო-საქსურ სამყაროში იმავე ჟანრის თხზულებათა აღსანიშნავად ტერმინს „დანაშაულებათა რომანს“ იყენებდნენ, თუმცა ანგლო-საქსური წარმომავლობის ზოგი კრიტიკოსიც ფრანგულ ტერმინსვე – „პოლიციური რომანი“ ამჯობინებდა.

იმ დროისათვის ამ ჟანრის თხზულებები ჯერ კიდევ არ გამიჯვნოდა ბელეტრისტიკის ერთიან კალაპოტს. ამის მაგალითად კი თუნდაც ბალზაკის, ჰიუგოს ანდა ალექსანდრ დიუმას დასახელებაც იკმარებდა. სწორედ ამ მწერლებმა შექმნეს ახალი პერსონაჟები – გამომძიებლები, კრიმინალისტები თუ პოლიციელები. მათ რომანებში პოლიციელი ღონით კი არა, ხერხით იმარჯვებს და ასე ხდება პოპულარული გამომძიებელთა სახელები: ჟავერი (ჰიუგო), კორონტენი (ბალზაკი) და სალვატორი (ალექსანდრ დიუმა). აქვე არც „პარიზის საიდუმლოებანი“ უნდა დავავიწყდეს – ფრანგი ავტორის ეჟენ სიუს წიგნი, რომელსაც ხალხოსნური, „მდაბალი მწერლობის“ საწყისად მიიჩნევენ.

დეტექტიური ლიტერატურა კი დროთა განმავლობაში მეტად ვითარდებოდა და უფრო თვალსაჩინო ნიმუშებითაც მდიდრდებოდა. აქ, რა თქმა უნდა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შოტლანდიელი მწერალი კონან დოილი (1859-1930) რომლის ფანტაზიამაც შექმნა შერლოკ ჰოლმსი, ბრწყინვალე პერსონაჟი, ვინც თავისი ავტორის პერსონიფიცირებული მისწრაფება იყო პლაგიატისა და მონაცემთა დახარისხებისაკენ, და ეს იმდენად, რომ იგი მწერალმა ლამის ფილოსოფოს ოგიუსტ კანტისა და მეცნიერის ჩარლზ დარვინის „ღვიძლ შვილად“ აქცია. ამასთან, კონან დოილის რომანებმა და მისი გი-

რის – შერლოკ ჰოლმსის პოპულარობამ დეტექტიური ლიტერატურის განვითარებასაც და სტაგნაციასაც თითქმის თანაბრად და ერთდროულად შეუწყო ხელი.

ამასობაში გამომძიებელი, რომელიც მუდმივად კაცი იყო, დიდმა ინგლისელმა მწერალმა აგატა კრისტიმ (1891-1976) თავის რამდენიმე რომანში ქალით შეცვალა. თუმცა ამ ავტორის რომანთა მნიშვნელობა იფარება მათში წარმოდგენილ უნიკალურ სამყაროში, სადაც ერთადერთი პირობა მხოლოდ დანაშაული კი არა, დამნაშავისა და იმ პერსონაჟის გულითადი ურთიერთობებია, რომელიც კვანძის გახსნის შემდეგ ნამდვილი დამნაშავე აღმოჩნდება.



ედგარ ალან პო



აგატა კრისტი

რაც შეეხება ბელგიელ მწერალს ჟორჟ სიმენონს (1903-1989), სწორედ მან შექმნა ძალზე მიმზიდველი პერსონაჟი – კომისარი მეგრე, რომელიც ეწევა ჩიბუსს, სენდვიჩებს მიირთმევს და კალვადოსს აყოლებს. სიმენონმა მოახერხა ისიც, რომ დეტექტიურ ლიტერატურას შეაძლებინა დამნაშავე საზოგადოებრივი და ზნეობრივი მისისაგან ჩამოეცილებინა.

1905 წელს კი ჩნდება ახალი პერსონაჟი, რომელიც მალე დეტექტიური ლიტერატურის განვითარებაზე ღრმა კვალს დატოვებს და მკითხველის არნახულ ცნობისწადილსა და სიყვარულს დაიმკვიდრებს. ეს პერსონაჟი არსენ ლუპენია, რომელიც ფრანგმა მწერალმა მორის ლებლანმა შექმნა რომანში „ყველაფერი ვიცი“. დიდი ხანი არ გაივლის, რომ არსენ ლუპენი იმ თავგადასავალთა წყალობით, რომელშიაც იგი მწერალმა ჩააბა, ყველაზე ცნობილი პერსონაჟი გახდება. მორის ლებლანი (1864-1941) კი შექმნის კრიმინალური ლიტერატურის ნიმუშს, სადაც ძირითადი ინტრიგას დამნაშავეს შეპყრობა და მისი გაქცევის მუდმივი მცდელობა წარმოადგენს.

ამერიკელი დაშელ ჰამიტი (1894-1961) და რაიმონ ჩენდლერი (1888-1959) პოლიციური რომანის ყველაზე გამოკვეთილ ავტორებად მიგვევლინენ. ორივე მათგანი ამ ჟანრის განახლებას ანგლო-საქსური კლასიკური ტრადიციისაგან და იმ მორალისტურ განზომილებათაგან მოწყვეტით შეეცადა, რამაც აღნიშნულ ჟანრს თავისი დალი დაამჩნია. ორივე ამ მწერალთან პოლიცია სიკეთის ნიმუშს არ წარმოადგენს და თავის მხრივ არც მკვლეელი და დამნაშავე უიგივდება ბოროტებას. ჰამიტი თვითონაც კრიმინალისტი იყო და შესანიშნავად იცნობდა ამ სამყაროს საიდუმლოებებსა და პერსონაჟებს. მისი ცნობილი გმირი სემ სპაიდი კი მსოფლიო პოლიციური ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია. რაც შეეხება რაიმონ ჩენდლერს, მან გამოიგონა პერსონაჟი, სახელად მარლო, რომელიც ლამის სამყაროში დასახლდა. სამყაროში რომლის არცერთ ჩაბნელებულ ქუჩაზეც მშვიდად ნაბიჯის გადადგმა არავის ძალუძს, რადგან კანონი და წესრიგი მხოლოდ ფურცელზე დადგინდა, ცარიელ სიტყვებად გვევლინება. ჩენდლერი პოლიციური რომანს ახალ რომანს უწოდებს, რომელიც დაუმთავრებელიც კი მკითხველს მაგიურად ითრებს და აჯადოებს.

ამის შემდგომ პოლიციური ლიტერატურის განვითარებამ, თან იმდენი ახალი სახელი მოიყოლა, რომ მათი

ჩამოთვლაც კი ძალიან გაჭირდება, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ეკრანზე სერიალები და ე. წ. „ნიუ-ბულვარი“ გამოჩნდა, რაც თან ახლდა დეტექტიური და პოლიციური კინემატოგრაფის აღმავლობასა და სწრაფ განვითარებას. კინორეჟისორთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ფრანგი ლუი მალი, ვინც შექმნა ყოველგვარი წინასწარი წესისა და კლიშესაგან თავისუფალი დეტექტივის ახალი სახე, გამჭვირვალე კავშირს რომ ინარჩუნებს აგატა კრისტის ხელწერასთან და კარს უხსნის პოლიტიკის, სქესისა თუ სხვა პრობლემებს.

XIX საუკუნეში დაარსებული პოლიციური რომანი კი გადაკვეთის წერტილებს პოულობს უჩვეულო საქმეებით, შიშით, ძრწოლითა და მომავლის იმედით აღსავსე სენტიმენტალურ რომანთან, სათავგადასავლო, სერიული თუ სხვა ხასიათის ლიტერატურის იმ ნიმუშებთან, რომელიც მსოფლიო ლიტერატურაში წარმოიშვა.

კრიტიკოსი ფედოროვი შენიშნავს, რომ პოლიციური რომანი იკვებება ე. წ. „საზოგადოებრივი ლიტერატურით“, თუმცა პოლიციური რომანი რეალისტური რომანის შებრუნებულ ანარეკლად წარმოგვიდგას. ის იწყება დასასრული-

დან (დანაშაული) და მთავრდება დასაწყისით (დანაშაულის მიზეზი), მისი ერთადერთი რეალური პერსონაჟი კი მოკლულია.

რატომ არ იცნობს არაბული ლიტერატურა პოლიციური რომანს აღნიშნული ტერმინის ტექნიკური და თემატური აზრით? ეს შეკითხვა ბევრჯერ წამოჭრილა და აუცილებელია მას ისევ და ისევ მივუბრუნდეთ, თუნდაც პასუხის მოძებნა გაჭირდეს და მუდმივად სამომავლოდ გადაიდოს. ხოლო საიმისოდ, რომ არაბული პოლიციური რომანის უქონლობის თაობაზე საუბარი მხოლოდ თეორიულ ბაზადად არ დარჩეს, ჟურნალ „ალ-ჰაიათის“ რუბრიკა „ლიტერატურა და ხელოვნება“ მოუწოდებს არაბ რომანისტებსა და ბელეტრისტებს დეტექტიური მოთხრობის ან „პოლიციური ტექსტების“ შექმნას, რაც არაბულ ლიტერატურაში ამ ჟანრის გამოჩენის მაუწყებლად და სანინდრად გვესახება. ამდენად, რუბრიკა „ლიტერატურა და ხელოვნება“ მიესალმება ყოველგვარ დეტექტიურ ნოველას, თუკი ის ლიტერატურულ ღირებულებათა და ჟანრის ძირითად კანონთა ერთგული იქნება.

ჟურნალი „ალ-ჰაიათი“  
21.05.2007



**„ერაყული შიშის წლები“**

დიდი ხანი არაა გამომცემლობა „ას-საყიმ“ დასტამბა ერაყელი მწერალი ქალის ჰადია საყიდის დღიური, სათაურით „წლები ერაყული შიშისა“. დღიური 223 გვერდია და სადამ ჰუსეინის ერაყს ეხება, სადაც ერაყელები „ჭამდნენ, სვამდნენ და სუნთქავდნენ შიშით“. ავტორი ცინიკურად ეკიდება იმთაგანცხადებებს, ვინც ვინც საუბრობს ერაყული რეჟიმის სამოქალაქოობაზე და თანასწორობაზე ქალსა და კაცს შორის ერაყში, სადაც ქალი საერთოდ ვერ ესწრებოდა კულტურის მოღვაწეთა და ინტელიგენციის თავყრილობებს. ავტორი ჟურნალისტის პოზიციიდან გვამცნობს, როგორ იყო ქვეული პრესა და ჟურნალისტიკა ერაყში „რეჟიმის რუპორად“, როგორ იქცნენ დიდი პოეტები და ლიტერატორები სადაზვერვო სამსახურების უწყებათა მოხელეებად და როგორ ასმენდნენ ერთმანეთს, როგორ დაკარგა აქ კულტურამ შინაარსი და ლიდერის მხარდამჭერ პრობაგანდად თულა გამოიყენებოდა.

ჰანან ად-დარკავი  
(მალრიბი)

## აივანი... კატა... ჩვილი

ყოველთვის, როცა კი აივანზე გასული კარს მოვიხურავ, მონუსხულივით ვდგავარ სიმწვანეში, ყოველი მხრიდან რომ მოსდებია მას. ვცდილობ ამ სილამაზის ტყვეობიდან თავი დავიხსნა, მაგრამ არც ისე იოლია. ეს მცენარეები ჩემმა ძმამ ჯერ კიდევ მაშინ გააშენა, როცა ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ამ სახლში. მას უყვარს ისინი და ამიტომაც, რომ სახლის ექვსივე აივანზე მათი გრძელი ღეროებია გადმოკიდებული. რამდენჯერაც ჩემი ძმა და მისი მოციმციმე თვალები მახსენდება – აივანზე გავდივარ. ასე გაჩნდა ეს სიყვარული ჩემსა და ამ ბაღნარს შორის. აქ ყოველთვის ვითიშები, მაგრამ ეს არ მაშინებს, რადგან გონს მოსვლას ვახერხებ.

ახლაც თავს მოვერიე და სარკეში ჩავიხედე.

– ადამიანს ვგავარ, ყოველი ნაკვეთი თავის ადგილზე მაქვს – თავიც კი, ასე იოლად რომ მაგინყდება.

ოთახიდან გამოვედი. კარის დაკეტვა მინდა. გასაღები საკეტის ღრიჭოშია; ღრიჭო – საკეტში; საკეტი – კარში. ეს კარი ჩემი ოთახისაა, რომელიც დედაჩემისა და მამაჩემის ოთახის გვერდითაა ჩვენს დიდ სახლში. კარი ყავისფერია. გასაღები რკინისაა. საკეტი გასაღებიტურთ ნაცრისფერია ანუ რკინისფერიც. იქვე, კართან, ბენვგაცლილი კატა დავინახე. კნავის. ნუთუ ჩვენი კატა „ალისაა“?

ჯერ კიდევ გუშინ შესანიშნავი ყვითელი ბენვი ჰქონდა. რას იზამ, სამყარო ცვალებადია და მანაც თვალ და ხელს შუა დაკარგა თავის სამოსი. შეიძლება ჩემმა დამ იცოდეს, როგორ მოხდა ეს. მან სილამაზის სალონს სოლიდური თანხა გადაუხადა, რომ ლამაზი წვევებიდან თმა აეძრო. იქნებ კატაც თან ჰყავდა იმ სილამაზის სალონში, რომელიც ქალაქის სხვა უბანში მდებარეობს?

ახლა ფისოც განაწყენებულია. აბა, რას უნდა ნიშნავდეს ეს უცნაური კნავილი? ჩვილის ტირილს წააგავს... იმ ჩვილისა, იქ რომ ვნახე... ამ პატარა ქალაქის ღარიბთა კვარტალში... ჩვილი კნაოდა... ტიროდა... არა, უფრო კნაოდა... მის გვერდით სისხლის წვეთებით დასვრილი ერთი წყვილი წინდა ეგდო. წინდები დახეული არ არის; მე ვიცანი ისინი. დედაჩემმა აჩუქა ჭკუასუსტ ზაჰრას, თავის საოცრად ტლანქ ფეხებზე რომ ამოეცვა სიცივეში. ეს წინდები იმ ფრანგული ტანსაცმლის ფუთებიდანაა, ჩემი ძმა რომ გვიგზავნის პარიზიდან – სადაც მუშაობს. ამ წინდების შესაფერი ფეხი ჩვენს სახლში რომ არ მოიძებნა, იმ სულელს მისცა დედაჩემმა სწორედ მაშინ, მეზობლის ქალს რომ უმიზნებდა. დედაჩემი ამბობს, რომ მონყალება კეთილი საქმეა. ნამდვილად ის წინდებია. ვარდისფერია – მიუხედავად იმისა, რომ სისხლის წვეთებს დაუფარავს, წინდები ბავშვის გვერდით ყრია.

თვითონ ძონძებშია გახვეული. გალურჯებულია სიცივისაგან; ალბათ მთელი ღამე აქ გაატარა. მის წასაყვანად ადგილობრივი პასუხისმგებელი პირი და რამდენიმე პოლიციელი მოვიდა. ერთ-ერთი მათგანი ამის ჩამდენს რისხავს. ქალები გაუგებრად რაღაცას ბუტბუტებენ... მე ვფიქრობ... „წინდები ვარდისფერია, ბავშვი – სიცივისაგან ლურჯი, მამაჩემი შავგვრემანია; მე თეთრი კანი მაქვს, დედაჩემს – ჩემზე თეთრი. ჩემი მეგობარი ვაჟი ცისფერთვალაა. ცა უფრო ცისფერია თუ მისი თვალები“?

ბენვგაცლილ კატას ფერი აღარა აქვს. სახლს, ჩემი ძმის წასვლის შემდეგ – გემო. ჩვენი სახლი ერთ-ერთ ქალაქშია. ეს ქალაქი – რომელიღაც მხარეში, სახელი არ მახსოვს. ეს მხარე იმ დიდ სამყაროში, დედამიწას რომ ეძახიან. ეს დედამიწა კი – კოსმოსის გულში. ჩვილი? იცოცხლებს კი მოყვარული გულის გარეშე?

იმ დღეს, ჩვილი რომ იპოვნეს, შინ დაბრუნებისას, დედაჩემს ვკითხე:

– რატომ არ წამოიყვანეთ? სახლში ბავშვი გვეყოლებოდა...

დედაჩემს არ სურს უკანონო ბავშვები. მამაჩემს – ბენვგაცლილი კატები. ჩემს ძმას – გაუმწვანებელი აივნები. მე – სამყარო, ცისფერი ფერის გარეშე. ჭკუასუსტს, რომელმაც ეს ბავშვი ღია ცის ქვეშ გააჩინა – სახელის გატეხა. ამ ბავშვს რძე და ვინმეს მოყვარული გული სჭირდება. კატას – ხორცის პატარა ნაჭერი... მე? ჩემი ოთახიდან გასვლა, იმ დროს, როცა მამაჩემი მეორე ოთახში სახსრების ტკივილისაგან კვნესის, ერთ ჭიქა წყალს ითხოვს... მე მოვალე ვარ, არ მივატოვო, რადგან დედაჩემი შინ არ არის. ჩემი მეგობარი ვაჟი იქ – ფანჯრის მიღმა და ვიდრე ხელს გავუწვდიდე, თითებს მიკოცნის.

ჩემი თავი ჩემს კისერზეა მორგებული. ჩემი ხელის მტევანი – მაჯით მკლავზეა მიბმული. ხელს ონკანისკენ ვიშვერ, წყალს ვუშვებ და ჭიქაც ივსება...

მამაჩემის ოთახში შევდივარ. იქ არ მხვდება. ცოტა ხნის შემდეგ მისაღები ოთახიდან მისი ხმა მესმის:

– ლამია... ლამია, ჩემო საყვარელო, როდის შევხვდები მამაშენს... ცოლად შეგიერთავ... და გავეცლებით ამ ქალაქს...

მამაჩემს არც წყალი უნდა და არც სახსრების ტკივილი აწუხებს. ის ახალ გულს ეძებს, რადგანაც დედაჩემს თავის გულის კარი მოუხურავს. ძალიან დაბერდა და სიყვარული აღარ აინტერესებს...

კატა რძეს სვლევს. ჩემი მეგობარი აივნის ქვეშ დგას და მასზე გადაკიდებული ღერობიდან ჩამონანრეტ წყალს ლოკავს...

მასთან გავდივარ. კატის კნავილი და ჩვილის ტირილი თან მიმყვება. მამაჩემი ლამიას ეარმიყება ტელეფონზე. დედაჩემი ახლა ბაბუაჩემის საფლავზეა გასული.

– დავიგვიანე. ჩვენთან, სახლში, ბავშვები იყვნენ – თავს ვიმართლებ.

– სად წავიდეთ, ძვირფასო?

– ზღვაზე.

– რომელი გზით?

– სასაფლაოს მხრიდან.



ზუსაინა ხადარ მაქი  
(სუდანი)

## ნეს-ჩვეულებები

სოფელ „სიდრაში“, ჩრდილო სუდანის ამ შორეულ მხარეში, ჩემი ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო სადიას, ჩემი მულის, საქორწინო რიტუალები. იგი თავის ბიძაშვილებზე, აბდ ალ-მაჯიდზე თხოვდება.

იშვიათი სილამაზისაა სადია... გაშლილი ცვრიანი ყვავილივით. თექვსმეტისაც არ არის. აბდ ალ-მაჯიდი კი ოცდაოთხისაა. ლამაზი ყმაწვილია. მისი სიშავე იმ ჩამუქებული ნამზეურითაა გამოწვეული, სიმინდისა და ხორბლის შუაგულ ყანებში ხანგრძლივი ყოფნითა და გამუდმებული შრომით – მინის მორწყვითა და დამუშავებით რომ შეიძინა.

საქორწინო რიტუალები ხმაურიანია. ინით შეღებვით იწყებენ.<sup>1</sup> სურნელოვანი ბალახების შებოლების შემდეგ პატარძალს ყოველდღიურად არომატიზირებულ გამდნარ მასას შეაზევენ. მერე თმას უვარცხნიან გრძელ ნაწნავებად, რომლებზეც მუშკის, შოთხვისა და სანდალის ხის ნაყენს უსვამენ.

პატარა პატარძლის ცეკვამ გამოაცა. ისევე ნატიფად ცეკვავდა, როგორც ტანსრული გიჟაჟი ქალი, რომელიც საგანგებოდ იყო დაქირავებული, რომ მისთვის საცეკვაო მოძრაობები და ქალური კეკლუცობა ესწავლებინა. ისე მაცდურად ტრიალებდა და ირხეოდა, რასაც ამ ვნების ამშლელი როკვის დახელოვნებული შემსრულებლებიც ვერ შეძლებდნენ. სრულყოფილად ფლობდა თავისი ლამაზი სხეულის ყოველ ნაკვეთს, რომელიც კარზე მომდგარ ქალობაზე ხშიანობდა და სუფთა თაფლის გუბესავით კიაფი გაუდიოდა.

ქორწინის მესამე ღამეს სხვადასხვა რიტუალებით დაიკლა ცხვრები. ქალებმა შემწვარ-მოხრაკული დაამზადეს. ხილი და ტკბილეული ჩამოურიგეს მოწვეულ სტუმრებს. მერე გამოიტანეს მოჩუქურთმებული ხის ტახტი და შუაგულ ეზოში, მოწვეული სტუმრებისა და შინაურთა სკამების წინ ჩადგეს. გადააფარეს წითელი სპარსული ხალიჩა და ფერად-ფერადი ბალიშები მიმოაბნის. ტახტის სიახლოვეს დაბალი მაგიდა დადგეს, რომელზეც ქალებმა ვერცხლის ლანგარი შემოდგეს – ნელსაცხებელთა ჭურჭლეულით, სამაჯურებით, მოოქროვილი ყელსაბამებითა და წითელი აბრეშუმის ნაწნავით – ლურჯი მძივის მარცვლით შუაგულში.

მერე პატარძალი მოიყვანეს. მზესავით ანათებდა. მის სამოსში ორი ფერი: წითელ-ყვითელი ეხამებოდა ერთმანეთს. გოგონები საცეცხლურებით ხელში გარს ეხვივნენ. პატარძალი ტახტის შუაგულში დაჯდა და ლამაზი წვივები გამოაჩინა. გაძლიერდა ბასმით მოხატული ორნამენტების ციალი ფეხის ტერფებსა და ხელის მტევნებზე – შიგნითა თუ გარეთ. გამოჩნდა მოკლე ჯილბაბში ჩაცმული ნეფე. მხრებზე მოგდებულ თეთრ სამოსს კიდებებზე წითელი ზოლები დაუდიოდა. მოუჩანდა შავად გადაღებილი ფეხისა და ხელის მტევნები...

ასაკოვანი ქალი ტრადიციულ მუვაშაჰს<sup>2</sup> მღეროდა. ქალებიც მიყოლებით იმეორებდნენ ზალრუდას თანხლებით.

მომღერალი მღეროდა და თან პატარძალს კისერზე ყელსაბამებს ჰკიდებდა, ხელებზე სამაჯურებს აცვამდა. მერე თავზე სხვადასხვა ნელსაცხებელი მოაპკურა. ასევე მოექცა ნეფეს. ხელზე წითელი აბრეშუმის ნაწნავი შეაბა, შუბლზე ოქროს ნახევარმთვარე მიამაგრა. პატარძლის დეიდამ თითო მუჭა ფინიკი, სიმინდის მარცვლი და ბრინჯი მიმოაბნია – სიკეთისა და ბარაქის მომასწავებლად.

გაოგნებული შევცქეროდი ყოველივე იმას, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. თითქოს რომელიღაც შესანიშნავ ფილმს ვუყურებდი... აქაური საქორწინო რიტუალები ძალიან განსხვავდება იმისგან, რომელიც ჩემს სოფელშია – შორეულ სამხრეთ სუდანში! ამის შემდეგ პატარძალი ნამოდგა და ტრადიციული სამკაულებით შემკულმა ტახტზე ცეკვა დაიწყო. ცეკვის დროს ერთ-ერთმა ყმაწვილმა ქალმა ტანზე შემოხვეული სამოსი შემოაძრო. მოკლე კაბაში დარჩა, ნახევრად შიშველი. უბადლო ოსტატობით ცეკვავდა. ნეფე ჰაერში ხმალს იქნევდა. მერე ერთი ბოთლი ნელსაცხებელი აიღო და დამსწრეებს აპკურა. ისინიც მოწონების შეძახილებით პასუხობდნენ. ნეფე განცვიფრებული შესცქეროდა თავის დედოფალს.

საქორწინო წვეულებების დროს ყველა მოწონებით იყურებოდა ჩემ მხარეს. ამაოდ ვცდილობ მოუდრეკელი სუდანური კაბის მორგებას, მას შემდეგ, რაც ქინძისთავეებით შევამჭიდროვე მკერდსა და მხარზე. შევამჩნიე, რომ იმ დღეს ჩემი ქმარი სიახლოვეს არ გამკარებია. ვიეჭვიანე კიდევ, როცა დავინახე, როგორ ცეკვავდა და მღეროდა თავისი ტომის გოგონებთან. მე კი ამ დროს ჩემს ადგილზე ვზივარ ებანოსის ხისგან გამოთლილი ლამაზი ქანდაკებასავით!

ნაშუალამევს ზალრუდას ხმები გაისმა. გავიგე, რომ ქალებმა ზარ-ზეიმით მოჰგვარეს სადია თავის ნეფეს. ჩვენი სახლი პატარძლის ოჯახის სახლს ეკვროდა. ჩემს ყურებს არ გამოჰპარვია ის გულშემბარავი შეკვივლება, ღამის სიჩუმე რომ დაარღვია. შემფოთებული ნამოვგვარდი და ქმარი გავაღვიძა. კვილი განმეორდა, რომელსაც ხანგრძლივი, ტკივილნარევი კვნესა ამოჰყვა.

ყელზე ჩამოვეკიდე ჩემს ქმარს, მაგრამ გაღიზიანებით მომიშორა და მითხრა:

– დაიძინე... შენ ამას ვერ გაიგებ...

– მაგრამ ეს ხომ სადიას ხმაა... რა დაემართა... ნუ-თუ ამ ზომამდე სძულს თავისი ქმარი?

დაცინვით გაცივინა და თქვა:

– პირიქით. კვდება, ისე უყვარს.

შიშითა და ძრწოლოვით შევხედე. ატ-ტაიბ სალეჰის<sup>3</sup> რომანის გმირის, მუსტაფა საიდის სახე ამომიტვიტივა გონებაში. ეს რომანი რამდენიმე წლის წინ წავიკითხე. განთიადის აზნამდე ვინჩიალ ლოგინში. სადიას ყვირილი ძილს მიფრთხობდა, რამდენჯერაც თვალის ნატყუება ვცადე. დილით ჩემი ქმრის დას ვკითხე:

– რატომ ყვიროდა სადია... ქმარმა რამე ცუდი აკადრა?

შეკითხვამ შეაცვუნა. მორიდებით დახარა თვალები. ჩემი ქმრის დეიდამ მიპასუხა:

– შენ ამას ვერ გაიგებ... იმიტომ, რომ შენ... იმიტომ, რომ შენ დაუცვეთავი ხარ.

ვხვდებოდი ამ სიტყვის მნიშვნელობას, რადგან ბევრჯერ უჩურჩულია ის ჩემს ქმარს ალერსის წამებში, როდესაც ქალაქ ვაფში მუშაობდა და სოფელში ვცხოვრობდით, – ჩემი ოჯახის მახლობლად.

– შენ ჩემი სოფლის ქალებისგან განსხვავდები, – მითხრა ერთხელ ქმარმა. სახე გამებადრა ნაზი ქათინაურის მოლოდინში. კეკლუცად დავეკითხე:

– რანაირად?

– შენ დაუცვეთავი ხარ! – მიპასუხა.

– რა სულელური, უაზრო სიტყვაა! ბევრი ვეძებე მსგავსი ლექსიკური ერთეული ჩემი ტომის კილოკავში, მაგრამ ვერ ვიპოვე.

თავიდან ჩემი ქმრის განდგომას იმისდა მიხედვით ვგრძნობდი, თუ როგორ განმარტოვდებოდა ან მომიახლოვდებოდა. რომ არ ვცდებოდი, მეორე ბავშვის გაჩენის შემდეგ მივხვდი. მაგრამ ეს განდგომა სრულიად ნათელი გახდა იმ ღამის შემდეგ, როცა სადიას კვილი მოვისმინეთ.

სავსე მთვარით განათებულ ერთ ღამეს... ბარაქიანი შემოდგომის მაუნყებელი სურნელი რომ ტრიალებს ჰაერში, მთელი მონდომებით შევეცადე ქმრის მიაღერებას, მაგრამ ის უჩვეულოდ თავშეკავებული იყო გრძობებში. დაბნეულმა ვკითხე, თუ რატომ გამიბოძდა ამ ბოლო დროს. ცივად მიპასუხა, რომ დაღლილია და ეძინება.

იმავე დილას, ისე, რომ სახეში არც შემოუხედავს მითხრა:

– გთხოვ, გააკეთო ის, რასაც მამიდაჩემი ფატიმა გეტყვის.

გალიმებას შევეცადე:

– თუ შენ წინასწარ იცი, რაც უნდა მითხრას, რატომ თვითონ არ მეტყვი?

– მე გთხოვ, მოუსმინო მის რჩევას, – გაღიზიანებით მიპასუხა და თეთრი ჩალმის სწორებ-სწორებით გავიდა.

როცა ქმრის მამიდა მოვიდა, ერთი სული მქონდა გამეგო, რა უნდა ეთქვა, მაგრამ თავს ვძლიე და სტუმართმოყვარეობის მოვალეობა შევასრულე. ფატიმა თავისი ფართო, სურმით შეღებილი თვალებით ყურადღებით ათვალერებდა ჩემს სხეულს და აუჩქარებლად მითხრა:

– შენს ქმარს ძალიან უყვარხარ, მაგრამ ჩივის, რომ დაუცვეთავი ხარ...

მერე აჩქარებით დაამატა: თუ გინდა, ნაგიყვან დასაცვეთად ექიმ საქინასთან და ქმარსაც უფრო ეყვარები.

გაცხარებულმა ვიფეთქე:

– მას ჯერ კიდევ დაცვეთილი ქალი ნებაგს, როგორც ამბობ... იმიტომ დაქორწინდა ჩემზე და ქვეყნის შორეული სამხრეთიდან ჩამომიყვანა, რომ ამ მკაცრ სოციალურ ბორკილებში მეცხოვრა, რომელსაც მისი სოფლის ტრადიციები და გარემოცვა თავს ახვევს? მე ბევრად მეტი მსხვერპლი გავილე მისი გულისთვის და რატომ არ დათმობს ამას? რა დაემართა ჩემს ქმარს? ყოველთვის ვუყვარდი და მოსწონდა ჩემთან ცხოვრება.

ამაყად ავნიე თავი და გამომწვევად განვაცხადე:

– არ გავიკეთებ... ოცდაოთხი წლისა ვარ და არაფერს შევცვლი ჩემს სხეულში, თუ არ მენდომება. დე, მიმატოვოს და ვინც მოსწონს, ის ეძებოს.

მთელი ერთი კვირაა, რაც მე და ჩემს ქმარს სხვადასხვა ოთახებში გვძინავს. ვერ გავუძელი დაშორებას. მივედი მასთან და შევეურიგდი. მკერდზე მიმიკრა და ნაზად მითხრა:

– თუ მართლა გიყვარვარ, გააკეთე ეს. ტკივილს ვერ იგრძნობ. სრული გაუტკივარებით ჩატარდება ყველაფერი.

უკეთური სიხარული გამოკრთა მამიდამისის თვალებში. იმავე დღეს მიმიყვანა ექიმის სახლში. ექიმმა საქინამ ჩემი დამშვიდება სცადა, როცა ნახა, რომ შიშისაგან ვცახცახებდი.

– ტკივილს არ იგრძნობ საერთოდ. უმნიშვნელო „მოკვეთა“ ჩატარდება – რამდენიმე უბრალო ნაკერი.

ჩემი ქმრის მამიდას სახე მოელუშა, ეს სიტყვები რომ მოისმინა. ექიმს მიუახლოვდა და რაღაც ჩასჩურჩულა. ნათქვამზე ექიმს ხმა შეეცვალა და ხმამაღლა თქვა:

– არა... არა... ახლა ეგ აკრძალულია.

ისევ მიუახლოვდა მამიდა ექიმს და დიდხანს ეჩურჩულა. მერე თავის უშველებელი მკერდიდან საფულე ამოიღო და გადაუხადა. ექიმმა თავი ჩალუნა, თითქოს რაღაც სერიოზულმა საკითხმა დააფიქრა. შემდეგ დაყვავებით მკითხა:

– ნუთუ ამ ზომამდე გიყვარს ქმარი? მართლა თანახმა ხარ, ის ოპერაცია გაიკეთო, რომელიც მას სურს? თანხმობის ნიშნად თავი დავიქნიე, თან შიშის დათრგუნვას ვცდილობდი.

იმას ვაკეთებ, რასაც ექიმი მთხოვს. ყველაფრის სურვილი მაქვს დაკარგული. განწირულად შევიკივლე, როცა ტკივილგამაყურებელი ნემსი გამიკეთა. ცოტა



ხანს შეიცადა, მერე კი ჩემს სხეულში მაკრატლით იწყო ჭრა. ნემსით მრავალრიცხოვანი ნაკერები დამადო და გადასახვევ ბინტთან ძაფი მაგრად დაამაგრა. ბარძაყებს შორის შესივებას ვგრძნობ და ექიმის მოძრავ თითებს, ეგ არის, რომ არ მტკივა.

ქმრის მამიდამ შინ მიმიყვანა და წავიდა. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ტკივილი დამენყო – ძლიერი, მწვავე; გეგონებოდათ ორლესული დანა დამიდისო. მსგავსი ტკივილი არასოდეს მიგრძვნია, მშობიარობის დროსაც კი.

ოპერაციისას ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლი ამ შეტევით, ბუნებრივ ტკივილებს. შევეცადე, ჭრილობის ადგილს თითებით შევხებოდი. ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს ჭურვის მწველმა ნამსხვრევებმა ჩემს შიგნეულობაში შეაღწია. ტირილი დავიწყე და შეშინებული ბავშვივით შევლას ვითხოვ. ჩემს ირგვლივ შემომსხდარი ქალები უშედეგოდ ცდილობენ დამამშვიდონ. მოშარდვა რომ მომინდა, ძალ-ღონე მოვიკრიბე და აბაზანისაკენ წავლასლასდი. ფეხებს ისე მივათრევე, როგორც პატრონის მიერ შებორკილი აქლემი. შიშს ვძლიე და როცა გაუბედავად... გაჭირვებითა და უსაზღვრო ტკივილით წამოვიდა შარდი, მწარედ დავიკვნესე.

ამ საშინელი ოპერაციიდან ერთი კვირის თავზე ქმარმა მომინახულა ჩემი გულის მოსაგებად. ბევრი რამ დაიმსხვრა ჩემში. გამოქვაბულის პირველყოფილი ადა-

მიანივით მოჩანდა ჩემს წინ მდგარი... გარეული კურდღელი დაეჭირა, შეენვა და ბედნიერი იყო, რომ შემწვარი უნდა ეჭამა. მე, სწორედ, ის შემწვარი კურდღელი ვიყავი... ჩემს ქმართან სიახლოვის რომანტიკა, ლტოლვა და სიყვარული იმ დაუოკებელმა ფიზიკურმა ტკივილმა გადაბუგა, მუდმივად რომ ვგრძნობ... ჩემი ქმარი კი უფრო გაფხორილი და ამაყი მოჩანს – მამალი სირაქლემასავით. ჩემი ვაი და ვუი, ტკივილებზე ჩივილი ქალურ კეკლუცობად ეჩვენება, რომელიც საკუთარი მამაკაცურობის რწმენის შეგრძნებას უძლიერებს...

ოჰ... რა საშინელებაა... სამუდამოდ დავკარგე ჩემი გულისა და გრძობის რჩეული, თუმცა შევიძინე კაცი, რომელიც ჩემი ქმარია.

1. პატარძლის თმების, ფრჩხილების, ხელისგულებისა და ფეხისგულების ინიტ შეღებისა და მოხატვის ცერემონიალი, რომელიც ქორნილის ნინა დღეს ტარდება.

2. სასიმღეროდ განკუთვნილი პოეტური ჟანრი, რომელიც შეიქმნა ესპანეთში IX-X საუკუნეებში. ანდალუსიელი არაბები თავდაპირველად იყენებდნენ ქალის, გართობის, ბუნების სახობოდ და ზოგადად, პანეგირისტული ქება-დიდებასთვის. ესპანეთიდან გავრცელდა ჩრდილო აფრიკაში, ეგვიპტესა და სუდანში. მოგვიანებით, არაბეთის ნახევარკუნძულზე.

3. სუდანელი მწერლის, ატ-ტაიბ სალეჰის რომანის – „პილიგრიმოზის სეზონი ჩრდილოეთისაკენ“ – გმირი.

სულაფ ჰილალი  
(ერაყი)

## ღიმილი ნყლის ბაბეზე

აფორიაქებული და აღელვებული ვარ. რამდენიმე საათილა გვაშორებს ერთმანეთს. ძილი დამიფრთხა. იქნებ მე დავაფრთხე ბედნიერების გზაზე მიმავალმა...

მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში იმ ერთი შემთხვევითი, უმისამართო სატელეფონო საუბრით, რომელიც შემდგომში ათობით განმეორდა. მისმა ხმამ მომხიბლა – სრულიად მონიფული მამაკაცის ძლიერი ტემბრით გამორჩეულმა. თავისი ამაღლებული სულით ჩემს სულსა და გულს შეეხმინა. გრძობები გამიღვიძა – ყინულის გარსში გახვეულთ ცეცხლი ნაუკიდა და გააღლო. მშვიდი სამყარო ჩემთვის მიუჩვეველ, შფოთიან სამყაროდ მიქცია. მის გამორჩენამდე მირაჟით სავეს სიცარიელეში ვცხოვრობდი. ვერაფერს გავიხსენებ გარდა იმ ერთი ხელმოცარული მცდელობისა, რომელშიც ბრალი არ მიმიძღვის. ეს ის ლაქაა, სიკვდილამდე რომ ვერ ჩამოირეცხავ.

გულწრფელად შემიყვარდა და ეს სიყვარული იმით დავვირგვინდა, რომ ადამის მოდგმის ველურმა ქალური უმანკობა შემიბღალა. იძულებული გავხდი, ცოლად გავყოლო-

დი. სამი წელი ვიცხოვრეთ ერთად. ავხორცი იყო... ყბედი... ქარაფშუტა და თავაშვებული. ჩვიდმეტი წლის პატარა გოგომ ყოველგვარი სინანულის გარეშე მივატოვე. მოლოდინის საათები გულს მიმძიმებს. განსაკუთრებით იმისთვისაა ძნელი, ვისაც იმედის ნაპერწკალი აუკიაფდება...

თავისი წუთებითა და ნამებით ვითვლი დროს. შეხვედრის ძლიერი სურვილი მეძალება... ლამაზ გრძობებზე ვფიქრობ. თვალებს ვხუჭავ... მთელი მონდომებით ვცდილობ მისი სახე წარმოვიდგინო, მაგრამ ვერ ვახერხებ... ყველა ხატება უნაკეთოა. მენატრება. ტელეფონის ყურმილი ავიღე... უკანვე დავდე. მერე სარკეს ვეცი. ვდგავარ და გოცებით შევცქერი ჩემს სახეს – თითქოსდა პირველად ვხედავ... მომწონს მისი ნაკვთები. კმაყოფილებით მეღიმება. ტანსაცმლის კარადა გამოვხსენი... ყველაფერი გამოვყარე და გულდასმით ვარჩევ, რა ჩავიცვა...

ჩემს მუქი ფერის თმას თითებით ვეხები: შეკრული დავიტოვო თუ მხრებზე ჩამოვიშალო? უცბადე შიში მიპყრობს. დაჯერებულობას ვკარგავ და საგონებელს ვეძლევ. მაშინვე დავურეკე, უსიამო აზრები რომ გამეფანტა. მასაც არ ეძინა... იქნებ ისიც ჩემს დღეშია... აკანკალებული ხმით ვუთხარი:

– ველავ.

– რატომ?

– რომ არ მოგეწონო?

– ათასჯერ მითქვამს შენთვის, რომ სულის ტრფიალი ვარ და სხვა არაფერი მაინტერესებს.

შეება ვიგრძენი. სარკმელი გამოვადე, რომ გაზაფხულის სიო ჩავისუნთქო. რიჟრაჟი რუხი ფერის სამოსში ეხვევა. აქა-იქ ღრუბლები დაცურავენ. სხეული მომეთენთა,

მერე აფორიაქებული სულიც და... ძილი მომერია. დილით უფრო იმედინად და ხალისიანად ვიგრძენი თავი. სწრაფად გადავიცვი; წვრილმანებზე აღარ გამიმახვილებია ყურადღება. დათქმულ დროზე ცოტა ადრე მივედი დანიშნულ ადგილას. ძალიან მინდოდა ჯერ მე შემეველო თვალი... მოშორებით გავჩერდი და გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი ქუჩას.

ცრიდა და დამატრობელ სურნელს ვგრძნობდი. ათობით სახემ ჩამიარა. დაძაბულობისაგან თვალეები დამელაღლა. მოულოდნელად სირცხვილისა და მღელვარების განცდა დამეუფლა. მომეჩვენა, რომ ვილაცები თვალს მადვენებენ, ჩურჩულებენ და ჩემკენ თითს იშვერენ. გაქცევა რომ დავაპირე, ისიც გამოჩნდა, ზუსტად დათქმულ დრო-

ზე. ჩაცმულობით ვიცანი. მეხდაცემულივით ადგილს მიველურსმე გაცობისაგან. ერთხანს ასე ვიდექი... გონს რომ მოვეგე, მძიმე ნაბიჯებით გადავჭერი ქუჩა და შუაგულ ტროტუარზე გავჩერდი, რომ ყურადღებით შემეხედა. ლამაზი იყო, ნათელი პირისახის. თავისი ოცი წლის ასაკისათვის შესაფერი სიამაყით იდგა და ქუჩას გაჰყურებდა ოცნების ქალიშვილის ძებნაში. მოულოდნელად ვილაც გოგონას ფეხდაფეხ გაედევნა. მე კი არითმეტიკული ანგარიშით ვარ დაკავებული. პასუხი თექვსმეტი წელია – სხვაობა ჩემსა და მის ასაკს შორის.

არაბულიდან თარგმნა  
იზოლდა ბრძელიძე

წუთები და წლები

როსტომ ჩხეიძე

უხმოვნო  
დაქარაგმება

\*

რამდენიმე გაელვებითა  
და  
უპაილოვოდ

მაშინ ეს ჩემი მიგნება მეგონა.

და მიკვირდა, რატომ არ მიექცია არავის ყურადღება, როდესაც ასე თვალშისაცემი იყო ყველაფერი, და მეტად დამაფიქრებელი შემდგომი ძიებისთვისაც.

არა, ყურადღება კი მიექციათ, მაგრამ სულ სხვაგვარად ახსნიდნენ და უნებურად მთავარი მოტივი გამოორჩებოდათ.

1977 წელს „ჭილ-ეტრატის იადგარს“ რომ გამოსცემდნენ აკაკი შანიძე, არამ მარტიროსოვი და ალექსანდრე ჯიშიაშვილი, VII-VIII საუკუნეების საგალობელთა კრებულს და გადანერილს იერუსალიმში არაუგვიანეს XI საუკუნისა, და გამოკვლევასაც დაურთავდნენ, არამ მარტიროსოვი ნარკვევში „ტექსტის გამოცემისათვის“ დასაწყისშივე, სიტყვათა შემოკლებისა და დაქარაგმების წესსა და თავისებურებაზე რომ ჩამოაგდებდა მსჯელობას, თვალსაჩინოებისათვის მთლიანად დაიმონებდა ოცსტრიქონიანი გვერდის ნიმუშს, რათა მკითხველისათვის ცხადი გაეხადა, თუ რაოდენ საინტერესო გახლდათ ეს საგალობელი და საერთოდ იადგარი დაქარაგმების მხრივ.

განსაკუთრებულიაო, – ამ გამოთქმას მოიშველიებდა და ჩამოთვლიდა, რომ შემდგენელ-გადამწერთ დაქარაგმებინათ არამარტო კავშირები და ზმნიზედები, ნაცვალსახელები, თანდებულები თუ ზმნისნივები, არამედ თითქმის ყველა სიტყვა.

ამისთცა მოილო გრგნი  
მღნზჲ მსთა მხბთა მ.ი. იგივე:  
ლტვსა რლნი სრლმთგ ოვ -  
მეცრებისათა ივხსნნ და წნამ-  
ორბედისა მიერ ოქდგე სსფვლი  
ცთჲ ღრს მყვნ ჩნცა შსლვდ  
მს შნა მსთა მხბთა ვა მწყლე ხრ.ი.  
რი აგლთა მოქლქბთა ქყნსა  
ზა იქცოდა და სღმრთოსა რჩ-  
ოვლისა სმრთლსა ამხლბ-  
და მფთა დლს მეკთა თვი  
სპყრბლსა შნა და პყრბლთა  
ჯჯხთსათა ეონყა გნთვსოვ-  
ფლებჲა და მხ არს დცხრმლდ  
სლთა ჩნთათს.ი. კრხლრსა.ი.  
რნ ბბლნს ცრი გრდამოოვ-  
ლინე და დლს ჯჯხთსა მყფთა  
ახრე ადგმე ვა ცრი კოვრ-  
ნებისაჲ წმმრბდსა შნისა მ-  
იერ კრთხლ ხრ შნ ოო.

ხელნაწერის ამ გვერდზე სულ 73 სიტყვაა გამოყენებული, აქედან 67 ქარაგმიანია, 6 კი უქარაგმოო, – დასძენდა და განმარტებით კი ასე ახსნიდა:

„ეს თავისებურება გამოწვეული უნდა იყოს როგორც ძნელად საშოვნელი სანერი მასალის – ჭილისა და ეტრატის სიმცირით, ისე თვით საგალობელთა შინაარსით, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სათანადო პირებს მეტწილად ზეპირად უნდა სცოდნოდათ“.

რაკილა თავისებურებაზე მსჯელობა ამ განმარტებით ამოწურა, ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილ ტერმინებს მოიხმობდა 1926 წელს გამოცემული მონოგრაფიიდან „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ და აღნიშნავდა, რომ ამ ძეგლში ძირითადად გამოყენებინათ ასეთი სახის შემოკლებანი: მ ხ ო ლ ა ს ო - ი ა ნ ი, როცა ინერება სიტყვის მხოლოდ დასაწყისი ასო; შ უ ა შ ე კ ვ ე ც ი ლ ო ბ ი თ ი, როცა წარმოდგენილია დასაწყისი და დასასრული ასოები ან მარცვლები; და

უხმოვნო, როცა შემოკლებული მხოლოდ ხმოვნები.

აგერ „უხმოვნო დაქარაგმება“ საგანგებო ტერმინადაც კი შემოულიათ ამ გვერდის ხელნაწერის თავისებურების გამორჩევა-ანალიზისას, მაგრამ რატომ აღარ მიდიოდნენ უფრო შორს და ახსნა აქ რატომ წყდებოდა? – ძნელად საშოვნო მასალაო და საგალობელნი ზეპირად უნდა სცოდნოდათო.

ეს მიზეზებიც რომ იყოს გამომწვევი, რა გასაკვირია, მაგრამ უხმოვნო დაქარაგმების წესი ძალდაუტანებლად უნდა გვახსენებდეს სემიტურ ენებს – მათ შორის ებრაულსა და არაბულს – სადაც წერისას ხმოვნები არ აღინიშნება.

საფიქრებელი იყო, კრებულის შემდგენელთ თვითონ კი არ მოეგონებინათ უხმოვნო დაქარაგმების ეს წესი, არამედ სწორედაც სემიტურ ენათა გამოცდილება-თავისებურებასაც ითვალისწინებდნენ და მათ თარგმე აეგოთ ის გვერდი.

თავისებურ ექსპერიმენტად მოჩანდა, რათა შემოწმების საშუალება ჰქონოდათ, გაამართლებდა თუ არა.

ნეტა სხვა ძეგლებსა და ტექსტებშიც თუ მეორდება ასეთი რამ?

ან მანამდე, ან მას შემდეგ?

თუნდ სახელდახელოდ მოფიქრებული და ორიოდ ან სულაც ერთი გვერდიც აღმოჩენილიყო ამ ყაიდაზე დაქარაგმებული, განა საინტერესო არ იქნებოდა ამ მიმართულებით ძიების გაგრძელება და გარკვეული დასკვნების გამოტანაც?

რაკილა ქრისტიანულ საგალობელთა კრებულია, თითქოს უფრო მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ ებრაული ენა გაეთვალისწინებინათ, მაგრამ ის დიდი ზეგავლენა, რაც იმ საუკუნეებში მოეხდინა არაბულ ენას ქართულ სასაუბრო მეტყველებასა და მნიგნობრულ ენაზე, განა არ შეიძლება აქაც გადმოვდენოდა?

გიორგი წერეთლის „არაბულ-ქართულ ლექსიკონში“ საკმაოადა აღნუსხული არაბულიდან ნასესხები სიტყვები, მაგრამ ის მაინც შემოსაზღვრულია არაბული ქრესტომათიის ლექსიკით. ამიტომაც საშურია, ერთი ისეთი მეცნიერული ნაშრომი შედგეს, სადაც თითქმის სრულად მოიყრის თავს არაბულიდან ქართულში დამკვიდრებული სიტყვები და ტერმინები, თუმცა რაც ხელთ გვაქვს, გარკვეულ წარმოდგენას ისიც გვიქმნის.

ყოველ შემთხვევაში, მაშინ გიორგი წერეთლის მიერ გამორკვეულ-თავმოყრილი ეს ნასესხობანიც შემავალიანება, რათა „ჭილ-ეტრატის იადგარის“ ამ უჩვეულოდ დაქარაგმებულ ჰიმნში არაბული დამწერლობის შესაძლო გავლენა დამენახა და ამ მიმართულებით კვლევისათვის თვითონვე მომეკიდა ხელი.

და კიდევ ჩავუჯდებოდი ძველი ქართული ძეგლების შესწავლას უშუალოდ ამ მიზნით.

მანამდე უკვე გულდასმით მქონდა გადათვალთვრებული ჩვენი ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის, საისტორიო მწერლობის გამოცემებიც, ქართული პარონომაზიის თავისებურებებს რომ ვიკვლევდი, და იმდენი წიგნი მეყარა თავზე, ძველთან ერთად ახალი და უახლესი ლიტერატურული ქმნილებანი, მეგონა, ვეღარც გავალწევდი ამ ტევრს.

ეს ის დროა ჩემს სტუდენტურ ცხოვრებაში, როდესაც ენათმეცნიერებით უფრო ვიყავი გატაცებული და პარონომაზიის (ეს იმ ყაიდის სიტყვათმეთანხმებაა: გაკეთებით გააკეთა, ნასვლით წავიდა, თქმით უთხრა) შესწავლაც ამ გატაცებას გამოეწვია.

ეტიმოლოგიებიც ძალიან მაინტერესებდა – ვთქვით, ამირანის სახელის ეტიმოლოგიასაც ვუკირკიტებდი და პირვანდელი ფორმის აღდგენას ვლამობდი. თანმიმდევრობის „და“ კავშირსაც შევუდარებდი ერთმანეთს ებრაულსა და ქართულ ენებში და სემიტური ენის გავლენაზე მეტად ამ მხრივ ქართულის თავისებურების გამორჩევას ვცდილობდი. თუმც გავლენის კვალი თვალნათლივი გახლდათ და ამის უარყოფა არც მიცდია, ოღონდ ნიუანსებსაც რომ სჭირდება მიგნება.

ამ მოხსენებას ჭიათურაში გამართულ აღმოსავლეთ-მცოდნეთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხავდი 1980 წელს. კონფერენცია გიორგი წერეთლის ხსოვნას ეძღვნებოდა, ორ წელიწადს ზედიზედ გაიმართებოდა, თვალსაჩინო და აღიარებული აღმოსავლეთმცოდნენი მონაწილეობდნენ და სტუდენტებიდან წინა წელს მხოლოდ მათა ჭელიძე წავიკითხავდა მოხსენებას, ჩემი თანაკურსელიც, თანაჯგუფელიც (სულ სამნი ვიყავით!) და მთელი ფაკულტეტის დამამშვენებელიც. ამჯერად კი თქვენი მონა-მორჩილი ისაუბრებდა ქართულ-ებრაულ ენობრივ ურთიერთობის ერთ დეტალზე.

აღმოსავლეთმცოდნეთა ლენინგრადის სკოლა განთქმული კი ვახლდათ, მაგრამ, ეტყობა, ერთგვარ დაქვეითებას განიცდიდნენ, ამიტომ ყველგან დაეძებდნენ მონდომებულ ახალგაზრდებს და წინა წელს მათზე სთხოვდნენ კოტე წერეთელს, იქნებ ასპირანტურის კურსი ჩვენთან გაიაროს და მის სამსახურზეც ჩვენვე ვიზრუნებოთ, ახლა კი – ჩემზე.

ვერ შეველევიო, – მტკიცე ვახლდათ კოტე წერეთლის პასუხი, თუმც დამალვით არცერთს არ დაგვიმალავდა: თქვენ იქნებ იქ გერჩივით და მაშინ, ცხადია, ხელს აღარ შეგიშლითო.

მგონი ხელიდან მისხლტება თხრობის ძაფი და მეშუარულ ჩანანერს ემგვანება თუმც იქნებ ასეც სჯობდეს და სხვა დროს უფრო ხელსაყრელი საშუალება აღარც მომეცეს ზოგიერთი გარემოებისა თუ დეტალის გასახსენებლად.

ჯერ მარტო კოტე წერეთლის სახელი რომ მოჰყვა კალამს, და არა შემთხვევით, არამედ იმ ღრმა კანონზომიერებით ჩემს თვალში ეს პიროვნება მეცნიერისა და მეცნიერების თავისებურ სიმბოლოდ რომ წარმოდგებოდა – განსწავლულობით, შრომისმოყვარეობით, კეთილშობილებითა და ახალგაზრდებისადმი იმ მზრუნველობით, რაც, სამწუხაროდ, ასე უჩვეულოა ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში.

მეორე კურსზე პარონომაზიის თემაზე შექმნილ მოხსენებას რომ წავიკითხავდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე (1978 წლის გაზაფხულია), ძალიან აღელდებოდნენ ლექტორები და ისეთი გაგულისებით მომდგებოდნენ აქეთ-იქიდან, თითქოს სტუდენტს კი არა, იმ მეცნიერს ეპაექრებოდნენ, რომლის დამხობა და გაძევებაც განუზრახათ. და ყოველი მათგანის აღშფოთების

ქვაკუთხედი ეს გახლდათ – კოტე წერეთელმა ხომ ეჭვმე-  
უვალად დაამტკიცა თავის დროზე პარონომაზიული მოვ-  
ლენის ბიბლიური წარმომავლობა ქართულ წერილობით  
ძეგლებში და ეს კი რა უფლებით უარყოფს მის დასკვნებს  
და საერთოდ, როგორ უბედავს კამათს მსოფლიო რანგის  
მეცნიერს, თვითონ რა გაუკეთებიაო.

წამოდგებოდა კოტე წერეთელი.

დარბაზი გაისუსებოდა.

მის სიტყვას უნდა გადაეწყვიტა არამარტო ჩემი ბედი,  
არამედ ზოგადი გეზი ახალგაზრდობასთან ურთიერთო-  
ბისას.

დგას და ნათელი გადასდის სახეზე. ამის თამაში ყოვ-  
ლად შეუძლებელია, კეთილშობილი კაცის იერს მოირგებ,  
მაგრამ ნათელს ვერ გამოიხვევ.

– მარტო კი არ მიხარია, მეამაყებო, – ამბობს უშურ-  
ველი კაცის სილალით, – ამისთვის ვცდილობთ, ამისთვის  
ვიკლავთ თავს, რომ თამამად გადაფასდეს დადგენილი  
შეხედულებანი, ბოლოსდაბოლოს, მეცნიერება ესაა, რომ  
სულ სიახლე ტრიალებდეს, ხელახლა მოწმდებოდეს, ზუს-  
ტდებოდეს, ბათილდებოდეს ანდა სალი მარცვალი ღივ-  
დებოდეს და ახლებურ სიცოცხლეს იწყებდესო.

ეს გახლდათ მთავარი შინაარსი მისი გამოსვლისა, რო-  
მელსაც იმით დააბოლოვებდა: ეს მოხსენება აუცილებ-  
ლად უნდა გამოქვეყნდესო.

ჩვენც მაგას არ ვამბობდითო? – აქეთ-იქიდან წამოი-  
ძახებდნენ.

მთლად ამას არა...

დაბეჭდვით მართლაც დაიბეჭდებოდა „პარონომაზი-  
ის საკითხისათვის ქართულში“, ოღონდ მოგვიანებით,  
უნივერსიტეტიც რომ დამთავრებული მექნებოდა და აღ-  
მოსავლეთმცოდნეობასაც გამოვეთხოვებოდი – ჯერ  
ჟურნალ „განთიადის“ ფურცლებზე, მერე ჩემი წერილე-  
ბის, პორტრეტებისა და ესეების კრებულშიც („ბილიკე-  
ბი“) განმეორდებოდა.

გამოქვეყნებით იმხანად მხოლოდ მცირე სტატიას გა-  
მოვაქვეყნებდი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურ-  
ცლებზე, 1978 წლის 20 ოქტომბრის ნომერში – „არტოშა-  
ნი თუ ატროშანი?“ და ჩემი დებიუტი ამით შედგებოდა.  
„შუშანიკის წამების“ გამოცემას აპირებდნენ საიუბილე-  
ოდ – ამ ძეგლის შექმნის 1 500 წლისთავზე, და ამასთან  
დაკავშირებით შევახსენებდი მკვლევარებსაც და გამომ-  
ცემლებსაც, რომ ნულა იქნებოდა სიჭრელე და ზოგან  
„არტოშანი“ ნუ ჩაიბეჭდებოდა ტექსტებში და ზოგანაც  
„ატროშანი“, და გაეთვალისწინებინათ ივანე ჯავახიშვი-  
ლის თვალსაზრისი, „არტოშანს“ მცდარ ფორმად რომ მი-  
იჩნევდა და გადაჭრით უჭერდა მხარს „ატროშანს“, მომ-  
დინარეს ცეცხლის ფალაური სახელწოდებიდან.

ძიებას ჩემთვის კიდევ ვაგრძელებდი ამ სახელწოდე-  
ბისა და ფორმის ირგვლივ, „ითრუჯანსაც“ ვუკვირდებო-  
დი, კორნელი კეკელიძის გამოკვლევასაც სულ ხელში  
ვატრიალებდი და ვასილ ბარნოვის ქართულ ღვთაებათა  
პანთეონსაც შევისწავლიდი ამ კუთხით, მაგრამ სტატია  
მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ ივანე ჯავახიშ-  
ვილის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მეო-  
რე თავის („ქართული წარმართობა“) ის პასაჟი ხელახლა  
გახშიანებულიყო სამეცნიერო მიმოქცევაში.

დრო გადიოდა, ენათმეცნიერებაში გავხლართულიყა-  
ვი და მწერალთა გაზეთისათვის შესაფერისი ველარაფე-  
რი შემერჩია. და ვახტანგ ჭელიძე, მაშინდელი რედაქტო-  
რი, მამაჩემთან რომ დარეკავდა და ჯერ მე შევხვდებოდი  
ტელეფონზე, სულ მეხუმრებოდა: რას აპირებ, აღარაფე-  
რი მოგაქვს? მოენატრე მკითხველსო.

და, აი, „ჭილ-ეტრატის იადგარის“ უხმოვნო დაქარაგ-  
მება სწორედაც ის შესაფერისი თემა უნდა ყოფილიყო,  
„მკითხველის მონატრება“ რომ უნდა დაემოშინებინა, და  
კიდევ ერთხელ ჩავეფლობოდი, ამჯერად უფრო მაინც სა-  
სულიერო საგალობელთა ზღვაში, და ვეძებდი იმ კიდევ  
ერთ ნიმუშს, სტატიის შექმნასაც რომ გაამართლებდა და  
ახალ პერსპექტივასაც გახსნიდა სემიტურ-ქართულ, უფ-  
რო მეტად არაბულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს  
შორის.

ძებნა-ჩხრეკისას ივანე ჯავახიშვილის „ქართულ  
დამწერლობათმცოდნეობასაც“ ჩავავლებდი თვალს,  
ისეთი საგულისხმო იქ თითქოს აღარაფერი უნდა წე-  
რებულიყო, რაკილა არც არამე მარტიროსოვი და არც  
აკაკი შანიძე არ მიიჩნევდნენ დამონმების ღირსად,  
მაგრამ მენახა მაინც პირველწყარო, სხვა თუ არაფერი,  
თავისებურ ბიძგად გამომადგებოდა ამ პასაჟის შემონ-  
მება, რათა მთელს მონოგრაფიასაც გულდასმით გავ-  
ცნობოდი.

„რადგანაც დაქარაგმების პრინციპი სიტყვის უხმოვ-  
ნოდ დაწერაზეა დამყარებული, ამიტომ ასეთ წესს შეიძ-  
ლება „უ ხ მ ო ვ ნ ო დ ა ქ ა რ ა გ მ ე ბ ა“ ვუწოდოთ“.

ეს ხომ ისედაც ვიცი, მაგრამ ეს რაღაა?

„ეს სისტემა, უეჭველია, სემიანთა დამწერლობის მიმ-  
ბაძველობას წარმოადგენს, რადგან ებრაულად, ასურუ-  
ლად და არაბულად წერის დროს ხმოვნები არ აღინიშნება  
და სემიანთა ანბანებში ხმოვნებისათვის ასოები არც კი  
არსებობს“.

თანაც ფრთხილ ვარაუდად კი არ გამოითქმის, ჩვენს  
სახელოვან ისტორიკოსს არც ეეჭვება, სემიანთა დამწერ-  
ლობის მიმბაძველობის ნიმუში რომ უპყრია ხელთ.

ესეც შენი მიგნება!

თურმე 1926 წელს უკვე ცნობილი ყოფილა მეცნიერე-  
ბისათვის, რაც – მიყრუების გამო ჩემი მიხვედრა მეგონა  
და ახლა, ნირნამხდარი, ისე შევუშვებდი ხელს სხვა უხ-  
მოვნოდ დაქარაგმებული ტექსტისა თუ ტექსტების ძებ-  
ნას, თითქოს ამგვარი კვლევა საერთოდაც ზედმეტი გამ-  
ხდარიყოს.

დაე შევსებულიყო კიდევ სხვა ნიმუშებითაც დაქარაგ-  
მების ეს სახეობა.

რომელი საუკუნეებით დათარიღდებოდა, ხომ ჰქონდა  
მნიშვნელობა.

ამ გარემოებას იქნებ იმ სემიტური ენის სათავეც უფ-  
რო მკაფიოდ წარმოეჩინა: ებრაულ დამწერლობას შთაე-  
გონებინა „ჭილ-ეტრატის იადგარის“ შემდგენელნი თუ  
არაბულს.

თუ არცერთი მსგავსი ტექსტი აღარ აღმოჩნდებოდა,  
ჭილ-ეტრატის იადგარის იმ საგალობლის სამეცნიერო  
ღირებულება იმ მხრივ იქნებოდა მნიშვნელოვანი, რომ  
წარუმატებელი ექსპერიმენტის ერთადერთ დადასტურე-  
ბად შემოგვრჩენოდა.

ნამდვილად არა ღირდა ხელის აღება, მაგრამ მაშინ კი მივაგდებდი ცალკეულ ჩანიშვნებსა თუ ჩანაწერებს და იმასაც აღარ მოვიხდომებდი, ხელახლა შემომეტანა სამეცნიერო მიმოქცევაში ივანე ჯავახიშვილის ეს მიჩქმალული თვალსაზრისი.

იმ მცირე სტატიის, არტომან-ატრომანზე, კომპოზიციური ქარგის განმეორება გამოდიოდა?

რა შავდებოდა ნეტა!..

რაც არის, ეს არის, მე გამოსხნილვარ და, თუკი ვინმე მოინადინებს ივანე ჯავახიშვილის იმ დაკვირვების ახლა მაინც წამოწევასა და კვლევის შემდგომი პერსპექტივის გათვალისწინებასაც, ღმერთმა ხელი მოუშაროს.

მოენატრე მკითხველსო...

ხშირად ვიმეორებ ხოლმე ამ ფრაზას, ისევე, როგორც ვახტანგ ჭელიძის სხვა ხუმრობანარევი გამოთქმებსა თუ ხმის ინტონაციას, რათა ცოცხლად, ხელშესახებად შევიწინარწუნო მისი სახეა.

მაშინ კი, უხმოვნო დაქარაგმების მიგნება რომ ჩამივარდებოდა, მეორე პუბლიკაცია „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ტომას სტერნზ ელიოტის ესეი აღმოჩნდებოდა – „ულისე“: მითი და წესრიგი“, პაატა ჩხეიძესთან ერთად გადმოღებული ქართულად, და მომდევნოც უკვე ამ ინტერესთა გაგრძელება „საუბარი ფოლკნერთან უესტ პოინტში“.

მერამდენედ გადავიკითხავდი ტომას ვულფის ესეისაც „ღვთის ანაბარა კაცი“ (ქართულ ვერსიაში „მონოლოგი მარტოსულისა“ დაერქმეოდა) და ვნატრობდი, ოდესმე მეც ასე ღრმად გამეაზრებინა ბიბლია.

ერიჰაა!..

გამისხლტა და ეგაა თხრობის ძაფი და „ჭილ-ეტრატის იადგარის“ ერთი სასულიერო ჰიმნის ქარაგმული იერის გახსენება სულაც მემუარულ ჩანაწერად გადაამექცა.

თუმცა, ვინ იცის, ასე უფრო სჯობდა და კალამმა ჩემზე უკეთ გაიგნო თავისი გზა.

კინო

წინო დოლიძე

სამოთხე ახლა

24 თებერვალს კინოთეატრ „ქოლგაში“ შედგა პალესტინელი რეჟისორის ჰანი აბუ ასადის ფილმის „სამოთხე ახლა“ (ალ-ჯანა ალ-ან) ჩვენება. არაბულენოვან ფილმს ინგლისური სუბტიტრებით საკმაოდ მცირერიცხოვანი მაყურებელი ჰყავდა. არადა სურათმა ბერლინის 55-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო ევროპული ფილმის სახელი, მაყურებლის ჯილდო, მოგვიანებით კი ოქროს გლობუსიც დაიმსახურა. უნდა ითქვას, რომ „სამოთხე ახლა“ ხაზგასმით არაევროპულია. თუმც მის დაფინანსებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია. ის პალესტინას ეხება. მოქმედება ნაბლუსში ვითარდება. ეს არის ოკუპირებული ტერიტორია თოფიანი ჯარისკაცებით, დაპატიმრებებით, მკვლელობებით, ყუმბარების აფეთქებებით, ახალგაზრდების უპერსპექტივო, ღირსებააყრილი და სიამაყეაყრილი ყოფით. გამოყოფილია უფრო ფსიქოლოგიური, ვიდრე პოლიტიკური მიზეზები, რის გამოც ორი ახალგაზრდა, ბავშვობის მეგობრები საიდი და ხალიდი, რომლებიც დევნილთა ბანაკში მანქანის ხელოსნებად (იავ მუშახელად) მუშაობენ, შაჰიდობაზე თანხმდებიან. მეტიც, ისინი ელოდნენ ამ მომენტს. ფილმი ამ ადამიანების მიერ თავის აფეთქებამდე სიცოცხლის ბოლო ორმოცდარვა საათს ასახავს, ანუ იმას, თუ როგორ უნდა გადააქციონ ორი ჩვეულებრივი ახალგაზრდა თვითმკვლელებად. თავიდან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მსხვერპლს სწორავენ უკეთესი მომავლისათვის, მაგრამ ნელ-ნელა ეჭვი შეაქვთ თავიანთი საქციელის სისწორეში. ბოლო მომენტში ხალიდი გადაიფიქრებს ამ ნაბიჯის გადადგმას. და თუ საიდი მაინც იკლავს თავს, ამკარაა, რომ ეს არ არის თავგანწირვა რა-

ლაცისთვის ან ვიღაცისთვის. ეს სასონარკვეთილი ადამიანის თვითმკვლელობაა. ეს არის იმ ახალგაზრდის „მსხვერპლშენივან“, რომელსაც სიკვდილი კი არ სწყურია, არამედ უბრალოდ ამქვეყნად ცხოვრება აღარ უნდა. ფილმში, რომლის გადაღებაც ფაქტობრივად ომის პირობებში მიმდინარეობდა, პოლიტიკას ყველაზე ნაკლები ადგილი უკავია. საიდი ტოვებს შეყვარებულსაც – სუჰას, რომლის მამა მოკლეს, როგორც გმირი. ამიტომ ის ევროპაში აღიზარდა. სუჰა თავის საკუთარი ოჯახის მაგალითზე ხედავს, რომ უაზრობაა ეს ყოველივე და ცდილობს, დაარწმუნოს საიდი და ხალიდი, რომ ისინი სისულელეს სჩადიან. არის თუ არა გამართლებული ოკუპანტებთან დაპირისპირების ეს ფორმა? რა შედეგს მოიტანს მათ მიერ გაღებული მსხვერპლი? მაგრამ განა არსებობს სხვა გამოსავალი? მხოლოდ სიკვდილს შეუძლია საიდის დამსხვრეული სულის დაკმაყოფილება. გზად თელ ავივისკენ, რომელში შესვლის უფლებაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდნენ და სადაც მხოლოდ სიკვდილის წინ აღმოჩნდებიან, რათა სამხედროებით სავსე ადგილას აიფეთქონ თავი, ისინი ეკითხებიან „ოპერაციის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, უსახელო პალესტინური ორგანიზაციის წარმომადგენელს: „რა მოხდება ოპერაციის შემდეგ?“ „ორი ანგელოზი ჩამოვა და ზეცად აგიყვანთ. აი, ნახავთ.“ – არის პასუხი. ამ დროს კი მანქანის ფანჯრიდან მზის ჩასვლის საოცრად ლამაზი პეიზაჟი იშლება. ხალიდსა და საიდს სიცოცხლის სანაცვლოდ სამოთხეს პირდებიან. ორი მეგობრის გაყრის შემდეგ ერთ-ერთი იღუპება, მაგრამ ორივე რაღაც ფორმით კვდება და რაღაც ფორმით განაგრძობს სიცოცხლეს.

ოთხმოცკაციან სამუშაო ჯგუფს ძალიან რთულ, საომარ ვითარებაში, ფაქტიურად ალყაშემორტყმულ ქალაქში უხდებოდა ფილმზე მუშაობა, მაგრამ რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, ეს ფილმი უნდა ყოფილიყო გადაღებული. აქ არ არის საუბარი იმაზე, თუ რამდენად ფასეულია თავის მოკვლის ოპერაცია ან რამდენად ლეგიტიმურია წინააღმდეგობის განევის ეს ფორმა. რეჟისორი აცხა-

დებს, რომ მისი მიზანი იყო მაქსიმალურად ზუსტად აესახა პალესტინის უღიმღამო სინამდვილე, ის უსასოო, დამცირებული ყოფა, რომელიც ახალგაზრდა, შეყვარებულ ადამიანს სიკვდილს გადააწყვეტინებს. თუნდაც ის მომენტი რად ღირს, როცა ფოტოგრაფი ეხვეწება საიდს, რომ სურათის გადაღებისას გაიღიმოს. ის არ იღიმება, თუ ვერ იღიმება. ნაბლუსში არსებული მტკივნეული რეალობის ასეთმა პირუთვნელმა ასახვამ ზოგიერთი პალესტინელის უკმაყოფილება გამოიწვია მსოფლიოს თვალში პა-

ლესტინელთა იმიჯის შებღალვის გამო. დასავლეთ ევროპის კინოთეატრებში გამართული ჩვენებებიდან ზოგ შემთხვევაში დარბაზს ტოვებდნენ, ზოგ შემთხვევაში კი ამბობდნენ, რომ მეორედ აღარასოდეს მოუბრუნდებოდნენ ამ ფილმს. ევროპელები თანაუგრძნობენ პალესტინელებს, მაგრამ უკვე დაიღალნენ ამ კონფლიქტით. ამერიკელთა დიდ ნაწილს კი დღემდე ჰგონია, რომ პალესტინური თვითმკვლელობის მოტივაცია მხოლოდ და მხოლოდ მუსლიმურ რელიგიაშია საძიებელი.

დაუპიწყარი სახელაპი

გიორგი ლობჯანიძე

# რჩეული წვეულთა შორის

თინა მარგველაშვილი შარშან იმ დროს გარდაიცვალა, როცა მე საქართველოში არ ვიყავი და ეს სამწუხარო ამბავი შორეული მოგზაურობისას შევიტყვე. თითქოს ამით უკანასკნელად იზრუნა ჩემზე და რალაცნაირად გამიადვილა თავისი წასვლა, რადგან, რაკი დაკრძალვას არ დავსწრებოვარ, დღემდე მგონია, რომ ისევ სუნთქავს ჩვენი ქალაქის რომელიღაც უბანში და მალე უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის კარსაც შემოაღებს.

არადა, ბოლო ათი წელიწადი შინიდან აღარ გამოსულა. მრავალწლიანმა უმძიმესმა შრომამ ერთბაშად გატეხა და გარდაცვალებამდე კარგახნით ადრე საწოლს მიაჯაჭვა. ამ ამბავს თითქოს ყველა ჩვენგანი მის აუცილებელ დასასრულთან უნდა შეეგუებინა, მაგრამ ქალბატონი თინა ბოლომდე სიცოცხლის ისეთ ხალისსა და გადამდებ ენერჯიას ინარჩუნებდა, რომ გვეგონა, მალე ისევ ფეხზე დადგებოდა და ჩვეული გატაცებით მიუბრუნდებოდა საყვარელ საქმეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე თითქმის ყველა თინა მარგველაშვილის მონაფეხი ვიყავით. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ასწავლიდა არაბულ ენასა და ლიტერატურას და, თუ დღემდე ეს დარგი ჩვენში მსოფლიო ავტორიტეტსა და მეცნიერულ დონეს ინარჩუნებს, ეს აკადემიკოს გიორგი წერეთლისა და პროფესორ ალექსი ლეკიაშვილის შემდგომ, რა თქმა უნდა, თინა მარგველაშვილის უდიდესი დამსახურებაცაა.

გასაკვირია, რომ თინა მარგველაშვილს სადოქტორო დისერტაცია არ დაუცავს. მისი საკანდიდატო ნაშრომი „ჩრდილოკავკასიის არაბულენოვანი წარწერები“ თავის დროზე ნამდვილი მოვლენა იყო და დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა. სადოქტოროზე კი არ უზრუნია და ალბათ იმ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, რაც დღევანდელ საქართველოში ასე უცნაურად გაგვიიშვიათდა. ქალბატონი თინა

სხვა სკოლაგამოვლილი ადამიანი ბრძანდებოდა და ამიტომაც ყველას, უპირველესად კი საკუთარ თავს განსხვავებულ, ძალზე მაღალ მოთხოვნებს უყენებდა. მაგრამ ეს არ იყო პრეტენზია. ეს იყო რწმენა ადამიანის შესაძლებლობებისა, რომელსაც კეთილსინდისიერი შრომითა და მეცადინეობით ბევრი დაბრკოლების გადალახვა, უამრავი ღირებულის შექმნა შეუძლია. ამიტომაც ქებით არც შენ არასოდეს გაგანებიერებდა და თავისთავზე ხომ ყოვლად გამორიცხული იყო, სიტყვა დასცდენოდა.

სისადავეს პირველ რიგში ჩაცმისას ამჟღავნებდა. სულ თალხი, უბრალო კაბით მახსოვს, გაცრეცილი ფეხსაცმლითა და შავი ფერის ჩანთით, რომელშიც სტუდენტთათვის დასარიგებელი წიგნები, საკონტროლო რვეულები და ათასფერი კალმები ეწყო. ერთი შეხედვით ვერც კი იფიქრებდით, თუ თქვენ წინ ქართული არაბისტიკის დედაბოძი იდგა.

მისი სიმკაცრის ამბავი სტუდენტობის პირველივე დღეებიდანვე გავიგე. ჩემი სპარსულის მასწავლებელი ბატონი კარლო ტაბატაძე, რომლის რჩევითაც, სხვათა შორის, საბუთები უნივერსიტეტში სემიტოლოგიის განყოფილებაზე შევიტანე, როცა ჩემი მოსწრებით დაინტერესდა, კარგად ვსწავლობ, მაქებენ-მეთქი, ამაყად ვუპასუხე. ბატონმა კარლომ თავისებურად, ორაზროვნად გამიღიმა და მითხრა: ქება ის იქნება, თუ თინა მარგველაშვილი შეგაქებს, მანამდე კი წიგნებს თავი დააკალი და ღრუბელივით შეისრუტე ყველაფერი, რასაც გასწავლიანო.

გარდა ამისა, სტუდენტებში მათი ლექტორების ამბავი საოცარი სისწრაფით ვრცელდება და ამიტომაც თინა მარგველაშვილის მიმართ ისეთი შიში და ზაფრა გამიჩინდა, რომ მესამე კურსზე, როცა ჩვენი ძირითადი მასწავლებელი გახდა, პირველ ლექციებზე შესვლა ვერც გავბედე.

მერე კი ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა დაიწყო. არ ვიცი, რამდენად სწორად ვიტყვი ან რამდენად სწორად გამიგებენ იმას, რასაც ვამბობ, მაგრამ ძალზე ადრე აღმოვაჩინე ერთი კანონზომიერება, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში სასწაულის როლი ითამაშა. მშობლები ბავშვობაში გარდამეცვალა და ამ ტრაგედიას ვერაფრით გავუძლებდი, უფალს ჩემთვის უკეთილშობილესი ადამიანები რომ არ მოველინა. თითქოს დანაკარგის საპირწონედ, ღმერთმა სულ ისეთ პიროვნებებთან ურთიერთობის საშუალება მომცა, ისეთი ხალხის სიყვარული მისაჩუქრა, რომ უფლება არ მქონდა, მომავლზე ხელი ჩამექნია.



თინა მანინც უფლის განსაკუთრებული საჩუქარი იყო. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ყოფილიყო ერთდროულად ძალზე მკაცრიც და სიყვარულიანიც. დავალებაც საფუძვლიანად გამოეკითხა და არც შენი სულის მოძრაობა გამოჰპარვოდა.

ერთხანს ჩემს დასთან ცვცხოვრობდი რუსთავში და იქიდან სიარული ძალიან გამიჭირდა. რამდენიმე ლექცი-აზე რომ დავაგვიანე, ქალბატონმა თინამ მიზეზი მკითხა. აღარ უსაყვედურია. ცოტა ხანში დამიბარა და მითხრა: ჩვენ დიდი ბინა გვაქვს, გადმოდი და ჩვენთან იცხოვრე. ჩემი ვაჟის ოთახის გვერდით დავაბინავებ და ლექციებსაც აღარ გააცდენო.

ქალბატონ თინასთან მაშინ საცხოვრებლად არ გადავსულვარ, მაგრამ ეს შემოთავაზებაც კი ჩემთვის ხელნიფის პალატებში დაბინავებას უდრიდა. მალე ხაშურში ბინა გავყიდე და იმ ფულით ზუსტად მთანმინდის ძირში ერთი პატარა ქოხი შევიძინე. ქალბატონი თინას სახლი კი იმ უმძიმეს ნლებში ჩემი საიმედო სულიერი თავშესაფარი გახდა.

მეხუთე კურსზე ქუჩაში ვილაცამ გადატეხილი აგური მთხლიმა. სიგარეტი მთხოვა, ჯიბეში არ აღმომაჩნდა. ის კი უკნიდან მომეპარა და თავში აგური ჩამარტყა. ხდებოდა ასეთი ალოგიკური და წარმოუდგენელი სისასტიკეები XX საუკუნის 90-იანი ნლების მოჟამულ თბილისში.

მთელი თვე ვინეკი შინ მეგობრების ანაბარა, რომლებიც ღამით მორიგეობით რჩებოდნენ ჩემთან, მაგრამ დღისით, ბუნებრივია, ყველას თავ-თავისი საქმე ჰქონდა და მთელ დღეს მარტო ყოფნა მიწევდა.

ერთხელაც ეზოს კარმა გაიჭრიალა. გიორგიო! – ვილაცამ დამიძახა და მეც ოთახიდან შინაურულად გავეპასუხე, შემოდი-მეთქი, რადგან ჩემი რომელიმე მეგობარი მეგონა. რას წარმოვიდგენდი, რომ თინა მარგველაშვილი მოვიდოდა! ჩემი ამბავი ბავშვებს მისთვის უნივერსიტეტში უთქვამთ. რომ არ მენახე, გულმა აღარ მომისვენაო. არადა, იმ დროს უკვე ფეხები აწუხებდა და ყავარჯენზე დაყრდნობილს ჩემს სახლამდე აღმართი ძლივს ამოველო. ცოტა ხანს დაისვენა, თან უნივერსიტეტის ამბებს მიყვებოდა და ჩემს გახალისებას ცდილობდა. ნასვლისას იმ თავისი შავი, გაცრეცილი ჩანთიდან მურაბიანი ქილა ამოიღო. შინ მეტი არაფერი აღმომაჩნდა, – მომიბოდიშასავით და დარცხვენილმა შემომხედა.

ვერ გეტყვით, მაშინ რა დამემართა. ჩემ თვალწინ ადამიანური სიკეთის სასწაული მოხდა და ამ სასწაულის ძალამ ძალიან მალე ფეხზე დამაყენა.

მერე და მერე, როცა ვილაცები უნივერსიტეტში კორუფციის შესახებ გაჰყვიროდნენ, ამ ბრალდებებისა მართალი გითხრათ, არასდროს მჯეროდა, რადგან ჩემთვის უნივერსიტეტი თინა მარგველაშვილი და მისი მსგავსი სპეტაკი ადამიანები იყო, მთელი მაშინდელი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, სადაც შიმშილით რომ დახოცილიყვნენ, უდიდეს მანინც არავინ არაფერს იკადრებდა. სადაც ლექტორს შინ ერთადერთი ქილა მურაბა რომ ჰქონოდა, იმასაც მშვიერ სტუდენტს გაუნანილებდა და ცოდნის გარდა მისგან არაფერს მოითხოვდა.

ქალბატონ თინაზე კი წელან რომ მოგახსენეთ, მკაცრი იყო-მეთქი, ამ სიმკაცრეს ძალზე თავისებურად ამყვლავნებდა. თუ სტუდენტს ადამიანური ურთიერთობის ანაბანისა რაიმე ესმოდა, შეუძლებელი გახლდათ მის ლექციაზე მოუმზადებლად შესვლა გაებედა. ისეთს არაფერს გეტყოდა, ყველა ვითარებაში თავისი ჩვეული „დედიკოთი“ მოგმართავდა, მაგრამ ეს „დედიკო“ იმდენადიერი ელფერით ჟღერდა, რამდენი სტუდენტიც ჰყავდა, და ვინც რა ნიუანსს დაიმსახურებდა. მაგალითად, მგონი, ერთადერთხელ, როცა ცოტა წავუცულდულტე და ფონს გასვლას უკვე ნასწავლის მეშვეობით შევეცადე, მე პირადად, ქალბატონი თინასგან ისეთი „დედიკო“ მოვისმინე, მერჩია, ერთი გემრიელი სილა შემოერტყა.

მაშინ იბნ ალ-მუჟაფას „ქალილასა და დიმნას“ გავდიოდით. ვინც არ იცის, რომ კლასიკური არაბული მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი ენაა, ხოლო ამ ენაზე შექმნილ ნიმუშებს შორის იბნ ალ-მუჟაფას „ქალილა და დიმანა“ სირთულით თითქმის ყველა ნიმუშს აღემატება, ძნელად წარმოიდგენს, რამხელა ცოდნა, გამოცდილება, ენის სტიქიის როგორი დამორჩილება სჭირდება მასწავლებელს, რომ მესამეკურსელი სტუდენტი ამ უდიდესი ნიგნის უმშვენიერეს ხლართებში გაარკვიოს.

ქალბატონი თინას ლექციები ცოდნის, პროფესიონალიზმის, საქმის სიყვარულისა და პატიოსნების იშვიათი ნიმუში იყო და ამ ლექციებზე ბოლომდე და დაუნანებლად იხარჯებოდა.

საერთოდ, უშურველობა ყველა ურთიერთობისას გამოარჩევდა. მითუმეტეს, ცოდნის გაზიარებისას თავს არ დაიზოგავდა, რომ განსაკუთრებულად რთული წესი ათასნაირად „დაეღეჭა“ და შენამდე ოპტიმალური ფორმით მოეტანა.

პედაგოგიური გამოცდილების ადამიანებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ რაიმეს საფუძვლიანად ცოდნა საგნის ასევე საფუძვლიანად სწავლების უნარს სრულეებით არ გულისხმობს. შეიძლება ადამიანმა შესანიშნავად იცოდეს რაღაც დარგი მაგრამ სხვებთან თავის ცოდნის გაზიარებისას სავსებით უილაჯო აღმოჩნდეს. ერთი სიტყვით, მასწავლებლადაც ისევე უნდა დაიბადო, როგორც პოეტად ან მეცნიერად; გამოცდილება კი ღვთითბოძებულ ნიჭს მხოლოდ გააღრმავებს, თორემ ეს ნიჭი გამოცდილებით თავისთავად ვერ შეიძინება.

თინა მარგველაშვილი მასწავლებლად იყო დაბადებული. მასალის იშვიათი წვდომის უნარი გადმოცემის ასეთივე იშვიათ უნარს ერწყმოდა და ეს ყველაფერი სტუდენტის უდიდეს სიყვარულს ეფუძნებოდა.

თინა მარგველაშვილი ასევე დაბადებული იყო დიდ მთარგმნელად. ეს რომ ლიტონი განაცხადი არაა, მის მიერ ქალბატონ ნანა ფურცელაძესთან ერთად კონგენიალურად თარგმნილი „ათას ერთი ღამეც“ დავგარნმუნებს.

ორივე მთარგმნელისაგან ხშირად მსმენია, რომ „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის წარმატება ტექსტში მათი მასწავლებლის ბატონ გიორგი წერეთლის აქტიურმა ჩარევამ განაპირობა. ეს განცხადება მე პირადად უფრო მაღლიერი მონაფეების კეთილშობილური შესტი მგონია, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ბატონმა

გიორგიმ შესანიშნავად იცოდა, ვისთვის რა დაევალებინა; ვინ როგორ ტვირთს ასწევდა და გაუძლებდა.

თინა მარგველაშვილისა და ნანა ფურცელაძის მიერ თარგმნილი „ათას ერთი ღამე“ არა უბრალოდ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების შენაძენად წარმოგვიდგება, არამედ ამ ძეგლით პრაქტიკულად განისაზღვრა არაბული ლიტერატურის ქართულად თარგმნის ზოგადი სტილისტიკა. ამ სტილისტიკაში შემოქმედებითადაა ათვისებული შუა საუკუნეების თარგმანის ტრადიცია, რომელიც სათარგმნი მასალისადმი მეცნიერულ, მეთოდურ მიდგომას სრულიად ახალ რეგისტრში გადაჰყავს.

ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა „ათას ერთი ღამის“ ქართულ თარგმანს საგანგებო წერილი მივუძღვენი, სკრუპულოზურად შევკვადრე ერთმანეთს დედნისა და თარგმანის მოზრდილი ნაწილები და გამოაცხადე ერთი მხრივ დედნისადმი ასეთმა ერთგულებამ, მეორე მხრივ კი სილამდე, რითაც ამ თარგმანის ქართულია აღბეჭდილი.

ამბობენ, თარგმანი ქალივითაა: ან უშნოა და ერთგული, ან ლამაზია და მოღალატე. ქართული „ათას ერთი ღამე“ სხვა რამეში გვარწმუნებს:

თურმე ქალებიც და თარგმანებიც შეიძლება ერთდროულად ლამაზებიც იყვნენ და ერთგულებიც.

სხვათა შორის, სიზუსტესთან დაკავშირებით ქალბატონი თინას ნაამბობიც გამახსენდა. გიორგი წერეთელი თურმე მისგან და ნანა ფურცელაძისაგან ტექსტთან მაქსიმალურ სიახლოვეს მოითხოვდა და ყველა ფრაზის თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოტანას უბეჯითებდა. კუპიურებით თარგმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაგრამ ერთხელ, როცა ქალბატონმა თინამ თავის მასწავლებელს სარედაქტოროდ წიგნის მორიგი ტომი მიუტანა, სადაც ამ ძეგლისათვის ჩვეული სკაბრები უჩვეულოდ უხვად იყო წარმოდგენილი, თვით გიორგი წერეთელიც შეწუხებულა და უთქვამს: ეგების ეს ფრაგმენტები ცოტა შეგვერბილებინა ან საერთოდაც ამოგველოო. ქალბატონ თინას გაუპროტესტებია: რას ბრძანებთ, ბატონო გიორგი, ყველაზე უკეთ მაგ ადგილების თარგმანი გამომდისო! მერე იხსენებდა: ბატონმა გიორგიმ ამ სიტყვებზე ისე შემომხედა, მერე-ლა მივხვდი, რა იაღლიშიც მომივიდა და მთელი ცხოვრება განვიცდიდი, ამის თქმა როგორ გავუბედე-მეთქიო.

ასეა იყო თუ ისე, „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანი იმ უმკაცრესი ცენზურის წლებში კუპიურების გარეშე დაიბეჭდა და ესეც პროფესიონალთათვის დამახასიათებელი პატიოსნების გამო, თორემ ან თინა მარგველაშვილის ან ნანა ფურცელაძისაგან მცირედი უხამსობის წარმოდგენაც კი ისევე გაჭირდება, როგორც,

ვთქვათ, იმავე „ათას ერთი ღამის“ წარმოდგენა სკაბრების გარეშე. თარგმნილისა და მთარგმნელის ეს პოლარული განსხვავებანი მეგობრების წრეში სახუმარო თემად იყო ქცეული და ვახუშტი კოტეტიშვილი თინა მარგველაშვილის სადღეგრძელოს ასე იტყოდა: „გაუმარჯოს საქართველოში პორნოგრაფიული ლიტერატურის დედამთავარსა და გამავრცელებელსო!“

ხუმრობის მთელი „მარილი“ რომ უკეთ გავიაზროთ, ქალბატონი ნანა ფურცელაძის ამ ცოტა ხნის წინანდელი „აღსარებაც“ მინდა გაგიმხილოთ: მთელი „ათას ერთი ღამე“ ისე ვთარგმნე, რომ წარმოდგენაც არ მქონდა, რა იყო ჰომოსექსუალიზმი და ასეთი პერსონაჟები უბრალოდ პრანჭია კაცები მეგონაო.



გიორგი ლობჯანიძე, დარეჯან გარდავაძე, თინა მარგველაშვილი და ნინო ეჯიბაძე

თინა კი ასეთ „იდეურ მოუმზადებლობას“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებდა. ღვინამდე ჩასდევდა თარგმანის თითოეულ პასაჟს და თვით გიორგი წერეთელთანაც კი შეეძლო თამამად დაეჩემებინა: ყველაზე უფრო ამ მონაკვეთების თარგმნა მესხალისებაო.

იუმორისა და იმპროვიზაციის უზღვავე ნიჭი ჰქონდა და ეს ყველაფერთან დამოკიდებულებაში მუღავ-

ნდებოდა. ერთხელ თავისი „ლექსიკური გრამატიკული კომენტარები“ მათხოვა, რომელიც თავის დროზე შეიღებოსათვის ესახსოვრებინა და ყდაზე წაენერა: „ჩემს მერაბს და დათოს მათი მრავალტანჯული დედისაგან“. წლების შემდეგ მიძღვნისათვის ახალი წარწერა დაერთო: „ტანჯვა შენ მერე ნახე!“

თავიდან ამ სახალისო „მრავალტანჯულს“ მეორე წარწერა ნამდვილად ტრაგიკულ შეფერილობას აძლევდა, რადგან ის „მერე“ ქალბატონი თინასთვის უფროსი ვაჟის მერაბის გარეშე ცხოვრებას გულისხმობდა.

მერაბზე ლაპარაკს საგანგებოდ გაურბოდა, მხოლოდ ერთადერთხელ, როცა რაღაც ძალიან გამიჭირდა და რჩევისათვის ქალბატონ თინას მივაკითხე, მიაბო: მერაბის გარდაცვალების შემდეგ ყველაფრის ხალისი დამეკარგა, შინიდან წლები გარეთ ველარ გამოვედი და ადამიანებთან ლაპარაკსაც ვაჭურბოდი.

ბოლოს უნივერსიტეტიდან თავისი გაიტანეს და ლექციების გაგრძელებაზე დამიყოლიეს. ჩავიცვი, წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ ბინიდან გასასვლელ კარს ველარ მივაგენი. უმწეოდ დავბორიალებ და საკუთარ გულს ვანყდები. ბოლოს ჩემს თავს ვუთხარი: თინა, თუ ახლა ისევ სრულ ჭკუაზე ხარ, დაჯდები და კროსვორდს ამოხსნი. მართლაც, დაჯვექი და კროსვორდი ამოვხსენი.

არ ვიცი, ეგზისტენციალისტებს ამაზე მარჯვედ გამოუხატავთ თუ არა ადამიანის სასონარკვეთა და მარტო-

ბა, ქალბატონი თინა კი მიმტკიცებდა, ცხოვრებაში ლექსი არასოდეს დამიწერიასო. „ლექსში“ ალბათ რიტმით განყო-ბილ რითმას გულისხმობდა, თორემ მასზე პოეტური ადამიანი იშვიათად შეგხვდებოდათ; ადამიანი, ვისაც ასე ეს-მოდა ლექსი. თინას შენიშვნა ყოველთვის ზუსტი იყო, რადგან კანით გრძნობდა, სად ფეთქავდა ნამდვილი პოე-ზია და ერთიბენო სიყალბესაც გამოარჩევდა. ამიტომაც სტუდენტობაში ჩემს ლექსებს პირველად ქალბატონ თინას ვაკითხებდი. მასთან ურთიერთობა კი თავისთავად იყო მაღალი რეგისტრის პოეზია. ნაცნობობის დასაწყისი-დანვე მიბეჯითებდა: დედიკო, შენ უნდა თარგმნო „ქილი-ლა და დამანა“. ამისთვის საგანგებოდ მამზადებდა. ნამა-კითხა უამრავი წიგნი, დამამუშავებინა თით-

ქმის ყველა ავტორი, ვინც კი ასე თუ ისე შეჭ-ნებოდა ამ უნიკალურ ტექსტს და მომასინ-ჯვინა თარგმანის რამ-დენიმე ვარიანტი. ხო-ლო როცა საბოლოოდ ჩავუჯექი თარგმნას თეირანში, შესრულე-ბულ სამუშაოს ნაწილ-ნაწილ ვუგზავნიდი ქალბატონ თინას, რო-მელიც ტექსტს საგულ-დაგულად ასწორებდა და დედანს უდარებდა. ალაგ-ალაგ, როცა რამე არ მოეწონებოდა, ნი-თელი კალმით საგანგე-ბოდ შემომიხაზავდა, მიანერდა: კიდევ იფიქ-რეო და ზოგჯერ საკუ-თარ ვარიანტსაც მთავაზობდა. საბოლოოდ კი, მგონი, ჩემზე მეტად უხაროდა, რომ თარგმანი გამოვიდა.

ასევე ქალბატონი თინას დაჟინებით შემიყვანეს მე-სამეკურსელი სტუდენტი ყურანის მთარგმნელთა იმ ხუთ თუ ექვსკაციან სამუშაო ჯგუფში, რომელიც 1993 წელს სემიტოლოგიის კათედრაზე ჩამოყალიბდა. მაშინ ბევრი ჩვენი კოლეგა მესამეკურსელის ცოდნასა და შე-საძლებლობებს უნდობლად უყურებდა და თავიდან კა-ტეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ ამ ჯგუფში მემუშა-ვა. მაგრამ თინამ თავისი გაიტანა და, როცა ჯგუფურად თარგმნა არ გამოვიდა, მერე მუდმივად მახსენებდა: ახ-ლა ქართული ყურანიც შენზეა! ადრე თუ გვიან, ვიცი, აუცილებლად გააკეთებ!

ამას ახლა ერთადერთი მიზეზით ვიხსენებ: სულაც არ მინდა ჩემი პატარა წერილი თენგიზ ჩანტლაძის ცნობილ მინიატურას „მე და სამსუნს“ დაემსგავსოს. ვის ვის და ქალბატონი თინას ხსოვნას ასეთ რამეს ნამდვილად არ ვაკადრებ, მაგრამ ამ დეტალებში, მგონი, უფრო მნიშ-ვნელოვანი ისაა, რომ არაჩვეულებრივად სახიერად ცხადდება მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ. სტუდენტებთან ურთიერთობისას თინა მარგვე-

ლაშვილის მაქსიმალიზმიც სწორედ იმით იყო მოტივი-რებული, რომ მასწავლებელი თავის შეგირდებს სრულ-ფასოვან კოლეგებად აღიქვამდა და ამით სამომავლო პროფესიული ზრდისათვის სტიმულს აძლევდა. მას ჰქონდა უდიდესი უნარი, რომ სტუდენტთა ხშირად უმ-ნიფარ ცოდნასა თუ ნააზრევში პრესპექტივა დაენახა და საარაკო მოთმინებით ეზრუნა კარგის გასავითარებ-ლად.

ამიტომაც აქ მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორი სტუდენტი ვიყავი მე, არამედ როგორი მასწავლებელი იყო თინა მარგველაშვილი, და ეჭვი არ მეპარება, რომ ამ წერილს ხელს ქალბატონი თინას ყველა ნასტუდენტარი მოანერდა, რადგან ყველას თავისი თინა მარგველაშვილი ჰყავ-და: ერთგული, მოსიყ-ვარული, საიმედო.

თინა მარგველაშ-ვილს შეგეძლო ყველა სიტუაციაში თამამად დაყრდნობოდი, რად-გან მოდასა და გავ-რცელებულ აზრს კი არ ასდევდა, არამედ სა-კუთარ მყარად შემუშა-ვებულ, ცხოვრებით გამობრძმედილ და და-დასტურებულ შეხედუ-ლებას. ამიტომ ვისაც ერთხელ მიიღებდა და შეითვისებდა, მერე მუდმივად მის ერ-თგულ დამფასებლად და გულშემამტკიცერად რჩებოდა. მას შეეძლო

სიცოცხლის რისკის ფასად ყვარებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მთელი დარჩენილი წლები ეგლო-ვა მისი ტრაგიკული ბედი და ამავე დროს არც საღად შე-ფასების კრიტერიუმები დაეკარგა.

მას, თვითონ ლოგინად ჩავარდნილსა და უსასოოს, შეეძლო ყოველ პარასკევს წერილი ეგზავნა უცხო ქვეყ-ნად მყოფი სტუდენტისათვის და იგი ახალ-ახალი ანეგ-დოტებით გაემხნეებინა.

მას შეეძლო ერთი შეხედვით ყოვლად უინტერესო ლექცია არაბულ გრამატიკაში ფიქრის, აზროვნებისა და გრძნობის ნამდვილ ზეიმად ექცია.

მერე კი საღამოობით ურთულეს არაბულ ტექსტებს ჩასჯდომოდა და არაჩვეულებრივი ქართულით ეთარ-გმნა მაკარი ანტიოქიელის ცნობები საქართველოს შესა-ხებ, შუასაუკუნეთა არაბული პოეზია და ჩვენი მთარ-გმნელობითი სკოლის ერთ-ერთი მწვერვალი „ათას ერ-თი ლამე“.

ამიტომ, რომ იგი თინა მარგველაშვილი იყო – რჩეუ-ლი წვეულთა შორის, რომლის წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს კარგა ხანი ვერავინ და ველარაფერი ამოავსებს.

**„სირიულ-ეგვიპტური ერთობის ჩაკვლა“**  
უკანასკნელ ხანებში გამომცემლობა „ყუვიადათმა“ გამოსცა მუტიყ ან-ნუნუს წიგნი „სირიულ-ეგვიპტური ერთობის ჩაკვლა“. წიგნი 526 გვერდიანია და როგორც სახელწოდებიდანაც ცხადია, წარმოადგენს სირიულ-ეგვიპტური ერთობის კრახის მიზეზთა ახსნის მცდელობას სირიული მხარის გამართლებისა და მისთვის ერთობის რღვევაზე პასუხისმგებლობის მოხსნის გზით. ავტორი ცდილობს, ნათელი მოჰქვინოს „იმ შეცდომებს, რომლებიც ეგვიპტურმა ხელმძღვანელობამ დაუშვა სირიასთან მიმართებაში ამ სამწლიანხვერიანი ერთობის განმავლობაში მაშინ, როცა სირიამ გაიღო ყველაფერი ფასეული და ძვირფასი ამ ერთიანობისა და სოლიდარობის იდეის შენარჩუნებისათვის“, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ დამასკო არაბი ერის მფეთქავი გულია არაბთა მთელი ისტორიის მანძილზე. ამას აღიარებს ბევრი არაბი ლიდერი და მათ შორის გამაღ აბდ ან-ნასერიც, რომელსაც ეს ბევრჯერ გაუმეორებია სხვადასხვა ღონისძიებაზე.

# შუა საუკუნეთა არაბული ჰომერო

## იმრუ ლ-კაისი VI ს.

\* \* \*

იდუმალეხას (სიკვდილს) სწრაფად ვუახლოვდებით ჩვენ ჭამა-სმით მონუსხულები.

უძღურები ვართ როგორც ჭია, ბუზი, ბელურა, ნადავლისთვის კი გაუმადლარ მგლებზე თამამნი.

მთელი არსებით კეთილშობილ თვისებებს მივდევ, მხოლოდ ისაა ერთადერთი ჩემი ნადავლი.

ჩემო მკიცხველო, იკმარე ლანძღვა, მეყოფა ჩემი განსაცდელიც და ბედი ჩემთა მამა-პაპათა.

ჩემი ფესვები, ვიცი, ადამს უკავშირდება, და სიკვდილი სიჭაბუკეს მართმევს უწყალოდ.

ამომხდის სულსა და სასწრაფოდ მიაჯაჭვავს სხეულს მიწაზე.

ო, განა არა, ბევრი აქლემი დამიქანცავს უკიდევანო უდაბნოთა გადასაკვეთად, სადაც მხოლოდ მირაჟი ბრწყინავს.

ურიცხვ მხედრებთან მეც ხომ ბევრჯერ მივაჭენებდი სახიფათო სარჩოს საშოვრად.

შემომივლია ყველა მხარე, მაგრამ დავრწმუნდი, ყოველგვარ ნადავლს სჯობს მშვიდობით შინ დაბრუნება.

რა იმედი მაქვს მეფე ჰარის იბნ ამრისა და ჰუჯრის შემდეგ სახელოვანი კარავთმფლობელის,

რომ მე დამინდობს ბედისწერა, მაშინ, როდესაც არ დაინდო სალი კლდეები.

მე კარგად ვიცი, სიკვდილი მალე ჩამასობს თავის ეშვსა და ბრჭყალებს

ისევე, როგორც ჩემს მამა-პაპას და ჩემ ბიძას, მოკლულს ბრძოლაში ქულაბის ველზე.

## ანთარა VI-VII ს.

\* \* \*

შენ გამახსენდი, როცა შუბები ჩემ სხეულში წყურვილს იკლავდნენ და ჩემი სისხლი დასდიოდა ინდურს, ორლესულს.

ვისურვე ხელმა სატევრისპირს დავნაფებოდი, რადგან შენ ბაგეს მაგონებდა მახვილთა ელვა.

## აბუ ლ-ათაჰია IX ს.

\* \* \*

ვხედავდი ჩემს წინ თაობები ერთმანეთს ცვლიდნენ და გარდავიდნენ, წარხოცნენ, იყვნენ და იყვნენ.

ისიც მინახავს ამ სოფელმა რამდენჯერ კაცი, რომ ალაზევა და აცთუნა, ძირს დასცა მაშინ.

რამდენი რამე, რაიც ერთ დროს ურყევად მწამდა, არარად იქცა ახლა იგი, აღარად მიჩანს.

უხსენებელს ჰგავს ეს სოფელი, მოსასინჯად რამ ლბილია და შხამს აფრქვევს მიწყვი.

\* \* \*

უშობეთ სიკვდილს და აშენეთ, რათა დაიქცეს, თქვენგან ყოველი დაადგება აღსასრულის გზას.

ვისთვის ვაშენებთ, ჩვენ ხომ მაინც მიწად ვიქცევით ისევე, როგორც შევიქმენით ერთ დროს მიწისგან.

ჰოი, სიკვდილო, გარდუვალი ხარ. მოხვალ, არავის მიემხრობი და არც დაჩაგრავ.

ისე უეცრად დააცხრები შენ ჩემ ჭალარას, როგორც ჭალარა დაეჯახა ჩემ სიჭაბუკეს.

თუმცა გელტვიან ყოველი გზით, ვხედავ, სოფელო, შენ სიზმარი ხარ, ღრუბლის ჩრდილი,

ან მირაჟის გაელვარება, გუშინდელი დღე, რომ გავა და არ დაბრუნდება.

\* \* \*

სიკვდილი ბჭეა, სად ყოველი ჩვენგანი შევა. ნეტა ვიცოდე, იმის იქით რა სავანეა.

ღმერთს თუ აამებ, ნალკოტია მარადიული, თუ ვერ შეძელი, ჯოჯოხეთის გელის გენია.

არაბულიდან თარგმნა  
ნანა ფურცელაძე



ამინ არ-რეიჰანი – XX საუკუნის არაბული ლიტერატურის კლასიკოსი, ე.წ. სირიულ-ამერიკული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, წარმოშობით ლიბანელი. ითვლება ნოვატორად, მის სახელთანაა დაკავშირებული ე.წ. პროზაული ლექსის განვითარება; ეს არის ფორმა, რომელშიც უარყოფილია კლასიკური ლექსთწყობის სისტემა, მაგრამ შინაგანი, სპეციფიკური რიტმი მასში მაინც არის, ისევე როგორც რითმა, რომელიც აგრეთვე არ ემორჩილება კლასიკურ ნორმებს. წარმოდგენილი ლექსებიდან პირველი შექმნილია 1910 წელს მწერლის მშობლიურ ალ-ფურეიქაში, მეორე – 1907 წელს ნიუ-იორკში.

ამინ არ-რეიჰანი

**განმკურნე მე,  
ხევის ქალღმერთო**

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე.  
ჭალის ქალღმერთო, მახსენე მე.  
ველის ქალღმერთო, მიხსენი მე.  
გალობის ქალღმერთო, შემენიე მე!

...  
არ გახსოვს ის დღე, როცა ვამცნე ზეშთაგონება შენი იმ  
ხალხს,

ვინც არ ატოლებს არცერთ ღვთაებას ბაალთან?  
და ის დღე, როცა ასპიროზს – ხელით იმისა,  
ვინც არ იცის ღმერთი, მის გარდა, – მსხვერპლი  
მივართვი?

და ის დღე, როცა შენი სახელი ვაქე იზიდას ტაძარში,  
და გამაძევეს ტაძრით ქურუმთა?  
და ის დღე, როცა შენი საკმევლის კვამლი ოლიმპზე ავიდა  
და კერპთა უფალს შუბლი მოუქურუხდა?  
მე ვარ იგი, ვინც შენი გუნდრუკი ჩადო  
სასაკმევლეში რომის ტაძრების მონათა.  
მე ვარ იგი, ვინც შენი სიმები  
ბაბილონის მროკველთა და იონიის მგალობელთა ქნარზე  
მომართა.

თუ – დაგავიწყდა, ჩემმა ხელებმა ხეები  
როგორ დარგეს თამუზის ტაძრის გარშემო?  
ჩემმა ხელებმა დაფნის და ყვავილთა გვირგვინი  
როგორ დანწეს ფინიკიელთა დედოფლის საშვენად?  
ჩემმა ხელებმა  
მზისა და ცეცხლის მსახურთა წიგნში როგორ წერეს?  
ჩემმა ხელებმა  
მტარვალთ კერპები და ნეტართ ძეგლები როგორ ლენეს?  
განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე.  
ველის ქალღმერთო, მიხსენი მე.  
გალობის ქალღმერთო, შემენიე მე!

...  
მიმღერე ქნარზე ხმები იმ დღეთა,  
დღეს რომ იმეორებს ბალის შაშვი და ფრინველი ტყეთა.  
მიმღერე ლექსი,  
რომელსაც მღერის ნახირთა მწყემსი.  
ხმა შენი სტვირისა მწუხრის წყვილადში,  
ხმა ორღანოსი განთიადში – გამაგებინე,  
ხმისაკენ შენი მონებისა მდინარეებში,  
ხმისაკენ შენი შვილებისა უდაბნოებში – გამაგნებინე.  
გადმოაფრქვიე ჩემ სარეცელთან

დამალული სურნელი ველთა.  
გადმოაქციე ჩემ ზევიდან,  
დროს რაც კი თასში არ დაქცევია.  
შენი სიყვარულით დამბურე მე,  
შენი სურნელით მაპკურე მე,  
შენთა ბაგეთა ჩურჩულით, შენი თითების შეხებით  
მომაბრუნე მე.

ის გალობანიც ისევ მითხარი,  
შენგან ნასწავლი, დანავიწყარი.  
და ისიც მასმინე, რასაც მაშინ მასმენინებდი,  
ბაბილონისა და იონიის მგალობლებში მათქმევიებდი.  
განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე.  
გალობის ქალღმერთო, გამასწორე მე!

...  
მე სტვირი ვარ მწყემსებისა – შენს მონათაგან,  
მე ჩანგი ვარ აშიკებისა – შენს მონათაგან,  
მე ორღანო ვარ ყარიბისა – შენს მონათაგან,  
მე ქნარი ვარ შენს ღამის ზეიმს მოცეკვავეთა –  
გოგონათაგან.

მე სული ვარ, შენს სილამაზეში რომელიც იშლება,  
შენი ნათელი რომელშიც იშვება,  
რომლითაც ბეჭდულა ეტრატები შენი ბრძნობისა,  
რომელზეც კრთიან ბულბულები შენი გრძნებისა.  
მე ვარ შენი ხმა, რომ ინახავს საუკუნეთა კრებული.  
შენი სული ვარ, ვედებსა და ფსალმუნებში მოვლინებული.  
შენი მოციქული ვარ რჩეულ მონასთან,  
იმსოფლად სიზმრებს სამკაულად ვინც დაედება,  
არა – იმასთან, „ვინც ხევ-ხევ დაეხეტება“.  
მე ვარ „ქებათა ქებაში“ ზეშთაგონება შენმიერი,  
მე იმის სულში ვარ შენი შუქი, მოინანიებს ვინც  
სიმღერით.

მე შენი ქნარის ჰანგი ვარ, პირამიდებში უმეცრებამ რომ  
დაატყვევია,

არა!  
მე გალობა ვარ, ღამეებმა რომ დაახვავა.  
მე შენს ქნარში ვარ ფენიქსის სული, ბედის  
ფერფლქვემოთ დამარხული,  
არა!  
მე სული ვარ ორფეოსის, ხელოვნებათა ტალღებს ზემოთ  
ალმართული.

ქნარი ვარ შენი,  
ხმა ვარ შენი,  
გალობა შენი!  
მაგრამ დაახრჩო ხელმა ცოდვილმა ბულბული ქნარზე  
და დაუწყვიტა სიმები ასე.  
და დღეს ლულუნის ასულებმა მნახეს ეული,  
რომ გალობით გამიმთელონ ლექსი სნეული.

განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო, განმკურნე მე.  
 ველის ქალღმერთო, მიხსენი მე.  
 გალობის ქალღმერთო, შემენიე მე!  
 ...  
 შემეხე შენი თითებით – ჩემი მეფობის ბრწყინვალეობა  
 კვლავაც აღდგება.  
 მენვიე განთიადს – ჩემი სიმები შენი სუნთქვით კვლავ  
 გამაგრდება.

განბანე ჩემი ჭრილობის დაღები  
 შენი ღვთიური ღვარების ტალღებით.  
 გამიბი სიმები შენი მუსიკის გრძნებით,  
 აღმიდგინე პოეტის დიდება, წამერთვა რაც კი ტანჯვით  
 და ვნებით.

და მიმიკარი მკერდზე, ასულო მარადმყოფობის,  
 და გაფრინდება ჩემ წამწამთაგან საუკუნეთა  
 სევდა-ობლობა,  
 და ჩემში ნაყოფს შობს თაობათა უნაყოფობა.  
 იმ შორეული დღიდან, როცა დაგშორდნენ ჩემი თვალები,  
 შენს სიყვარულში მხოლოდ გოდება ვიცი წვალეზად.  
 და ო, როდემდე – ეს უარი და გულმტკიცება,  
 ეს განშორება და დავინწყება?  
 გამიხსენე მე, ერთხელ მაინც, სანამ ჩემ წყვილადმი ვრჩები.  
 მენვიე მე, ერთხელ მაინც, სანამ ჩემ სიზმარში ვრჩები.  
 შემენიე მე, სანამ დამჭკნარა დღეები ჩემი.

**რეკოლუცია**

და მისი დღეა ავი და ძნელი,  
 და მის ღამეა – მხნე და ნათელი,  
 და ცისკრის ვარსკვლავს მისას ვერ მოაცილებს თვალებს  
 მნახველი.

და საშინელია ანარქიის ხმა: ლომის ღრენა,  
 ბულბულის სტვენა,  
 ყვავის კრუსუნა,  
 ხმაური, გრუსუნა,  
 კვნესანი,  
 მოძალადეებს გადავაცქევთ მაშინ ფერფლად და  
 ჯვარს იტვირთავენ საუკეთესონი.  
 ვაი იმა დღეს ტირანებს, ამაყებს და ნაძირალებს!  
 ის ერთი დღეა მრავალი წლიდან. არა! საათი განკითხვის  
 დღიდან!

ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ...  
 ეს არის რევოლუცია.  
 მისი დღე მკაცრად საშინელია.  
 ღელავენ დრომები – ყაყაჩოები,  
 შორსმყოფს რაზმავენ, გაანათლებენ, ვინც მახლობელია.  
 და დაფდაფები იმეორებენ გასაოცარი სიმღერის ჰანგებს,  
 და საყვირები მოუწოდებენ ხმის გამცემსა და გამგებს,  
 და თვალებიდან ნაპერწკლებს გამოაქვს ხანძრის სვეტი,  
 და ცეცხლი ითხოვს: „კიდევ ხომ არ არის მეტი?“  
 და პასუხს იძლევა მახვილი მკვეთი,  
 და აჭალარებს შიში და რეტი.  
 ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ვაი წამომდგარ მთხოვარეთაგან,  
 უფლებისმოყვარეთაგან,

დამაშვრალ მოვალეთაგან.  
 ვაი მათ განდიდებისთვის!  
 დაჰკრავს საათი ტირანებისთვის!  
 ...  
 ეს არის რევოლუცია.  
 მისი შვილები –  
 ფეხშიშველები,  
 მისი ჭაბუკნი გამხდარან ზვიადი მამაკაცები,  
 მისი კაცები – მძლავრნი, ამაყნი, ხოლო ვეფხები – მისი  
 დიაცები,  
 მისი ქადაგნი და ქალქადაგნი – ენამჭევრები,  
 მისი ბელადნი და ქალბელადნი – ამბოხებულნი  
 გულმამაცები.

ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ...  
 აუნყე ცეცხლი და ჯაჭვები,  
 ბომბების სკდომა და დღე მტანჯველი,  
 როცა ვერ ბრძანონ, ვერ აკრძალონ,  
 არ გაიშვან და არც გაქცევის იქნეს საშველი.  
 ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ...  
 არ გაუგიათ რომაელების ამბავი? –  
 იმ დღეს პორფირით რომ მოიხიბლა კეისარი და გაიშვირა  
 კვერთხისკენ ხელი,  
 და აი, როგორ ეცემა – მკვდარი, დაჭრილი,  
 არაფრისმქნელი,  
 თავისუფლებისმსურველთა ხანჯლები გარჭობილი აქვს  
 მჭრელი.

ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ...  
 არ გვიამბია პარიზის ამბავი? –  
 იმ დღეს რომ მოსპეს ბასტილია და პყრობილებმა ასწიეს  
 თავი,  
 ლუდოვიკოს რომ თავი მოჰკვეთეს  
 და გარბოდა ყველა უფალი, ყველა მტარვალი –  
 პარიზის სახე მაშინ იყო გულშემზარავი.  
 ვაი იმა დღეს ტირანებს!  
 ...  
 ... და ინგლისელთა ამბავი? –  
 იმ დღეს რომ ხალხმა შეჰფიცა მელუდეს, ეს არისო  
 ბელადი უბადლო,  
 მედუქნემ ხალხი რომ იხმო, მეფეს კი ეგონა, დაცული  
 ვარო, უკარო,  
 და აი, როგორ აღზევდა უბრალო,  
 ხოლო კარლოსი მდაბიო გახდა, უგვარო,  
 დიახ, იხვენება სახრჩობელაზე: მიხსენი, უფალო.  
 ვაი იმა დღეს ტირანებს – ყველა  
 ამბოხებული ჩაგრული ვეფხისგან!  
 ვაი იმა დღეს მბილწნავეებს – ნითელ  
 დროშათა ცხადი გამარჯვებისგან!  
 ...  
 ... და ახალი სამყაროს ამბავი? –  
 ვერა ხედავენ, თონის ალში როგორ ჩაყარეს მზავრელთა  
 კრება და  
 როგორ ინვოდა პორფირი და რკინის თავები დნებოდა,  
 სადაც თავს იხსნიდა მონა უღირსი,

და ადამიანი ურიცხვი  
იმ საცოდავი შავების გულისთვის  
კვდებოდა,  
სადაც მდაბიო მაღალთან საომრად,  
ბეჩავი უტეხ მტარვალთან საომრად  
დგებოდა.  
ვაი იმა დღეს ტირანებს!  
იმ დღეს მიუზღავს ღმერთი მგმინავეებს.

...  
და განიხსნება ხალხებში ფარული სულის არსება.  
ღიახ! მისი ცეცხლისგან ვულკანებმა იწყონ აგზნება.  
ღიახ! „ერთგულის სული“ –

ყველა ბელადის, მართლის და ერთგულის სული –  
ტაძრებში აღდგება.  
და მიეცემა დაჩაგრულს ხმალი ცოდვილი მჩაგვრელის,  
და ის მოაწვევს ყველა მბილწავზე –  
ჯოჯოხეთს კი არა, აი ამ მიწაზე –  
პაპანაქებას მწარე სასჯელის.  
ვაი იმა დღეს ტირანებს – ყველა  
ამბოხებული ჩაგრული ვეფხისგან!  
ვაი იმა დღეს მბილწავებს – წითელ  
დროშათა ცხადი გამარჯვებისგან!

არაბულიდან თარგმნა  
აპოლონ სილაბაკია

რეპორტაჟი

# მუსლიმთა გზა უფლისაკენ

ყველაფერს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურისა თუ კულტურისათვის, განსაკუთრებული ყურადღებითაც უნდა მოვეპყრათ, რათა შესაფერისად დამკვიდრდეს საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

მეტა გამოჩენილობა რალა გვინდა:  
შესანიშნავად ითარგმნა ყურანი.  
მომზადებულია ვრცელი შესავალი ნარკვევი.  
დასრულებულია ექსკურსის ყაიდის კომენტარები.

მოგვარებულია ყოველგვარი პირობა მის გამოსაცემად.

ამ წიგნს – როგორც მეცნიერული ანალიტიკისა და მთარგმნელობითი ხელოვნების ნიმუშს – არაერთხელ დაუბრუნდება ქართული განათლებული საზოგადოება, მაგრამ ვიდრე ხელმისაწვდომი შეიქნებოდეს მკითხველისათვის, აუცილებელია წინასწარვე ვამცნოთ თვალსაჩინო მოვლენის დღე-დღეზე გამოჩენის ამბავი. მითუმეტეს, რომ სიხარულებით მაინცდამაინც განებზიერებულნი არა ვართ.

ეს ის მოლოდინია, რომელიც იმედს არ გაგიცრუებს.

### როსტომ ჩხეიძე:

„სულ მალე უნდა ველოდოთ ყურანის გამოცემას ქართულ ენაზე. მართალია, თარგმანი არსებობდა საუკუნის წინათაც, მაგრამ მაშინ პეტრე მირიანაშვილმა ფრანგული ვერსიით ისარგებლა. ეს პიროვნება გახლდათ მეტად საინტერესო ფიგურა თავისი დროისა, დღესდღეობით უსამართლოდ მივიწყებული – პედაგოგი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი, ქართული ენის საუკეთესოდ მცოდნე, სხვათა შორის, ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი პიროვნება და მან იღო თავს ყურანის ამეტყველება ქართულად.“

მას შემდეგ გავიდა ხანი, უამრავი რამ გაცილებით შორს წავიდა ყურანის კვლევის სფეროში, დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა მსოფლიოში – არაბი და მუსლიმი მკვლევარებისა თუ ევროპელი მეცნიერების. და ეს უზარმაზარი ცოდნა უნდა ასახულიყო ქართულ თარგმანშიც.

ეს კი შეეძლო მხოლოდ ისეთ კაცს, როგორც გიორგი ლობჯინიძე – საუკეთესო შემოქმედი, საუკეთესო მთარგმნელი, რომლის სახელსაც უკავშირდება არაერთი შესანიშნავი თარგმანი, მათ შორის, საკაცობრიო ქმნილებისა „ქილილა და დამანა“.

ის, რაც იყო თაობების ოცნება – ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისა და არაბისტების – თარგმნილიყო „ათას ერთი ღამე“, „ქილილა და დამანა“ და ყურანი, აქედან ამ ახალგაზრდა კაცმა განახორციელა ორი უმნიშვნელოვანესი საქმე.

„ათას ერთი ღამის“ რვა ტომიანი კორპუსი ქართული კულტურის მონაპოვარია, თინა მარგველაშვილისა და ნანა ფურცელაძის მიერ დიდებულად შესრულებული, გიორგის მასწავლებლებისა და მათი გავლენაც არის, რომ გიორგიმ ასე ჩინებულ სტილურ-ენობრივ სამოსელში მოაქცია ყურანი.

თვითონ ფილოლოგიურ თარგმანს უწოდებს მორიდებითა და მოკრძალებით, ოღონდ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის სრულფასოვანი თარგმანი და დგას თანამედროვე ევროპულ დონეზე. გათვალისწინებულია ყველა გამოკვლევა, რაც კი არსებობს, და ამიტომაცაა, რომ 12 წელია თარგმნის. ჯერ კიდევ სტუდენტმა მოკიდა ამ საქმეს ხელი და ეს გაბედული განზრახვა განხორციელდა ისე, როგორც ეკადრება ქართულ კულტურას.

როგორც მოგახსენეთ, უახლოეს ხანში უნდა ველოდოთ გამოცემას. ძალიან დიდი ამაგი მიუძღვის გამოცემის მომზადებაში მწერალსა და „კავკასიური სახლის“ დირექტორს ნაირა გელაშვილს. მან მოახერხა დაფინანსების მოპოვება და მისცა გიორგის საშუალება, მიეყვანა ბოლომდე – ტექსტიც და დაერთო კომენტარები და შესავალი წერილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან მეცნიერულ გამოკვლევად.

რამდენიმე წლის წინათ გიორგიმ ჩვენს ლიტერატურულ თავყრილობაზე წაიკითხა მოხსენება „იესო და მარიამი ყურანში“.

დღეს ვიფიქრეთ, რომ ცოტა სხვაგვარად მომხდარიყო წარდგენა, ვიდრე გამოქვეყნდებოდა და მერე ისევ გაგრძელდება მსჯელობა ამ წიგნზე.

გვინდა, რომ მან ცალკეული ფრაგმენტები წაიკითხოს და აუდიტორიასთან გაიმართოს დიალოგი. და ვიდრე მოკლედ მიმოიხილავდეს ამ თარგმანს, წაგვიკითხოს პირველი სურა – არაბულადაც და ქართულადაც“.

**გიორგი ლობჯანიძე:**

„მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. მართალი გითხრათ, უკვე ამ დარბაზს ისე შევეჩვიე, რომ თავი შინაურ ადამიანად მიმაჩნია, მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებულად ვვლავ, რადგანაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომის წარდგენა მიხდება. მნიშვნელოვანი რომაა, ამიტომაც გადავწყვიტე დასტამბვამდე მიმეწოდებინა საზოგადოებისათვის, რადგან თუ რაიმე შენიშვნა გაჩნდა, სჯობს, ახლავე გამოვასწორო და, საბოლოოდ, რაც შეიძლება სრულყოფილი სახით ჩამოვყალიბო. ეს ერთგვარი „მოთელვაა“ და ამიტომაც დავყაბულდი ბატონ როსტომს, რომ დღეს აქ ყურანის კითხვა გაგვემართა.

ჯერჯერობით ამ თარგმანს სრული სახით მხოლოდ ბატონი როსტომ ჩხეიძე იცნობს, რომელიც დიდსულოვნად დამთანხმდა ყოფილიყო ტექსტის ერთ-ერთი რედაქტორი და, როგორც საერთოდ სჩვევია, ძალზე გულიანად და მაღალპროფესიულად იმუშავა საიმისოდ, რომ ყურანის ქართული მწყობრი, მონესრიგებული და გამართული ყოფილიყო.

ვფიქრობ, დღეს წაკითხული ფრაგმენტები აქ შეკრებილ საზოგადოებასაც მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის საერთოდ თარგმანის თავისებურებებზე და, ამდენად, დიდი ინტერესით ველი თქვენს შთაბეჭდილებებსა და შენიშვნებსაც, რაც კი ჩემს ნამუშევართან დაკავშირებით გაჩნდებათ.

მანამდე კი ორი სიტყვით მინდა იმაზეც მოგახსენოთ, რატომ გადავწყვიტე ყურანის ქართულად თარგმნა და რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში ამ წიგნის გადმოღებას საზოგადოდ.

მოგესხენებათ, ყურანი იმ უკვდავი, ზეციური წიგნების რიცხვს განეკუთვნება, რომლის თარგმანიც მსოფლიოს დიდი ერებსაც კი ეამაყებათ, რადგან ერის კულტურულ იერსახეს, იმას, თუ რამდენად კულტურულია ესა თუ ის ერი, მათ ენებზე ასეთი წიგნების თარგმანის არსებობაც განსაზღვრავს.

ყურანის მნიშვნელობა მით უფრო გამოკვეთილია საქართველოსათვის, რადგან გარდა ზემოხსენებული კულტურტრეგერული ინტერესისა, მუსლიმთა საღვთო წიგნის შესწავლა ჩვენთვის, ქვეყნის გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. საქართველოს ისტორიული მეზობლების უმეტესობა ისლამს აღიარებს, ამიტომაც მეზობლებთან კეთილი ურთიერთობების დასამყარებლად, საჭიროა კარგად ვიცნობ-



გიორგი გაჩეილაძე

დეთ ამ სამყაროს და ვიცნობდეთ უშუალო პირველწყაროს – მათი საღვთო წიგნის – მეოხებით. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი – ეთნიკური ქართველები თუ ჩვენთან მოსახლე სხვა ერების წარმომადგენლები – მაჰმადიანები არიან. ამდენად, ყურანის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა უდიდეს სახელმწიფოებრივ აქტად გვესახება.

სწორედ ამ მიზეზებმა გადაწყვეტინა თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს, ფრანგული ენის ჩინებული მცოდნე და კარგი მოქართულე პეტრე მირიანაშვილი ფრანგულიდან ყურანის სათარგმნელად შეეგულიანებინა. პეტრე მირიანაშვილის მიერ მაშინ ფრანგულიდან შესრულებული და 1906 წელს დას-

ტამბული ყურანი, დღემდე სამწუხაროდ ამ წიგნის ერთადერთი ქართული ვერსიაა.

სხვათა შორის, იმ ფაქტს, რომ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებს ამდენი ხნის განმავლობაში უშუალოდ დედნიდან ანუ არაბულიდან ყურანის თარგმანი არ შეუსრულებიათ, ტექსტის სირთულესთან ერთად, მირიანაშვილისეული ვერსიის მხატვრული ღირსებებიც განაპირობებდა.

თუმცა ახალი თარგმანის საჭიროება იმის გამო, რომ მირიანაშვილის თარგმანი უშუალოდ დედნიდან არ იყო გადმოღებული და თანაც არაკომენტირებული, არაკადემიური გამოცემა გახლდათ, მაინც იგრძნობოდა და გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩინებულმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ და ჩემმა მასწავლებელმა ბატონმა აპოლონ სილაგაძემ კიდევაც ნამოიწყო ამ ძეგლზე მუშაობა, თუმცა სამწუხაროდ, რამდენიმე ე. წ. პოეტური სურის გარდა, ჯერჯერობით თავისი მთარგმნელობითი შრომის შედეგად არ გამოუქვეყნებია.

როგორც ჩანს, გამოცდილებამ ბატონი აპოლონ სილაგაძე ყურანის თარგმანზე გუნდური მუშაობის უპირატესობაში დაარწმუნა და ამ მიზნით, 1993 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრაზე სპეციალისტთა ექვსკაციანი ჯგუფიც ჩამოაყალიბა, სადაც ჩემი მასწავლებლის თინა მარგველაშვილის რეკომენდაციით, მეც, ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტი, აღმოვჩნდი.

სამწუხაროდ, სამუშაო ჯგუფი მალევე ისე დაიშალა, რომ თარგმანის პრინციპებზე შეთანხმებაც კი ვერ მოვასწარი.

ამ შემთხვევამ, ბატონი აპოლონისაგან განსხვავებით, მე, პირიქით, იმაში დამარწმუნა, რომ ყურანი ალბათ ერთმა კაცმა უნდა თარგმნოს, რათა თარგმანის ენაც სტილურად უნიფიცირებული იყოს, რისი მიღწევაც გუნდური მუშაობის შემთხვევაში, თუ მთლად შეუძლებელი არა, უკიდურესად ძნელი აღმოჩნდება. ამიტომაც ევროპულ ენებზე შესრულებული თითქმის ყველა ცალკეული თარგმანი ერთი ან, მაქსიმუმ, ორი კაცის ნამუშევარია.

ასეა თუ ისე, 1993 წლიდან მოყოლებული თარგმანზე მუშაობა აღარ შემინყვეტია და ამ ხნის მანძილზე ჩემთვისაც ნელ-ნელა იხვეწებოდა ბევრი რამე, ნელ-ნელა დგინდებოდა თვითონ თარგმანის კრიტერიუმები.



თავიდან, დედნის ზეგავლენით, ყურანის პოეტურ თარგმანს ვასრულებდი. როგორც მოგეხსენებათ, ყურანი არაბულად რითმანარევი რიტმული პროზითაა ზეგარდმოვლენილი, რაც მსმენელსა და მკითხველზე დამატყვევებელ შთაბეჭდილებას ახდენს და სწორედ თავისი სტილისტიკის მეოხებით, წარუშლელი მხატვრულ-ემოციური ზემოქმედების ძალა გააჩნია. ამდენად, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ არაბული ტექსტის მშვენიერების ტყვეობაში აღმოვჩნდი და თავიდან ქართულადაც ასევე პოეტური ფორმით გადმოვქონდა. ეს მთარგმნელთათვის დამახასიათებელი ერთგვარი გაჯიბრება იყო დედანთან. ნიგნი თითქმის შუამდე რომ ვთარგმნე, ირანში სასწავლებლად წასვლამ მომიწია. მუსლიმთა შორის ცხოვრებამ, მათი სამყაროსა და საერთოდ ყურანის უკეთეს გაცნობამ კი დამანახა, რომ თარგმანის ჩემიული გეზი, თუ მთლად მცდარი არაა, ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი ფუფუნება იყო იმ ვითარებაში, როცა ქართულად ამ ნიგნის ზუსტი, აკადემიური თარგმანი არ გაგვარჩნდა. ამიტომაც, დიდი ტკივილის ფასად, „გამოვემშვიდობე“ პოეტურ ვერსიას და ხელახლა დავიწყე ტექსტის გადმოტანა ზუსტად, სიტყვა-სიტყვით, დედნის სტილისტური და გრამატიკული ნიუანსების მაქსიმალური გათვალისწინებით. ასე მივიღეთ ფილოლოგიური თარგმანი, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს დედანში მოცემულ ყველა რეალისას.

ამ ყოველივემ, ბუნებრივია, წარმოუდგენელი შრომა, ყველა დეტალის ძირისძირობამდე გააზრება მოითხოვა. კვლევის შედეგები კი თარგმანის გარდა მასზე დართულ კომენტარშიც აისახა, რომელსაც მსოფლიო ყურანისტიკაში შექმნილი ზღვა მასალიდან გამომდინარე ოდნავადაც არ გააჩნია აკადემიური სიზუსტის პრეტენზია, მაგრამ მკითხველს ტექსტის პასაჟთა აღქმასა და გააზრებას მნიშვნელოვნად გაუადვილებს. ამ კომენტარში გათვალისწინებულია ყველა დიდი მუსლიმი კომენტატორის ნააზრევი საღვთო ნიგნის ამა თუ იმ რთულ მონაკვეთთან დაკავშირებით და აქვე შეძლებისდაგვარად მოცემულია ევროპული და დასავლური ისლამმცოდნეობის შეხედულებანი.

ირანიდან დაბრუნების შემდეგ ყურანის თარგმანზე მუშაობა დიდი ძალისხმევით ფასად გავაგრძელე, რადგან ოჯახის შესანახად და საერთოდ არსებობისათვის სხვადასხვა ადგილას მუშაობა მიწევდა, ყურანს კი მხოლოდ ღამით ვუბრუნდებოდი. ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა ეს ამბავი კარგად იცოდნენ და რაც შეეძლოთ თანამიგრძნობდნენ, პრობლემის პრაქტიკულ მოგვარებაზე კი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ისევე მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნაირა გელაშვილმა იზრუნა. მან დაწერა 4-წლიანი პროექტი „ყურანის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა“, წარუდგინა ის კავკასიური სახლის პარტნიორებს და აი, ევროპული ფონდი „ჰორიზონტი“ დაფინანსებაზეც დაითანხმა.

ამით ყურანის ჩემიულ თარგმანში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. ყოფითი საზრუნავისაგან გათავისუფლებულმა მთელი დრო საყვარელ საქმეს დავუთმე და დღეს თუ თარგმანი უკვე არსებობს, ეს, რა თქმა უნდა, ქალბატონი ნაირას, ფონდ ჰორიზონტისა და „კავკასიური სახლის“ უდიდეს დამსახურებაცაა.

თარგმანი უკვე გამოსაცემად მზადაა, თუმცა ტექსტი მაინც არ მეთმობა, მუდმივად თავს დავტრიალებ, კიდევ რაღაცას ვხვეწ და ვაზუსტებ. ამ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი ისაა, ნიგნი სტამბაში რაც შეიძლება მაღელწავიდე, თორემ დეტალებზე მუშაობა შეიძლება მთელი ცხოვრება აღარ დამთავრდეს. ყურანის რანგის ქმნილებანი ხომ იმდენად სრულყოფილია, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე მის ასათვისებლად შეიძლება უკმარი აღმოჩნდეს. ამიტომაც იმ იმედით, რომ ყველა შესაძლო უნებლიე უზუსტობას შემდგომ გამოცემაში გავასწორებ, მალე ჩემს ცამეტწლიან ნაშრომთან მტკივნეული დამშვიდობება მომიწევს, რათა მან უკვე თავისთავად განაგრძოს სიცოცხლე.

„ფეხის ადგამაში“ კი მხოლოდ იმით შემიძლია დავეხმაბრო, რასაც დღეს ვაკეთებ. ჯერჯერობით ზეპირად წარმოგიდგინოთ, და ყველა საქმიანი შენიშვნა თუ წინადადება ყურადღებითა და მაღლიერებით მოვისმინო.“

**გიორგი გაჩეჩილაძე:**

„უნებურად მახსენდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი პირადი წერილი, რომელშიც იგი აღტაცებას გამოთქვამს, ქართულმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვნა: დიმიტრი ყიფიანმა თარგმნა შექსპირის პიესა, მე კი ლეიზივიცისაო. და მეც იმ განწყობილების კვალობაზე მინდა გავიმეორო, რომ ქართულმა ლიტერატურამ მართლაც კარგი თარგმანი იშოვნა გიორგი ლობჯანიძის ამ გარჯის წყალობით.“

ახლა ერთი შეკითხვა: გარკვეული დისტანცია არსებობს თანამედროვე და ძველ ენებს შორის... მაინტერესებს, თანამედროვე არაბი რომ კითხულობს ყურანს, რამდენად გასაგებია მისთვის ეს ტექსტი?“

**გიორგი ლობჯანიძე:**

ყურანი იმითაც არის უნიკალური, რომ ერთიანობას უნარჩუნებს არაბულ სამყაროს. არაბული სამყარო ძალიან ფართო და ჭრელი ცნებაა, რომელიც მოიცავს უამრავ არაბულ ქვეყანას, მარტო არაბულ ერთა ლიგაში 22 არაბული სახელმწიფოა და ლიგის გარეთაც რამდენიმეა დარჩენილი. ეს ქვეყნები, შეიძლება ითქვას, ლაპარაკობენ სხვადასხვა ენებზე. დიალექტები კი ჰქვია, მაგრამ დაახლოებით ისეთივე განსხვავება ნებისმიერი ქვეყნის არაბულ დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის, როგორც, ვთქვათ, ქართული და მეგრული ენების შემთხვევაში.

შესაბამისად, რაც ამ ჭრელ და აჭრელ სამყაროს ერთიანობას უნარჩუნებს, ყურანის ენაა, ანუ სალიტერატურო არაბული, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე სალიტერატურო არაბულიც, და ის თანაბრად გასაგებია ყველა არაბისათვის, ვისაც კი უსწავლია სკოლაში და უნივერსიტეტში ეს იქნება სირიელი თუ ეგვიპტელი, მაროკოელი თუ სუდანიელი...

აქედან გამომდინარე, ეს ენა თითქოს ხელოვნურად არსებობს, ნახევრად მკვდარი ენაა, რომელიც ისმის მხოლოდ სკოლაში, უნივერსიტეტში, არის პრესის ენაც, მაგრამ უკვე ვეღარ ვიტყვით, რომ რადიოსა და ტელევიზიის ენაცაა, რადგან ტელევიზია და რადიო წალეკა დიალექტმა.

შესაბამისად, უცხოელი, რომელიც ისწავლის ყურანის ენას, არაბულად ზოგჯერ უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე არაბული წარმომავლობის ადამიანი.

თუ კაცი განათლებულია და განათლების პირველი ნიშანი ყურანის ცოდნაა, ბუნებრივია, მან შესანიშნავად იცის სალიტერატურო არაბული. სხვადასხვა დონეა ენის ცოდნისაც... შეიძლება ვილატამ იცოდეს სალიტერატურო ენა, ქუჩაში დაგელაპარაკება, მაგრამ მწერლის არაბული განსხვავებულია.

სულ ვფიქრობდი, როცა დიალექტზე გვინევდა ლაპარაკი, რატომ დავიტანჯე თავი, რატომ ვისწავლე ეს სალიტერატურო არაბული, როცა გაცილებით მარტივია დიალექტი – შეიძლება ორ წელიწადში თავისუფლად ისწავლო. მაგრამ, როცა მოვუსმინე ეგვიპტის ენის პალატის თავმჯდომარეს, 90-95 წლის კაცია, რომელიც იმ ენაზე მეტყველებდა, მაშინ მივხვდი, თუ რატომ უნდა მესწავლა სალიტერატურო არაბული... ეს არის შესანიშნავი ენა.

იმედი მაქვს, სწორად იქნება ჩემი ნათქვამი აღქმული: აღარ მიკვირს, თუ რატომ აირჩია გამოცხადებისათვის ღმერთმა ეს ენა.

ჩემთვის, სხვათა შორის, მნიშვნელობა არ გააჩნია რომელი საუკუნის ტექსტს ვკითხულობ ქართულად. ჰაგიოგრაფიული ტექსტების ენა ბევრად ცოცხალია, ვიდრე დღევანდელი სატელევიზიო ენა. ერთი სიტყვით, ადამიანზეა ყველაფერი დამოკიდებული“.

**დოდონა კიზირია:**

„აღტაცებული ვარ, რაც მოვისმინე – ბატონი გიორგის საუბარიც, ცალკეული სურების ნიმუშებიც. მარტო ამის მოსასმენად ღირდა ჩემი ჩამოსვლა საქართველოში. მაპატიეთ, ემოციები თუ მომეძალა, მაგრამ ასეთი ლიტერატურული საღამო ცოცხალი თუ გამახსენდება აქაც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მართლაც დაუვიწყარი შეხვედრაა და არ მიკვირს, სწორედ ამ გარემოში რომ ხდება, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში. მენანება, რომ უნდა მოთავდეს, მაგრამ ლიტერატურული საღამო განა რამდენ ხანს გაგრძელდება.“

თქვენ ბრძანეთ, ყურანი ზოგჯერ პოლემისტურიაო. ეს მაშინ, როცა ქრისტიანობაზე გაამახვილეთ ყურადღება... რას ეკამათება ყურანი იუდაიზმს? და კიდევ: არის რაიმე ისეთი ყურანში, რასაც ეყრდნობა ეს აგრესიული ინტერპრეტაცია, რომელიც დღევანდელ სამყაროში წარმოშობს ტერორიზმს და რომელმაც ასე დააფრთხო დასავლეთი, რომ ახლა ისლამის მიმართ უაღრესად უარყოფითი განწყობაა. და იმის მტკიცება თუნდაც განათლებული ადამიანებისთვის, რომ ეს აგრესია და ტერორი არ მომდინარეობს ყურანიდან, ლამის უქმი შრომაა“.

**გიორგი ლობჯანიძე:**

„აქ ორმხრივ მიმდინარეობს პოლემიკა. იუდაიზმთან დაკავშირებით – ეს არის ძირითადად, ალბათ, სემიტურ ხალხებს შორის ძველთაგანვე არსებული ჭიდილი თუ უთანხმოება ერთმანეთში, როდესაც ებრაელები თავს მოიაზრებენ ღვთის რჩეულ ხალხად.“

ღვთის რჩეულობა ყურანისთვის გამოიხატება არა ეროვნული ნიშნით, არამედ ადამიანის რწმენის მიხედვით – რამდენად სწამს ადამიანს ღმერთი.

ყურანში ლაპარაკია იმაზე, რომ იუდეველები ხოცავდნენ თავიანთ მოციქულებს და იგულისხმება ძველი აღთქმის მოციქულები თუ მქადაგებლები.

ძირითადად, ამ მხრივ ედავება ყურანი ისრაელის ძეგს. რაც შეეხება ქრისტიანობას, ყურანში უარყოფილია ორი ძირითადი პოსტულატი, რასაც ეყრდნობა ქრისტიანული რელიგია.

ესაა იესოს ღვთაებრიობა და, შესაბამისად, ქრისტიანული დოგმატი წმინდა სამებისა. გარდა იმისა, რომ ეს განიხილება მრავალმერტიანობის ერთ-ერთ გამოვლინებად, ყურანიც სამოციქულო ტრადიციაში იესო მოიაზრება ერთ-ერთ მოციქულად და არა ღმერთად.

უარყოფილია ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაც. ყურანის მიხედვით ქრისტე არ უცვიათ ჯვარს – საკმაოდ ბუნდოვანი ფრაზაა მესამე სურაში ამასთან დაკავშირებით: „არც მოუკლავთ იგი და არც ჯვარზე უცვიათ, არამედ მათ ასე მოეჩვენათ“.

ვინ არიან „მათ“ და რას ნიშნავს – „ასე მოეჩვენათ“? მხოლოდ შემდგომდროინდელი კომენტარები ამბობენ, რომ ყურანის ეს ფრაზა გულისხმობს შემდეგს:

ღმერთი არ დაუშვებდა თავისი მოციქულის მოკვლას, ამიტომაც მათ მოაჩვენათ მისი სახით სხვა კაცი – ერთი ვერსიით ეს იყო სიმონ კვირინელი (გაგვახსენდება ე.წ. მწვალებლური სექტების თვალსაზრისი) და მეორე ვერსიით – იუდა, მისივე გამცემი. იგი ეცვა ჯვარს იესოს მაგივრად. ჯვარცმის უარყოფა გამოწვეულია იმით, რომ იესოს ღმერთებას გვიდასტურებს სწორედ ჯვარცმა.

მკვდრეთით აღდგომაზე იქ, ბუნებრივია, სიტყვაც არაა ნათქვამი. რაც შეეხება აგრესიასთან დაკავშირებულ მომენტს.

რაც მუსლიმთა სახელით ხდება, არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც ყურანშია. ვერცერთი ნიგნი, ვერცერთი რელიგია ვერ მოიპოვებს მიმდევრებს, თუ ის არ ქადაგებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, სიყვარულს თუ არ ქადაგებს.

მეორე სურაში ასეთი ფრაზაა: „არანაირი იძულება სარწმუნოებაში. გარჩეულია ჭეშმარიტი ზა გზააბნევისაგან“ ანუ შენზეა დამოკიდებული, რას აირჩევ. და მერე: რატომ გახდა საჭირო, რომ ღმერთმა დაუშვა ამდენი სჯული და რელიგია. ყურანში ასეთი შეკითხვაცაა: „რომ მოენდომებინა ალაჰს, გაქცევდათ თქვენ ერთიან რელიგიურ თემად, მაგრამ მან განასხვავა თქვენი რწმენა, თქვენი ენები და ფერები, რათა შეიცნოთ ერთმანეთი და გაიგოთ, რომ თქვენში, ყველაზე პატივდებული ღვთის წინაშე არის ის, ვინც ყველაზე ღვთისმოშიშია“, ანუ ადამიანის ერთადერთი უპირატესობა მეორე ადამიანზე არის არა ენა, არა რჯული, არა კანის ფერი, არამედ ღვთისმოშიშება, შინაგანი რწმენა.

ყურანში ნათქვამია, რომ ყველა აღმსარებელი ყველა რელიგიისა განისჯება თავ-თავისი სარწმუნოების მიხედვით.

წარმართობასთან ყურანიც ისევე შეურიგებელია, როგორც ქრისტიანობა.

პოლიტიკური კონიუნქტურა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იყენებდა ამ მითითებებს, მაგრამ არსად არის მონოდება თავდასხმისა. ყოველთვის არის პირობით-დამოკიდებული წინადადება: „გერძოლეთ მათ, ისე როგორც გერძოვებთ ისინი“, – ეს იგივეა, რაც „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“.

ან: „გამოყარეთ იქიდან, საიდანაც თქვენ გამოგყრიან“, ანდა: „ხოლო თუ დაასრულებთ შუღლს, იცოდეთ, რომ

მშვიდობა ბრძოლაზე უკეთესია“ – მეტი რა უნდა იყოს ნათქვამი... ფანატიკოსი ყველგან შეიძლება იყოს და სრულიად უწყინარ აზრსაც და ფრანზასაც შეიძლება მიეცეს ისეთი ინტერპრეტაცია, როგორც აწყობს ფანატიზმს. როგორც ვთქვით, ამას ხშირად ხელს უწყობს გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურა.

ჩემთვის ერთი რამ ცხადია: ეს დიდი წიგნი არაფერ შუაში არ არის იმასთან, რაც დღეს ხდება.

რამ მიზიდავს ყურანის ქართულ ენაზე სათარგმნელად. ამ კითხვას ხშირად მისვამენ, ხშირად არის იჭვეული დამოკიდებულება, დღესაც შეხვედრა მქონდა თურქეთის ქართველობის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, რომელმაც თავაზიანად, მაგრამ მაინც მაგრძნობინა თავისი ეჭვი – ქრისტიანმა ადამიანმა ხელი მოკიდა ყურანის თარგმანს და თქვენც ხომ გაგიჩნდებოდათ ეჭვი სახარების თარგმანისთვის რომ მოგვეკიდა ხელიო...

მე იმ კაცისაგან იმით განვსხვავდები, რომ ეჭვი საერთოდ არ გამიჩნდებოდა, პირიქით, მივესალმებოდი. თუ რამე ეჭვი ჩნდება, მიმაჩნია, რომ ეს თარგმანი არის ქართველობისა და საქართველოსათვის და შესრულებულია ამ კონტექსტში, რასაც ის ითვალისწინებს – საქართველოს დიდი ურთიერთობა მუსლიმურ სამყაროსთან. ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ: საქართველოში, რომელიც გარშემორტყმულია მუსლიმური ქვეყნებით, როგორ მოხდა, რომ ხელთ გვაქვს მხოლოდ ერთი სრული თარგმანი, ისიც არა ორიგინალიდან შესრულებული.

ყურანი ისეთი წიგნია, რომელსაც ყველა თაობაში თავისი თარგმანი სჭირდება, თავისი ინტერპრეტაცია.

ამიტომაც ძალიან გამიხარდება, თუ 15 წლის შემდეგ გაჩნდება ჩემს თარგმანზე უკეთესი თარგმანი“.

#### თემურ ნადარეიშვილი:

„რატომ ეძახით მაინცდამაინც ფილოლოგიურ თარგმანს და არა აკადემიურს?“

#### გიორგი ლობჯანიძე:

„როდესაც ნახავთ კომენტარსა თუ შესავალს, აქ არის გათვალისწინებული ეგზეგეტიკის შიდა, ანუ მუსლიმური და გარეტრადიცია ანუ ევროპული ისლამმცოდნეობა. პრაქტიკულად, ევროპელი ისლამმცოდნეები იყვნენ ეგზეგეტიკოსები, რატომ არ არის აკადემიური? აკადემიურ თარგმანში უნდა იყოს გათვალისწინებული აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი დაბეჭდილია სხვადასხვა ენაზე...“

აკადემიური თარგმანი შეუძლია მოამზადოს ინსტიტუტმა და თანაც ფართო პროფილის ინსტიტუტმა. აი, მაგალითად კრაჩკოვსკის თარგმანია ფილოლოგიური“.

#### შოთა ბოსტანაშვილი:

„უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ის, რაც ახლა ხდება, დიადი და დიდებული...“

იმ ცნობილი ნაწარმოების ანალოგიით რომ ვთქვათ – გავა დრო და ჩვენ ყველანი ვავისხენებთ იმ (ანუ, ამ) დღეს, როცა გიორგი ლობჯანიძემ, პოეტმა, ყურანის ტექსტის ქართულენოვან სივრცეში შეგვიყვანა; რომ ის (ანუ, ეს) დღე დიდი ისტორიული დღე იყო; სხვა, ახალი ისტორიის დასაწყისი.

დღეს, დასაწყისში, ავდგეთ და ჩავაბაროთ ყურანის ხალხთან ჩვენი ურთიერთობების ამბები „ისტორიის დასასრულისა და უკანასკნელი ადამიანის“ ფუკოიამასეულ

დროსაცავს, იქ „დავბერტყოთ არქივი“, იქ დაიბარტყებს... და ვინ იცის, იქნებ ბულბულიც ამოფრინდეს... ამ ფიქრის მასაზრდოებელი პირველი ნიშნები თავად გიორგის მიერ შესრულებული ყურანის თავდაპირველი პოეტური თარგმანია, (დღეს ხომ ფილოლოგიური თარგმანია წარმოდგენილი), დარწმუნებული ვარ დროებით გადავადებული, რადგან დრო რომ მოუვა, ტექსტი თვითონ მოაკითხავს – მადლეგრძელე და დამასრულეო.

ის რამდენიმე „სურაც“, რაც მოვისმინეთ სრულიად ნათელ სურათს ქმნის, თუ როგორ მოძრაობს ქართული ენა უცხო სანახებში, როგორ მოაქართულდება, როგორ უმინაურდება და როგორ იმინაურებს, როგორ მოიხელთებს ახალ სივრცეებს („ქართულ“ სურას – ურა!). მწერლის საქმეც და წვლილიც ეს არის. ყურანის („ნასაკითხის“) მექართულე კი წერის კაცია, ენის კაცია, „ენა ცოდნას ეკუთვნის“ (ფუკო). გიორგი ლობჯანიძე წ/ერის კაცია.

ეს რაც შეეხება თარგმანს და მთარგმნელს.

საკითხებისა და პრობლემების ერთ ნაწილს, რაც დარბაზში წამოიჭრა, ასეთ დისკურსად წარმოვადგენდი: „სახეები და სახელები“ (ან სიტყვები და საგნები).

იმ ამბავს მოვიხმობ ყურანიდან და ბიბლიიდან, როდესაც ღმერთმა განასრულა სამყაროს – სახეებისა და სხეობების შექმნა და მათ სახელდებას ადამთან ერთად აწარმოებს, (დიანა, აწარმოებს).

1. ყურანის ტექსტი: „...და ასწავლა ყველა სახელი ადამს და წარუდგინა ისინი (სახეობები) ანგელოზებს და უთხრა: მაცნობეთ მე ამათი სახელები, თუკი წრფელნი ხართ. უთხრეს: დიდება შენდა, არა გვაქვს ჩვენ ცოდნა იმის გარდა, რაც შენ გვასწავლე. ჭეშმარიტად შენ ხარ ყოვლის მეცნიერი, ბრძენთა ბრძენი. და უთხრა: ადამ აცნობე მათ (ანგელოზებს) მათი სახელები.“

2. ბიბლიის ტექსტი: და შექმნა უფალმა ღმერთმა მინისგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიუყვანა ადამს, რათა ეხილა, რას დაარქმევდა მას, და რასაც დაარქმევდა ადამი ყოველ ცოცხალ არსებას, ის იქნებოდა მისი სახელი.

ყურანის ტექსტში ღმერთი ქმნის სახეებსაც და სახელებსაც (დღევანდელი ენით თუ ვიტყვით აქ აღმნიშვნელ-ალსანიშნი თვისობრივად არც განსხვავდება), თავადვე წარმართავს როგორც ბუნების, ისე კულტურის (სახელების) სივრცეებს და ამასვე ასწავლის ადამს. ადამიანი პასიურია. იქნებ ბუნებისა და კულტურის ამ იდენტურობაშია მუსლიმური სამყაროს ფუნდამენტური არაცნობიერი?

ბიბლიის ადამი(ანი), სახელების, ენის, კულტურის სივრცის შემოქმედი – მას თავისი წილი აქვს აქტიურობის. აქ აღსანიშნები აღმნიშვნელთან არა იდენტობით, არამედ მსგავსებით არიან დაკავშირებულნი (როგორც ადამი მის შემოქმედთან). მსგავსებათა განსხვავებები (გამოსხვავებები) კი იმთავითვე დეკონსტრუქციის ინტენციით მუხტავს კულტურის სივრცეს. ამ ორი ნარატივის კვალი დღეს სახეზეა – ერთის მხრივ: სტრუქტურის და ცენტრის დისკურსი; მეორეს მხრივ: დეკონსტრუქცია-დეცენტრაციის ლიბერალურ-დემოკრატიული სივრცე. ეს თემა სხვა დროს გავშალოთ.

სიტყვის (ჩემი შთაბეჭდილების), დასაწყისში ლიტერატურული გაუცხოების ცნობილი მანერა იქნებ არც გამოიყენებია უადგილოდ, იმ დიდი ადგილის მოსანიშნად, რაც აქ და ახლა ხდება.“

ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იორდანელ ნოველისტა შორის.

წარმოშობით პალესტინელი, დაიბადა 1945 წელს ჰებრონში. 1948 წლის პალესტინა-ისრაელის ომის შემდეგ მისი ოჯახი იორდანიაში გადასახლდა. ბავშვობა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში გაატარა. ნოველებს წერს 1965 წლიდან. 1975 წლიდან არის იორდანის მწერალთა კავშირის წევრი. ხშირად იბეჭდება მისი ნოველები იორდანისა და სხვა არაბული ქვეყნების პერიოდიკაში. რამდენიმე ნაწარმოები დაბეჭდილია კრებულებში: „ჩვიდმეტი ნოველა“ (1975 წ.) და „ნოველა“ (1980 წ.). 1977 წელს გამოიცა მწერლის ნოველების პირველი კრებული – „ფერფლისფერი წვიმა“; 1981 წელს ბეირუთში გამოიცა მისი მეორე კრებული – „მესამე არჩევანი“. ამავე წელს გამოვიდა მისი საბავშვო ნოველების კრებულიც – „ჩიტუნების მტრები“.

1985 წელს მიენიჭა მწერალ მაჰმუდ ირანის პრემია საუკეთესო ნოველებისათვის.

იბრაჰიმ ალ-ყაბსი

# ფერფლისფერი წვიმა

ამანის მოღრუბლული ცა... ქარისა და წვიმის ხველება... ქარტეხილისაგან გაღაბული წვიმის შხეფები, მაღალი შენობების კედლებთან შეჯახებით გაოგნებულნი, შეშინებული უერთდებიან წყალდიდობის ნაკადს... მე კი დავაბიჯებ ქალაქის ქუჩებში... უმიზნოდ ვმოძრაობ, მხოლოდდამხოლოდ დავხეტილობ... ღამლამობით ხეტიალი ჩვევად გადამექცა ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ... ჩემი ოთახი ცივია და ბნელი, თანაც ღამით მისი კედლები გრძელ მკლავებად გადაიქცევა ხოლმე... ისინი საშინლად ტანჯავენ ჩემს სხეულს.

წვიმის წვეთები მეცემა სახეზე, კისერში ჩამდის, ტანსაცმელს მისველებს... არა მშველის შავი, მძიმე პალტო... ყინვა ერთიანად მიბოჭავს სხეულს... ძლიერად ვისრუტავ კბილებში გაჩრილი სიგარეტის ფილტრს, ნაფაზს წვიმას ვაბოლებ და უეცრად სევდა მიპყრობს... ამოდ ვუპირისპირებ სიცივეს სიგარეტის ბოლს, ვაკვირდები ჩემს გამონაბოლქვს და ვხედავ, როგორ ქრება და უჩინარდება სივრცეში. უეცრად მაგონდება, რომ ამქვეყნად ყველაფერი და ყველა გაქრება და გაუჩინარდება: ეს ქალაქები და შენობები, ხალხი, ხეები, მანქანები...

მამაჩემი მოკვდა... ერთ-ერთი ნადირობის დროს დაიღუპა... ალბათ მისი სხეულიც სივრცეში გაუჩინარდა... მამა მეუბნებოდა ხოლმე:

– როდესაც მოკვდები, სალიპ, ჩემს საფლავზე ზეთისხილის მწვანე რტო ჩარგე.

უყვარდა ცხონებულს ზეთისხილის ხეები. ალიონზე შემოვიდოდა ჩემს ოთახში და მეტყოდა:

– სალიპ, უკვე ირიყრაჟა.

თვლებს მოვისრესდი, წამოვდგებოდი და გავეხვეოდი ჩემს თეთრ ტანსაცმელში.

უთენია უკვე ბაღში, ზეთისხილის ხეებს შორის ვიყავით.

– დღეგრძელი იყოს ზეთისხილის ხეები, სალიპ.

– დღეგრძელი იყოს, მამა.

– ლამაზია ზეთისხილის ხეები.

– ლამაზია, მამა.

– მისი მაღლი გვაჭმევს და გვატობს.

– ჰო, მამა, მისი მაღლია, რომ გვაჭმევს და გვატობს.

დიდი ქალაქია ამანი... მისი მთებიდან ამოწვილან მაღალი ქვის შენობები... მე კი ძალზე პატარა ვარ, ქარს მი-

აქვს ჩემი სხეული, ძლიერი დაკვრით აგორებს ქუჩებში, როგორც პატარა მაუდის ბურთს.

ოდესღაც მიყვარდა წვიმა. ზამთრობით, როდესაც ჩვენს სოფელში განვიმდებოდა, გარეთ გავდიოდი, დავრბოდი და თან წვიმის შხეფებს სახეს ვუშვერდი. დავრბოდი მანამ, სანამ სულ ერთიანად დავსველდებოდი და სველი ტანსაცმელი ტანზე მიმეკრობოდა. შხაპუნა წვიმის მზერა ხალისიან კისკისს მგვრიდა და უსახლვრო ბედნიერებით მავსებდა. შინ დაბრუნებისას მთელი საღამო ფანჯარას ვერ ვშორდებოდი. თავი გარეთ გადამეყო და თვალს ვადევნებდი, თუ როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები დედამიწას.

მამასაც უყვარდა წვიმა...

ხშირად ამბობდა:

– ზეთისხილის ხეებს უყვართ წვიმა.

– შენ კი ზეთისხილის ხეები, ანუ წვიმაც გიყვარს, – ვუმატებდი ბავშვური გულუბრყვილობით.

ქალაქის მთავარი მოედანი ოთხკუთხა ფორმით იშლება ჩემს თვალწინ: მოედნის გარშემო აღმართულან ფოთოლმემოდარცველი შიშველი ხეები... ქვის მაღალსართულიანი შენობები ცაში აწვდილან... მანქანები სწრაფად კვეთენ მოედანს და გვერდითა ქუჩებში უჩინარდებიან... ხეები მოქნილ აჩრდილებს დამსგავსებინან, ქარის ქროლვისაგან აცახცახებულთ. ამ ქალაქში ყოველი ქუჩა და ტროტუარი მიცნობს, მე კი მოჩვენებასავით მივიკვლევ გზას ხეებს შორის. უძღურ აჩრდილს ვგავარ, რომელიც სასაფლაოდან ეს-ესაა გამოსულა და არ იცის, რა გზას დაადგეს.

(ერთხელ, ღამით, ძილი არ მომეკარა... ჩემი ოთახის ფანჯრიდან ღამისა და წვიმის ცქერით ვიყავი გართული. უეცრად მძვინვარე ღმუილი შემომესმა, რომელიც უმალ საზარელ ყვირილად გადაიქცა... ღამის წყვდიადში შიში და ბოროტება გაამეფა. აცახცახდი და ფეხზე წამოვიჭერი... ჩვენს სოფელში არავის ენახა საზარელი ღულები... შევვარდი მამასთან... თან შიშისაგან სუნთქვა მეკვროდა... მამაც ფხიზლად იყო, ლეიბზე ფეხმორთხმული ყალიონს აბოლებდა... უცნაური გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე. მივეტმასნე მის კუნბაზს\* და ვუთხარი:

– იქ, გარეთ, საშინელი ყვირილია.

მამამ დაბნეული თვალები მომაპყრო, თან თავზე მომილაღერსა...

– ღულები, სალიპ.

იმ ღამის შემდეგ აღარ მართობდა ღამლამობით წვიმის ცქერა...

როგორც კი ბალიშზე თავს დავდებდი, მაშინვე თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა... ტერში

\* მამაკაცის გრძელი ტანსაცმელი, რომელიც წინ გახსნილია

ერთ ნერტილს მივაშტერდებოდი, თან უეცრად თავსდამტყდარ ჯოჯოხეთურ ყვირილს ვუგდებდი ყურს.

წვიმის ცქერა ბედნიერებას აღარ მანიჭებდა.

გვრძნობდი, გათელილი ვიყავი, ჩემი ოთახიც, ჩვენი სახლი და მთელი ჩვენი სოფელიც გათელილი იყო).

წვიმა ფერფლისფრად ღებავს შენობებს, ქუჩებსა და ხეებს... უკაცრიელად გამოიყურება ცარიელი და ჩაბნელებული ქუჩები. გზისმაჩვენებელი დაფები ათასფრად ელავენ... მწვანე, ყვითელი და წითელი ფერები ირეკლება სველ ასფალტზე, ერთმანეთს ერევა ფერადი ხაზები, თითქოს მხატვრის ტილოა, ხელოვანის მიერ საოხუნჯოდ ფუნჯგადასმული... გზაჯვარედინზე პოლიციელი ბოლთასა სცემს, დროდადრო ხელები პირთან მიაქვს და დაორთქლებით ითბობს.

(ერთხელ, საღამო ჟამს, როდესაც შუაღამისგან ვისხედით, მამამ მითხრა:

– ზეთისხილის ხეებმა წელს წვიმით გული იჯერეს.

– წელს მართლაც ბარაქიანი წვიმები იყო.

– მაგრამ რაღაც არ ეტყობა, კარგი მოსავალი მოგვცეს.

– უეჭველად ღულები არბევენ ღამლამობით. ტოტებს ლენენ და ნაყოფს თქვლეფენ.

მამა წამით დადუმდა, შემდეგ ჩაიჩურჩულა:

– მაშინ სისხლისღვრას ვერ ავცდებით.

– სისხლი?!

– ჰო, სალიპ, ზეთისხილის ხეებს ისევე უყვართ სისხლი, როგორც წვიმა... წვიმა ბანს მათ, წვიმის მადლით გვაძლევს ნაყოფს. სისხლს კი თავისუფლება და მშვიდობა მოაქვს, ეს კი აუცილებელია, რათა ხეებმა უფრო ჯანსაღად ისუნთქონ, ნაყოფი არ მოეშალოთ და უფრო მეტი ბარაქა მოგვცენ.

გული მატკინა მამის ნათქვამმა. თვალწინ წარმომიდგა სისხლის თავსხმისაგან წითლად აღწილი ზეთისხილის ხეები).

წვიმამ უეცრად გადაიღო... ქარი კი ისევ ზუზუნებს დაცარიელებულ ქუჩებში... ქალაქის ცენტრში მოულოდნელად აღმოვჩნდი... თანდათან ხმაური მატულობს... ყვირილი... მუსიკა... ხარხარისა და ოხვრის ხმები ერთმანეთში ირევა... საიდანღაც მსხვრევის ხმა მესმის... ვჩერდები... აქეთ-იქით ვიხედები და მზერას სინათლის მკრთალ ზოლზე ვაჩერებ... ფეხებს სინათლისაკენ მივათრევ... ღამის კაფესთან ვდგავარ... ფილტვებში თბილი ბოლისა და ალკოჰოლის სუნი აღწევს... რამდენიმე წუთიც და... განმარტოებით მდგარ მაგიდასთან ღვინით სავსე ბოთლის წინაშე ამოვყავი თავი.

(იმ საღამოს შემდეგ მამას იშვიათად ვხედავდი, შინიდან რომ გავიღოდა, მთელი დღეებით იკარგებოდა ხოლმე.

– სად არის მამა?

– სანადიროდ წავიდა, – მიპასუხა დედამ.

– სანადიროდ? როდის იყო, მამა სანადიროდ დადიოდა!

– ჩემო სალიპ, ღულები სოფელს აოხრებენ, ზეთისხილის ხეებს ტოტებს უმტვრევენ, ნაყოფსაც თვითონ სანსლავენ.

დედის სიტყვებმა უზომოდ გამახარა. ახლა მამაჩემი საზარელ ღულებზე ნადირობს... სოფელს ხომ ერთ ღამესაც არა აქვს მათგან მოსვენება.

ერთხელ მამას ვთხოვე, მეც თან წავეყვანე სანადიროდ.

– ჯერ პატარა ხარ, სალიპ... მაგრამ როდესაც გაიზრდები, აუცილებლად უნდა წახვიდე სანადიროდ. ღულები მრავლდებიან, ზეთისხილის ხეები კი თანდათან მცირდება – მიპასუხა მამამ).

ჩემს თვალწინ ყველაფერი ყვითლად იღებება: სახეები და ხელები, მაგიდები და ჭიქები, კედლებსაც კი ყვითელი ფერი დაედო, მაგიდებზე ჩამოძინებულ თავებსაც...

გაბზარული ფირფიტა მომაბეზრებლად ბრუნავს... მხოლოდ მისი ხმაური არღვევს ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს...

ხელს ვინვდი ღვინით სავსე ბოთლისაკენ, ვეხები მას და გულის არეში აჩქარებულ ფეთქვას შევიგრძნობ... ეს ღვინისადმი პროვინციული მიშის ბრალია... მაინც მიმაქვს ბოთლი პირთან და ერთ დიდ ყლუპს ვუშვებ სხეულში... ღვინო ყელსა

მწვავს და ცეცხლივით ედება შიგნულს.

(ერთხელ მამა შინ გათენებისას დაბრუნდა, დაჭრილი ხელიდან სისხლი მოსდიოდა. გაოცებულმა ვკითხე:

– რა არის ეს?

– სისხლი.

– სისხლი! – აღმომხდა თავზარდაცემულს.

– ეს სწორედ ის სისხლია, რომელსაც ზეთისხილის ხეებისათვის მშვიდობა და თავისუფლება მოაქვს, ხეებმა რომ ჯანსაღად ისუნთქონ და ნაყოფი არ მოეშალოთ.

– მამ ღულებმა დაგკბინეს ასე?! – ვიყვირე.

მამას გაეცინა:

– სამაგიეროდ, არაერთს მოვუგრები კისერი, სალიპ).

ჩემს თვალწინ ყოველი საგანი ფერს იცვლის... თავში აურზაური ტრიალებს, ერთი წარმოდგენა მეორეში გადადის, ერთმანეთში ირევა... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს გულმკერდში ცხენები დაჭენაობენ და ფლოქვებით არტერიებს მიფლეთენ... სული მეხუთება...

თითქოს ვიღაც ჯოჯოხეთური ხელით ცდილობს ჩემი სხეულიდან სულის ამოგლეჯას. „ეს ღვინო ნამდვილად არ არის ნატურალური,“ – ვწრიალებ უკმაყოფილოდ, ძლივსძლივობით ვდგები და გარეთ გავდივარ.

შენობები ტრიალებენ ჩემს თვალწინ... ხეები, გრძელმკლავება ემპაკებად გადაქცეულნი, შთანთქმით მეშუქ-

**ნასრ ლუზას დივანი**

უკანასკნელ ხანებში გამოვიდა ასოუტელი კოპტი პოეტის ნასრ ლუზას (1887-1966) დივანი. ამ პოეტურ დივანს უძღვის კოპტი სულიერი მამის სამეულ თეოდოროს ასურელის წინათქმა, რომელიც მას ნასრ ლუზას გარდაცვალებისას დაუნერია, ასევე ასოუტის პირველი ინგლისური ეკლესიის წინამძღვრის სიტყვა. დივანის წინასიტყვაობა და კომენტარები ეკუთვნის მრჩეველ ნაგიბ ვაჰბას, ხოლო დივანის გამოცემას უხელმძღვანელა ან გარდაცვლილი პოეტის ვაჟმა.

რებიან, ფეხებს ძლივძლივობით მივათრევ, მხრებზე დიდი სიმძიმე მანვება, თითქოს ტონა მარილს ვეზიდებოდე ბეჭებით.

(ალარ მახსოვს, ბოლოს როდის ვნახე მამა... მისი არყოფნა მტანჯავდა... დედას თვალებით ვეკითხებოდი: როდის დაბრუნდება? ის კი, ლოყაზე ხელაფარებული, დუმილით მოავლებდა თვალს ოთახის კუთხეებს... ღამ-ღამობით ძილი არ მეკარებოდა: იქნებ მამა დაბრუნდეს და მისი ფეხის ხმა გავიგონო-მეთქი.

შეჰკვივლა დედამ ერთ საღამოს, ტანზე ტანსაცმელი შემოიხია, ლოყები დაიხოკა და მინაზე თავის ცემას მოჰყვა. მივირბინე, ხელები მოვხვიე... კვილი ერთბაშად შეწყვიტა... შემომხედა... მისი თვალები უძირო, მდუმარე და სევდიანი იყო).

რალაც ძალა მიწისაკენ მექაჩება, ვბორძიკობ და ვეცემი, წვიმის წყლით სავსე ორმოში ვვარდები... უმწეოდ ვფართხალებ, ამოსვლას ვლამობ... შველის სათხოვნელად განვდილი ხელები საცოდავად მეკრუნჩხება. არავინ მოიჩქარის ჩემს საშველად... ქალაქი ღრმა ძილში ჩაფლულა. სასონარკვეთილს ისლა დამრჩენია, ვიყვირო... ვიღრიალო ისე, როგორც შიშისაგან თავზარდაცემული კაცი იყვირებდა, უეცრად ღამის წყვდიადში კომმარული ხილვების სამყაროში რომ აღმოჩენილიყო. ჩემი ღრიალი არარელაურ, ზღაპრულ ხმად ჩამესმის, ძრწოლასა მგვრის, მის შეჩერებას ვლამობ, მაგრამ ვერ ვახერხებ...

ყვირილის ხმა მაფხიზლებს... აივნებიდან გადმოყოფილი თავები დამყურებენ, ილანძლებიან, ინყევენებიან, გადმოაფურთხეს კიდეც. სასწრაფოდ ამოვდივარ ორმოდან... მინაზე ფეხის დადგმისთანავე ადგილიდან ვწყდები და გავრბივარ, კვლავ პატარა მაუდის ბურთს ვემსგავსები... დამაქანებს ქარი ქუჩებში, ძლიერი დაკვრით მტყორცნის ერთი მთიდან მეორეზე, დამაგორებს ვინრო ჩიხებსა და ბნელ მოსახვევებში. მეც გავრბივარ, ქალაქი უკან მრჩება... ვჩერდები... გარშემო გაშლილი სივრცეა...

(მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ღულებმა სოფლის ღამღამობით რბევას მოუხშირეს, ანიოკებდნენ სახლებს, ხოცავდნენ კაცებსა და ქალებს, ბავშვსაც კი არ ინდობდნენ. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდა სოფელს.

- წავიდეთ, სალიპ. - მითხრა დედამ.
- სად წავიდეთ?
- სადაც სხვები მიდიან.
- სანადიროდ?!
- არა.

დედას გამხდარი სახე ჩაყვითლებოდა, თვალებში კი ცრემლი გამრობოდა.

- როგორ დავტოვოთ ჩვენი სახლი? - ვიყვირე. დედამ შემომხედა, თვალები უკვე ცრემლით ავსებოდა, ერთხანს მიყურა, შემდეგ ტანსაცმლის შეგროვება დაიწყო, პატარა და დიდ ფუთებში გამოკრა.

- როგორ მივატოვოთ ზეთისხილის ხეები... და მამა! - კვლავ შევიყვირე.

დაემხო დედა მინაზე... დაიწყო თავის პირველ ცემა).

გარშემო გაშლილი სივრცე და წყვდიადია... ჩემს წინ ღრმა ძილში ნასული ქალაქი იშლება, იქ კანტიკუნტად ბჟუტავს სუსტი სინათლები... შიში ერთიანად მიჰყრობს, სიბნელეში თვალებს ვაჭყეტ... ერთბაშად მარტოობისა და დაღუპვის გრძნობა მეუფლება.

გავედით შინიდან, დედა ხის კარებს ეამბორა, დაკეტა დიდი რკინის გასაღებით, რომელიც უბეში შეინახა. შემდეგ წინ გამიძღვა, ერთი დიდი ფუთა თავზე შემოედო, მეორე ზურგით მიჰქონდა, მესამე - პატარა კი - კისერზე დაეკადა. მე გავყვი, დროდადრო უკან ვიხედებოდი, თვალს შევავლებდი სოფელს, მივტიროდი ჩემს სახლს, ზეთისხილის ხეებს, მამასა და წვიმას.

დედამ წაიბორძიკა და დაეცა გზაზე. ამაოდ ველოდი, როდის ადგებოდა... მის თავთან დავიჩოქე... დედას სული ეხუთებოდა, თვალები ცისკენ აღეპყრო და სადღაც შორს იყურებოდა.

- დედა!

- ნუ გეშინია, სალიპ, - უმწეოდ დაიჩურჩულა.

მის გარშემო ტრიალი დავინყე.

- მისმინე, სალიპ, როდესაც თვალები დამეხუჭება, აილე შენი ტანსაცმელი და გზა განაგრძე, - ძლივსგასაგონად აღმოხდა.

- არა... შენ ჩემთან ერთად იქნები! - ვიღრიალე, მაგრამ ჩემი ხმა აღარ გაუგონია, თვალები უკვე დახუჭული ჰქონდა.

სიცივე ფეხებს მიყინავს... ქარი ცრემლებს მიშრობს... საიდანღაც ნაგვის სუნი მომდის... დაუძღურებულ სხეულს მივათრევ ქალაქისაკენ, ბორძიკით მივიკვლევ გზას ქუჩებსა და ჩიხებში... ძაღლების გამძვინვარებულ ყეფას ვანყდები მოსახვევებთან, ბრაზიანი ყეფით მორბიან ჩემკენ და უნებურად მაგონებენ ჩვენი სოფლის საშინელ ღულებს. უეცრად მახსენდება მამის სიტყვები: „როდესაც გაიზრდები, სალიპ, სანადიროდ უნდა წახვიდე“. შეუგნებლად ვჩურჩულებ: „ღმერთო ჩემო, რას ვუცდი, უკვე ხომ კაცი ვარ“.

**არაბულიდან თარგმნა  
ინგა ზურაბიშვილი**



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

ლუკა ავალიშვილი

# ქალი ისლამში ქრისტიანი ქალის თვალთახედვით

ნანი გელოვანის ნაშრომი „ქალი ისლამში“ ბოლო წლების ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ნამდვილ შენაძენად წარმოგვიდგება. ავტორი ღირსეულად აგრძელებს ჩვენი ორიენტალისტიკის საუკეთესო ტრადიციებს და იმდენ მასალას უყრის თავს მისთვის საინტერესო თემის გარშემო და ისე სიღრმისეულად იკვლევს დასმულ პრობლემას, რომ მონოგრაფია მნიშვნელოვნად უსწრებს წინ ამავე საკითხზე ბოლო ხანს მსოფლიო მეცნიერებაში გამოქვეყნებულ ანალოგიური ტიპის გამოკვლევებს.

საერთოდ, ისლამის ქალთან დამოკიდებულების თემა მნიშვნელოვანი იყო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე და მას განსხვავებული რაკურსით, მოსაზრებითა და მიდგომით აშუქებდნენ. აღნიშნული თემისადმი ინტერესი კი განსაკუთრებით გაძლიერდა დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობების გამრავალფეროვნების შემდგომ, როცა ერთი თანამედროვე ავტორის გამოთქმას რომ დავესესხოთ, „არც დასავლეთია სადმე და არც აღმოსავლეთი“, რადგან კომუნიკაციათა განვითარებამ ამ ორი, ადრე ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული სამყაროს დაახლოება და გარკვეულწილად ერთმანეთში ათქვეფაც კი გამოიწვია. ახლა, სამწუხაროდ, „სუფთა“, კლასიკური სახით აღარც აღმოსავლეთი არსებობს და არც დასავლეთი. ეს ორი პოლიუსი ისე გაეცნო და შეეთვისა ერთმანეთს, რომ მათი მკვეთრი გამიჯვნა და დაცალკეება აშკარად გაჭირდება.

დღევანდელ ეტაპზე წარსულს ჩაბარდა დასავლეთის კოლონიალისტური პოლიტიკა აღმოსავლური სამყაროს მიმართ, უფრო ზუსტად, ამ პოლიტიკის მილიტარისტულ-დაპყრობითი ხასიათი და დაპირისპირება იდეოლოგიური ბრძოლის ფაზაში გადავიდა.

დასავლეთს სურს, დემოკრატიის აპრობირებული მოდელი, რომელიც თავისსავე ქვეყნებშიც კი სრულყოფილად ვერ აუმოქმედებია, აღმოსავლეთშიც გაავრცელოს და ამ დემოკრატიის, როგორც უკვე გარკვეული სამოქალაქო რელიგიის, ყველა ასპექტი იქ თანამიმდევრულად გადაიტანოს. ამდენად, მნიშვნელოვანია ყველა იმ შეუთავსებლობის წინდანიწვე გამოვლენა, რაც „ახალ რელიგიას“ „ძველი ტრადიციული რელიგიისაგან“ ადგილზე დახვდება. ძველ ტრადიციულ რელიგიაში კი არამხოლოდ აღმოსავლეთში გავრცელებული სარწმუნოებრივი სისტემები და მათ შორის უპირველესად ისლამი, არამედ საყოფაცხოვრებო ადათი, ადგილობრივი ერების მენტალური თავისებურებანი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაც იგულისხმება.

ამდენად გასაგებია ის ცხოველი დაინტერესება, რამაც დასავლური ორიენტალისტიკის არნახული გამოცოცხლება გამოიწვია და ამ დარგის თითოეული მიმართულება შეუდარებლად გაააქტიურა. ეს განსაკუთრებით ითქმის ისლამმცოდნეობის შესახებ. თუმცა ინტერესის მოზღვავებამ კვლევის ერთგვარ ვულგარიზაციასაც შეუწყო ხელი და, ვთქვათ, იმავე XIX-XX საუკუნის ორიენტალისტიკისაგან განსხვავებით, აშკარად დაინია სამეცნიერო დონემ, ხოლო წერის აკადემიურ სტილისტიკას ხშირ შემთხვევაში ენერგიულად ჩაენაცვლა პოპულარული სტილი, რითაც ობიექტური კვლევა სუბიექტივისტურმა ესეისტიკამ გადაფარა.

ამას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები აქვს, უპირველესად კი ალბათ ის, რომ აღმოსავლეთით გატაცებამ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მოიცვა და მეცნიერებაც ცდილობს, უფრო დემოკრატიულ გავხდეს. მაგრამ ამასობაში თანდათან იკარგება ის აკადემიურობა, რაც მეცნიერების სრულყოფილი განვითარების აუცილებელ პირობად გვევლინება.

ზემოთ აღნიშნულ ამ საერთო ფონზე ნანი გელოვანის მონოგრაფიას ორი არსებითი ნიშანი გამოარჩევს: აკადემიზმი და მიუკერძოებლობა. ორიენტალისტიკაში მიუკერძოებლობა ჩემთვის პირადად ნიშნავს იმას, რომ მკვლევარი არ მოექცეს არც დასავლური და არც აღმოსავლური სტერეოტიპული მიდგომის გავლენაში და ობიექტურად ასახოს კვლევის შედეგებით მიღებული სურათი, დაეყრდნოს მხოლოდ სალი გონებით განსჯილ სინამდვილეს და არა – რომელიმე მხარისათვის სასურველ პროპაგანდას. საამისოდ აუცილებელია მეცნიერი სრულყოფილად იცნობდეს საკვლევი თემის ირგვლივ არსებულ ყველანაირ მასალას, რათა უმნიშვნელო ნიუანსიც კი არ გამოჩნდეს და თავისი პოზიციები ყველა არგუმენტის გათვალისწინებით გაამყაროს.

ბოლო ხანს ქართულ მეცნიერებას განსაკუთრებით უჭირს უცხოეთში გამომავალი სპეციალური ლიტერატურის მოპოვება, რადგან მოიშალა ამ ლიტერატურის განაწილების ერთიანი საბჭოური სისტემა და, სამწუხაროდ, უახლეს გამოკვლევებზე ხელი იშვიათად, ძალზე ცოტა ადამიანს თუ მიუწვდება. ამ მიზეზით სრულიად ობიექტურად გაძნელდა ამა თუ იმ დარგის თანამედროვე მიღწევათა გათავისება და ჩვენში დაცული დისერტაციები ან წიგნად გამოცემული სამეცნიერო თხზულებანი არც თუ იშვიათად სცოდავს სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით.

ნანი გელოვანის ნაშრომი ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ბედნიერი გამონაკლისია და მეცნიერული პატიოსნების, სკრუპულოზურობისა და სიღრმისეულობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურის სიაზე ზედაპირული თვალის გადავლება კი იოლად დაგვარწმუნებს, რამხელა შრომა გაუწევია ავტორს, რათა მოეპოვებინა, შეეკრიბა და შემოქმედებითად აეთვისებია ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წიგნი, რაც მის მონოგრაფიამდე დასავლურ თუ აღმოსავლურ (არაბულ-სპარსულ) მეცნიერებაში დანერილა.

ნაშრომის საფუძვლიანი ანალიზი კი იმასაც ცხადყოფს, რომ ჩვენში გავრცელებული ერთი მავნე ჩვეულებ-

ბის საპირისპიროდ, ნანი გელოვანს დამონმბულ ლიტერატურაში მითითებული თხზულებები თვითონვე გულდასმით წაუკითხავს, ხელთ ჰქონია და მარკირება ისე გაუკეთებია. ეს საქმე უამრავ დროსა და ენერგიას მოითხოვს და ამიტომაც, ისევ ბოლო დროს ნაჩქარევად მომზადებული დისერტაციების ფონზე, ნანი გელოვანის წიგნი სრულყოფილი, დადინჯებული, აუჩქარებელი კვლევის მაგალითად წარმოგვიდგა.

თემის აქტუალობაზე დასაწყისშივე მოგახსენეთ, თუმცა ნანი გელოვანი, როგორც ნამდვილ მკვლევარს შეშვენიის, მთელი ამ ოთახსავეკრდინანი ნაშრომის მანძილზე არსად ასდევს ცდუნებას საკითხის ბელეტრიზებისა. მისი მსჯელობა თანამიმდევრულია, მშრალი, დეკემპური სტილით გადმოცემული ფაქტები – სათანადო წყაროებით გამყარებული, დასკვნები საფუძვლიანი და არგუმენტირებული.

ამიტომაც შესაძლოა წიგნმა იმედი გაუცრუოს პროპაგანდისტული ჟინით ანთებულ როგორც აღმოსავლელ, ისე დასავლელ კონიუნქტურისტებს, რომელთაგან განსხვავებით, ნანი გელოვანს ესმის, რომ საკითხი იმაზე გაცილებით ღრმა და მრავალმრეანი, ვიდრე ეს მიკერძოებულ, ზედაპირული სქემებით მოაზროვნე ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს.

ჯერ ერთი, ქალი ისლამში უზოგადესი ცნებაა და ამ საკითხის კვლევა, როგორც სტატისტიკური, უძრავი მოცემულობისა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. თემა სინქრონულად უნდა იქნეს შესწავლილი და მკვლევარმა ყველა რეალია, მათ შორის ისლამის გავრცელების გეოგრაფიული არეალი და სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყანაში საკითხთან დამოკიდებულების თავისებურებანი უნდა გაითვალისწინოს.

ამიტომაც ნანი გელოვანი სათაურშივე შემოსაზღვრავს ეპოქას VII-X საუკუნეებით და ამით ზოგად თემას იმთავითვე აკონკრეტებს. ეს კონკრეტულობა გულისხმობს იმას, რომ ქალის როლი, ადგილი და სტატუსი არაბულ-მუსლიმურ საზოგადოებაში სამ ძირითად ეტაპზე განაწილდება. ამოსავალი, რასაკვირველია, უნდა იყოს (და ასეც არის) ყურანის დამოკიდებულება ქალთან, მუსლიმთა საღვთო წიგნის მოტანილი და დამკვიდრებული კანონები გენდერული ურთიერთობების დასაწყობად, რასაც ბუნებრივად მიეძმის ქალის ფუნქციათა კვლევა ოჯახსა და საზოგადოებაში. ოღონდ ყურანში წამოჭრილი საკითხების სწორად შესაფასებლად, საჭიროა, ჯერ იგივე თემატიკა ისლამამდელი არაბეთის საზოგადოებრივი წყობის ფარგლებში დამუშავდეს.

ნანი გელოვანი თანამიმდევრულად მიჰყვება კვლევის აღნიშნულ გეზს; იმდენ მასალას მოიხმობს და, რაც მთავარია, ისე ოსტატურად უყრის თავს მთელ ამ მონაცემებს, რომ მონოგრაფია გაუნელებელი ინტერესით იკითხება და საკვლევი თემის ერთგვარ მინიენციკლოპედიად გვევლინება. ის ძალიან კარგ, ქრონოლოგიურ კატალოგს გეთავაზობს წამოჭრილი პრობლემების ირგვლივ ამა თუ იმ ეპოქაში გამოთქმული სამეცნიერო შეხედულებებისა, ოღონდ ევროპულ ორიენტალისტიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებებს არა უკრიტიკოდ, არამედ არაბულ-მუსლიმურ პირველწყაროებთან კავშირში განიხილავს. ამ წყაროების

ზედმინენით ცოდნა და ანალიზი ნანი გელოვანის წიგნის გამოკვეთილი ღირსებაა. ავტორი არაბულიდან თარგმნის მუსლიმ ისტორიკოსთა და ლეთისმეტყველთა ნაშრომებში დაცულ ცნობათა კორპუსს და ეს თარგმანი, თუ რამდენიმე უმნიშვნელო უზუსტობას არ ჩავთვლით, უშეცდომო, მაღალპროფესიული ნამუშევარია.

წიგნში ხელშესახებად იკვეთება ის ფაქტი, რომ ყურანის მიერ მოტანილი და დამკვიდრებული კანონები ხშირად ლოგიკურად აგრძელებს, უფრო მეტად კი კრიტიკულად გადასინჯავს ისლამამდელი არაბეთის მემკვიდრეობას. ამ თანხედრათა და წინააღმდეგობათა შეპირისპირება კი საკითხის სრულყოფილი შესწავლის გარანტიას იძლევა.

ცალკე ნაკვლევია ყურანის დებულებათა ტრანსფორმაციები მუჰამადის შემდგომ ეპოქაში. კერძოდ, რა შეიცვალა VII-X საუკუნის მანძილზე ქალთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ანუ როგორ განიმარტებოდა და რეალურად ყოფაში რა სახით მკვიდრდებოდა ამ სამი საუკუნის განმავლობაში საღვთო წიგნის ამოსავალი დებულებები.

მონოგრაფიის ეს სამივე ნაწილი კი, რომელიც ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი მონაკვეთებია, ძალდაუტანებლად ერთიანდება და დასმულ პრობლემას მთელი სიცხადით, სიღრმითა და მასშტაბურად წარმოგვიდგენს.

დასასრულს, ინფორმაციისათვის დავეძენთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნანი გელოვანის ეს ბრწყინვალე გამოკვლევა 2005 წელს გამომცემლობა „უნივერსალში“ დაისტამბა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ეგიდით. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე, რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ტიკაძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა გელაშვილი.

არ მიინდა, საქმიანი რეცენზია ლირიკული ტონალობით დავამთავრო, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ერთი რამ: დღეს რატომღაც ბევრი ამტკიცებს, რომ ქართული მეცნიერების დონე ადრინდელთან შედარებით წარმოუდგენლად დაქვეითდა, რომ ჩვენში სამეცნიერო გარემო თანდათან კვდება და იფიტება.

სხვა დარგებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას, თუნდაც ნანი გელოვანის ამ წიგნითა და კიდევ ჩვენი ორიენტალისტების მიერ ბოლო წლებში შექმნილი სხვა ნაშრომებითაც რომ ვიმსჯელოთ, მომკვდავის კვალობაზე, ძალზე ჯანსაღად და ღირსეულად უჭირავს თავი.





ნინო დოლიძე

# ეხნატონიდან დიკლომატიამდე

## ეგვიპტელი დედოფალი

2006 წელს გამოცემილი „დიოგენემ“ კიდევ ერთი მშვენიერი ნიგნი გამოსცა – ანდრე შედიდის „ნეფერტიტი და ეხნატონის ოცნება“, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა ლია რუხაძემ. 2006 წლის „თბილისის ნიგნის ფესტივალზე“ შედგა თარგმანის პრეზენტაცია, ხოლო ამავე წლის 21 დეკემბერს დაინტერესებულ მკითხველებს უმასპინძლა თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა, რომლის ხელშეწყობითაც განხორციელდა ნიგნის ქართულ ენაზე გამოცემა.

ღია რუხაძე ცხრა წლის წინ გავიცანი, როცა სადღეობო ნაშრომის რეცენზენტობა გამინია. ამის შემდეგ მასთან ურთიერთობის კიდევ ბევრი სასიამოვნო წუთი მელოდა – ორჯერ ვიმოგზაურეთ ერთად ეგვიპტეში. მანამდე ქალბატონი ღია მუშაობდა კიდევ კაიროში, ალ-ჟირში. ხშირად გვიყვებოდა საინტერესო ამბებს არაბულ სამყაროსთან თავისი ხანგრძლივი ურთიერთობიდან. ის წლების განმავლობაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ბოლო დროს განსაკუთრებით არაბთა ფრანგულენოვანი ლიტერატურით დაინტერესდა. მოგეხსენებათ, უამრავი არაბული წარმომავლობის მწერალი წერს დღეს ფრანგულად, ისევე როგორც სხვა ევროპულ ენებზე. შედეგად იქმნება საკმაოდ საინტერესო ლიტერატურა – ერთგვარი აღმოსავლურ-დასავლური ნაზავი. ასეთ ავტორთა შორისაა ანდრე შედიდი – წარმოშობით ლიბანელი, ეგვიპტელი პოეტი და პროზაიკოსი. ის 1920 წელს კაიროში, ქრისტიან არაბთა ოჯახში დაიბადა. იქვე მიიღო ფრანგული განათლება, ხოლო სამეცნიერო ხარისხი კაიროს ამერიკულ უნივერსიტეტში დაიცვა. 1946 წლიდან ცხოვრობს პარიზში.

ნიგნი „ნეფერტიტი და ეხნატონის ოცნება“ ანდრე შედიდი ძველი ეგვიპტის იდუმალ სამყაროში გვეპატიუება. მკითხველი უნებლიეთ აღმოჩნდება ფარაონ ამენოფის IV-ის სასახლის კარზე და ძვ. წ. აღ.-ით XIV საუკუნის ქალაქის მშენებლობის მოწმე ხდება. ამ სამყაროს შესახებ ხშირად გვისაუბრია ეგვიპტეში, სადაც დღესაც სიძველის, არქაულისა და მისტიკურის სული ტრიალებს, სადაც ქვიშაზე აღმოცენებული უდიდესი ცივილიზაციის გადმონათეები გხიბლავენ მხოლოდ. საღერღელს გიშლის ნილოსის წელი დინება და გინდება, ცოტა ხნით მაინც მოხვდე ფარაონთა ქვეყანაში, ჩაიხედო მათ ცხოვრებაში და მიხვდე, თუ რა იყო ის ძალა, რომელმაც შექმნა აბუ სიმბელის ტაძარი, კარნაკის მონუმენტური ანსამბლი და ფილასის სამლოცველო. ანდრე შედიდი ნაწილობრივ ახერხებს

ეს ცნობისნადილი დაგვიკმაყოფილოს. ქალბატონი ღიას მიერ შესანიშნავად გადმოქართულებულ ნიგნი თავად ნეფერტიტისა და ჟამთააღმწერელი ბუბასტოს საოცრად პოეტური თხრობა ენაცვლება ერთმანეთს. გეგონებათ, ავტორი თვითონ დააბიჯებდა სამხრეთ ეგვიპტეში ახალი დედაქალაქის სამშენებლო სამუშაოებზე... ეხნატონმა და მისმა მეუღლემ, ნეფერტიტიმ დატოვეს თებე (ახლანდელი ლუქსორი) და თებესა და მემფისს (ახლანდელი კაირო) შორის მდებარე ნილოსისპირა ნაყოფიერი მიწა აირჩიეს, რათა აეშენებინათ „იმედის ქალაქი“, სადაც ყველა ერთნაირად თავისუფლად იგრძნობდა თავს, სადაც მზე ყველას ერთნაირად მოეფინებოდა, სადაც არასოდეს არავის აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ, სადაც ყველა-სათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა სწავლა და ყურადღება მიექცოდა პიროვნების წინსვლას, სადაც მეფე-დედოფალი თავის პრივილეგიაზე უარს იტყვოდა და უშუალოდ ხალხთან ერთად ჩაებმებოდა ყველა სამუშაოს შესრულებაში. კაცმა რომ თქვას, ნიგნი რეალურ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა (დანართის სახით დაახლოებითი ქრონოლოგიური მაჩვენებელიც ახლავს), მაგრამ ანდრე შედიდი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს ისე ზომიერად, ისე დელიკატურად გვთავაზობს, რომ ვერაფერს მიხვდება, სად გადის ზღვარი რეალობასა და გამონაგონს შორის. მას ერთ მთლიანობად აღიქვამს.

თხრობა საოცრად სხარტია და თან მშვიდი. არ იწვლება. არ გბეზრდება. ერთი ამოსუნთქვით კითხულობ, როგორც პატარა უბის ნიგნაკს და შედეგად ცოტა სევდანარევი გრძნობაც გრჩება სიყვარულითა და რუდუნებით ამუშავებული ქალაქის – ამქვეყნიური მშვენიერების – წარმავლობის გამო. ნეფერტიტის თვალწინ ნაცარტუტად და მტვრად იქცა გამომწვარი აგურით ნაშენები სასახლეები, ბალები, ტაძრები – ქალაქი, რომელიც ოთხი წელიწადი შენდებოდა და ეხნატონის პროგრესული იდეების ხორცშესხმას წარმოადგენდა. ახალგაზრდა მეფე-დედოფალს ვერ გაუგეს. მაგრამ რჩება იმედის ნაპერწკალიც – წარღვნისა და გაჩანაგების მიუხედავად ცხოველმყოფელი მზე ხომ ისევ კაშკაშებს.

ქალბატონი ღიას მიერ არაჩვეულებრივად კარგი ქართულითაა თარგმნილი ეს ნიგნი – მისი ისტორიული, ფილოსოფიური, სასაცილო, რომანტიკული, ემოციური პასაჟები. ჩვენ თვალწინ ნათლად იხატება ნეფერტიტის სახის ნაკვეთები, მოქანდაკე ბექი რომ აქანდაკებდა; ეხნატონის თვალის ჭრილი, მთელს სამყაროს რომ იტყვდა. თხრობის სტილი უშუალოა, ინტონაცია – თბილი. კითხულობ და თავად ქალბატონი ღია წარმოგიდგება – გულწრფელი, კულტურული, რომანტიკული, იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული. ფიქრობ, რომ შეუძლებელია, ორიგინალი ამაზე უკეთ იკითხოვოდე.

ეგვიპტიდან ჩამოტანილ სუვენირებს შორის კედლის თევზზე ამოტიფრული ნეფერტიტის სადა პროფილიც ამშვენებს ჩემს ოთახს. რამდენჯერაც თვალს შევავლებ, იმდენჯერ მახსენდება მემატრიან ბუბასტოს სიტყვები უკვე სიკვდილმიახლოვებულ დედოფალზე: „ნეფერტიტი ახლაც ხშირად მოიღერებს ხოლმე ყელს, როგორც ყმანვილქალობაში სჩვეოდა, მაგრამ ამას ქედმაღლობით კი არ აკეთებს, არამედ უბრალოდ ნიავს რომ მიაგებოს სახე“.

**პირველი  
ქართულ-არაბული  
დიპლომატიური ლექსიკონი**

მოგეხსენებათ, ქართული არაბისტიკა განებივრებულ იქნა არ არის ქართული ორენოვანი ლექსიკონებით. პირველი არაბულ-ქართული თარგმნითი ლექსიკონი, რომელიც გიორგი ნერეთელმა შეადგინა და ჯერ კიდევ 1951 წელს გამოსცა, არასრული გახლდათ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ეს გამოცემა, რომელიც თავისთავად უნიკალური იყო, არ გაუმჯობესებულა, არ შევსებულა. ქართულ-არაბული ლექსიკონი კი საერთოდ არ გამოცემულა. არადა ამგვარი ლექსიკონების არსებობის აუცილებლობა დღითიდღე თვალსაჩინო ხდება, რადგან ისინი საჭიროა უკვე არა მხოლოდ ქართველ არაბისტთა ვინაობა წრისათვის, არამედ უფრო ფართო მომხმარებლისთვის არაბულ ქვეყნებთან მზარდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გამო.

ამიტომაც ძალიან სასიხარულოა, რომ 2005 წელს, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პირველი ქართულ-არაბული დიპლომატიური ლექსიკონი გამოვიდა. მისი ავტორია აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, ფილ. მეცნ. კანდიდატი ქალბატონი ნუნუ ბეროზაშვილი, რომელმაც განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კაიროს უნივერსიტეტში მიიღო. სხვადასხვა დროს თორმეტი წლის მანძილზე სწავლობდა და მუშაობდა სირიასა და ეგვიპტეში. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი შესაძლებლობა, ხანგრძლივად ყოფილიყო არაბული ქვეყნების დიპლომატიურ გარემოცვაში და შესაბამისად, დაეგროვებინა საბაზო მასალა ამ ტიპის ლექსიკონისთვის. ქალბატონმა ნუნუმ გამოიყენა არა მხოლოდ არსებული ტერმინოლოგიური ლიტერატურა და როგორც ქართულ, ასევე არაბულ ლექსიკოგრაფიაში დაგროვილი გამოცდილება, არამედ დანვრისებით შეისწავლა პრესა, პოლიტიკური

ლიტერატურა, ოფიციალური დოკუმენტების ტექსტები კონსტიტუციის, კომუნიკების, ხელშეკრულებების სახით. საელჩოში მუშაობისას მას პირადად უწევდა დიპლომატიური შინაარსის წერილებისა და საბუთების გაცნობა.

აღნიშნული ლექსიკონი, რომელიც დიპლომატიისათვის დამახასიათებელ ცხრა ათასამდე ტერმინსა და შესიტყვებას შეიცავს, მართლაც ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის შედეგია. ამგვარ ლექსიკონზე მუშაობას ართულებს ის ფაქტი, რომ არაბული ენის (და შესაბამისად დიპლომატიური არაბულის) გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა. ის ოცზე მეტ ქვეყანას მოიცავს. მართალია, ეს ქვეყნები ცდილობენ საერთო სალიტერატურო ენის შენარჩუნებას, მაგრამ ბუნებრივად მაინც ჩნდება განსხვავებები, რაც ლექსიკონში მაქსიმალურადაა ასახული. ასევე მოცემულია ქართული ტერმინის როგორც შესატყვისი, ისე პარალელური მნიშვნელობები. თითოეულ ტერმინთან ერთად მისი ხმარების ყველა შესაძლო ვარიანტი ჩამოთვლილი. აქ არ შეგხვდებათ მხოლოდ ტერმინები, არამედ დიპლომატიაში გამოყენებადი ლექსიკური ერთეულებისა და გამოთქმების ფართო სპექტრი.

ერთ-ერთი სირთულე, რომლის გადალახვა ავტორს მოუწია, ისიც გახლავთ, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს სხვა რომელიმე ენის დიპლომატიური ლექსიკონი. ამდენად, ქალბატონი ნუნუ შედეგინილი სიტყვანი შესაძლოა სხვა ენების დიპლომატიური ლექსიკონის წერისას იქნას გამოყენებული. ამ თვალსაზრისით ქალბატონმა ნუნუმ ზოგადად ქართულ ლექსიკოგრაფიაში არსებული სიცარიელის შევსებაც სცადა მით უფრო, რომ დღესდღეობით ზოგიერთი ქართული ტერმინი დადგენის პროცესშია.

იმედია, ამ ლექსიკონს, რომლის რედაქტორი ბატონი აპოლონ სილაგაძე, ხოლო რეცენზენტები ქალბატონი მარიამ ნედოსპასოვა და ქალბატონი იზოლდა გრძელიძე ბრძანდებიან, არაბული ენის სხვა დარგობრივი ლექსიკონების გამოცემაზე მოჰყვება.

**პრონიკა**

21 დეკემბერს, საქართველოში ალექსანდრ დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრისა და ეროვნული ბიბლიოთეკის თაოსნობით, ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში ღია რუხადის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი ანდრე შეიდიის რომანის – „ნეფერტიტი და ეხნატონის ოცნება“ – წარდგინება გაიმართა.

არაბისტი ღია რუხაძე, რომელიც შესანიშნავად ფლობს ფრანგულსაც და წლების მანძილზე სწორედ ფრანგული ენის თარგმნადა მუშაობდა სხვადასხვა არაბულ ქვეყანაში, ბოლო ხანს არაბული ფრანკოფონიით დაინტერესდა და ამ ლიტერატურის არაერთი ნიმუში გვითარგმნა.

თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის განვითარებაში დღეს აქტიური წვლილი შეაქვთ არაბული წარმომავლობის მწერლებს, რომელთა „სამუშაო ენად“ მიზეზთა და მიზეზთა გამო არა მათი მშობლიური არაბული, არამედ ფრანგული მოგვევლინა.

ამ მწერალთა ნამუშევრები, რომლებიც საფრანგეთში დიდი ტირაჟით იყიდება, უკვე თავისებურ მიმართულებას ქმნის, ხოლო მათი პოპულარობა დიდწილად განპირობებულია დასავლეთში „აღმოსავლეთის მოდის“, აღმოსავლეთის მიმართ ცნობისწადილის ხელახალი აფეთქებით, ოღონდ წარსულისაგან განსხვავებით, როცა ევროპის ინტერესს ძირითადად ორიენტალისტები აკმაყოფილებდნენ, დღეს უკვე აღმოსავლეთის პროტაგო-

ნისტებად თვითონ აღმოსავლელებივე გვევლინებიან, რომელთაც ევროპული ენები მშობლიურებით ემარჯვებათ.

არაბული წარმომავლობის ფრანგ მწერალთა შორის ანდრე შეიდიი გამორჩეული სახელია. აქამდე ქართულად, ისევე ღია რუხადის წყალობით, მისი რამდენიმე ნოველა ითარგმნა და დაიბეჭდა, შარშან კი გამომცემლობა „დიოგენე“ და დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრმა მკითხველს მისი რომანიც შესთავაზა.

წარდგინებაზე არაერთი თბილი სიტყვა ითქვა მთარგმნელის, ქალბატონი ღია რუხადის მისამართით, რომელსაც თურმე 21 დეკემბერს დაბადების დღეც ჰქონდა და ამდენად ეს პრეზენტაცია, როგორც ახლა იტყვიან, მის ერთგვარ ბენეფისად გადაიქცა.

კომპლიმენტები გადაჭარბებული ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ღია რუხადის თარგმანს, დღევანდელი თარგმნილი პროდუქციის უმეტესობისაგან განსხვავებით, მშობლიური ქართულის ღრმა ცოდნა და ამ თვალსაზრისით დღეს უკვე ასე გაიშვიათეული უშეცდომობა გამოარჩევს.

თუმცა თვითონ ქალბატონმა ღიამ, ჩვეული თავმდაბლობით, ეს ღირსებაც წიგნის რედაქტორს ლალი ქადაგიძეს მიანერა.

ასეა თუ ისე, ხელთ გვაქვს შესანიშნავი თარგმანი, რომლის წამკითხველს წინ დიდი სიამოვნება, ხოლო მთარგმნელს კიდევ არაერთი ავტორი და ტექსტი ელოდება.

უსამა იბნ მუნკიზი

## შეგონებათა წიგნი

უსამა იბნ მუნკიზი (1095-1188) იყო დიდგვაროვანი შეიაზარელი (სირია), არაბი მწერალი და მხედართმთავარი, ჯვაროსნული ომების მონაწილე. ბევრს მოგზაურობდა ეგვიპტეში, სირიასა და მესოპოტამიაში. მისი „შეგონებათა წიგნი“ (ქითაბ ალ-თიბარ), ავტობიოგრაფიული ქრონიკა, ძვირფასია როგორც ლიტერატურული ნაწარმოები და მნიშვნელოვანი – ისტორიული წყარო. ის წარმოდგენას გვიქმნის არაბული აღმოსავლეთის ცხოვრებაზე, აგვიწერს არაბთა ყოფას, მათ ურთიერთობებს ჯვაროსნებთან XII საუკუნეში. წიგნი უაღრესად საინტერესოა მუსლიმთა მიერ ევროპელთა ცხოვრების წესისა და მათი ზნე-ჩვეულებების გაცნობა-შეფასებისათვის.

„შეგონებათა წიგნი“ ნათარგმნია მრავალ ევროპულ ენაზე. ქვემოთ მოტანილი ფრაგმენტები, რომლებშიც გადმოცემულია უსამა იბნ მუნკიზის შთაბეჭდილებები ევროპელ ჯვაროსანთა შესახებ, პირველად ითარგმნა ქართულად.

### ფრანკთა თვისებები და ბუნება-ხასიათი

დიდება შემქმნელ შემოქმედს!

კაცი რომ ფრანკთა ამბებს გაეცნობა, განადიდებს ალაჰს, მაღალიმც არს იგი, ქება-დიდებას გაუგზავნის მას და ფრანკებში დაინახავს მხეცებს, რომელთა კარგი თვისება მხოლოდ სიმაძაგეა ბრძოლისას და სხვა არაფერი, მსგავსად იმ მხეცებისა, რომელთაც ახასიათებთ ძლევა მსხვერპლზე, როცა თავს ესხმიან.

გავიხსენებ რაღაცეებს ფრანკთა ნამოქმედარიდან და მათი ჭკუა-გონების საკვირველებებს.

### მათ ჭკუა არ აქვთ

მეფე ფულქოს, ფულქოს ძის\* ლაშქარში ერთი მორიდებული ფრანკი მხედარი იყო, რომელიც თავისი ქვეყნიდან საპილიგრიმოდ ჩამოვიდა და უკვე უკან უნდა გაბრუნებულიყო. იგი დამიახლოვდა და ჩემი განუშორებელი მეგობარი გახდა, მეძახდა „ჩემო ძმოს“.

ჩვენ შორის სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევდა. როცა გადაწყვიტა თავისი ქვეყანაში ზღვით დაბრუნება, მითხრა:

\* იერუსალიმის მეფე (1131-1142)

– ჩემო ძმოს, მივდივარ სამშობლოში და მინდა, რომ შენი ვაჟი (ჩემი ძე თან მახლდა და ის მაშინ თოთხმეტი წლისა იყო) ჩემს ქვეყანაში გამაყოლო, რათა ბიჭმა ნახოს რაინდები, ისწავლოს ჭკუა და მხედრობა. როცა დაბრუნდება, უკვე გონიერი კაცი იქნება.

სმენა წამართვა ნათქვამმა, რომელიც ჭკუათმყოფელს თავში არ მოუვიდოდა. ჩემი ვაჟი ტყვედ რომ ჩავარდნილიყო, ტყვეობა იმაზე მეტს არ მოსწევდა, რასაც ფრანკთა ქვეყანაში გამგზავრება. ვუთხარ:

– შენს სიცოცხლეს ვფიცავ, ეს მეც გუნებაში მქონდა, მაგრამ ის მაკავებდა, რომ ბებიაშის იგი ძალიან უყვარს და თან წამოყვანასაც კი არ მანებებდა, სანამ არ დამაფიცა, რომ ბიჭს ისევ მასთან დავაბრუნებდი.

მკითხა: – დედაშენი ცოცხალია?

– დიახ! – მივუგე მე.

მითხრა: – მამ, წინააღმდეგობას ნუ გაუნევ!

### მათი ექიმობის უცნაურობანი

მათი ექიმობის ერთი საოცარი ამბავთაგანი: კუნეიტრას გამგებელმა ბიძაჩემს მოსწერა თხოვნით, რომ მასთან მიველინებინა ექიმი, რომელიც ავადმყოფ მეგობრებს განუკურნავდა. ბიძაჩემმაც გაუგზავნა ერთი ქრისტიანი ექიმი, რომელსაც საბითი ერქვა. ათი დღეც არ გასულიყო, მკურნალი რომ უკან დაბრუნდა.

– რა ჩქარა განგიკურნავს ავადმყოფები! – ვუთხარით ჩვენ. მან კი გვიამბო:

– მომიყვანეს ერთი რაინდი, რომელსაც ფეხზე ძირმაგარა გამოსვლოდა და ერთი ქალიც, რომელიც სიმჭლევეს შეეპყრო. მე რაინდს მალამო დავადე, რის შემდეგაც ძირმაგარა გამოიწყო და მოშუშება დაეწყო. ქალი ჩავათუენე და მისი სხეული ნოტიო გავხადე.

უცბად, მათთან მოვარდა ერთი ფრანკი ექიმი და უთხრა მათ:

– ამას არაფერი გაეგება, როგორ განკურნოს ესენი.

მერე მიმართა რაინდს:

– შენთვის რომელი უფრო სასურველია – ერთი ფეხით იცოცხლო, თუ ორი ფეხით მოკვდე?

– ერთი ფეხითაც ვიცხოვრებ! – მიუგო რაინდმა.

– მომიყვანეთ ერთი ღონიერი რაინდი და მოაყოლეთ მჭრელი ცული! – გასძახა მან. მოიყვანეს რაინდი და მოიტანეს ნაჯახიც; მეც იქ ვესწრებოდი. ექიმმა ავადმყოფს ფეხი ხის მორზე დაადებინა და რაინდს შესძახა:

– დაჰკარ მის ფეხს ნაჯახი და ერთი დარტყმით მოჰკვეთე!

მანაც დაჰკრა და მე დავინახე, რომ ერთმა დარტყმამ ვერ მოჰკვეთა. მეორედ ისე მაგრად დასცხო, რომ ფეხის ძვლის ტვინი გადმოინთხა და რაინდმა მაშინვე განუტევა სული. ახლა ქალს მიაპყრო მზერა და თქვა:

– ამ ქალს თავზე აზის ეშმა, რომელმაც შეიყვარა. გადახორტეთ თმა!

შეუკრეს თმა და გადაპარსეს. ქალი ისევ მათთვის (ფრანკებისთვის) ჩვეულ საჭმელებს მიუბრუნდა – ნიორსა და მდოგვს. ამით კი სიმშრალე მოეძალა. ფრანკმა კი დაასკვნა:

– ეშმა მას უკვე თავში შესვლია! – აიღო სამართებელი, ჯვარედინად გადაუსერა თავი, შუაგულში ისე გადააძრო კანი, რომ თავის ქალის ძვალი გამოჩნდა და მარილით დაუზილა. ქალი მყისვე გარდაიცვალა.

შევეკითხე: კიდევ გჭირდებით? მითხრეს: არა! ჰოდა მეც ჩამოვედი, უკვე გავიგე მათი ექიმობის ამბები, რაც აქამდე არ ვუწყოდი.

მათი მკურნალობის ამის საპირისპირო ამბის მოწმეც ვიყავი. მეფეს ერთი რაინდი ხაზინადარი ჰყავდა, რომელსაც ერქვა ბერნადი, ალაჰიმც დასწყევლის მას, ერთი ყველაზე შეჩვენებული და საძაგელი ფრანკი. ცხენმა წვივში ჩანიხლა და ფეხი დაუჩირქდა, თოთხმეტ ადგილას გაუჩინდა ღია ჭრილობა. ყოველთვის, როცა იარა ერთგან დაეხურებოდა, მეორეგან ეხსნებოდა. მე უკვე მის სიკვდილს ვნატრობდი და აი, მოვიდა მასთან ერთი ფრანკი ექიმი, მოაშორა საღებუნები და დაუწყო ჭრილობების ცხარე ძმრით მობანვა. ეს ჭრილობები შეხორცდა, იგი განიკურნა და ეშმაკის დარად ფეხზე დადგა.

მათი ექიმობის კიდევ ერთი საკვირველება: ჩვენთან, შეიზარში ერთი ხელოსანი იყო, რომელსაც აბულ-ფათჰი ერქვა. ჰყავდა ვაჟი, რომელსაც კისერზე გამოსული ჰქონდა მუნწუკები. დღენიადაც, ერთგან რომ გაქრებოდა, მეორეგან ჩნდებოდა. ერთხელაც ხელოსანს ანტიოქიაში საქმე ჰქონდა და ჩამოვიდა, შვილიც თან ახლდა. იგი ერთმა ფრანკმა კაცმა შეამჩნია და ჰკითხა ბიჭის შესახებ.

– ეს ჩემი ვაჟია, – უპასუხა ხელოსანმა. ფრანკმა უთხრა:

– შემომფიცე შენი სარწმუნოება, რომ თუკი მე გასწავლი წამალს, რომელიც მას მოარჩენს, მომავალში არავის გამოართმევ გასამრჯელოს ამ წამლით მკურნალობისას; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გასწავლი ამ წამალს!

მანაც შეჰფიცა. ფრანკმა დაიწყო:

– აიღებ დაუნაყავ უშნანს, გამოწვავ, შეურევ ზეთსა და ცხარე ძმარს; ამას ნაუსვამ, ვიდრე არ ამოჭამს წყლულებს. მერე აიღე გამოწვარი კალა და დაუმატე ქონი, ეს გადაუსვი და ბიჭი მორჩება.

ხელოსანმა ასეც უმკურნალა და ვაჟიც მორჩა. მოუშუშა ეს ჭრილობები და იგი ისეთივე ჯანმრთელი გახდა, როგორიც იყო.

მე ვასწავლიდი ამ წამალს ყველას, ვისაც მსგავსი სენი შეეყრებოდა: ის კი რგებდა სნეულს და აშორებდა იმას, რასაც უჩიოდა.

### ფრანკი თავს ესხმის უსამას ლოცვისას

ყველა ახალჩამოსული ფრანკი უფრო უხეში ხასიათისაა, ვიდრე ისინი, რომლებიც კარგახანია დასახლდნენ და მუსლიმებთან ერთად ცხოვრობენ. მათი, ალაჰიმც შეაჩვენებს მათ, უხიაგი ხასიათის დამადასტურებელი ერთი ამბავი.

როცა იერუსალიმში ვიყავი, შევედიოდი ხოლმე ალ-აკ-სას მეჩეთში; მის გვერდით ერთი პატარა მეჩეთი იყო, რომელიც ფრანკებმა ეკლესიად გადააკეთეს. ალ-აკსას მეჩეთში რომ შევიდოდი, იქ მხვდებოდნენ ღვთისმსა-

ხურნი – ჩემი მეგობრები; ისინი მაშინვე მითმობდნენ პატარა მეჩეთს, რათა იქ მელოცა.

ერთ დღესაც შევედი, წარმოვთქვი: „დიდ არს ალაჰი“ და დავინყე ლოცვა. უცებ ერთი ფრანკი მეცა, ჩამჭიდა ხელი, სახე მიმიბრუნა აღმოსავლეთისკენ და დამჭყივლა: – ასე ილოცე! ეს რომ დაინახეს ღვთისმსახურთა, შემოცვივდნენ, დაიჭირეს იგი და მომაშორეს. მე ლოცვას მივუბრუნდი. ფრანკი დაუსხლტა ეკლესიის მსახურთ, ისევე დამეძგერა, მიმიტრიალა სახე აღმოსავლეთისკენ და მითხრა: – ასე ილოცე! ღვთისმსახურნი კვლავ შემოცვივდნენ და გაიყვანეს, თან ბოდიში მომიხადეს და მითხრეს: – ეს ერთი ყარობია, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ფრანკთა ქვეყნიდან და არ უნახავს, ვინმეს რომ ელოცოს სხვა მხარეს, თუ არა – აღმოსავლეთისაკენ. ვთქვი: მეყოფა ლოცვა!

გამოვედი და განცვიფრებული ვიყავი იმ სატანის გადარევითა და თავშეუკავებლობით, როს დაინახა ყიბლისაკენ მიმართული ლოცვა.



### ღმერთი ყრმობისას

ერთი ფრანკი ვნახე, რომელიც მოვიდა ამირა მუინ ად-დინთან – ის მაშინ ას-სახრაში იყო – და უთხრა: – გწადია, რომ ნახო უფალი პატარაობისას? მიუგო: – მინდა! ფრანკი ჩვენ წინ დადგა, რათა ერვენებინა ჩვენთვის სურათი მარიამისა და მის მუხლებზე დაბრძანებული პატარა იესოსი, მშვიდობა მას, და თქვა: – ესაა უფალი პატარაობისას. – მაღალიმც არს ღმერთი სიმაღლითა და სიდიდით იმაზე, რასაც ამბობენ ურწმუნონი.

### ფრანკებს სქესობრივი აჭვიანობის გრძნობა არ აქვთ

მათ არ აქვთ თავმოყვარეობა და ეჭვიანობის გრძნობა! არის ხოლმე, ფრანკი კაცი მიდის ცოლთან ერთად, მათ შეხვდება სხვა მამაკაცი, რომელიც მოჰკიდებს ქალს ხელს, გაიყვანს გვერდზე და ესაუბრება. ამ დროს ქმარი დგას და ელოდება ცოლის მასლაათის დასრულებას. თუ ცოლს საუბარი გაუგრძელდება, მიატოვებს ქალს იმ მოსაუბრე კაცთან და წავა.

ამბავი, რისი მოწმეც ვიყავი: ნაბულუსს რომ ჩამოვიდოდი, ვჩერდებოდი ხოლმე ერთი კაცის სახლში, რომელსაც მუიზი ერქვა. მის სახლში მუსლიმები ცხოვრობდნენ. სახლის ფანჯრები გზაზე გადიოდა. მოპირდაპირე მხარეს კი, გზის იქით, იდგა სახლი ერთი ფრანკი კაცისა, რომელიც ვაჭრებზე ჰყიდდა ღვინოს. აიღებდა ხოლმე ბოთლით ღვინოს და გაჰყვიროდა: – ამა და ამ კაცმა გახსნა-

კასრი ასეთი ღვინით. ვისაც სურს, აქა და აქაა! – მისი გამრჯელო მხოლოდ ის ღვინო იყო, რომელიც თავისი მონოდებებისას იმ ბოთლში ესხა.

ერთ დღეს შინ დაბრუნდა და ლოგინში თავის ცოლთან ერთად ვიღაცა კაცი ნახა; შესძახა: –რამ მოგიყვანა ჩემს ცოლთან?

– დალლილი ვიყავ და შემოვედი დასასვენებლად, – მიუგო უცხომ.

– მერედა ჩემს ლოგინში როგორ მოხვდი?

– გაშლილი ლოგინი ვნახე და დავიძინე.

– და ჩემს ცოლს შენთან სძინავს?

– და განა შემეძლო, თავისი ლოგინიდან გამეგდო?!

– ვფიცავ ჩემს სარწმუნოებას, თუ კიდევ იზამ ასე, მე და შენ ვინხუბებთ.

ეს იყო მისი გაკიცხვა და ეჭვიანობის უმაღლესი ზღვარი.

მსგავსი ამბავია: ერთი მეაბანოე გვყავდა, სახელად სალიმი, ალ-მაარელი. მუშაობდა აბანოში, რომელიც ეკუთვნოდა მამაჩემს, ალაჰიმც შეინყალებს მას. მამამო: ალ-მაარაში აბანო გავხსენი, რათა სარწო მეშოვნა. ერთხელაც, შემოვიდა ერთი ფრანკი მხედარი. მათთვის, საერთოდ, მიუღებელია, აბანოში ვინმე თუ ნელსქვემოთ ნაჭერს შემოიხვევს. ხელი გამოწია, ჩემი საფარველი მომამრო და გადააგდო. დამინახა, წინიდან ახალი გაპარსული მქონდა. დამიძახა: – სალიმ! მიუახლოვდი. ხელი გამოიმვირა ჩემკენ და მითხრა:

– სალიმ! შესანიშნავია, ჩემს სარწმუნოებას ვფიცავ! მეც ასე გამიკეთე!

ზურგზე დანვა და იმ ადგილას თავისი წვერებისნაირი ჰქონდა. მე გავპარსე, მან ხელი მოუსვა, გადაუსვა-გადმოუსვა და მითხრა:

– სალიმ, შენს სარწმუნოებას ვაფიცებ, დამასაც ასე გაუკეთე.

დამა მათ ენაზე ქალბატონია, ე. ი. მისი ცოლი. თავის მსახურს უხმო:

– დამას უთხარი, მოვიდესო;

მსახური წავიდა, ქალბატონი მოიყვანა და შემოაცილა. ქალი პირაღმა დანვა და მისმა ქმარმა მითხრა:

– ამასაც ჩემსავით გაუკეთე.

ქალი გავპარსე, ქმარი კი იჯდა და მიყურებდა. მერე მადლობა გადამიხადა და გასამრჯელოც კი მომცა ჩემი სამსახურისათვის.

დახეთ, ამ დიდ შეუსაბამობას: არ აქვთ სიამაყისა და ეჭვიანობის ნატამალი და აქვთ უდიდესი სიამაცე! სიამაცე ხომ განპირობებულია ამპარტავნობითა და თავმოყვარეობით, ვინმემ ცუდად რომ არ მოიხსენიოს.

ამბავი, რაც ამას უახლოვდება აზრით: ქალაქ სურში აბანოში შევედი და ცარიელ ოთახში დავჯექი. აბანოში ერთ-ერთმა ჩემმა მსახურმა მითხრა:

– ჩვენთან ერთად ქალია!

მერე, როცა გამოვედი, ჩამოვჯექი ქვის სკამზე და აი, ის ქალიც, რომელიც აბანოში იყო, უკვე გამოსულა და ჩემ წინაშეა – სამოსელით შებურულა და თავის მამასთან ერთად დგას. ვერ დავიჯერე, რომ ქალი იყო და ჩემს ერთ-ერთ თანმხლებს ვუთხარი:

– გაფიცებ ალაჰს, ნახე ერთი, მართლა ქალია?

მნაღდა, რომ მის შესახებ გაეკითხა. ისიც წავიდა და ვხედავ, კაბის ბოლო აუნია და შეუჭვრიტინა. მამამისი მომიბრუნდა და მითხრა:

– ეს ჩემი ქალიშვილია, დედამისი გარდაიცვალა და აღარავინ ჰყავს, თავი რომ დაბანოს. შემოვიყვანე აბანოში ჩემთან ერთად და თავი დავბანე.

– ძალიან კარგი გიქნია, ალაჰი კეთილად გადაგიხდის! – მიუგე მე.

## ისევ მათი ექიმობის საოცრებანი

მათი ექიმობის უცნაურობა, რაც გვიამბო ტაბარიას გამგებელმა ქილიამ დაბურმა, რომელიც ფრანკთა წინამძღოლი იყო. მოხდა ისე, რომ იგი თან ახლდა ამირა მუინად-დინს მგზავრობისას აქადაც ტაბარიაში, მეც მასთან ერთად ვიყავი. გზაში მოგიყვია:

– ჩვენს ქვეყანაში გვყავდა ერთი ძლიერ ღონიერი რაინდი, რომელიც დასნეულდა და სიკვდილის პირას მივიდა. მივეახლეთ ჩვენს მღვდელმთავარს და ვუთხარით:

– წამოგვეყვი, რათა ნახო ესა და ეს რაინდი.

– კეთილი!– გვითხრა და ჩვენთან ერთად წამოვიდა. გვნამდა, რომ ის ხელს დაადებდა თუ არა ავადმყოფს, ეს უკანასკნელი უმაღლ მორჩებოდა. მან კი, როცა მომაკვდავი ნახა, გვთხოვა:

– სანთელი მომიტანეთ!– მივართვით ცოტაოდენი სანთელი. მღვდელმთავარმა ცვილი დაარბილა, თითის სახსრის სისხოები გახადა და თითო-თითო ცხვირის ორსავე ნესტოში გაუკეთა. რაინდი გარდაიცვალა.

– მოკვდა! – შევძახეთ ჩვენ. გვითხრა:

– დიას! იტანჯებოდა და ცხვირი დავუცავი, რომ მომკვდარიყო და დაესვენა.

დაანებე ამას თავი და ილაპარაკე ისევ ჰარიმზე!

## ვრანკული შეჯიბრი

დავუბრუნდეთ და ვილაპარაკეთ მათ ამბებზე.

ტაბარიაში ფრანკთა ერთ-ერთ დღესასწაულს დავესწარი. გამოვიდნენ რაინდები, რომ ეთამამათ შუბებით. მათ თან ორი ბეხრეკი დედაბერი გამოიყვანეს, რომლებიც დააყენეს მოედნის ერთ თავში, მეორე თავში კი გამოათრიეს ღორი, რომელიც შეკრეს და კლდეზე მოისროლეს. რაინდებმა მოხუცები ერთმანეთს შეაჯიბრეს, თითოეულ მათგანს მხედართა თითო ჯგუფი აქვებდა და მიერეკებოდა. მოხუცები ყოველ ნაბიჯზე ეცემოდნენ და დგებოდნენ, ისინი კი ხარხარებდნენ და მხიარულობდნენ. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ერთ-ერთმა მათგანმა არ გაიმარჯვა. გამარჯვებულმა დედაბერმა ჯილდოდ ის ღორი მიიღო.

## ვრანკული სასამართლო

ერთ დღეს ნაბულუსში შევესწარი, რომ მოიყვანეს ორნი ერთმანეთთან შესარკინებლად. მიზეზი ამისა კი

ყოფილა ის, რომ მუსლიმი ყაჩაღები თავს დასცემიან ნაბულუსთან მდებარე ერთ-ერთ სოფელს. ფრანკებმა ეჭვი ერთ გლეხზე აიღეს და თქვეს:

– ამან აჩვენა ყაჩაღებს გზა სოფლისაკენ.

გლეხი გაიქცა. მეფემ ის გააკეთა, რომ შეიპყრო მისი შვილები. გაქცეული დაბრუნდა და მეფეს შესთხოვა:

– იყავი ჩემდამი სამართლიანი! ორთაბრძოლაში ვინვევ იმას, რომელმაც დამაბრალა, რომ ყაჩაღებს სოფლისკენ მე მივასწავლე.

მეფემ მიმართა გაძარცვული სოფლის თავკაცს:

– მოიყვანე ვინმე, ვინც ამას შეებრძოლება!

ისიც წავიდა თავის სოფელში.

სოფლის თავკაცი მოუფრთხილდა თავის გლეხებს, რომ რომელიმე მათგანი არ მომკვდარიყო და მისი მეურნეობა არ დაზარალებულიყო. ამიტომ იქ ერთი მჭედელი კაცი აიყვანა და უბრძანა: – შეეჭიდე!

მე ვნახე ეს მჭედელი, ღონიერი ჭაბუკი იყო, მაგრამ ითიშებოდა ხოლმე, დადიოდა, ჯდებოდა და ითხოვდა, რაიმე დაეღია. ის მეორე კი, რომელმაც ორთაბრძოლა დაიწინა, მოხუცი იყო, თუმცა ძლიერი სულისა; იგი გაჰყვიროდა და თან ვერ აღიქვამდა ორთაბრძოლას. მოვიდა ბისკონდი (ვისკონტი), ქალაქის მმართველი, და მისცა თითოეულ მათგანს ჯოხი და ფარი... ხალხმა მათ გარემოში წრე შეკრა.

შეიბნენ. მოხუცი აწვებოდა ამ მჭედელს და ეს უკანასკნელიც უკან იხევდა, სანამ წრეს არ მიანყდებოდა. მერე ბერიკაცი ისევ შუაგულში ბრუნდებოდა. ისინი ისე ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ სისხლიან ბოძებს დაემსგავსნენ. საქმე გაჭიანურდა... ვისკონტი აჩქარებდა მათ და შესძახოდა: სწრაფადო!

მჭედელს გამოადგა თავისი საქმიანობა – მთელი დღე რომ უროს სცემდა; მოხუცი კი დაიქანცა. მჭედელმა დაარტყა, ბერიკაცი ჩაიკეცა და ზურგით თავის ჯოხზე დაეცა. მჭედელი მუხლებით დაადგა ზედ, რომ თითებით დაეთხარა თვალები, მაგრამ ვერ შეძლო თვალებში ჩამდგარი უამრავი სისხლის გამო. შემდეგ გამარჯვებული წამოდგა და ისე ჩასცხო ნაქცეულს თავში ჯოხი, რომ სული გააცხებინა. მოხუცს იმწამსვე ჩააბეს კისერში თოკი, გაათრიეს და ჩამოკიდეს. მჭედლის პატრონი მოვიდა, უბოძა მას მამული, შემოისევა უკან, ნაიყვანა და წავიდა.

ესაა ფრანკების სამართლისა და განსჯის ერთ-ერთი ნიმუში, ალაჰიმც შეაჩვენებს მათ.

ერთხელ, ამირა მუინ ად-დინთან ერთად, ალაჰიმც შეინყალებს მას, წავედი იერუსალიმს. ამირას მიეახლა ერთი ბრმა ყმანვილკაცი, კარგად ჩაცმული მუსლიმი ჭაბუკი, ხილი მიართვა და სთხოვა, რომ ნება დაერთო მისთვის, დამასკოში ამირას სამსახურში ჩამდგარიყო. ამირამაც აღუთქვა. მე მის შესახებ გავიკითხე და გავიგე, რომ დედამისი გათხოვილი ყოფილა ერთ ფრანკზე და მერე მოუკლავს იგი. შემდგომ უკვე მისი ვაჟი მზაკვრულად მიიტყუებდა ხოლმე ფრანკ პილიგრიმებს და

დედის დახმარებით ხოცავდა მათ. ერთხელაც, ამის გამო მასზე ეჭვი აუღიათ და მოუნყეს ფრანკული გასამართლება: ჩასვეს ვეებერთელა კასრში, გაავსეს იგი წყლით და გადადეს მასზე ხის ძელი. ეჭვიმტანილს ხელები უკან შეუკრეს, ხელბორკილზე თოკი მოაბეს და კასრში ჩააგდეს – თუ უდანაშაულო იქნებოდა, ჩაიძირებოდა წყალში და ისინიც ამონევდნენ იმ თოკით და არ მოკვდებოდა წყალში, ხოლო თუ ბრალეული იქნებოდა, წყალში ვერ ჩაიძირებოდა.

მხატვარი გიგა ზაალიშვილი

როცა გადააგდეს, ჭაბუკს ეწადა, ჩაძირულიყო, მაგრამ ვერ შეძლო. ფრანკებმა მას მსჯავრი დასდეს, ალაჰიმც დასწყევლის მას, და თვალები ამოუნწვეს.

მერე ეს კაცი ჩამოვიდა დამასკს და ამირა მუინ ად-დინმა, ალაჰიმც შეინყალებს მას, რაც სჭირდებოდა, ყოველივე უბოძა. უთხრა თავის ერთ-ერთ მსახურს:

– წადი ბურჰან ად-დინ ალ-ბალხისთან და გადაეცი, უბრძანოს ვინმეს, ნააკითხოს ყურანი და რამე სამართლიდან.

ამ ბრმამ კი უთხრა: – გამარჯვება და ძლევა! მე ასე არ ვფიქრობდი!

ამირა ჩაეკითხა: – მაშ, ჩემგან რას ელოდი?

უთხრა: – რომ მომცემდი ცხენს, ჯორს, იარაღს და რაინდად მაქცევდი.

– არ მეგონა, რომ ბრმებიც შეიძლებოდა რაინდები გამხდარიყვნენ, – მიუგო მუინ ად-დინმა.

## ფრანკები არ ჭამენ ღორს

არიან ფრანკები, რომლებიც უკვე დამკვიდრდნენ და მუსლიმებთან ერთად ცხოვრობენ, ესენი უკეთესები არიან, ვიდრე მათივე ქვეყნიდან ახალჩამოსულები; მაგრამ

## ისტორია ღიმილში

ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ და მათი მაგალითით ვერ შეაფასებ, როგორები არიან.

ამის დამადასტურებელი ამბავია: მეგობარი გავგზავნე ანტიოქიაში საქმეზე. იქ თავკაცი თედოროს იბნ ას-საფი იყო; ჩემსა და მას შორის მეგობრობა სუფევდა. იგი ანტიოქიაში გავლენიან მმართველად ითვლებოდა. ერთ დღეს უთხრა ჩემს მეგობარს:

– ჩემმა ერთ-ერთმა ფრანკმა ამხანაგმა დამპატიჟა, წამომყევი, რათა ნახო მათი ჩვევები.

თქვა: – მეც გავყევი და მივედი სახლში ერთი ძველჩამოსახლებული რაინდისა, რომელიც ფრანკთა პირველი შემოსვლისას ჩამოვიდა. იგი უკვე სახელმწიფო და სამხედრო სამსახურს ჩამოშორებოდა, მაგრამ ანტიოქიაში ჰქონდა საკუთრება, რომლითაც ცხოვრობდა. მშვენიერი სუფრა გაგვიშალა – ზედმინეებით სუფთა და საუკეთესო საქმელი. შემამჩნია, ჭამაზე თავს რომ ვიკავებდი და მითხრა: – ჭამე, სულს აამე! მე არ ვჭამ ფრანკთა საქმელს. მე ეგვიპტელი მზარეულები მყავს და მხოლოდ მათ მომზადებულს ვეახლები. ჩემს სახლში ღორის ჭაჭანება არაა. მეც ვჭამე, თუმცა მაინც ვფრთხილობდი და მერე წამოვედი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბაზარში გავიარე. ერთი ფრანკი ქალი გადამეკიდა, თავიანთ ენაზე რალაცას ტატანებდა, მე კი არ ვიცოდი, რას ლაპარაკობდა. ჩემ გარშემო ფრანკთა ბრბო შემოიკრიბა და უკვე ვირწმუნე ჩემი დალუპვა. და აი, ის რაინდი მოახლოვდა და დამინახა. მოვიდა და ამ ქალს ჰკითხა:

– რა საქმე გაქვს ამ მუსლიმთან?

მიუგო:

– ამან ჩემი ძმა ურსი მოკლა!

ეს ურსი ერთი რაინდი იყო აფამეაში, რომელიც ჰამას რომელიღაცა ჯარისკაცმა მოკლა. ფრანკმა ქალს დაუყვირა:

– ეს კაცი ბურჯასია (ე.ი. ვაჭარი), არ მომბს და არ მონანილეობს ბრძოლაში.

იქ შეკრებილებსაც დაუცაცხანა და ისინიც დაიშალნენ. მოვიდა ხელი და გამიყვანა. მასთან გატეხილი პურის ნყალობით სიკვდილს გადავურჩი.

არაბულიდან თარგმნა  
ბონა ჯაფარიძე

## მოზაიკა

### უზვირგვინო მეფე არაბეთისა

კვამლის ბოლქვები იფანტებოდნენ სოფლის თავზე, სადაც სუფევდა დუმილი. ალაგ-ალაგ მოჩანდა

გვამების რუხი გროვა. გაქვავებულ მიდამოს უეცრად გამოეყო ცოცხალი არსება – სამიოდე წლის ბიჭი. ჭუჭყიანი პერანგი ცალ მხარსა და ფერდზე მოსვრილი ჰქონდა სისხლით, კისრის განიერი და გაგლეჯილი ჭრილობიდან რომ მოთქრიალებდა. უცნობებისკენ რამდენიმე ნაბიჯი გამოიზინა და საოცრად წკრიალა ხმით იყვირა: არა მცემო, ბაბა! („ბაბა“ – ოსმალურში ასე მიმართავენ ასაკით უფროსს).

არაბი მეომარი აქლემიდან ჩამოხდა (ეს მისი მშობლიური სოფელი იყო და პატარა ბიჭი ეგებ ენათესავებოდა კიდეც) და ბალახში ჩაიჩოქა ბიჭის გვერდით. შემკრთალმა ბიჭმა ხელები მალა ასნია და დაყვირება სცადა, მაგრამ ველარ შეძლო, ნაიქცა, სისხლმა იფეთქა და პერანგი ერთიანად შეუღებდა...

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სოფელში გამეფებული დუმილი ნიშნავდა საშინელებასა და სიკვდილს. ცხვრის ფარების სახურავზე შენიშნეს ცხედარი ქალისა, გულდაღმა რომ იწვა, ლაჯებშია გაყრილი კბილოვანი ხიშტი მელურსმული, რომლის ტარი საზარლად აშვერილიყო ჰაერში.

როგორც ამბობენ, არაბები სამ ზნეს იცავენ ომში: პირველია – ქალთა ხელშეუხებლობა, მეორე – დანდობა ბავშვთა სიცოცხლისა და ღირსებისა, რადგანაც მათ არ ძალუძთ გაუმკლავდნენ მოზრდილს, და მესამე – ქონება, რომელიც არ შეიძლება მიითვისო, ხელუხლებლად უნდა დატოვო.

პოლკოვნიკი ლოურენსი წინ გაუძღვა არაბებს, დაედევნენ და სასტიკად დაამარცხეს მტერი – თურქები, გერმანელები, ავსტრიელები.

ოლონდ ეს იყო, რომ, იმავე ლოურენსის ბრძანებით, ამ ომის განმავლობაში პირველად არ აუყვანიათ ტყვეები. შეუბრალებლად გაჟლიტეს ყველა.

პოლკოვნიკი ტომას ლოურენსი (1888-1935) გახლავთ ერთ-ერთი ბრწყინვალე მნათობი XX საუკუნის მზვერავთა მსოფლიო თანაგარსკვლავედში.

ბრიტანელი მზვერავი პირველი მსოფლიო ომის წლებში მოქმედებდა ოსმალთა ზურგში არაბეთის ნახევარკუნძულზე, სადაზვერვო ინფორმაციას კრებდა და არაბთა აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ომამდე კი წამყვან არაბისტად ითვლებოდა დასავლეთში და „ლოურენს არაბიელი“ შეარქვეს. პირველ მსოფლიო ომში ახალი მეტსახელი მოიხვეჭა – „უგვირგვინო მეფე არაბეთისა“.

ტომას ლოურენსი სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში გაუჩნდა ცხოველი ინტერესი არაბული სამყაროსადმი, ხოლო 1909 წელს გაემგზავრა სირიაში დისერტაციის დასაწერად. მონანილეობდა ერთი ძველი ქალაქის არქეოლოგიურ გათხრებში.

1913 წელს ლოურენსი დაბრუნდა ოქსფორდში, მაგრამ მომდევნო წელს ისევ გაემურა არაბეთში და შეუერთდა ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრიტანული დაზვერვის ოფიცერი. ექსპედიციის ოფიციალური საფარი იყო ძიება გზისა, რომლითაც ბიბლიურ მოსეს იუდეველნი მიჰყავდა ეგვიპტიდან ალთქმული მიწისკენ. სინამდვილეში ინგლისელები ადგენდნენ სინაის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ რაიონების რუკას. ამ ექსპედიციაში მონაწილეობის შედეგი იყო კაპიტან ნიუკომბის თანაავტორობით დაწერილი ნაშრომი „ზინის უდაბნო“ (1915) – პირველი ნიგნი ლოურენსის მიერ შექმნილი ათი ნიგნიდან.

1914 წლის ოქტომბერში ლოურენსს მიანიჭეს მე-2 ლეიტენანტის წოდება და წარავლინეს კაიროში, ბრი-

ტანული დაზვერვის მისიაში. აქ მას ევალეობდა სამხედრო რუკების შედგენა, ტყვეთა დაკითხვა და სხვა მრავალი რამ.

პირველი მსოფლიო ომი უკვე მძვინვარებდა და ოსმალეთის იმპერია გერმანიის მოკავშირე იყო. არაბები ოსმალთა უღლიდან თავის დახსნას ლამობდნენ და ბრიტანეთის ლომს ქომავად მიიჩნევდნენ.

ლოურენსი წარგზავნეს არაბებთან, რათა წამოეწყო ძირგამომთხრელი მუშაობა ოსმალთა წინააღმდეგ. ლოურენსის კომპეტენტურობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ემირ ფეისალზე და, ბრიტანელთა სარდლობის ნებართვით, ტომას ლოურენსი გახდა ემირის სამხედრო მრჩეველი.

ლოურენსი თავის მემუარებში გადმოგვცემს, თუ როგორ აფიცებდა ყურანზე თავის ახალ მომხრეებს ემირ ფეისალი: „უნდა ელოდო, როდესაც ის ელოდება. წინ უნდა ნახვიდე, როდესაც ის ნავა. არც ერთ თურქს არ უნდა დაემორჩილო. იყავი კეთილგანწყობილი ყველას მიმართ, ვინც კი ლაპარაკობს არაბულად და ჩვენი დამოუკიდებლობა დააყენე ყველაფერზე მაღლა, სიცოცხლეზე მაღლა, ოჯახზე მაღლა და მთელს შენს ქონებაზე მაღლა“.

არც ერთი არაბი არ შესდევებია ემირ ფეისალს. ყველა აღიარებდა მის გონიერებასა და სამართლიანობას. იგი მოთმინებით არკვევდა მართალს და მტყუანს. თავისი ტაქტიკისა და საოცარი მეხსიერების წყალობით დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი მედინადან დამასკამდე. ლოურენსის სიტყვით, არაბთა ეროვნული მოძრაობა ქეშმარიტად ეროვნული გახდა სწორედ ემირ ფეისალის გარჯით. მან ერთი დროშის ქვეშ დარაზმა ყველა არაბი



ტომას ედვარდ ლოურენსი

და მათგან კერძო ინტერესები, ავი სულის დარად, გამოდევნაო.

და ყოველივე ეს, უმეტესწილად, ტომას ლოურენსის დამსახურება გახლდათ.

1917 წლის 6 ივლისს ლოურენსი სათავეში ჩაუდგა არაბთა დამკვერელ ჯგუფს და ხელთ იგდო საკვანძო ქალაქ-ნავსადგური აკაბა, რის შედეგადაც თურქების ერთი ფლანგი შეიკვეცა და გაუადვილა ბრიტანეთის ჯარს აღება იერუსალიმისა 1917 წლის დეკემბერში.

1918 წლის ოქტომბერში ლოურენსის წინამძღოლობით არაბებმა აიღეს სირიის დედაქალაქი დამასკი. მაგრამ მოკავშირეებმა უარი განაცხადეს ფეისალის აღიარებაზე დამოუკიდებელი არაბეთის ლიდერად. ლოურენსმა ჩათვალა, რომ იგი გაჰყიდეს. მტკივნეულად განიცდიდა მომხდარს, თითქოსდა მას მიუძღოდა დანაშაული არაბთა წინაშე.

ინგლისის მეფემ აბანოს ორდენით დააჯილდოვა სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკი ლოურენსი, მაგრამ „არაბეთის უგვირგვინო მეფემ“ უარი თქვა ჯილდოზე, რითაც ფრიად გააოგნა მონარქი.

ლოურენსი მონაწილეობდა პარიზისა და კაიროს სამშვიდობო კონფერენციებში, აქტიურად უჭერდა მხარს არაბთა დამოუკიდებლობის იდეას. 1926 წელს გამოაქვეყნა წიგნი „შვიდი ბურჯი სიბრძნისა“, სადაც ქადაგებდა არაბთა უფლებას საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე და აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ დასავლეთმა უღალატა არაბებს.

სიკვდილამდე აწვალებდა სხვათა ცოდვის გამოსყიდვის წადილი.

დაიღუპა ავტოკატასტროფაში...

იმ დღეს ბეირუთში ქართველი პროფესორი პირველად კითხულობდა ლექციას არაბულ ენაზე! განათლების სამინისტროს კონფერენც-დარბაზში ლიბანის მთელ ინტელექტუალურ „ნაღებს“ მოეყარა თავი.

იდგა 1956 წელი. ლიბანი ჯერ კიდევ არ იყო გახვეული სამოქალაქო ომის ცეცხლში და „აზიის შვეიცარიად“ წოდებული ქვეყნის კულტურული ცხოვრება, როგორც იტყვიან, დუღდა და გადმოდუღდა.

ხმელ-ხმელი, სათვალისანი პროფესორი – გიორგი წერეთელი ნაღდი ბედუინივით მაღალი იყო, ვიწრო მხრები და პირისახის ნატიფი ნაკვეთები ჰქონდა. წყნარი და ოდნავ ხრინწიანი ხმით ლაპარაკობდა. ჩქარობდა და, ცოტა არ იყოს, ღელავდა კიდევ. მაგრამ როდესაც იგრძნო მსმენელთა დიდი ყურადღება და გულითადი განწყობილება, თანდათან დაუდინჯდა და გაუთამამდა სიტყვა.

### გიორგი წერეთელი ბეირუთში

დარბაზი შესამჩნევი კაცოფილებით უსმენდა უცხოელ სწავლულს, რომელიც მოუთხრობდა არაბებს იმ

დრო-ჟამზე, როდესაც არაბული კულტურა ხელს უწყობდა ცოდნის გავრცელებასა და გაფურჩქვნას მთელს მსოფლიოში.

გიორგი წერეთელი გატაცებით ლაპარაკობდა არაბულ ხელნაწერებზე, საბჭოთა ინსტიტუტებსა და მუზეუმებში რომ ინახებოდა. დიდი ხელოვნებით მოუთხრო მსმენელთ გარდასულ დროთა მოგზაურებისა და ზღვაოსნების ამბავი. მერე კი ახსენა სახელგანთქმული აჰმედ იბნ მაჯიდი, „ზღვის ოთხ ლომთაგან“ ერთ-ერთი, ვისი უცნობი და უნიკალური სამი ლოცია, მრავალწლიანი კვლევის შედეგად, ამოიკითხა ერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, სახელოვანი რუსი არაბისტის იგნატი კრავკოვსკის მონაფემ.

ეს საოცარი ლოცვები შეიცავდა ინდოეთის ოკეანის სანაოსნო მარშრუტების გალექსილ აღწერას და ეკუთვნოდა



იმ კაცის კალამს, რომელმაც ინდოეთისკენ მეგზურობა გაუწია ზღაპრული მატერიკის მაძიებელ ვასკო და გამას.

თითქმის მთელი თვე მიცურავდნენ ხომალდები და როდესაც გამოჩნდა ხმელეთი, ლოცმანმა აჰმედ იბნ მაჯიდმა ხელი გაიშვირა იქით და თქვა: აგერ ინდოეთი, საითაც თქვენ მოისწრაფოდითო.

და მერე მანვე, მაჯიდმა, როდესაც შეიტყო, რომ უმანკო კრავთა ტყავში გამოხვეული პორტუგალიელი იქაურობას მოევიწინენ მძვინვარე მძარცველებად, რომლებიც მზად იყვნენ – უკანასკნელი პერანგიც კი წაერთმიათ ადგილობრივ მკვიდრთათვის და მონებად გადაექციათ ისინი, სასონარკვეთილმა წარმოთქვა: „ოჰ, რომ მცოდნოდა, რა ედოთ გულში!“

დიახ, წინასწარ რომ განეჭვრიტა, თუ როგორ ეუფლებოდნენ დამპყრობელნი აღმოსავლეთის საუნჯეებს, მაშინ ვასკო და გამას ხომალდებს, ალბათ, არ ეღირსებოდათ უცნობი ოკეანის ნაპირებამდე მისვლა.

ბევრი რამ, რასაც ლაპარაკობდა ქართველი პროფესორი, მსმენელებს თავიანთ სიცოცხლეში პირველად ესმოდათ და როდესაც ეს არაჩვეულებრივი ლექცია დასრულდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა სტუმარი. მას შემოეხვივნენ ხანდაზმული მეცნიერებიც და ახალგაზრდა სტუდენტებიც. გულწრფელად გამოთქვამდნენ აღტაცებას, გაოცებას, მადლიერებას.

მსმენელნი გულახდილად ამცნობდნენ გიორგი წერეთელს, ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვქონდა იმ უზარმაზარ მუშაობაზე არაბისტიკის დარგში, საბჭოთა ორიენტალისტებს რომ გაუწევიათო.

ქართველი პროფესორის ლექციამ ახალგაზრდა პოეტთა წარმოსახვა გააღვიძა. თვალწინ ეხატებოდათ ინდოეთის ოკეანის აქოჩრილი ზვირთები, პორტუგალიელ-

თა ხომალდები იდუმალი ქვეყნის ნაპირებთან, ამაცი არაბი ლოცმანი აჰმედ იბნ მაჯიდი, ლოცმანთა ფიცს რომ დებდა: „ჩვენი ბედი და სიცოცხლე განუყრელია ხომალდისაგან. თუ ის გადარჩა, ჩვენც გადავრჩებით. თუ დაიღუპა, ჩვენც მასთან ერთად ვკვდებით“.

თვალწინ წარმოუდგათ სახემწითური, მხარბეჭიანი, პირქუში და უღმობელი ვასკო და გამა, თავზე – ხვერდის ბერეტი, ხელში – დროშით, რომელზედაც ქრისტიანული ორდენის ვეება, ალისფერი ჯვარი გიზგიზებდა.

... აი, ასეთი მომაჯადოებელი ძალა ჰქონდა გიორგი წერეთლის ლექციებსა და მოხსენებებს!

გამოჩენილი რუსი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი, რომელიც მოგვითხრობს ზემოხსენებულ ეპიზოდს გიორგი წერეთლის ცხოვრებიდან, დასასრულ აღნიშნავს: „ყველას უხაროდა, რომ მოისმინეს ამბავი საოცარი მაჯიდისა და მისი ლოცვიებისა, რომელთაც, საუკუნეთა სიღრმეში შობილთ, ხელახლა მიანიჭა სიცოცხლე საბჭოთა მეცნიერმა თეოდორ შუმოვსკიმ, შორეულ ლენინგრადში რომ ცხოვრობდა. პროფესორ გიორგი წერეთელსაც ძალზე უხაროდა, რომ არაბმა სწავლულებმა გულთან ახლოს მიიტანეს მისი ნაამბობი. ისინი ხომ საუცხოოდ იცნობდნენ მშობლიურ წარსულს და უზომოდ მკაცრნი იყვნენ ყველას მიმართ, ვინც მოინადინებდა გაცნობი მათთვის ის, რაც არ იცოდნენ და თანაც – მათსავე დედაენაზე. მაგრამ დღეს იმდენი ახალი რამ შეიტყვეს, რომ შეუპოვარ სკეპტიკოსებსაც კი მოუხდათ აღიარება – ძლიერ უნდა გიყვარდეს მეცნიერება და დიდი პატივისცემით უნდა იყო გამსჭვალული არაბებისადმი, ასე გულთბილად რომ ილაპარაკო არაბულ კულტურაზეო!“

იმ საღამოს ბეირუთში ყველას პირზე ეკერა გიორგი წერეთლისა და თეოდორ შუმოვსკის სახელები.



გიორგი წერეთელი

ქრონიკა

7 იანვარს, აღმოსავლურმა კაფემ „ქარავანი“ თავის აუდიტორიას, რომელიც დღითი დღე სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის გოჩა ჯაფარიძის საჯარო ლექცია „მამლუქები და ეროვნული იდენტობა“ შესთავაზა.

გოჩა ჯაფარიძის მრავალფეროვან სამეცნიერო ინტერესებს შორის მამლუქთა ისტორიის კვლევას სრულიად გამოკვეთილი ადგილი უჭირავს. როგორც თვითონ მეცნიერმა კაფემი შეკრებილ აუდიტორიას გაუხშილა, სიჭაბუკეში არაბულითაც სწორედ მამლუქების გამო დაინტერესდა, ამ ინტერესმა კი დროთა განმავლობაში სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობა და არაბულ აღმოსავლეთთან მჭიდრო კონტაქტებიც მოიყოლა.

ეგვიპტეშიც სწორედ დიპლომატიური მივლინების წყალობით ბატონ გოჩას მამლუქებზე მუშაობის შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა და თუ აპოლონ სილაგაძესთან ერთად ამ თემაზე უკვე გამოქვეყნებული ნაშრომითა და 7 იანვრის საჯარო

ლექციით ვიმსჯელებთ, მან ეს შესაძლებლობა წარმატებით გამოიყენა.

ლექციისას მეცნიერი ისე ლაღად, უშუალოდ საუბრობდა მის მიერ მოპოვებულ აურაცხელ მასალაზე, რომ საქმეში ჩაუხვდავ ადამიანს შესაძლოა მხედველობიდან გამოჰპარვოდა საკითხის არსებითი მხარე: რა ტანჯვის, თავდაუზოგავი შრომის ფასად იკრიბება და დგინდება თითოეული წარმოდგენილი დოკუმენტი, წყარო თუ საბუთი.

სამაგიეროდ, საღამოზე მობრძანებულმა ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ, თავის უმცროს კოლეგას ლექციის დასასრულს დაჟინებით რამდენჯერმე გაუმოვრა, რომ ეს მასალები უსათუოდ მონოგრაფიად უნდა შეიკრას და რაც შეიძლება მალე გამოქვეყნდეს.

ბატონმა გოჩამ მოუცლელობა მოიმიზეზა და კონკრეტული პირობის მიცემას დიპლომატიურად თავი აარიდა, მაგრამ მის შრომისმოყვარეობასა და აკადემიურობას თუ გავითვალისწინებთ, იმედია, ერთ-ორ წელიწადში მამლუქებზე შექმნილი თანამედროვე, სრულიად ახალი მონოგრაფია გვექნება.